


„ხარს ვგეგვარ ნაილაღარს, რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ.
ღმერთო სამშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამას ვდუღუნებ.“ (ვაჟა)



თავისუფლება



საქართველოს განთავისუფლებისათვის მიზროძოლთა ორბანო


გამოცემის პასუხისმგებელი: გიორგი წერეთელი

TAVISSOUPLEBISS TRIBOUNA

Journal périodique en langue géorgienne

*Djabadze's
Library*

№ 35 PARIS DÉCEMBRE 1981 დეკემბერი პარიზი № 35





შინაარსი და საძიებელი

გვერდი	სათაური	ავტორი
2	დიდი იუბილე - წინათქმა	რედაქტორი
3	განყოფილება პირველი - გრიგოლ რობაქიძის ზოგიერთი შაირი: „მშობელი მიწის მიმართ“, „ვერის ხიდზე“, „წმიდა ნინოს“, „ქართველი დედის წერილი ომში გაყვანილ შვილისადმი“, „აქლემი“, „ვასაკა“, „დიდი შუადღე“, „ორღობის ეშაფოტი“, „ალას“, „გერა“, „ჩემი მამული.“	
9	განყოფილება მეორე - გრ. რობაქიძის პროზის ზოგიერთი ნიმუში: „ენგადი“	
25	„იმამ შამილი“	
29	„საუბარი კარდუსთან“	
32	„მზის ხანა ქართველთა“	
37	განყოფილება მესამე - გრ. რობაქიძის მიმართვა სამშობლოსადმი: „მიმართვა ახალგაზრდობისადმი“	
38	„მიმართვა ქართველ ხალხს“	
39	„სულის დაშლა“	
43	„მიმართვა ქართველ მწერლებს“	
44	გრ. რობაქიძის უკანასკნელი ბარათი სანდრო ფანჩულიძისადმი, იუბილარის უკანასკნელი ფოტო-სურათი, მისი: „ჩემი ნატრვა“	
46	გრ. რობაქიძის თხზულებათა არასრული სია.	
47	განყოფილება მეოთხე - გრ. რობაქიძის დაბადებიდან ასი წლისთავის ზემი პარიზის ქართველებში.	
48	ხოტბა გრიგოლ რობაქიძეს - ლექსი - დეკანოზილიას სიტყვა	გიორგი ნოზაძე ილია მელია
49	გრ. რობაქიძის. ბიოგრაფიული ცნობები	სანდრო ფანჩულიძე
50	საიუბილეო შენიშვნები გრ. რობაქიძეზე	დრ. კარლო ინასარიძე
56	ცოტა რამ დიდ ქართველზე	დავით ვაშაძე
58	ლევიან ფაღავას მისასალმებელი სიტყვა	
59	ჩემი მოგონებები გრ. რობაქიძეზე	ნიკოლოზ ურუშაძე
60	გრ. რობაქიძე - ქართული კულტურის მშვენიერი	გიორგი წერეთელი
68	ვიქტორ ხომერეიკის განცხადება ჩემი დღიურიდან	ვალეკო ჩუბინიძე
	განყოფილება მეხუთე - სადღეისო საკითხები	
69	ახალისა და ძველის მიჯნაზე	„თ. ტ.“
71	„თავისუფლების ტრიბუნის“ განცხადება პოლონეთის შესახებ ამბები სამშობლოდან: პოლიციის თარეში „სვეტიცხოველში“, მერაბ კოსტავა ხელახლად დააპატიმრეს.	
73	საბჭოთა სამყაროში: ამბოხება და დარბევა ჩრდილოეთ ოსეთში. საერთაშორისო ამბებიდან: „გ.ე.ო.“-ს რეზოლუცია	
74	ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია	ალექსანდრე მანველიშვილი
77	ნუთუ ეს არის სიმართლე?	დათო აჯიაშვილი
78	რუსთაველის თეატრი ავინიონში	გულზათ გულზათიშვილი
79	სამგლოვიარო განცხადებები და ჩენი ფონდი	



დ ი დ ი ი უ ბ ი ლ ე

წელს, ოქტომბერში, 100 წელი შესრულდა გრიგოლ რობაქიძის დაბადებიდან. პოეტი, დრამატურგი, რომანისტი, ესეისტი, ლიტერატურული კრიტიკოსი, ქართული ენის გამწმედი და გამამდიდრებელი, ქართული კულტურის ყველა დარგს შეეხო გრიგოლ რობაქიძის მაღლიანი კალამი და მარად წაუშლელი კვალი დააჩნია მას. შეუძლებელია ქართველმა კაცმა არ იამაყოს იმ წარმატებებით, რომლებიც წილად ხვდათ გრიგოლ რობაქიძის რომანებს გერმანულ ენაზე.

გრიგოლ რობაქიძე ღრმა ეროვნული და ამავე დროს უნივერსალური ხასიათის შემოქმედი. მის თხზულებებში შეზავებულია პარმონიულად ქართული და ევროპული ცივილიზაციები. თვით გრიგოლ რობაქიძე სამართლიანად ბრძანებს თავის ნაწარმოებზე: „რას იტყვის აქ სიმართლის ერთგული განმხილველი? აი რას! სიტყვა - სიტყვით: ავტორს ამ კონცეპტისა „ზიარება“ მიუღია; „ზედაში“ ყოფილა: ევროპაც და ქართული მიწაც; თვითონ ზედაში“: ქართული ელემენტი უფრო მეტი ვიდრე ევროპიული; „ელემენტები“: პირველი უფრო ღრმა და მხვედრი; „ზიარება“ თვითონ: ს რ უ ლ ი ა დ გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი.“

„სიმართლის ერთგული განმხილველი“, როცა მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ ლიტერატურას აღწერს, გვერდს ვერ აუვლის, ვერ უგულვებელყოფს გრიგოლ რობაქიძეს.

გრიგოლ რობაქიძე არა მხოლოდ დიდებული მწერალი იყო, არამედ აგრეთვე გულმხურვალი მამულიშვილიც. აქაც მან სხვაზე უკედ თვით განსაზღვრა საკუთარი შემოქმედების პოზიცია: „ჩემი წიგნის ხაზი სულ სხვაა, წერს ის აწ განსვენებულ აკაკი პაპავას, აღქმევა ობიექტიური, ხოლო არა ნოტირალური.“ შეიძლება ნეიტრალური იყოს მამულიშვილი მის სამშობლოში შემოსეულ ბარბაროსების მიმართ? რა თქმა უნდა, არ შეიძლება! და გრიგოლ რობაქიძესაც მარჯით ეკავა „მარჯვენათი მზიურ მეწამული ალამი საქართველოსი.“ ამიტომაც მისი ხსენება აკრძალულია მის პერსონალ სამშობლოში. ეს კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენს მაღლიერების გრძნობებს მისი ხსოვნის წინაშე.

ამ გრძნობების საჯაროდ აღიარება მით უფრო მიზანშეწონილია დღეს, რომ ჩვენი ქვეყანა დღეს განიცდის ჩვენი დედაენის ძლიერ შევიწროებას; გრიგოლ რობაქიძის დაცვა-დაფასება ჩვენ მიგვაჩნია ქართული ენისა და კულტურის დაცვადაც. ამ გაგებით და მოსაზრებით — თუმცა სუსტი ძალებით, მაგრამ დიდი მონდომებით — აღვნიშნეთ პარიზში გრიგოლ რობაქიძის დაბადების ასი წლისთავი.

„თავისუფლების ტრიბუნის“ ეს ნომერიც „პაწა“ სანთლად აგვინთია გრიგოლ რობაქიძის სახელის სადიდებლად.



გ რ ი გ ო ლ რ ო ბ ა ქ ი ძ ი ს ზ ო გ ი ე რ თ ი ლ ე ქ ს ი -
ის რაც ჩვენ ხელთაა.

მ შ ო ბ ე ლ ი მ ი წ ი ს მ ი მ ა რ თ

მიდამო მკვდარი, გარუჯული ლანდების კუთხე.
ძველი საჯვარე, სურნელება დამკნარი დაფნის.
სამარის სევდა, მოდუნება მლაშე და წუთხე.
ობოლ ხატის წინ აცრემლილი სანთელი თაფლის.

დათუთქულ ლოცვას ძლივს იკავებს ობობას ქსელი.
ღამურას შრიალს მოაქვს ჩუმად ღუმელი მწირის.
ფედავ კრეტსაბმელს: ლოკოკინა მილოდავს სველი
და მეც ვით იგი გამომძვრალი ქურჭიდან მცირე
მ ო ვ თ ქ ე ვ ა მ და ვ ტ ი რ ი :
საჯვარის ღუმლის ერთხელაც არის გასერავს დანა-
მიმასვენებენ მის კედლებში გასუღრულ ცხედარს.
დავენანები ყველას, უფრო ლაშარსა მხედარს
და დამადნება ტკბილი ხმებით მე „სუთა-თანა“.

გადმოვარდება სარკმელიდან მზის სხივი მკვდარი-
ვაიებულ შუბლს დაეცემა მწარედ და ცივად.
საღლაც შორს ქალი გაფითრდება, ისედაც მხდარი-
ობოლი ცრემლი გაურჩება წამწამზე მძივად.

შ ე ნ ი ც ი მ ხ ო ლ ო დ
მ შ ო ბ ე ლ ო მ ი წ ა ვ : თ უ რ ი ს თ ვ ი ს ვ ე ნ თ ე .
უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი
მიიღე ჩემგან სიცოცხლის ღვენთი :
ჩუმი და უთქვი -
და შეესვი სუნთქვით.

--- --- ---

ვ ე რ ი ს ხ ი ღ ზ ე

ვერის ხიდზე მძიმე ღამით თმაგაშლილი ქარი მღერის.
ლანდი დასტვენს ვერის ხიდზე: ლანდი თოვლის და ნამჭერის.
ვერის ხიდზე ქარი ზუთის მწვანე ზღაპარს ანიავებს.
ვერის ხიდზე ქარი გივი დავლურს უვლის: სტვენს და ჰკივის.
ჰინკა ჰინკას მისდევს ცეკვით. კუდიანი ხტის და ჰკივის.
ვერის ხიდზე ველურ ხმაზე ქარი აყრის მტკვარს სიამეს.
სისხლის ლანდი ვერის ხიდზე გულს ეჭრება მძიმე ღამეს.
მძიმე ღამით ვერის ხიდზე მთვრალი ქარი სატრფოს ელის-
ვერის ხიდზე ქეიფია გამართული გივი ველის.

--- --- ---

წ მ ი დ ა ნ ი ნ ო ს



ქალწულო ნინო, ეშვები ჩრდილებით:
დალტრსულ ფოთლებში მზისთვალი დაღვარული.
ჩვენ, დანელბეზული და გულახდილები,
შენ წინ ვეფინებით უშრეტტი სიყვარულით.

მცხეთას რომ მოგესმა ნელი ხმა ზევითგან-
გული ღვთისმშობელის ჩვენთვის ხომ უხვია-
ჯვარი გამოჭერი ვაზის ნასხლევითგან
და ცხელი ჭრილობა თმებით შეუხვავი.

ღვთიური ტკივილი და არა წამება
იყო აქ, გვითხრობდენ ამას ჩვენ მამები.
არ გვინდა, დედაო, სხვა ჯვარი ბერწების.
არ გვინდა სხვა მიწა და სხვა ნასახლევი!
ვიცი: შენი ჯვარი ლხინია ლერწების-
ტოტებს აიყრიან მეტი ახელებით,
როცა გადასხლავენ სასტიკი სასხლავით.
ქალწულო ნინო, ათასჯერ გვენახე!
შენ გეაღერსება დედული ვენახი-
ღვთიურ ანთებული ჩვენს მიწას ენებო.

ქართველი დედის წერილი ომში გაყვანილ შვილისადმი

ხმა მომესმა, შვილო, კართან გუშინა.
შენ მეგრენე: გულმა ცემას უხვირა.
წამოგვარდი. მეუცხოვად არ იყავ
და საგულემ გული ცივად გარიყა.

შენი ბაწა სიღონია, თმათაფლა,
მეკითხება შენზე ყველას უმალა.
მაღე მოვა-ვეუბნები ხმადაბლა,
ის კი მატყობს, რომ ცრემლებსა ვუშლაღვა.

უცხო ჩიტი მოფრინდება: გნოლია.
მიუღრტულუმს რაღაც ამბავს უგნებად.
ნუგეშინით მაიმედებს, მგონია,
ხოლო გული მაინც სხვას მეუბნება.

ეგებ გცივა, შვილო, უცხო არეში:
ყინვებია თურმე მანდ ნამეტნავი.
რომ ვიცოდე, თუა კიდევ ნეტავი
ცხრათვალა მზე საქართველოს გარეშე.

ან თუ გდიხარ, შვილო, სადმე ვრდომილი,
დაგტეხია შავად თავს უბედობა.
ვინ ვიგულვო შენი კეთილმდომელი,
რომ ზღუნებით გაგიწიოს დედობა.

სხვა როგორ ვიგულვოთ აქ შენი ნაცვალი?
ზვარში რომ გაივლი, ჩაყურსულ მტენების
მზის თვალით ივსება ყოველი მარცვალი.
შორითგან ვიყურებ, ავს რომ აგაშოროს,
ხმალმთილებული მზესაეი ლაშარი.
ის არის ივერის მცველი და მწვევრავი
და ჯვარს ვაზისა წაართმევს ვერავინ!

ნათელო ნინო! ვით მიწის ხნულები
შენ წინ გადახსნილან აწ ჩვენი გულები.
მო, გადაგვიარე, ბედს გადავურჩებოთ
და ტერფებს დაგიკოცნით მაგარი ტუჩებით.
დაო და დედაო,
ღვთი შობლი და ღობილო,
ვართ შენზე დანდობილი
და შენი შენდობით
არ გადავშენდებით!

1923 წელი

გადაგისვას ნაზი ხელი ყვრიმალთან,
მოვასხუროს სხივი ნატერის-თვალისა,
ირემივით მხრებში რომ გაიმართო
და მზეს შეხვდეთ ამომავალს ხალისად.

რა ექნათ, შვილო, არ არის მეკომური,
არ ყვედრიდეს ეხლა ბედის-წერასა.
ნადვლითაა ყველგან სავსე გომური,
რომ აკლია ვაჟი მყუდრო კერასა.

ცრემლის ღვთით დაშრეტული დედები
ვეფინებით თმაგაშლილი ტყე-ველთა:
საქართველოს მიწის საკურთხეველთან
მიგვაქვს ურვა ძუძუდამშრალ მკერდებით.

ვედრებაში დათუთქული გულები
ისხმებიან ერთი გულის ცემადა -
ქართველ დედის ხელით დანერგულები
ზორვით ვაგრძობთ წმიდა გადმოცემათა.

დედაღვთისა იყოს ამის მოწმედა -
ხართ გამძლენი ვით ულპობი ურთხვლა.
გადაეცა შვილო, თანამომძეთა:
თქვენთან მოდის ჩვენი ლოცვა - კურთხევა



ს ო ნ ე ტ ე ბ ი

(განსვენებულ გიორგი გამყარელიძის არქივიდან)

ა ქ ლ ე მ ი

აყუდებელი. აყროყვილი. ორკუზიანი.

ცხუნე სივრცეთა კოშმარების უგვანო ბუში.

ბაიასავით გამომწვარი ზანგელა ბურში.

უცხო. უთვისო. მატანტალა. შორიგზიანი.

ამბარტავანი. ნელი. დინჯი. თავაზიანი.

მოდუნებული მეოცნებე შორეთის მურში.

მორცხვი. კეკელა. მოალერსე. მუსუსი. მრუში.

გახუნებული მაგრამ მაინც მარად მზიანი.

საოცარია შენი ზანტი მთქნარებით თვლენა:

მზეთა გალხობით რომ მოთენთა უდაბნოს რთველმა.

ქიშკის თავის ღიმით გასცქერ აღმურს კომლიანს—

თითქო გესუნთქვის არაბეთის ამწვარი ნარდი.

და უშნო ცოხნით ოდეს ერთი მეღანჭოლიას

ღორბლიან ტუჩზე გიობდება სამყაროს დარდი.

ავისტო 1918 (თავი=და=თავი აქ ბოლოა. გ.რ.)

გ ა ს ა კ ა

უკარებელი. ზაფრიანი. ტანგატრუნული.

ხავისიფერ კანზე მზის ხაოთი სქლად მოწვეთილი.

სოველში ცოცვით მკერდზე თეთრად გადაცვეთილი.

რუმი. გვერდულა. აღმაცერა. ცქერაქურდული

თავისიანებს თავიძულვით ჩამოწყვეტილი.

მუხისა წყლიან ფულუროში გადაბუდრული.

ქოსა. თვალკუსა. ლორწიანი. ცხვირდასურდული.

სოფლის ავიზნით ცხარე ტვინში ზშირად წყვეტილი.

გიყვარს სიღამბლე, შმორი, მატლი მშვიდო ვაკასა—

ხოლო პანის ჟამს ცნობ ყველაფერს ასე ფარსავად.

როს ნაწვიმარზე მზე იშლება ნელი თავყვანი

ბნელ სინესტეში ყველას უწინ შენ გაოცდები:

ხის სენაკითგან მალვით ზემო ამოცოცდები

და შეუდგები ღვთის დიდებას კვახე ყყანით.

სტამბული მარტი 1919

დიდი შუადღე

მზვარის წურბელნი სრიალბენ ლალის პეშეგებით.
ყარამფილს აბნევს მზის ტევრების ნელი კალმასი.
ყვითელ აღმურში ილეწება თეთრი აღმასი.
მიწის მკერდები ალებს სვამენ აზარფეშებით.

ცხელ ნირვანაში მოთენთილი მძიმედ ვეშეგებით:
გით მდინარეში შეძირული ნელი კალასო,
ხელება, ჟინი ალესილი ქარვის კალოსი!
დიდი შუადღის ავხორცობით დაგვიგეშებით.

მწიფე მარცვლები ცვივა ხვატის გამსკდარ ბროწეულს.
თვლემის ბადეში აზმორებენ ყველა რიტმები.
ნათელი ჩქერი ერთვის ვნებით სივრცის ძოწეულს.

ღვთის სიახლოვით მეწამულნი ვიწვით, ვითვრებით.
რახსებ შებმული ტყდება პანის სპილენძის კვერი
და სიყვარულის ბნედას გვაყრის მზის ავი ტვერი.

(გადმოზექლილი: „კავკასიონი“ №20-თგან)

ორღობის ეშაფოტი

ჩამორჩობილი ვიოლინი ორღობის სარზე
(ეპილქსისა ვადარევა და ბედისწერა).
მავნე თვალების აქ ცივდება სასტიკი მზერა.
ბოლო ელება ყოველ ნდომას აქ მარტო მწარზე.

უყვარს ცხენის თავს დაეინებით ქვეყნა მრუდ
(საოცარია გაბზარული უცხვირო ხაპი).
დაღრენილ ხახას კიდევ ახსოვს სიგიჟის ქაფი—
ბნედამორეულ მელამურას ეხსნება ბუღეთ.

ზრქელი ოზობა სპლინის ბადეს სკელეტზე ლამბავს
(ღროს გუდადამპალს თუ მოსწყინდა უმიზნო ბანდი).
გახეთქილ შუბლზე გადაიარბენს ასტრალის ლანდი.
უცხო გამვლელი წაიკითხავს საშინელ ამბავს.

თავის ორალის* ჭიხვინს იგი მოელის მარად
ძნელია მეტად ხსოვნისათვის კუნძული პატმოს**).
შიშობს სიკვდილმა არავინ დათმოს—
მთელი სამყარო ესურგება დაიქცეს არად.

და როცა მიწა გადაყვება ძეობას ავი
(მზე მაშინ ალბათ გადატყდება გადახრის ტარზე)—
დაიჭიხვინებს ბოლო წყევით ორღობის სარზე
გატიტვლებული ძვალდახრული გამხმარი თავი.

ტფილისი 10.2.1921

(მკითხველისათვის—კუნძული პატმოს: იქ დაიწერა
აპოკალიპსი. „ორალი“(ორეული): აპოკალიპსის ცხენი. გ.რ.)

ა ლ ლ ა ს

ნელი შირალით შეფოთილი თუ ვინმე მოჰქრის,
 ჟღალი ბელურა თავს ევლება ტანსარო აღვას,
 ის ვერ იხილავს ჩემს ეზოში პატარა ალღას-
 მე ვედარ ვეტყვი უცხო სტუმარს: „ნიკარტი ოქროს“!
 თეთრი ღიმილი აგონდება გადახრილ ქორედს.
 ობლობას იხდის დედოფალა ნაჭრიან ჩითით.
 გულდათუთქული ცქერას მესვრის ცქრიალა ჩიტი
 და სამუდამოდ გაფრინდება ნაღვლიან შორეთს.
 ვაშურებ ოთახს. დასრიალობს სიკვდილის კვალი.
 ნინოს ხატის წინ დაეჩოქებ სათუთი მწიერი.
 მოვიკუნტები ჩუმი ლოცვით, ნეკივით მცირე
 და ვიშრობ ცრემლებს საცოდავი ვით ჭიქის თვალი.

1920 წელი

(ყველაზე უფრო „ღირიული“ ჩემს შაირებში—ჩემი ფიქრით. გ.რ.)

გ ე რ ა

პაოლო იაშვილის დოგის მოგონება მაისში

თუჯურ ახვეწილ და გაშვეტილ ასპიდის ტანზე
 მზე მეწამული გილოკავდა ქრელთვალა ხალებს.
 გაგარდებოდი არქენილი ტორებით განზე—
 თითქო კუნთებით არეკილით თასმავდი ალებს.

შენი თვალები—გადაკრავდა სხვა ფერი თითოს:
 ჟღალი და ლუში, დამუქული ეგვიპტის ქვები—
 შენი თვალები გახელებით იქერდენ ხვითოს,
 გველი რომ ესვრის ყვითელ აღმურს ჯაეარო რქებით.

ალბათ გაიგე, რომ პაოლოს შაირი ჰგავდა
 შენი ფერდების ფორაჯიან ხატულა ლაქებს—
 თორემ ვიფიქრო: სხვა პატრონი არავინ გყავდა,
 რომ მიეკედლე თავადებულს, აგარად ნაქებს!

უსმენდი ლექსებს: გეშლებოდა ხან ტაროს ხეავი,
 ხან დაღონდლილი საწნახელში ყურძენის ტბორი.
 ყალყზე დგებოდი უეცარი და ყვედა - ავი,
 რომ ლექსებისთვის სიხალისით გაგერტყა ტორი.

მაგრამ მგოსანმა უდარდელმა გიმეტა ეგზომ,
 რომ გადახარე თავად დოგის მზიანი ჰუნე—
 დაიწყე თრევა კახპასავით ეზო და ეზო
 და ფინიებში გატყაული ჩაძაღლი მუნით.

ლამაზო გერა! ვიცი, ძაღლის წაიღე წყენა.
 ცრემლს ნუ მიჩვენებ, თუ გიყვარდე, ამასა გვედრი.
 ვინ იცის, ეგებ შენი თრევა — მიყვილის ენამ?—
 იყოს აგრეთვე მოშხამული ჩემი ძმის ხვედრი.

მიტოვებული, დავარდნილი ღვთის ანაბარად,
 ეგებ შენსავით იგი ერთხელ ჩაიქცეს ღრეში.

დაიტირებენ შენს პაოლოს კოლხეთის ბარად
 ეუფენა წვიმა ჩვენი ყანის და რბილი ხრეში.

დათუთქულ თვალებს დაედება სიმწუხრე ცრემლის.
 ხილვას შვირჩენს უკანასკნელს უსაგნო ცქერა.
 იქნება იქვე ვით ყვავილი ქართული ტყემლის
 სხვა სახელებში ერთი ჩუმი სახელიც: გ ე რ ა.

ჩ ე მ ი მ ა მ უ ლ ი

პატარა და კობტაა. თან ლამაზი და ნაზია,
 დედამიწაზე ცნობილი, უძვირფასესი განძია.
 ტბილია, როგორც სიცოცხლე, როგორც მყინვარი შაქარი,
 უკვდავებისა ნათელი, გულზე აქვს გადანაფარი.
 გარშემო მთები არტყია, ციკაბო მაღალკლოვანი.
 გულზე წალკოტი უვია, მარადეამს ყვავილოვანი.
 იქ ბევრი მოყმე გმირია და ტურფა ლამაზმანები,
 ცხადათ კაცთ დამატყვეველნი, სიზმრადაც დასაზმანები.
 ის არის ძველი სადგური გოლიათ ამირანისა,
 საპირფარეშო სავანე, ზღაპრული ლამაზ დალისა.
 ამბობენ: ზამთარ-ზაფხულში სულ თანაბარად დარობსო.
 თვით უფალს დაულოცია, დასაბამიდან ჰყარობსო.
 პირველად ევა-ადამი იმის წალკოტში შობილა.
 ვარდით მორთული აკვანი თვით უფლის ხელით რწობილა.
 ნინო ყოფილა ნათლია, პირველი მირონმცხებელი.
 ანგელოსი და ფერია თანვე ჰყოლია მხლებელი.
 ის სამოთხეა: მგალობელთ, სირთ-ბულბულთ-იადონისა,
 ტაძარი მაღალ აზრების, სიქველის, ქკუის, გონისა,
 ბღნარი: ია-ვარდების, სირენის ზამბახებისა,
 ლხინის, სიამის, ტრფობისა, სიცოცხლის დაბადებისა
 და ასპარეზი: ჰანგების, დაფის ნაღარის, ბუკისა
 აკვანი ახალგაზრდობის, სიქალწულ-სიქაბუკისა.
 ჩემი თვისტომი ბინადრობს, ყველა მისია მმართველი:
 მეგრელ-გურული, კახელი, იმერელი და ქართლელი,
 სვანი, თუში და ხევსური, მესხი, აჭარელ-ფშაველი.
 ბედი არ წყალობს წყეული, ბევრი მტერი ჰყავს მძრახველი.
 მათ ეწოდებათ ძველთაგან ერთი საერთო სახელი.
 ტბილია. მეტად ტბილია, როგორც მყინვარი შაქარი.
 ასე კოპწია ქვეყანა, აბა მითხარით სად არი?
 ზღვები და მთები არტყია, გარშემო შემოზღუდულელი.
 მუდამ იქითკენ მიფრინავს ჩემი ოცნების შურდული.

მის მიწა ციურ მანანით არის მთლად გადანამული,
 იქ მინდა მოგვკდე, ვიმარხო, ის არის ჩემი მამული.



გრიგოლ რომაქიძის პროზის ნიმუშები

ე ნ გ ა დ ი

(ამ ნოველის გერმანული ტექსტი დაბეჭდილია წიგნში „*kaukasische Novel I en*“, რომელიც 1932 წელს გამოვიდა „*Insel Verlag*“-ში, სხვა სათაურით.)

ზადხელის დამდეგი იყო, როცა ერთი რუსული საფლომო საზოგადოებისაგან წინადადება მივიღე, გავყოლოდი მის მიერ გამზადილ ექსპედიციას ხევსურეთში, როგორც მცოდნე პირთული ენისა. დიდი სიხარულით შევხვდი ამ წინადადებას. ეხლა შემეძლო ადგილზე გავცნობოდი ამ უსაიდუმლოეს ტომს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელ კავკასიის ტომთა შორის. ხევსურები მეჩვენებოდნენ შორიდან მუდამ როგორც ცოცხალი დანაშთი ერთი უსახელო, ძველი, საუკუნოებში გადასული ხალხისა. ჩემმა ნატრვამ ამ დანაშთის ხილვისა იმატა ფრიად. ერთს მზიან დღეს კიდევ შევეუდექით გზას კავკავიდან. ექსპედიცია ოთხი კაცისაგან შესდგებოდა. მე მეხუთე ვიყავ.

საქართველოს სამხედრო გზა ჩემთვის სრულყოფილი ქმნილებაა ბუნებისა, არა მხოლოდ იმის გამო, რომ იგი თვალწარმტაცი და ლამაზია: სხვაგან შესაძლოა უფრო თვალწარმტაცი და ლამაზი ადგილი მოინახოს. ეს გზა ერთი მთლიანი ხელოვნური ქმნილებაა, 200 კილომეტრზე პარმონიულად გადაშლილი—აქაა მისი უპირატესობა. ყოველი ნაკვეთი მისი ლანდშაფტისა გულისხმიერი ელემენტია კომპოზიციურ სასტიკად დატული მთელისა. კავკავიდან უნდა გამოხვიდე, რომ ნამდვილად იგრძნო სიმშვენიერე მისი; თბილისიდან იგი შესაძლოა მოგეჩვენოს როგორც უკუღმა გაშვებული ფილმის ზოლი. მიწა აქ მართლაც „დედა მიწაა“, თბილსაშიანი და ნაყოფმადლიანი. გულის ფრიალით გზნებ ცოცხალს მძლეოსან მითოსს: წინაქვეყნიური დაგჭრლავს და გველებს აქ თავს.

მივალწიეთ დარიალის ხეგს. თვითონ ხმოვანებაში ამ სახელისა „დარიალი“ მოცემულია ავარსნური ასახვა ადგილისა. დაღუემებულნი კლდენი სუნთქავენ მყუდროებას. ხოლო ეს სიმშვიდე არაა, ეს უფრო უძრავობაა: თითქო ზეგვენანი ოკეანესი გაქვევებულიყვნენ. გგონია, ვითომ ციკლოპური მიქელ ანჯელო ყფილიყოს აქ სამუშაოდ და ფეძაფერს დაძაბულობისას გაგვეტულიყოს იგი: და სისრულის მაგიერ დარჩენილიყოს ღნოშ დემონთა ქაოტიურობა. სამარისებური გარინდებულობა კლდეთა, ნაპრლთა, ლოდთა. დროდადრო გეჩვენება: ესაა ვასკდება ეს უძრავობა დაუთმავრებელ ელემენტთა და ატეხილ გრიგალად ავარდება ყოველივე. თერგის ხმაური არღვეგს და თანვე აღრმავეგს კლდეთა მღუმარებას. შიში გიპყრობს არაადამიანური.

განვევლეთ ხევი და მივადექით პატარა დაბას ყაზბეგს. მარჯვნივ გამოჩნდა თვითონ მყინვარი, მარად დათოვლილი. იგი დგას მყუდროდ თავის თავში ჩასვენებულთ: თითქოს შინაგან მისსა არა ხდებოდეს რა. სდგას ყოვლის განზე, რაც ხდება, თვით მყარი და თავისთავადი. ხანდახან გგონია, არა მიწიერისაგან, არამედ სხვა ნივთიერებისაგან იყოს იგი წარმომდგარი: ვულკანური, ხოლო სიმძიმისაგან თითქო განთავისუფლებული, ინთქმება იგი უსაზღვროებაში, ან უტეთ: ერთვის მას.

გავცილდით დაბა ყაზბეგს. მიგუახლოვდით მლეთს. დარიალის ხევიდან როცა მლეთში მოხვალ, გზნებ მშვიდედ დღეს შექმნისა: ისე ნეტარ დამატებობელია ეს ადგილი. მლეთში თითქო მიწასთან ერთად მიჰჭროლავ სადღაც უცხო უცნობ მზარისაკენ. სინაზითა და სიბლილით არის აქ ყოველი მოტული. ნელინელ ეშვება ჰაეროვანი შორეთი სულში. განშორების უამს ამა სოფლისაგან უთუოდ მლეთს აირჩევი. ერთხელ კიდევ ვიგევი მისი მადლი. დღუეთში დავიჭირავეთ ცხენები და გამყოლნი და თინვალისაკენ გავეშურეთ. აქ ერთვიან ერთმიორეს ორი ტოტი არაგვისა: ფშავისა და მთიულეთის. თინვალიდან მადაროსკარის გზით შუაფხოსაკენ გავემგზავრეთ. მივადექით ორწყალს: საცა არავიან ორ ტოტად იყოფა. აქვე იწყება ერთი ხევი ძნელგასავლელი.

მე ვიციოდი, რომ დეშვავები მგოსანნი არიან. ერთმა აღმოჩენამ მაინც გამაკვირვა: ტყეში ხეებზე აქა-იქ ამოჭრილი შაირები ვიხილეთ. კითხვისას ვიგზნე უეცრად: თითქო ეს შაირებიც მცენარენი ყოფილიყვნენ. გზა გაძნელდა თანდათან. განვევლეთ როგორც

იქნა ერთი წავარანა თავბრუსმომხვევ სიმაღლეზე ნაპრალების გასწვრივ. რამდენიმე წუთის გავლის შემდგომ მივუხალავით სოფელ მატურას. აქ წავარანას „ფშავის ნახტომი“ ჰქვია: გადმოცემით აქ ერთი ფშავი ცხენიდან გადაჩეხილა ხრამში. ყველგან კლდეთა ეხნი და ქვის საფეხურნი. აქა-იქ ღრეებზე და ხრამებზე ბოგირები: უზარმაზარი ძელი ერთი კლდის კიდელიდან მეორე კიდეურამდე გადავლებულნი. გზის სიგანე ალაგ-ალაგ ერთი ალაბის მეოთხედით თუ იქნება. უფსკრულში იქაფება არაგვი. შიშის მომგვრელი არე: გული ვწყებს რეჩხს.

მატურიდან გზა ავიღეთ ჩრდილო მიმართებით, საცა არაგვის გვერდით მეორე მდინარე მოხმადობდა. უეცრად თავსა ჯაჭოფს უზარმაზარი ქედი მთისა, რომლის იქით ხევსურეთია. ამრეცი ბილიკი ხდება უფროდაუფრო საშიშარი. ირგვლივ მღუმარება სუფვეს. ჩვენი ვეღუთი. მივალეთ უღელტეხილს. უეცრად მთის თხემის ორივე მხრით წამოიშალა ნისლი, რომელიც საიკარ სიმალით დიდებოდა და სქედებოდა. რამდენიმე წუთში მოიკცა მან ირგვლივ მიღამო. შიშმა იმატა. ხოლო მყისვე ვიგრძნეთ უცხო რამ: თითქო კლდე ხომალდი ყოფილყოს უღიდე და მძლავრი; სიხშიარულ მიგვაქანებდა იგი უსაზღვროებაში ცის რძეთუთრი შორეთის მიმართ. იყო ერთი წუთი: მიგონა შეგვებ მარადობის სამოსელს. უღრმესი ნატრვა, რომელიც თან გამოყვა ჩემ გულს აქეთიენ, იქცა ჩვილ და ნახ ულავიდა.

განვლეთ ვიწრო ბილიკი. ირგვლივ უღამებოდა და მღუმარება. ვავიარეთ რამოდენიმე ვერსი. ხევი გაგანიერდა ოდნავ, ამწვანდა; აქა-იქ ტყიანი ალაგიც გამოჩნდა. კლდენი სთვლემდნენ ხავსოდებულნი. მუჭკრემა კაუქარდიან თირ-ქევენარზე ლივივიებდნენ თბილი ზავთიანი ხალები. შორს-მოთოვლილი მასისეები მთისა, ჩვენივე – კლდეა მოშვებული ნაპრალები. ბორცვთა დაფენებანი, ხალებით აქა-იქ ამწვანებულნი; შიგადაშიგ-ადვივებული ყვითელი ხორბალეები. გამოჩნდა პირველი სოფელი ხევსურეთისა, რომელიც ციხეს უფრო წააგავდა. თირიქვისაგან ნაშენი სახლები კოშკისებურად იყვნენ ერთიმეორესთან მიჯრილნი. სახლებსა და კლდეებს გადაჰკრავდა ერთიდაიგივე ფერი. შთაბეჭდილება იყო: თითქო სახლები კლდისაგან ყოფილიყვნენ ამოზრდილნი. არწიეთა ბუდე ნამდვილი.

ერთ მოსახვევში უცხო ვინმეს წავაწყდით თავს. იგი ახალგაზრდა იყო. უნდოდ გემზირავდ იგი ჩვენ, შეჩერებულნი. როცა ქართულად გამოველაპარაკე, მყის მოსცილდა მის სახეს უნდობლობა. შუატანისა იყო. ტანჩაცმულობა ხევსურული ჰქონდა: მოკლე მოშავო ჯუბა, მატკლისაგან ნაქსოვ წითურ პერანგზე გადაცმული. ყელთან და მკერდთან სწორი ზოლები პერანგისა მიძივებით იყვნენ აცმულნი. განიერ მღგენ-ფენზე ჯუბა ამშვენებულნი იყო გოჯისოდინა ჩაქსოვილი ჯვრებით. შარვალი არაგანიერი; ქუსლებიდან მუხლებამდე მუჭკრემა ლეკვერთხები. ხევსური 22 წლის თუ იქნებოდა. მხარზე ბრტყელი რკინით მოქუთილი ფარი და წელზე არმოკაული ხრმალი სწორკუთხიანი ტარით; ღვედზე ხანჯალი; ხელში სახრე; თასმის გრებილი, შიგან მავთულჩატნეული; თვალს ხედებოდა სიძველე მისი სხეულისა; შუბლი მაღალი, ძველსა საფეთქლებთან თხელი და ბრტყელი; ნიკაბი წამახული, ყურები ოდნავ წამოშვერილი; სახეს მისსა გადაჰკრავდა ფერი გამოწვარი აგურისა; დაწვთა ძვლებს ეტრუბოდით სიღრმე; სახის კუნთები მაგარად დადაქიშული ტყავით ცხადჰყოფდნენ ძალას, საკუთრივ საკენტი კუნთები; თვალები დიდრონი და ლეგა; ზედა ქუთუთოები ნაღვლიანად ძირს დაშვებულნი – თოვლიან ველთა მიმღურჯო ცილის გამო? ვაჟი ხშირად ახამხამებდა წამწამებს. მის ფიზიურ აგებულებაში სჩანდა სულიერი თვისებაც მისი ტომისა: უნდობლობა და ამაყი თავდაპყრა, მზაყოფა გამოწვევისათვის და უშიშროება, თავნებობა და გულიანობა. უნდობლობა მასში შეწყვილებული იყო რავესურ რტხვენასთან თუ კდემასთან. სიტყვა მისი სრულზნობანი იყო, თქმა მოკრილი და მკვეთრი. „ქართველ ხარ?“ შემიკითხა იგი. „ნაწილად“, მივუთხე ცოტა შეგვიანებით. უნდა დაგენახათ ხევსურის სახე. ეს ვაჟი, რომლის არსში ყველა ელემენტი ერთ სახედ იყვნენ ქვეულნი და რომელმაც არ იცოდა რაა ვანყოფა, ცხადია, ჩემს პასუხს „ნაწილად“ ვერ გაოგებდა. „რა იქნების ეს-ნაწილად?“ მომიბრუნა მან კითხვა ოდნავ შებუთოქუთულში. უნდა ამეხსნა მისთვის. მაშით მე რუსი ვარ, გვარად: ვალუევი; დედით კი ქართველი. ჩემი მშობლები დღესაც თბილისში ცხოვრობენ. დავიბადე საქართველოში და ადვიზარდე მის წიადში. სისხლთი ვგზნებ მე თავდადასავალს ქართველთა. რასიული ელემენტი ჩემს პირს



ენბაში უფრო ქართულია ვიდრე რუსული. ხოლო ქაღალდების მიხედვით რუსად ვითვლება მიინკ. ჩემი დედა ქართველია-მეთქი, ავეხსენი ხეგსურს. „მამაი?“ „მკითხა მან ლიმილინი მოჭროვლით. „მამა რუსია“, ვუპასუხე. ხეგსური მოიღუშა კვლავ. „რამ გქვიან შენ?“ დამიყენა კითხვა და თვალეში ჩამაძკერდა. გეორგი ვალუე! ვუთხარი რუსული გამოთქმით. ხეგსურმა იწყო ბუტბუტი. „გეორგი, გივარგი“. რუსული „გეორგი“ შესცვალა მან ხეგსურული „გივარგი“. ვალუეეს რომ მიადგა, ენა არ დაემორჩილა, ვერ გამოსთქვა. მამინე შეეცადა იგი გვარის ხეგსურულად გადაეკეთებინა. დიდხანს დეჭდა გამოსათქმელს, სინამ მოსანახავს სწვდობდა: „ვალუაური“, დაასკვნა მან. „ხეგსურად გინდა გამხადო?“ შეგვეკითხე მე ლიმილით. „მერე რაი? იქნების ცულ?“ იმის სახესაც მოეღო ლიმილი; ლიმილით სხმული მარცვლებით განიმეორა მან: „გივარგი ვალიაური თითქო მომნათლა ამით ხეგსურად.

მასობაში არც კამერა იყო გაცდენილი: ხეგსური გადაიღეს ჩემმა თანამგზავრებმა ნაირ-ნაირ. საცნაური რამ: ფოტოგრაფიულ აპარატს ხეგსურში არაფერი გაკვირვება არ გამოუწვევია. მას ვეუცხოებოდი ჩვენ; დანარჩენს იგი იღებდა როგორც თავისთავად ცხადს. მდგარიყო მის წინ ამ წამს ნაპოლეონი თუ გოეტჰე, ვერცერთი მათგანი ვერ გამოიწვევდა მასში გაოცებას. ეჭვი არაა, იგი მათს წინაშე პოტიციებით დაიჭერდა თავს. მაგრამ იმავე დროს იგი დარწმუნებული იქნებოდა შინაგან, რომ საღიაც, ყოფის ერთს არსებობს მუხლში იგი მათზე მაღლა სდგას ასეთი იყო შთაბეჭდილება, მისგან გამოწვეული. ხეგსური იღვა ჩვენს წინაშე შინაგან ამაკი, ხოლო არა მედიდური.

„ქართულს კარგს უბნობ“, მომმართა გახარებულმა. ხეგსურისაგან ეს დიდი ქებაა. მგელიცა აღუდაური-ასე იწოდებოდა ჩვენი პირველი შემხვედარი ხეგსურეთში-გავგიძღვა სოფლისაკენ.

მე იღვა მაღლა, ხოლო არ იყო მწველი. ღრუბლები ჰფენდნენ ჩრდილებს მომწვანო მიდამოს. გული ახალისდა. ირგვლივ სიხარულს აღვიძებდა ყოველი: მდინარის დენა, ქვიშნარის ხალისი, ციალი ნაკადულის სარკიდან ფორაჯმოხალული კლდეთა ფერები, ხეგსურიდებული ნაპრალები. ხალისით გვეშლებოდა წინ ხეგსურეთი. ქვეთინი მივიდილით ეხლა. ჩემს გვერდით მხარდამხარე მგელიცა მოაბიჯებდა. აქა-იქ მუხა ვგვხვდებოდა ნამეხარი, გვაფატრული, მაგრამ მიანე მაგარი. ფიქრში მგელიცა ხან მუხას ვადარებდი, ხან კიდევ თვითონ მუხს. უეცრად თვალი მოვკარ ნაწერს კლდის ფენზე. შევეუდექ მის კითხვას. მგელიცა მათვალერებდა გაჩუმებული. გავყვიეთ ქვევით. კიდევ ერთი წარწერა თირზე. გაოცებამ იმატა. გამახსენდა ახემენიდეების წარწერანი მილიაში. მოკლედ მოგვითხრობენ იქ მილიას მუფენი თავიანთ თავგადასავალს. ხეგსურები თქვაზე მგოსნურ ხილვის ამეტყველებენ. მუფდასმით კვითხულობდი მახვილ ფოლაით თირზე ამოჭრილ შაირებს. მრავალი რამ იყო იქ თხრობილი: ჯიხვებზე ნადირობა, მონადირეთა მარჯი თუ მარცხი, მორკინალთა შებმა. „აქ ცხოვრობენ ნაშიერნი ჰომერისა“ - გავიფიქრე. ქართულ პოეზიას კარგად ვიცნობ. მისი ხეგსურულ-ფშაური ფშანიც არაა ჩემთვის უცხო. ვაჟა ფშაველას შაირთა კრებული ვანუყრელი თანამგზავრია ჩემი. მე არ ვიცი ვინ დავეყენო მას გვერდით თანადროულ პოეზიაში. მისი მგოსნური აღვივება მაგონებს ძველთაძველ კაცის ექსტაზს, რომელმაც უეცრად მუხის ქერსა ხეგსურის პირველად იხილა ცეცხელ. მახსოვს ზაფხული 1915 წლისა, ოდეს ეს დიდი მგოსანი ტფილისის ერთ საავადმყოფოში კვდებოდა. ღრმად მოესურვა მას, მშობლიური წყარონი ეხილა კიდევ - გრძნობდა იგი წინასწარ, რომ მამაპაპათა საგანეში გადადიოდა? - სცადა ლგინიდან წამოღვამა. ვერ შეძლო საცოდავმა. ფოთლებიანი რტო მოითხოვა მან-მოუტანეს; ღოქი მოითხოვა მან, ანკაწა წყაროს წყალით სავსე-მოუტანეს. რტო მოიხვია ტანს-იგზრო მისი ნელით ძალა; კიდევ ერთხელ სავსე ღოქს დაეწაფა მოწყურებული-იგემა ნაკადის ცინცხალი სიხალასე, უკანასკნელად. ასე შეერთო იგი მიწას დედას, იგი: ცეცხლოვანი ნაშიერი გილგამეშისა და ილიადისი.

კვითხულობდი თირზე ამოჭრილ შაირებს; ვგრძნობდი, თუ როგორ მრეოდდა მგოსნური თრობა და ვიწყებ წარმოთქმა ვაჟა ფშაველას ერთი შაირისა. გაოცებული და გახარებული მიმნდა ახალგაზრდა ხეგსური. მდუმარე ნაპრალები შეუაგულში ეშვებოდნენ სიტყვები და სხენი ვითა დენა სრულშობიანი ლითონისა. ვაჟა ფშაველა სწერდა ფშაულ-ხეგსურულ კილოზე. ეს კილო არ არის პროვინციალიზმი, იგი უფრო არქაიზმია. ლაკონური გამოთქ-

მა აქ უკიდურესობამდე დაყვანილი. შაირებში ეს უფრო ცხადდება, რადგან მაქრონიკური განი აგებულება ელიზისა. სიტყვები აქ ყოფის ფესვებია თვითონ, მათ ჯერ კიდევ სარწმუნო უპარავთ სუნულება პირველქმნისა. მეტაფორები უბრალო შედარებები კი არ არიან აქ, არამედ თვით სინამდვილე, განსაკუთრებულ სავანთა თუ მოვლენათა შინაგან გადამხმელნი. ყოველი თქმა აქ ელემენტურია როგორც ცეცხლი.

ჩემი თანამგზავრნი ფოტოგადღებით იყვნენ მოშორებით გართულნი. მე ვაგრძელებდი სხვადასხვა შაირის წარმოთქმას და ვთვრებოდი ჩემივე ხმით. ხევსური ყურს მიგდებდა როგორც განაბული ნადირი. უტყარად ავარდა იგი, მოახვტა ნაპარღის ერის ესს და მიმოავლო თვლი მძლავრად გაშლილ გარემოს. ეხლა ხევსურმაც იწყო შაირობა. მთიულეები ჩვეულ არიან ერთმანეთს გადასძახონ შორიდან; დაწმენდილი ჰაერი მთისა ავანიერებს მაგრად მათ ფილტვებს; საკვირველი არაა, თუ მათ მაგარბგერაინი ხმა აქვთ. ლითონური იყო ხმა ხევსურისა. იგი შაირობდა და ჰყვებოდა: ქისტებს ვაგრეკათ ცხვართა ფარა თუ-შეხბის; უკანასკნელნი გადღევნოდნენ მათ, დაეპარცხებთან მომხმარებელი. სიტყვებში ჩანდა გააგება და შურისგება. სხვა არაფერი? ხევსური შაირობდა და ჰყვებოდა: თუშეხმა ველარ შეძლეს ჯოგის მობრუნება: მისი მეთაური რქამაგარი ვერძი მირბოდა გაქანებული სულ იქით და იქით, მასთან ერთად მთელი ფარა. ხევსური შეჩერდა ერთ წამს, სახე ეცვალა: თუშეხმა იძულებული ვახდნენ მოეკლათ მეთაური ვერძი, რჩეული, საყვარელი, რათა შეეჩერებინათ ვაგარსდელი ჯოგი. მოშაირი თვალები აცრემლდებოდა. მე ყურს ვუვადებდი განლინგებული. ხევსურმა ეხლა სხვა შაირი დაიწყო: ერთი მონადირე ჯიხვზე წასულიყო სანადიროდ; შეპყროდა ვეფხს; ერთი სროლა და მოეკლა ნადირი; ხოლო ამ წუთს ნადირს ტორი მოეკრა მონადირისათვის და ორივე ხრამში გადაჩხილიყვნენ. ხევსურმა შეისვენა ცოტა, ხოლო ეს არ იყო ბოლო. მოშაირე ვიანგრძობდა: დედა მონადირისა დასტირის თავის დაღუბულ ვაჟს; ხოლო თანვე ვეფხსაც მიუზღებს სარგოს; დიდი სახელია მონადირისათვის ვეფხთან შეხმისას დაღუბნი. ვერანა არც ამით თავდებოდა შაირი; თვალთა სიზმარში ხედავს დედა მონადირისა: ვეფხის დედაც დასტირის თავის შვილს. ხევსური დაღუმდა. შერხეული ვიდექ; რა სინაზე იყო აქ შაირის ბოლოს, რა ხმეირება გულისა! ნელ კოსმიურ მწუხარებაში ბედითი შეხმა მონადირისა ვეფხთან. მოშაირეს ეტყობოდა შაირით თრობა. კიდეც ბევრი იშაირა მან. გივანტ კლდეთა შუა, სადაც მღელმარება თითქო განუზომელი სიმალლიდან ჩამოშვებულყო, ორფეოსის ხმას ვისმენდი თითქო, ჰარმონიით ამღვავებულს ელემენტებისა.

მგელიკას თავისკენ მიყვავდით. ვუახლოვდებოდით ციხისებურ გამართულ საბინადროს. სახლი სახლზე იყო კლდის ფენზე გასწვრივ მიშენებული, ორსართულიანი-ისე, რომ ქვედა სართულის სახურავი აივანად იშლებოდა ზედასათვის. სახურავები ქვიშანარევი თიხით იყვნენ გადაგულსილი. ზედა სართული უმეტესად ხისაგან იყო ნაშენი, ქვედა კი თირქვიანანი, კერის მავიერ თიხით და კელათით შეგობილი.

პირველად ძაღლები შემოგვეგებენ წინ, დიდი თეთრი ნაგავები: ცხვირმოკლე, პირფართო, წამოცქვეტილი ყურებით. მოგვიახლოვდნენ თუ არა, იწყეს ავი ღრენა, კბილები ღრქენით. მგელიკამ ანიშნა თვალთა, რაღაც ჩაუჩურჩულა-ძაღლები დამშვიდნენ მყისვე.

უკვე დამდებოდა. მგელიკამ მიგიიწყია თავის სახლში. შევედით ქვედა სართულში, დავსხედით. სკამად მუხის სამტრტა ნაშროი იყო. სივრცე ფართო იყო, მაგრამ ბნელი. სინათლე მხოლოდ ერთი სარკმლიდან შემოდიოდა, რომელსაც ხარის ბუშტი ჰქონდა გადაკრული. სხვენი იყო მაღალი და სქელი კვარტლით მოცული. ერთ კედელთან კერა იყო ქვებისაგან გამართული; იწვოდა ნაკელი, რომელიც მკვებ სუნს გამოსცემდა. კერის თავზე ჯაჭვით დაკიდული ქვაბი. კედლებთან მილაგებით ტომრები ფეკილითა და ხორბლით, ყუთები, ქურქულეულობა და ტანსაცმელი. ერთ კედელზე ეკიდა: ნაირნაირი ხრმალი, ხან-ხანო, ფარი, სამაჯური, ჯავშანი. სხვენის ქვემო გამართული იყო აქა-იქ ლატანი: იქ ეკიდა ნატუნატებ ცხვარის ძვალი ძაფზე აცმული. მათი რიცხვით აღინიშნებოდა დაკლული პირტყვი. კერის გვერდით იყო გამართული დაბლანდული ზღვარკედელი, რომლის იქით ოთხფენი იმყოფებოდნენ. სქელი ფარდით ერთი სივრცე იყო აგრეთვე გამიჯნული ქალეზის საძინებლად.

სტუმრები ვერ გვრძნობდით თავს მაინცდამაინც კარგად. მაგრამ მე ვძლიე უხერ-



ხელობა. სახლის მთელ მორთულობაში შევიტყნე ელემენტური კავშირი ადამიანისა და ფიზიკურული ხისა. ერთმა რამე გამაგვირგვა: არსად არ ჩანდა თეთრი ლაქა, არც ტანსაცმელზე, არც ინტერიერშია ჯხე, არც მოწყობილებაზე. გამოუთქმელი სევადა სუფევადა ყველგან.

ვისხვდით ცალკალკა: მე, ჩემი თანამგზავრნი, მგელიკა, მისი მამა და მისი ძმები— ქალები ოდნავ განზე: ისინი იღიმებოდნენ და ხანდახან ხუმრობასაც ბედავდნენ. გაშალეს ტაბლა; მოიტანეს გამხმარი ქერის პური, ცხვრის ლორი და ჯიხვის შაშხი, თანვე არაყიც. მგელიკა იჩოქებოდა ერთს მუხლზე და გვაწვდიდა სტუმრებს არყით საცხე ყანწებს. ერთმა ძმამ მისმა დაიწყო ზღაპრის მოყოლა. შემდეგ შეუდგნენ ძმები სიმღერას: თუ როგორ გამოიყვანეს ხევისურებმა მეფე ერეკლე ერთი ომიდან ხელს აყვანილი—წაგებულ ბრძოლის შემდგომ არ სურდა მას ცოცხალ დაბრუნებულიყო უკან. ვუსმენდი მელოდიას: ეს პირდაპირ ტირილი იყო ნამდვილი. შედარებით ქართველ სხვა ტომებთან ხევისურები ჰგოდებენ უფრო, ვიდრე მღერიან. აქაც, სიმღერაში, იგივე სევადა. ზღვარკელის იქით გაისმოდა რხეული შემუნვა ახალგაზრდა პირუტყვისა.

ვახშმის შემდგომ აგვიყვანა მგელიკამ მეორე სართულზე დასასვენებლად. საძინებლად ჩვენ აივანი ავირჩიეთ. გავწვლეთ ქურქები, ბალიშები. მიგვადიოთ და გადავიხურეთ საგზაო საბნები. მთის ნათელი ღამე იღვა. დაღლილი გავცქეროდი მაღლა ცის უსაზღვროებას. ჩემს თანამგზავრებს წამსვე მიეძინათ. მე კი მზერას ვერ ვაცილებდი თვალწუვდენ კამარას. ნატვრით ფეჭდა ჩემი გული. საკვირველი: ვგზნებდი თითქო; მონატრული გული მომწყდარიყო ჩემგან. კიდევ უფრო საკვირველი: ვგრძნობდი, თუ როგორ ივსებოდა მითენილი სხეული უტკო, ახლად მოდენილი ძალით. ვოცნებობდი და თანვე ვეშვებოდი ნელ-ნელ მიძიმე ძილში ადამიანს.

მეორე დღეს დავინახე ეზოში: ბავშვები ფარიაობდნენ. გავკვირვებული დავჩრი: მათთვის არ იყო უტკო ხელოვნება მორკინალისა. ხელში ეჭირათ ხისგან გამოჭრილი ხრმლები ოდნავ მოკაული წვერით. მრგვალი მომტრო ფარები მათი ტირიფის ქერქისაგან იყვნენ დაბლანდულნი. ფარიაობისას ბავშვები ხან მარცხნივ და ხან მარჯვნივ ეშვებოდნენ მუხლით, იმისდა-მიხედვით, თუ რომელი იყო მათთვის მდგომარეობის მხრივ უმჯობესი. ხანდახან ორივე მუხლით იჩოქებოდნენ; ეს ხდებოდა მაშინ, როცა ისინი რისხდებოდნენ. წესებს ფარიაობისას სასტიკად იტავდნენ. შევამჩნიე, რომ ახალგაზრდა მორკინალთათვის საფრთხე „Pr im“-ისა უტკო არ იყო.

ბავშვების მავალითმა გამიტაცა და ვთხოვე ერთს მათგანს ხის ხრმლი ეთხოვებინა ჩემთვის. განცვიფრებით შემყურებდნენ ისინი. ხოლო უფრო განცვიფრებულად მთვალეირებდა მგელიკა—ანაზღად მოსული— როცა მან ჩემ ხელში ხრმლი დაინახა. „შეგიძლიან ფარიაობაი?“ შემივითხა იგი. მის შეკითხვაში ცოტადენი დაცივაც იყო შერეული ბარელის მიმართ, რომელიც ხრმლის მომარჯვებაში მთიელს ვერ გაეტოვება. „დიან შემიძლია“, გავეცი პასუხი ღიმილით. „გინდ იფარიაო ჩემთან?“ გამომიწვია მან. „სიამოვნებით“, მივუთხე მე.

მგელიკა სწრაფად გაეშურა სახლისაკენ; რამოდენიმე წუთის შემდეგ გამოიტანა მან ორი ხრმლი. „აირჩიე!“ მომბარათა მან. მე ვიწყე სინჯვა ხრმლებისა და ვავეციდი: მათზე ლათინური წარწერანი დავინახე. ერთზე ეწერა: *A.M.D.* იყო აქ „*Ave mater Dei?*“ მეორეზე: „*Genu a.*“ როგორ გაჩნდნენ ეს ხრმლები ხევისურეთში?

„აირჩიე რაღა!“ შემომძახა მგელიკამ, რომელსაც ვერ გავეო ჩემი განცვიფრება.

მე ავირჩიე ხრმლი, რომელზედაც ამოკვეთილი იყო მგელი. თანვე ჩემი ხსოვნაც მუშაობდა. სერვანტესი აღნიშნავს: ღონ კიხოტს—როცა ბრძანა ლომის გალია გაეღოთ— ხრმლი მგელის ნიშნით არ აღმოჩნდა. მე კი აქ ქვეყანას მოწყვეტილ ხევისურეთში ხელში მეჭირა ასეთი ხრმლი ამ წამს. მგელიკას დარჩა ხრმლი არწივის ნიშნით.

დიდხანს ვფარიაობდით. მგელიკა მარდად მიტევადა მე. მე კი თავს ვიტავდი და ვიტავდი კარგადაც, რაიც მას ახარებდა.

„ოჰო, შენა შეგიძლიან ფარიაობაი“, სთქვა მან და დაუშვა ხრმლი. მე ვდუმდი. იგი შებრუნდა სწრაფად სახლში და თასი გამოიტანა. „კარგ უზნობ შენ შირებს, ფარიაობაი შეგიძლება— გინდ ვახვდ მძაღნავიც ჩემი?“ შემივითხა იგი თავშეკავებული. „სიხარულით“, მივუთხე მე. მგელიკამ აიღო კრძაღვით ერთი ვეცხლის ნაჭერი, ჩამოათალა მას ცოტა და თა-

სში ჩაუშვა ჩანათალი. შემდეგ აავსო თასი ლუდით და შენაცვლებით შევცვით იგი, ~~ჩვენს~~ სამსამაჯერ. ამ წესით დამძობლდით ჩვენ. ამერიიდან ჩვენი ბედი ერთი გზით ~~წარმოიშობა~~

ახლოვდებოდა ხახმატის დღესასწაული. ეს დაეუმაღე მე ჩემს თანამგზავრებს, რადგან არ მსურდა ისინი დასწრებოდნენ მას; არ მსურდა, რადგან ვშიშობდი, რუსი სტუმრების იქ ყოფნა აიძულებდათ ხეგსურებს თავისი რიტუალიდან ბევრი რამ არ ეცნაურებინათ; მე კი არ ვიყავი მათთვის ასე უცხო: ჯერ ერთი ქართული მემარჯველობა და მერე მგელიკას ძმადნადიციც ვიყავი უკვე. ხეგსურები ამის გამო მე როგორც თავისიანს მიმიღებდნენ. ჩემი თანამგზავრნი გაეშურნენ ხახმატის, მგელიკა და მე კი გავემგზავრეთ ხახმატისკენ. გუდანის ახლოს მარცხენი ავუარეთ გვერდი მთის ერთ თხემს, რომელზედაც ამართულია ციხე თამარ დედოფლისა. გავყვით ქვევით ალბური ყვავილებით მოცულ ბორცვებს. ბოლოს მივალწიეთ ხახმატს, მდინარის ორივე ნაპირზე მდებარეს. ერთ ციხაბო კლდიდან კოშკი გადააყურებს ხახმატის მიდამოს. იქვე ახლოს წმინდად მიჩნეულ ეწერაში, საცა აკრძალულია ტრტის მოტეხაც ეკი, სალოცავი - „ხატი“ - არის გამართული. ასეთ ეწერათ არეში მცენარეულთა ზონის მაღლა ხეებიც კი გვევლებიან ხეგსურეთში: საცნაური შეცნეითათვის.

წმინდად მიჩნეულ ხეების ჩრდილოებში გამოჩნდა სადა თირიქისაგან ნაშენი საჯვარე. გალავანში დიდ ლოდებზე ესვენა ჯიხვისა და ირმის რქები. საჯვარის გვერდით იდგა პატარა შენობა, საცა დღესასწაულის უამს დამეს ათევენ ხეგსურები. ცოტა ქვევით - მეორე პატარა შენობა ხალხისათვის. ირგვლივ ქოხები: ერთში ხლიან რიტუალურ ლუდს; მეორეში ინახავენ მას; მესამეში ხორბალია დაგროვილი. სალოცავი დაბალი იყო და ბნელი. გამიკვირდა, რომ „ხატი“ არავითარი ხატი არ იყო ამ სახელის ბარის მნიშვნელობით. სამაგიეროდ მრავლად მოიპოვებოდა იქ კოდი, ხისგან გამოჭრილი, მრგვალი და გრძელი; აგრეთვე: უთვალავი ღოჭები, ქვაბები, კასრები, ორშიმოვები. ერთადერთი რამ წმინდა სალოცავში იყო „დროშა“ - გრძელი, მოვეცხლილი ლატანი, ვეცხლისავე რკინაწვერიანი ხრმალით. დროშას ეხვია ალამი, რომელიც მოჭროლისას ფართოდ ფრიალებდა. ყოველი ეს უბრალო იყო ვით ლოცვა. ეწერი მსუთქავ მყურდობაში იყო ჩასველებული.

ხალხი მოგროვდა უკვე. მლოცველნი ელოდნენ მთავარ ხევისბერს. ბოლოს გამოჩნდა იგიც: ახვანი, მქლე, ძალოვანი. ყველამ მოიხადა ქელი. შუკრებოლთ უმეტეს წილ თავი გადაპარსული ჰქონდათ; არცერთისათვის არ შემომჩნევია სილაქვასავით მლივი თავისქალა. თვითველ მლოცველს მოეუყენა საზოგადო ცხოველი, უმრავლესად ცხვარი; თანვე ღოჭეც ლუდით სავსე. ხევისბერი შეუდგა წირვას. ანთო სანთელი, აილო ღოჭი. მის წინაშე დადგა ერთი მლოცველი. ბერმა იწყო ლოცვა: „დიდება გამიჩენს, დიდება დღევანდელ დღეს, დიდება მზეს და მის თანამყოლთ! მოკცეს მაღალმა - აქ მან სახელი ასხნაა მის წინ მდგომ მოხონენლისა - ბედნიერებაი და კურთხევაი!“ ხევისბერმა თავი მაღლა ამართა და სახვევად მოხუჭული თვალებით მიმართა მან ეხლა უხლავს: „ისმინე ვედრებია მლოცველისა! ანუქე მას გაყი, ამრადვე მისი ნაშიერი და მოსავალი მისი! ეხმარებოდე მას მდინარის გავლისას! შეეწოდე ავადმყოფს მისას! შეგცოდა მან, აპატიე ცოდვით! მოჰფინე მას შენი სამოსელი! ნუ მოაკლებ მას ძაღლას, რათა გარეკოს მან მტრები! გამოექცეს იგი მამულებლსა, მოეშველე მას, რათა ხელთ არ ჩაუვარდეს მდევნელს! აუკრთხებდე ნამუშევარს მის ხელთა და მის ოთხფეხთა! იყავ მოწყალე მისი მარადის!“ დაამთავრა ბერმა ლოცვა, მოსვა ცოტა ლუდი და შემდეგ გადასცა იგი იქვე მდგომ შემწე ბერებს. ეხლა ამათაც მოსვეს ცოტა და დანარჩენი ჩაასხნენ გვერდით მდებარე კასრში. მთავარი ხევისბერი შეუდგა ეხლა კურატის შეწირვას. ბასრი დანთი გადასერა მან ყელი ცხვარისა და სისხლის ნაკადი ხის გობში გადაუშვა. ხელი დაისველა სისხლით და თითებით მოსახა მლოცველის შუბლზე ნიშანი ჯვარისა. მაშველნი ხევისბერნი კურატის სისხლს სალოცავის კედლებს ასხურებდნენ. ხევისბერმა მოსკრა შემდეგ მსხვერპლს თავი და გაუწოდა იგი შემწორებს. ბერებმა გააცილეს მლოცველი და მათაც დალოცეს იგი: „მიიღე მოწყალეობა დღისას!“ ეხლა მეორე მლოცველი წარსდა ხევისბერის წინ, მეორეს მესამე მოჰყვა და ასე შემდგომ. ხევისბერი იდგა სისხლმოვლებული; ხელში გაღვნილი დანა ეჭირა, რომელსაც აგრეთვე სისხლი სდიოდა. ბერი მთვრალი იყო სისხლით. ანთებულ მზერდნენ მისი თვალები. იგი თითქო მზა იყო საკუთარი შვილი მიეტანა მსხვერპლად,



შეშლილ ჰავადა იგი წმინდას, რომელიც უკანასკნელ საიდუმლოს ეხება.

ხალხი დაიყო ჯგუფებად სოფელთა მიხედვით; ქალნი ცალკე, კაცნი ცალკე. გაშალეს რიგრიგად ტაბლები. მოიტანეს: ხორცი, ხინკალი, ლუდი, არაყი. წირვა თანდათან ნაღიში გადავიდა. სვამდნენ ჯიხვის რჭით. ხალხის ხალისობა მზის ჩქერალში იხმოდა. მღეროდნენ საგმირო სიმღერებს. ერთი იწვევდა მეორეს გაშაირებაში. შაირებით შებმაში ყველა გამარჯვებული გამოდიოდა. რიგებმა ფარიკაობაც იწყეს. მორკინაღნი ჩაცმული იყვნენ როგორც მეომარნი. ტანზე ჯავშანი ეცვათ, მკლავებზე სამკლავური, მხარზე ფარი და წელზე ხანჯალი; თავზე ჩაფხუტი ეხურათ. რომლის ქვეჩამოხვეული რკინის წვრილი ძეწკვები მხრებამდე სწვდებოდათ. ფარები აქა-იქ ნაჭდევნი და ჯავშანნი საცმოდ შეეცვითონი მოწმობდნენ, რომ მორკინალთ არაერთი მკაცრი შებრძოლება ხვდებოდათ. ბევრს მათგანს ქროლობის კვალი შერჩენოდა სახეზე; ეს ალბათ „საცერულის“ მოხვედრით. მეომარნი ფარით გამოვლენ, როგორც ვიკინგები. ნადიმი ორგაიმი ვადლიოდა. ახალგაზრდა ხევსურები ქალთა ჯგუფების მიმართ ორჭოფ სიტყვებსა და თქმებს ისრდებდნენ. ქალები ღიმილით უპასუხებდნენ. მონადიმეთა ძალაყრილობა მატულობდა. ეს ძალა საითმე უნდა „გაემვით“— და აი ყმაწვილი გმირები მოახტნენ მუხლმავარ ცხენებს. მარულა გაიმართა. ცხენებთ მოედით მხედართა ზარხოში.

მე ვიჯექი მონადიმეთა შორის. ხოლო შინაგან ვერ გავხდი ზიარი დღესასწაულისა: მათურებელი დავრჩი მხოლოდ. უცხო ატმოსფერო იშლებოდა ჩემს ირგვლივ. ყოველი ხევსური ცოცხლობდა აქ სიცოცხლით მთელისა. პიროვნული თაური, ტომისაგან გამოყოფილი, უბრუნდებოდა თავის ბნელ საშოს. ცალკეულობა ჰქრებოდა, გვარული ღვივოდა. მოდგმის მხარეი სისხლდენით აყვანილნი, მონადიმენი ფიზიური წვეკრები იყვნენ მხოლოდ ერთი უთლილი მთელისა. ცალკეულთა უფვაღვ ქვეფენებში—გონებები ასე— უნდა ხატულიყო ხელოვდ ცოცხალი სახე მთელისა: ტომის, ჩავუვირდი სიტყვას „ხატი“ რა არის ეს, თუ არა შინაგანი ყალიბი ხელუხლებელი მთელისა? სალოცავს „ხატი“ ჰქვია, სადაც ერთი ხატით კი ბარის გავებით არ მოიპოვება. მაშ „ხატი“ სურათი კი არ ყოფილა, არამედ შინა-სახე. ჩემს მიხედვარას სხვა რამეც ამაგრებდა. რიტუალური ლუღის გამოსახვლად წყალი მიელ სოფლის მოეტანა ერთობლივ— ნიშანი მთელის ხუნების. შესაწირავი ცხოველნი სალოცავში კომპობით მოეკრებოდა, მიუხედავად კომლთა სულალობისა— კიდევ უფრო მკვეთრი ხაზი მთელის წარმოსახვისა. ხევსური ეძახის თავისთავს: „ხატისყმა“. ეს სახელდება მხედრია, რადგან ხევსური ტომის ნების ამსრულებელია.

ჩრდილებში ქალები იხდნენ. ისინიც ნადიმობდნენ, მხოლოდ თავშეკაცებით. ზოგი მათგანი იქვე გვერდით მდებარე წმინდად დასახულ ლოდზე შემდგარიყო. ალბათ ისინი უნაყრონი იყვნენ და წმინდა ქვისაგან მოელოდნენ კურნებას. ქალები ჩურჩულობდნენ თავიანთ შორის. დროდადრო ვადმოხედავდნენ ისინი კაცების რიგებს: ამახალისებელი თუ ორაზროვანი მზერით. რაღაც ორმაგი იყო მათ ღიმილში. უნებურ გამახსენდა საიდუმლო ღიმილი ლონარდოს ჯიოკონდასი. ქალთა შორის ერთი ახალგაზრდა იაყრობდა განსაკუთრებით ჩემ ყურადღებას: განიერთეძოიანი და მუხლმალალი. მის სახეს გრემა ზეთისხილის ფერი გადაჰკრავდა; დიდრონი თვალებიდან გამოჰკრთოდა მოლურჯო ციალი შორეთისა. ორჭოფილიმებოდა და არა უბნობდა რას. ჩემს მზირვას მოჰკრა მან თვალი და მყისვე მოიღრუბლა ეშხიანი: მოქუშა ლამაზად შეყრილი გრძელი წარბები. განლიგებული ვმზერდი მას დიდი ბედნიერება ოდეს ხედავ ქალს, რომელიც საკუთარ ბედად გვევლინება; კიდევ უფრო დღია ბედნიერება, ოდეს მის ვამოხევიდან ტყობილობ, რომ მას მოსწონხარ. ვიგრძენი, ამ გოგონას მოვეწონე. ალბათ ჩემმა ურიდმა მზერამ ცოტაოდენ თუ არია ლამაზი: იგი წამოდგა თითქო გამუნებული და ზანტად გაეშურა ქალთა სხვა ჯგუფისაკენ. მისმა კენარმა ტანმა გამომწვევი ღოდინით კიდევ უფრო გამიხელა სურვა. ახალგაზრდამ მოიხსნა თავისკენი: სქელი მოკლედ შეჭრილი თმები მისი ღვიოდნენ მზის ტალღებში ვით მუქმეწი-მელი კაცები რიყეზე. მონატრებული ვმზერდი მას და მის აჩრდილს: თავიდან ფეხებამდე ლივიგებდა იგი. გარდა მომხიბვლელისა, ვგრძნობდი არავის შეუქმნევი ჩემი სურვილამსილი მზერა. ტკბილი იყო ეს და საიდუმლო. უეტრად მხარზე ხელდაარტყმა ვიგზნე. მოვი-

ხელე: მგელია იყო. პირი გაეხსნა ღიმილით, მოუჩანდა თეთრი მაგარი კბილები. ჩამო-
რჩულა ახალისებით: „მოგწონს?“ თავი დაღულუნე დარცხენილმა. ბიძაშვილიაო, ჩემო ჩემო
უმატა მან.

გავიდა რამოდენიმე დღე, ჩემი თანამგზავრნი დაბრუნდნენ. თან მოიტანეს მრავალი
გადაღებული სურათი. ვეშვებოდი თანდათან ხევსურების ყოფიანი. ერთ დღეს მგელია და
მე გავემგზავრეთ ჯიხვებზე სანადიროდ. მზის ჩასვლისას ეშვებთან ჯიხვები მიუვალ
კლდეთა ფენებიდან ალბატურ საძოვრებზე და დილაძედ სძოვენ ნოყიერ ბალახს. ფეხის წვე-
რებზე „სამწვერა“ ავიკარით, რათა გაქირვებისას ხრამის გნდვზე თავი შეგვემაგრებინა.
ბრუდამხვევი იყო ვიწრო ბილიკი ნაპარალზე. მივდიოდით მალა და მალა დაძაბულნი
მთელი სხეულით. საცა გზა წყდებოდა, იქ ხანჯლით ვკვეთდით კლდეზე საბიჯარს, სანამ
ახალ გზას მოენახავდით. ერთი უტყარი ასხლტა საბიჯნი ქვისა და ჩვენ ბეწვზე ვკვი-
ოდით. მგელიასთვის ადვილი სავალი იყო ეს წავარნა, ჩემთვის კი მეტად საძნელო. გულ-
თბილი დაცინვით მიამხნეებდა იგი. ერთ კონცხზე მუქმოლურჯო ფრინველი დავინახეთ თე-
თრლოდებიანი, რომელიც ჯიხვთა მეგობრად ითვლება. მე პირველად ვიხილე ეს უცხო ფრი-
ნველი, რომელსაც ქართველნი შურთხს ეძახიან. ჯიხვი არსად სჩანდა. ბოლოს გამოჩნდა
ერთი ნუკრი, რომელიც ჩვენზე მოდიოდა. მყისვე უხვიეთ მზას და ამოვემალეთ კლდის
ეთის მონახეთქს. მოგვგრა თვალი თუ არა, ჯიხვი ისეთი სიძარბით გამოეშურა, რომ —
დავრჩენილიყავით ბილიკზე — დაგვეტაკებოდა და ხრამში გადავიჩენებოდით. ჩვენ კარგად
ვიანგარიშეთ. ორი გასროლა და ჯიხვი დაეცა. მგელიას ტყვია მოხვდა მას. წამოვიღეთ
დაკოდილი ლამაზი ნადირი. ტყავი მგელიას ეკუთვნოდა, რადგან მისმა გასროლამ აჯობა
ჩემსას. ხორცი კი ორივეს გვერგებოდა, ხოლო რქები სალოცავისთვის უნდა შეგვეწვია.
ყველაფერი ეს — ხევსურთა ნადირობის წესით.

დაგებრუნდით უკან. მგელია ხარობდა უზომოდ: ხუმრობდა, იცინოდა, ჰყვებოდა ამ-
ბებს. ჩემში კი ლამაზი გოგონას სახე იჭრებოდა მძაფრად. გახსენებისას სახის მეტყვე-
ლებაც მეცვლებოდა ალბათ. ნადირის ალლოთი მიმიხვდა მგელია გულნადებს. „მე ვიცი
ვიზებად ფიქრობ“, ღიმილით ჩამაწყუთა მან. „მოხალე?“ შევეკითხე განცვიფრებული.
„მზექალაზე!“ ეს იყო სახელი ნატრელისა. „მართალს არ ვუზნობ?“ მგელია ისევ ილიმე-
ბოდა. მე არა მითქვამდა რა. „ამაღამ გავეცნობი მას“, წამოჩურჩულა მან. „როგორ? ამა-
ღამ?“ ვეკითხებოდი გაკვირვებული. ეხლა მგელია სდუმდა. იგი ილიმებოდა მხოლოდ.

გზაზე გრივადი წამოგვეწია. ერთს გვირახში შევაფარეთ თავი. დიდი დღეგმა წამო-
ვიდა: ფართო მარაოებით ესხმებოდა იგი არეს. მომხიბველი სურათი გადაიშალა ჩვენ
წინ. წვიბის წვეთები რკოს სიმსხონი იყენენ. ველური ატეხილობა ელემენტთა ახმაურდა
ჯადონურ ორკესტრით. მეგონა, თითქო კოსმიური სიმღერა ხმიანდებოდა ირგვლივ. მგე-
ლია სიხარულით იყო აყვანილი. თეთრლილისფერი ზოლებით სერავდნენ ელვანი დღეგმით
შებნულებულ მიდამოს. უეტრად ჩვენს ახლო მეხი დაეცა ფიქვის ხეს. ხეს წამსვე უცხო
ალი მოედო. ვიგზენ მთელი ტანით რაღაც უაღრესად აღმტაცებელი. მგელიას თვალები
ელვარებდნენ. ვხედავდით სიცოცხლეს: ბრმას, უცოდის, პირველსუნთქვიანს, ძლევამოსილს.
ფიქვის ხე უცხელის ალში იყო გახვეული. ჩვენი ფეხებიც ხარობდნენ ალმოკიდებულნი. ძმა-
ნდაფიცნი გადავხვიეთ ერთიმეორეს.

მე მეგონა მგელიამ იხუმრა, ხოლო სადაც ერთს კუთხეში ჩემი თვითცნებისა მწამდა
მისი ნათქვამი, ანუ უკეთ: მსურდა მართალი ყოფილიყო მის მიერ თქმული. ესაზრობდი:
რაც მგელიამ ვადმოძცა, არც ისე საკვირველი უნდა ყოფილიყო. პრიმიტივ ხალხთა შორის
ცნობილია ხომ, რომ სტუმარს ერთი ღამით მშვენიერ ქალწულს მიუყვანენ ხოლმე. შესა-
ძლოა ხევსურეთშიაც ასე იქცევიან, ვფიქრობდი გახარებით.

ღამის გასათვლად, მოშორებით ჩემს თანამგზავრთაგან, მეორე სართულზე ავირჩიე ერ-
თი ალაგი. საწოლი მილაგებული ფიტრები იყო უბრალო. იქ ეწყო ტყავი ცხვართა და ჯიხ-
ვთა, აგრეთვე ჩალა. ჩემი სამგზავრო სახანი არ ამოიტანია. მაგარმა რას არ გაუძღვებ,
ოღეს ტკბილსა და მათობელს მოელი!

მოველოდი მზექალას და მაგონდებოდა სიტყვები ჰეროდოტისა: „ყოველმა ქალმა იმ



ზნარისა, ბაბილონისა, ერთხელ თავის სიცოცხლეში უნდა შესდგას ფეხი აფროდიტეს ტამბურში, რათა აჩუქოს თავისთავი სასიძვოდ უცხო კაცს. საწმინდარის გაღვანა დაყოფილია იქ ნაირნაირი ნაქსოვანაგრებით. უცხონი ვლიან იქ და ირჩევენ თავისთვის ქალს, რომელიც მათ მოეწონებათ. უცხო კაცი ფულს გადაუდგებს არჩეულს და წაიყვანს მას გაღვანად ერთად ღამის გასათევად. ამ დროს მან უნდა სთქვას: „გუხმობ ქალმერთს მელიტას.“ რაც უნდა მცირე იყოს ფული, ქალი უარს ვერ ეტყვის კაცს, რადგან მისი ცემული წმინდაა: ასეთია კანონი. ქალი მიჰყვება მსურველს, არჩევანი არა აქვს მას.“

ჩემი საძინებელი ოდნავადაც არ ჰვავდა აფროდიტეს ტამბურს, მაგრამ ხევსურ გოგონას მოლოდინში მე მართლაც ვიგულვებდი ჩემ თავს „უცხოდა“ ჰეროდოტეს გავებით. ლამაზი არ სჩანდა. დრამად ვუყვირებოდი გადმოცემას ძველი მისისტორიისა. მეძაბობს არ ჰქონდა აქ ადგილი, რადგან თვით მეფის ასულთაც, რომელთაც ცხადია არ დასჭირდებოდათ თავის სხეულის გაყიდვა, უნდა განეგლოთ ეს რიტუალი აუცილებლად. გარდა ამისა, მიცემულ ფულს იღებდა ქალი არა სასყიდელს, არამედ როგორც საჩუქარს ღმერთქალისათვის. შესაძლებელია ადვირახსნელი ავბორცობა იყო აქ. მაშინ აუხსნელი რჩება: თვითონ რად არ ირჩევდნენ ქალები კაცებს. არა აქ სხვა რამ უნდა ყოფილიყო დამატული, ვფიქრობი ვაკვირებულნი. გამახსენდა ახსნა ამ საიდუმლოსი, რომელსაც იძლევა ერთი ჩვენი დროის მწერალი, მცოდნე ძველი მისტერიებისა. იგი ამბობს: ყოველი კაცი თუ გინდ ერთხელ თავის სიცოცხლეში უნდა შეუერთდეს ქალს და ყოველმა ქალმა თუ გინდ ერთხელ თავის სიცოცხლეში უნდა განიზიაროს კაცთან შეერთება – არა იმისთვის, რომ ჰპოვონ. მაშ რისთვის? მისთვის, რომ ერთი წუთით მაინც გამოეყონ რკალდენას დაბადებისა და სიკვდილისა და ამ გზით იგემონ მარადობა თუ უკვდავება. ახსნა – გულისხმიერი, ხოლო არც ისე ნათელი. მოველოდი მზექალას და ვეძებდი სხვა ახსნას. შესაძლოა სხვა მოვლენასთან გვაქვს ჩვენ აქ საქმე, ვფიქრობდი მე. ვინ იცის, ეგებ ბაბილონის ქალები „უცხოს“ ღვთიურ არსად იგულვებდნენ და სთქვას მასთან საკრალურ აქტად. ნდომა უცხოურის, სხვაურის – ეს ხომ მორჩია ადამიანის ბუნებისა. დიახ, თვით ღმერთის არსებისაც კი. ღმერთი არის თვითმქმნელი. ყველ წუთში თვითქმნისა იგი რასაკვირველია „არეგია“, ხოლო თანვე „სხვადა“. ეს სხვა ვინდებდა როგორც „უცხო“, ხანდახან როგორც მოშუღარი თითქმის. აქ მარხია პირველსაიღუმლო. ყოველი არსი ისწრაფვის სხვაურისა ანუ უცხოურისაკენ თვითქვედაში. შეიძლება აქ იმალება – განვავრობიბი ფიქრს – საიდუმლოებაც ეგზოგამიისა. ხევსურეთში, მავალითად, აკრძალულია დაქორწინება ერთსადაიმავე თემში. კიდევ მეტი: იქ ერთსადაიმავე სოფელში დაქორწინება სრუტხვალად ითვლება. უეცრად ჩემს მოფიქრებაში ქართული სიტყვა შემოიჭრა: „უცხო“ და მისგან წარმომდგარი ზედშესრული: „საუცხოვო“. ნიშნავს ხომ „საუცხოვო“ სასურველს, სანატრელს, მშვენიერს. როგორ არ გვამდეს მაშ შეკრა „უცხოთთან“, თუ უკანასკნელი „საუცხოვო“?

გელოდი მზექალას და გოგონები თავს „უცხოდა“ – საშიშარია და თანვე ნეტარიც ამის წარმოთქმა – ღვთიურ არსად. მაგრამ მზექალა არ სჩანდა. იხუმრა მგელიკამ? დრო მიდიოდა. ანაზღუელად შრიალი გაისმა. ვიღო კარი. ნუთუ ისაა, სასურველი? გული ამოხტომას ლამობდა. ვცახცახებდი და ვნატრობდი. ნელი, ძალსრული ნაბიჯით მომიახლოვდა იგი. შეჩერდა. წამოვდექი. ქალაი მომხალმა მშვიდი დაბალი ხმით. პასუხად რაღაც წაივებუტბუტე. გავიდა ორიოდე წუთი. მზექალა ჩამოვიდა ლოგინზე. სღუმდა, ჩემგან რაღაცა ელოდა ალბათ. მე დავიბენი. ბოლოს მიწვა იგი სამოსელგაუხდელი. მეც მივწევი მის გვერდით; თანვე ვანიშნე, ტანსაცმელი გაეხადა. განზე გაიწვია. მეგონა, რცხვენა მოედო. მოვიკრიბე ძალა და ვცადე, მე თვითონ გამეხადა მისთვის საცმელი. იგი ავარდა კუშტად. შეჩერდა, ველარ გავიგე რა. ლამაზი ღვივოდა.

„გინდების ჩემი სწორფერი იყო?“ მომმართა მან ბოლოს. მე არ ვიცოდი, რა უნდა მეტქვა პასუხად. სწორფერი? მნიშვნელობა ამ სახელდებისა ჩემთვის უცნობი იყო. ვიცოდი მხოლოდ, რომ იგი ორი სიტყვისაგან შესდგება: „სწორი“ და „ფერი“. არ შევეკითხე თუ რას ნიშნავდა „სწორფერი“. უნებლიედ მივეუცე: „მსურს“. ქალი გაიხეზვართა ლოგინზე ჩემს გასწვრივ. მე სუნთქვა შევლოდა. ქალი მომხვია მღვივანი და უშუბლი გადამიკონა. მოგხვია ორივე ხელი მის თავს და ჩავეკონე მოწყურებულ მის ხალს ტუჩებს. იგი მგებლებოდა. ხოლო როცა ჩემსკენ მოვიზიდე მისი ათქვირებული ტანი, იგი უფრო კუშტად

შეირხა კვლავ და მომეგება მკაცრად: „უგ არ იქნები! ჩვენ ხომ სწორფერნი ვართ? გონება დაეკარგა. ყველაფერი, მხოლოდ „ის“ არა— როგორ უნდა გამეგო ეს? მისი მხარე“

მე ვებევეოდი მას და ვკოცნიდი, იგი ტანს მეტმანსებდა. რაიმე ჯადოსნობით რომ შესაძლო გახდეს: რომელიმე ქალმეგობარი კლუბპარტის სატრფოვ მიველინოს ჩვენი დროის კაცს, ეროსს მათ შორის სრულიად სხვა სუნთქვა და სუნელი ექნება. გზნების შინაგანი განცდა იქნება სხვანაირი. ხევისურის გოგონა ასეთს სატრფოს მაგონებდა. ხევისურეთში არ იციან დრო: იქ დღესაც ისე ცხოვრობენ როგორც ათასი წლები წინადა. მუქალა იზრდებოდა ჩემს მკვლავებში და ღვიფდებოდა ვითარ უხანო ევა. მკერდის მკერდს ეხებოდა აგზნებულა. ქალი იხვედა ტანით, თუმცა მხურვალე ტუჩებს არ მაიცოლებდა. სახეული მისი კლდე იყო თითქო, შეუტყველი და ასევე შემტყველი. კლდიდან წყარო ნაკადობდა: მისი ბაგე, როდღისაგან კოცნას ვსვამდი მათრობელს, იგიც თვრებოდა ჩემი კოცნით. ხოლო ორივე თავს ვიკავებდით ამ მწველ სიტტბოში: საკრალურ გავლებული ზღვარი არ გადავილახავს. აღიონზე შეუშჩნევიდალ მიმატოვა უმანკო ბაკანტმა.

ვერა გამეგო რა, ხევისურის ასული არ მრგებია ისე, როგორც ბაბილონის ქალი „უტოს“: ჩემი ახსნა საიდუმლოსი ფუქი გამოდგა. ეხლა სხვა მხრით იკვლევდა გზას ჩემი ფიქრი. არ ვუარყოფდი, რომ წინა დამით განცილილი დანაშთია ძველისძველი რიტუალისა, უტოს სტუმარს დამით ქალწულს არ მიპგვირდნენ ხოლმე; ხოლო ეს დანაშთი აქ, ხევისურეთში, გადასხვავებულად მეჩვენა ეხლა. ვინ იცის, შესაძლოა ხევისურებმა ერთ დროს რაინდული წესი განვლეს სიყვარულისა, საცა უქანასკნელი „ტრფილი“ იყო მხოლოდ და არა სიძვა, რომლის გავლენით ძველი, ხორციელი „შეხვედრა“ ქალისა და ვაჟის სიმბოლიურად იქცა. ვსაზრობდი ასე, ამას ერთი რამ ამავაგებდა თითქო. ვაგიფიქრე: შეიძლება მგელიკას ღდა უნდობა ჩემი, შეგძლებდი თუ არა მე როგორც ძმადნაფიქრი რაინდულად დამეცვა ზღვარდებული. ასეთი იყო ეხლა ჩემი ჰიპოტეზი. ხოლო ერთი ფესტი მხარე მასაც ჰქონდა: თუ ეს ასე იყო, მაშინ რად მეტმანსებოდა მუქალა ტანს ვენების ასეთი ატეხილობით? საიდუმლო დარჩა მიუხვედრი. გადავსწყვიტე მგელიკასათვის მეკითხა, მაგრამ მას ამისთვის აღარ ეცალა: ერთი მისი მეგობარი მომუშლარს სასიკვდილოდ დაეჭრა.

ბავშვობაში ხშირად უნდა დამეკლა ხოლმე ქათამი. მარცხენათი ვიჭერდი ფრთებს და ცერით მოვსწვედი თავს: ისე რომ ყელი სჩანდა მხოლოდ. მარჯვენით დანა მეჭირა. ერთი გადასერვა და ქათამი დაკლული იყო. გვრძობდი რაღაც უსიამოვნოს, მაგრამ ხელი მაინც მარჯვედ მოქმედებდა. თავგადაპირილი ტანი ქათმის ცახცახებდა კიდევ რამდენიმე წამს, განზე დადებული, მე კი დანას ვწმენდი სისხლისაგან. ერთხელ კი საოცარი რამ განვიცადე. იმ წუთს, როცა თავმოჭრილი ტანი კიდევ ებრძოდა სიკვდილს და ბრმად ფართქალბოდა, უეცრად მოკვეთილი თავი დავინახე: ნისკარტი მოძრაობდა სუნთქვამილული, ქუთუთოები ხამხამებდნენ სიბრმავეს ზიარებულნი. უცნობმა შიშმა დამიარა ტანში. საშინელება ის იყო—ეს შემდგომ გახდა ნათელი—რომ სიკოცხლე, სხეულში განუყოფელი, სიკვდილს აქ განწვევრებით ებრძოდა: ერთი მხრით თავში, მეორე მხრით ტანში. საშინელი სხეულს რამ იყო კიდევ. თავმოჭრილი ტანი აღარ ხლტოდა, თავს სუნთქვა დალოდა, სიკოცხლის ძალა გამჭრალიყო, ხოლო უქანასკნელი უხილავად თითქო იჭკე სუნთქვავდა. აქ იყო რაღაც იმგვარი, რაიც ძველად „წმინდა შიშადა“ ესახებოდათ მისნებს. მახსოვს: დანა გავავდე მაშინ განზე და გავვარდი შორს გიფივით. ხელებში ცახცახი ამივარდა. იმ დღიდან მიპჭრობს შიში დაღვარული სისხლის წინ, შიში ბნელი, არაადამანური. სისხლში ვხედავ თვითონ სიკოცხლეს: მის არსს, მის საიდუმლოსს. ეს ამბავი მომიავს მხოლოდ ამისათვის, რომ დაახლოვებით მაინც ნათელეყო, თუ რა არის სისხლი ხევისურისთვის. როცა ხევისურებს უტყერ, ნაქდევეებით სახეზე და ტანზე, მუდამ იარალანსმულთ და მზადყოფთ შეტევისათვის, გგონია, სისხლი სწყურით მათ მხოლოდ. მაგრამ ეს ასე არ არის. არავის ეშინია სისხლის დაღვრისა ისე როგორც ხევისურს: არც ერთს ხალხს, არც ერთს ტომს. მკვლელს ხევისურეთში „ლაჩარის“ სახელით სდაღვენ. გმირი მათთვის ის მოკრინალიც კი არაა, ვინც სახიფათოდ დასჭრის მოპირდაპირეს. ჭრილობა კანის გავაწვრდა უნდა იყოს მხოლოდ, თვით გავებულ შემბამაიაც კი — აი უტყუარი ნიშანი ხევისურისათვის



ნამდვილი ვაჟკაცისა.

სოფელს ხმა მოედო: გივი ქისტიაურმა სასიკვდილოდ დასკრა გოგოთურ გივაურთ. უნდა გენახათ ხეესტურები: თითქო თვითონ სიკვდილს გადაეჭროლა მათ სახეებზე, ისე იყო არეულგაბნელებული მათი გამოხედვა. განსაკუთრებით მგელიკა იყო აბორიგლი, რად-გან გოგოთურ მის საყვარელ მეგობრად ითვლებოდა. ვეღარ იცნობდი ამ ხალისიანსა და მაგარ ხეესტურს. თითქო თავისთავი დაჰკარგაო, დარბოდა იგი აქეთიქით, ვერსად ვერ ებოვა ადგილი. ის გარემოება, რომ ამ სამწუხარო ამბავში სიმართლე, თავში მაინც, გოგოთურის მხარეზე არ იყო, კიდევ უფრო ამძაფრებდა მის აშლილობას. ღონიერსა და მარჯვე გოგოთურს გაეხელებინა თურმე სუსტი და მოუქნელი გივი. საოცარი სიმართლი მოგეტაცა მას გივისათვის ხანჯალი, გაეკაწრა იგი მსუბუქად და გადაეცა მისთვის დაინებით მისივე საჭურველი. ცხადია ეს სასირცხვოდ დარჩებოდა გივის. იგი ისე გაბრაზებულყოფი, რომ მოულოდნელად გოგოთურისათვის ხანჯალი მუცელში ჩაეცა.

„გივი ლაჩარ არს“, ბურღულუნება მეგლიკა, „მაგრამ გოგოთურიც ცუდ და უღირს მოქცეულია.“ ხეესტური ყოველთვის მის მხარეს იჭერს, ვის მხარეზეც სიმართლეა. არავითარ კავშირს, არც ნათესაურს, არც მეგობრულს, არც ტომურს, არ ძალუძს გამოიწვიოს მასში პირადი მიკერძოებით გადახრა ვინმესკენ.

მგელკამ წამიყვანა გოგოთურის სახლში. მკურნალი ლიკოკელი დაჭრილს ჰრილობას უხვევდა. გოგოთურს აწუხებდა ტკივი, მაგრამ ცდილობდა არ ეჩვენებინა იგი. ხეესტური-სათვის უბრალო კენესაც კი, ტკივილით აღმოშხდარი, სირცხვილია.

ლიკოკელი იყო 97 წლის მოხუცი, მაგრამ ჯერ კიდევ ჯანითა და ღონით სავსე. ჰრილობის შეხვევისას იგი მუშაობდა როგორც კარგად ნაწვართი ხელოვანი. გაკვირებულნი ვუტყუარდი მას. ჩემს გაოცებას სახლდარი არ ჰქონდა, არც ვავიგე, რომ მისთვის ნაცნობი იყო ყოველი ნაკეცი ტვინისა. საითგან? ქვეყანას მოწყვეტო კუთხეში, სადაც არც გაზეთია, არც რკინიგზა, არც ტრამვაი, ვხედავდი მოხუცს, რომელსაც ჰქონდა ცოდნა ყოველგვარი ჰრილობისა და რომელიც იყო დახელოვნებული მკურნალობაში. საითგან? ვეკითხებოდი ჩემ თავს. ჩემი რწმენა, რომ ხეესტურები დანაშთია რომელიდაც ძველი კულტურისანი ხალხისა, აქ ნათლევ მტკიცდებოდა. სხვა ახსნა შეუძლებელი იყო.

გავესალურე მოხუცს. ბევრი რამ მაძინო მან. ჰრილობის მოსარჩენად ხმარობდა იგი ერთს მალამოს, კვერცხის ცილისა და თაფლისაგან შეზავებულს. თუ ჰრილობის გნდებეს გამშრალი სისხლი დაეწებებო, ამბობდა იგი, მაშინ მათ მარლით მოკლული ნაკელის კიები უნდა დააყარო. ჰრილობა ამ შემთხვევაში ისე იწმინდება თურმე, რომ მკურნალის თვალს არცერთი წვრილმანი მოსარჩენისა არ გამოეპარება. განსაკუთრებით აფასებდა იგი ერთს თხვინის, უცხო ბალახისაგან დამზადილს, რომლის სახელი მან არ იცოდა. მან მომითხრო შემდეგი: გველს დაეკირა მყვარი; ერთი ხეესტური თავს წასწრებოდა ამას; გველს მყვარი უკვდა დაეკბინა, რომელიც ძლივს გამხტარიყო განზე და შემძვრალიყო ბალახში; ხეესტურმა მოჰკრა თურმე თვალთ: თუ როგორ მოსწყვიტა მყვარმა რაღაც ბალახის ფოთო-ლი და ნაკებუნე დაიღო იგი; მაყურებელი ფრიად გაკვირვებულყო; რამოდენიმე ღღის შემდგომ მისულიყო იგი იმავე ალაგს და გაოცებულყო: მყვარი თურმე დახლტოდა ბუჩქთან უკვდა მორჩენილი. ასე გაეგო ხეესტურს კურნების ძალა ამ უსახელო ბალახისა. ლიკოკელი ამ ბალახს ხმარობდა.

ბევრი სხვა რამაც გამაძინო მოხუცმა. მის სიტყვებში ყოველი მკურნალები ელემენტი მითითურ სახეს იღებდა. თვითონ იგიც თითქო მითოსიდან იყო მოვლენილი. განსაკუთრებით ძალას აუთონებდა იგი მოკლულ გველს, წითელსა და თეთრს. განცვიფრებული ვუსმენდი მოხუცს. ვავიგე კიდევ, რომ მას შეეძლო თავის ქალის დოსტაქრობაც გაეწია ვინმეს დაუხმარებლად. მრავალი ავადმყოფი მოერჩინა მას: ხეესტურების გარდა ფშავებიცა და ქისტებიც. ერთი ფშავისათვის მოშუღარს თავი ვაგებო ხანჯლი. ლიკოკელს ძვლები უნდა განეშორებინა და ტვინი განეცალკეებინა. ოპერაცია, მეტად ძნელი, დოსტაქარს კარგად დაესრულებინა: თავგაბობილი გადარჩენილიყო. თვალს ვერ ვაცილებდი ამ ჯალისანს, რომელიც იღდა ჩემ წინ ვითარ ლანდი პრეისტორიული ხანიდან. მას ჰქონდა

ცოდნა, რომელიც საუკუნეებს ვერ წაეშალათ. ლიკოკელი ერთი არ იყო ხეცსურთის მფლობელი ცოდნა, რომელიც თანვე ხელოვნებაცაა, თაობიდან თაობამდე გადართმობს გოგოთურ ვერ იხსნა მინც ლიკოკელმა. შედამებისას დაიწყო სიკვდილთან ბრძოლა. გოგოთური ბოდავდა. „სანთელი!“ დაიძახა მან უეტრად ოდნავ წამოწეულმა. მიშმა მიიტყვა იქ მყოფნი. „გაი ჩვენ!“ გაისმა პასუხად. მოიტანეს სანთელი. მისცეს მომაკვდავს მარცხენა ხელში. აანთეს. „ხრმალი!“ დაიყვირა ეხლა მომაკვდავმა უფრო საზარლად.

„გაი ჩვენს თავს!“ აღმოხდა დედას. მოიტანეს ხრმალი. გადასცეს გოგოთურს მარჯვენა ხელში. „მოიტალი!“ დაიყვირა კვლავ სუნთქვამილულმა. „გაი ჩვენ! გაი ჩვენ!“ გაისმა ყრულ ირგვლივ. მოიტანეს მარილი. ჩაუვანარა ხახაში მომაკვდავს.

„მოჰკალთ იგი!“ დაიბღვავა მან არააღამიანური ძალით. „მოგვკალათ!“ დაუდასტურეს მას იმგვარივე ძალით.

სანთელი დაიწვა. ხრმალი დაეშვა დაბლა. დამწუხრებელი იდგნენ უძრავად გოგოთურის ძმები. არცერთს მათგანს ცრემლი არ უჩანდა. გოგოთურმა დალია სული. დედა წამოსტკმეინვარე, მონახა ნათი და ასანთი და გაექანა მკვლელის სახლისაკენ, რათა უანსტკნელისათვის ეცეხლი წაეკიდა. ძლივს შეაჩერეს იგი. დიდდედა გარდაცვლილისა, ასწლოვანი უკბილო მოხუცი, ბუტბუტებდა თავისთვის რალაც წყევისა და კრულვისა გვარს. ძმებმა აისხეს საჭურველნი და გაეშურნენ განრისხებულნი შურისისაგებლად. მთელი სოფელი აშლილი იყო. მკვლელი გაქცეული უნდა ყოფილიყო უკვე. ეხლა მართლაც დავინახე სისხლი: საშიშარი, საიდუმლო, რომელიც ჰკიოდა სამაგიეროს ზღვევისათვის, მოითხოვდა მას. გოგოთურის ძმები განპიროვნებანი იყვნენ ამ კივილისა. სიკვდილის აჩრდილი აწვა მთელ სოფელს. ნათლად გავიგე უბედურება სისხლის დაღვრისა.

დავბრუნდით უკან, ჩემი ძმადნაფიცი და მე. მგელიცა სრულიად მოშლილი იყო. მუხისა და ხალისისათვის შექმნილი, იგი ეხლა ურგველს ჰგავდა ბნელეთიდან გამოსულს. მივდიოდით დაღვრემილნი. მგელიცა სდუმდა, მეც ვსდუმდი. ცხადი იყო, რომ მისი ფიქრი მხოლოდ გოგოთურის ირგვლივ ტრიალებდა.

„ფრთხილად უნდა იყო სისხლთანა“, წარმოსთქვა მან ბოლოს. ეს უბრალო თქმა ჩაეშვა ჩემ სულში როგორც თესლი მარცვლი. სიმართლე იყო მასში აღბეჭდილი, ვითარ ციდან ჩამოვარდნილ ქვაში. „ვიწინეს მოკლეა უბედურ არს“, წაიჩურჩულა მან და დაუმატა: „მკვლელისათვისაც, ყველასათვის.“ მე არა მიმიმატნია რა ამ სიტყვებისათვის, ჩემმა ძმადნაფიცმა უკვე გამოსთქვა რისი თქმაც მსურდა.

ბევრი რამ გავიგე მისგან, თუ როგორ გამოისყიდვის ხეცსურეთში დაშავება თუ დაუინებება სხეულისა. თვალის დაზიანება მოითხოვს ოცდაათ ძროხას, ფეხის ოცდამოთხს, ცერის ხუთს, ნეკის ერთს. თუ სახეში მოხვედრილ დარტყმას ცხვები არ დაუშავებია, მაშინ ამრიგად ზომივენ სანაზღვროს: ჭრილობის გასწვრივ ხორბალს გააწყოებენ; დასთვლიან მარცვლებს; გამოაკლებენ პირველსა და ბოლო მარცვალს; რაც დარჩება, იმდენი ძროხა უნდა გადაიხადოს დამნაშავემ. ძროხა ხეცსურთათვის საზომია დაფასებისა. მიკვირის მხოლოდ, რად არა იგი აქ წმინდა ცხოველი იმგვარადვე, როგორც ინდოეთში. მიამბობდა ყოველივე ამას მგელიცა მარტივად, მნიშვნელობის მალრმავებელი ტონით. განცვიფრებულნი ვფიქრობდი: თუ ამდენი საფასური უნდა გადაიხადოს დამზიანებელმა ან დამშავებელმა, მაშინ რამდენი უნდა გაიღოს მკვლელმა! მგელიცამ გადამიშალა მთელი კოდექსი დაუწერელი, მკვლელობის შესახებ. გულდასმით ვუსმენდი ყველ სიტყვას ძმადნაფიცისა. სისხლით შურისგება ხეცსურეთში მკვლელობის ასაცდენ სჯულდებდა მე-სახებოდა.

მკვდარი გარეთ გაიტანეს, რათა სიკვდილის სუნთქვა სახლში არ დარჩენილიყო. ვაკრობეს იგი და განზანეს. ჩააცვეს ახალი საცმელი ტანს და მორთეს საჭურველით. ოთხი დღე ესვენა იგი ასე. ხვეისბერი ლოკებს უეთხავდა. მეზობლები მიდიოდნენ: გამოიქვით ჭირისუფლავა მიმართ სამძიმარი. არც ერთს დიდი მხატვრის სურათზე არ დაიძინახავს ის, რაც აქ ვნახე: დამწუხრებულთა სახეებზე: უსაზღვრო ტკივილი შინაგანი და იმავე დროს საოცარი სიმშვიდე გარეგანი, თითქოს უძრავობა. მათ იცოდნენ სადაც იყე-



ნენ: აქ სიკვდილი სუფევდა. ჭირისუფალნი ქოხში იხსდნენ ძაძამოსილინი; მამაკაცები პირ-
კაუბარსავით, საკინძე-ვახსნილნი; ქუდები თვალებამდე ჩამოეშვებოდა, რათა ცრემლი დაეფე-
ხოთ. მოსულნი მუხლს იყრიდნენ ჭირისუფალთა წინ და ნელი დაბალი ხმით უზიარებდნენ
მათ თანაგრძობას.

ეზოში მომტირალე ქალები მოსთქვამდნენ: „აღსდევ გმირო! ჯარი გელის! ვით დაიძ-
რას იგი უმეთაუროლი!“ „ვაი, ვაი!“ ეხმანებოდნენ მათ მგლოვიარენი ამოძახილის ნელი
განფენით. „რად არ იძლევი პასუხს გმირო?“ განაგრძობდნენ მომტირალნი; „არ გსურს
ვასცე ბრძანება? შენი ცხენი ჭიხვიანებს უთმენი, რად აგვიანებ?“ მძაფრი ურული სერა-
ვდა მგლოვიარეთ. „წამოდევ გმირო, თორე დაქანგდების შენი ფარი, ბლავე იქცევის შენი
ხრმალი! გვასმინე კიდევ შენი ხმაი, მტერის შემადრწუნებელი! წამოდევ და ნაცრად აქ-
ციე სახელი მისი!“ „ვაი, აღარ გვისმენს ჩვენ იგი, აღარ გვისმენს!“ გაისმა ეხლა მომტი-
რალთა გულდიდან. „ვაი, ვაი!“ აღმოხდა სიღრმიდან ყველას. გლოვა დასრულდა სულის ხსე-
ნების რიტუალით.

საქურველი არათვის ეკვდარს. წაასვენეს გარდაცვალებული სასაფლაოსაკენ. გადასცეს
მიწას დედას. საფლავზე პრტყელი ლოდი დაადგეს. შემდეგ მარულა გამართეს.

დასაფლავებას მუხქალიც დაეჭრა. მომკრა თუ არა თვალი, შვირბა იგი ოდნავ და
თავი დახარა. შემდეგ შეპარვით მიეჭრა. სისრული ვიგზენ, ვუყვარდი მას. მგელიცა
მოშორებთ იდგა, სხეები კი ვერ ამჩნევდნენ ჩვენს უსიტყვო საუბარს. ტკბილი იყო ეს
მღუმარე შეხვედრა. გვებუღობდით ერთი-მეორის გულნადებს. მუერა მუერას-ხედებოდა
როგორც ვულის ნატრვა თვითონ. ხევსურეთის იშტარი ქალურ ჯადოს მასხურებდა. მეც
ეგზნებდი ვენების აღვივებას. საცნაური იყო ეს ერთიმეორისადმი მიზიდვა – სწორად სი-
კვდილის უძირო სიბნელის აღქმევისას. ჩემს ხსოვნაში შემოიჭრნენ ავხორცილების სცენები,
რომელთაც ძველთაძველ დროში უმთავრესად დასაფლავების დროს ჰქონდათ ადგილი. ეგებ
სწადის სიციცხლეს სიკვდილის ჟამსაც ამტკიცოს და აღვივოს თვისი ძალა: ვფიქრობდი
სა. შესაძლოა მარულას გამართვაც ამის ცხადება იყო. მავარი რეჩხი ჩემი გულისა და-
სტურს იძლეოდა. ჰოო, მხილველი ძალავ სისხლისა! ვიცოდი უკვე: დღეს ღამით სატრფო
მოვიდოდა ჩემთან.

მოვიდა იგი, ავხორცი და უმანკო. ჩენი ალერსი წამებდა იქცა. „რატომ არ უნდა
მოდეს ჩვენს შორის ის რაც ხდება ვაჟსა და ქალს შორის?“ ვკითხე მას ჩემს გვერ-
დით გათხმულს. „მე ხომ შენი სწორფერი ვარ და შენ ჩემი!“ მიპასუხა მან. „ეს ხომ
წამებაა!“ შევძახე მე. „წამებაა?“ მომიბრუნა სიტყვა; „ტკბილ ხომ არს!“ ტკბილი იყო
„ეს“ უთუოდ, მაგრამ ასე მტანჯავი. რომელმა ვაჟმა შესძლოს ამ ცეცხლის ატანა?
ტკბილად ველოვებოდით ურთიერთს. იგი გამომიტყდა: მას თვითონ ეთხოვა თურემ
მგელიკასათვის, მოეწყო ჩენი შეხვედრა. „მაშ მოგეწყონე? შევეკითხე ღიმილით. „ჰო,
ძალიანა!“ მომიგო მან გულახდილად. ბევრი რამ მაცნო მუხქალამ სწორფერობის შესახებ.
„ხანდახან ძალა აღარ ჰყოფნით სწორფერთ“, მითხრა მან, ხოლო ეს სირცხვილს ვას,
აუტია. „არომ დაქორწინდნენ?“ „არ იქნების დაქორწინება, აკრალულ არს.“ „მაშ მე
არ შემიძლია შეგირთ?“ „არა!“ „ეს ხომ წამებაა!“ „ტკბილ ხომამა!“ ამჯერად
ადრე მიმატოვა ღამეზმა.

მეორე დღეს მე და მგელიცა სოფლის გარეთ ვსვირნობდით. შევეამჩნიე ერთი შენობა
თირით ნაშენი და თირითვე დახურული. ერთადერთი სარკმელი მისი კარი იყო. „რა არის
ეს შენობა?“ ვკითხე მგელიკას. „სამრელო! აქ თავს აფარებენ ქალები, როცა ჰშობენ ან
და როცა თვითონ აქვთ.“ ვუსმენდი ძმადნადიც მონდომებული: მეპოვნა მის ნათქვამში
რადაც, რაიც სწორფერობის ასახსნელად გამომადგებოდა. მგელიკამ ვადმოძოვა: როცა
მოახლოვდება ჟამი მშობიარობისა, ქალს სახლიდან გაიყვანენ სამშობიაროდ გამართულ
კარავში; იქ შობს იგი დაუხმარებლად ბებია ქალისა; თვითონ ვადლაკენეტს იგი ჭიბს
საგებობით; სამი დღე დაჰყოფს კარავში, შემდეგ ვადაის სამრელოში; კარავს დასწავენენ;
სამრელოში ქალი უნდა დარჩეს ერთი თვე; ცივი წყალით უნდა განბანოს მან ბავშვი,

მაშინაც კი, როცა ცივი ზამთარი დგას; ხევისბერი დაჰკლავს ცხვარს — არა თხას, ეს უშმაკეულია — სისხლით ავსებს ხის თასს და მორწყავს სახლს, შესავალს და კედლებს. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია ქალს დაბრუნდეს სახლში.

შორიდან ხმაური გაისმა: ალბად ჩხუბობდნენ. მგელიცა გაეჩანა იქითკენ. გადავდგი რადენიმე ნაბიჯი და თან წავადექე ერთს ნაკადულს, რომელიც გარდევულ კლდის მკერდიან სჩქედდა. იქვე ჩრდილში იჯდა მოსვენებით ერთი მოხუცი; მგელიცა ნათესავი. მივესალმე, მომესალმა. მოხუცმა ამოიღო ჩიბუხი, გატენა თუთუნით; მეცმდე დააღო ტალს აბედი, ვაჰკრა კვეცი: ნაპერწკალმოდებული აბედი დაურთო თუთუნს; მოსწია ნებეირ ჩიბუხი. მკნარი და დანაიჭებული ხელები აცნაურებდნენ სინაზხესა და სიბილეს. ნელი და ლბილი იყო მოხუცის ხმა, თანაც ნაღვლიანი, დაღონებული. გავესაუბრე მას სხვადასხვა საგნებზე, გულდასმით მისმენდა იგი. ყოველი შენიშვნა მისი მაკვირვებდა სისწორითა და ხელოვნით. კარგა ხანს ვმუსაიდობდი მასთან. შემდეგ გავემართე ერთად მახლობელ ბორცვისაკენ. უეცრად ორი მოხუცი შევნიშნეთ: კაცი და ქალი, რომელნიც ერთიმეორის ეკვროდნენ დამსხდარნი. მიუახლოვდით, საალერსო სიტყვები მოგვესმა. გამეცინა. შეგვაძინიეს თუ არა, წამსვე დასცილდნენ ოდნავ ერთიმეორეს, დარცხვენით გაწითლება მათ უკვე აღარ შეეძლოთ. გავშორდით მათ. გრუბრით უცნაური წყვილის მოგვესმა კიდევ. „სწორფრები ელოლოებენ ერთიმეორეს“, წაიფურჩუნა დიმილთ ჩემმა თანამგზავრმა. „რაა?“ წამოვიძახე განცვიფრებულმა. მოხუცები იგონებენ ყვარობის გადასულ დღეებსო, ამიხსნა მოხუცმა; კაცი ცოლშვილიანი და ქალი ქმარშვილიანიო.

„ერთია სწორფერი გიყვარდეს და სხვაა ცოლი გყავდეს“, დაუმატა მან, როცა შემატუ ვაკვირვება. ეხლა გავიგე საბოლოოდ, რომ ხევსურისათვის სქესი და სიყვარული სხვადასხვა რამაა. ჩემი თანამგზავრი სიტყვაძვირი იყო. ვსდუმდი და ვუცდილი: მსურდა კიდევ რამ გამეგო მისგან. ბოლოს როგორც იყო ჩამოაწვეთა მან ორიოდ სიტყვა:

„ღვთიურ არს სიყარულ; ხორციელ ივემებ—მოჰკლავ მას; იწვოდ მხოლოდ!“ დააბოლოვა მან საიდუმლოდ. მეტი არა უთქვამს რა.

გამოვეთხოვე ბრძენ ხევსურს და გავეშურე სახლისაკენ. კიდევ ერთხელ ვმზერდი მდუმარე მთებს და ვტკბებოდი კოსმიური მყუდროებით. მატერიული სულეირში გადასულად მეგონებოდა. სიმძიმეს აღარ ვგრძნობდი. თქმა მოხუცისა „იწვოდ მხოლოდ“ ფიქრებს არ შორდებოდა. ანაზღად სიტყვა მომავონდა მითითური დიოტიმასი პლატონის „ნადმიდან“. „სიყვარული შობაა მშვენიერებაში, როგორც სულით ისე სხეულით.“ ეს თქმა ჩემთვის საცნაური იყო ყოველთვის და საოცარი. პლატონურ სიყვარულს საუკუნოებში იგულვებდნენ როგორც არა ხორციელს. მაგრამ რად არის დიოტიმას თქმაში ჩაწვეთებული: „როგორც სულით ისე სხეულით?“ პლატონის აზრით სხეულსაც ჰქონია მამ წილი სიყვარულში! მას არც შეეძლო სხვაგვარად ეაზრა: არახორციელი ეროსი მქვია და ბერწი. ვერთვოდი ფიქრებს და საიდუმლოს ეუახლოვდებოდი. სრულყოფილ სამყაროში—პლატონი როგორც „იღვით“ გამჰკრები ჭრფისა, საგულვებელია, აქაც სრულყოფას გულისხმობს—სიყვარული მართლაც შობა უნდა იყოს მშვენიერებაში როგორც სულით ისე სხეულით. უსრულობაში კი „სრულად“ ვერ განამდივდებდა იგი: სხეული აქ მოდგმის ანუ სქესის მეშვეა მხოლოდ—ვერ შობს წარუყვალს ანუ „მშვენიერს“. შიში სხეულის წინ სიყვარულში აქ უნდა იყოს დამალული. გრძობენ ხომ მტრფიდალენი უძირო სევედას მეთვთის უტკბილეს შვებაშიაც კი! თითქო ქვეშევნეულ იციან წინასწარ, რომ სიყვარულს ვერ განახორციელებენ სრულად.

მივიღოდი ფიქრებში გართული. „იწვოდ მხოლოდ“—განა ეს ცხადება არაა პლატონურ გავებული სიყვარულისა? ალბათ ხევსურთა ტომი უძველეს დროში ორდენი იყო ერთგვარი, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული ასეთი გზნება და მტკიცება სიყვარულისა. ხევსურების ზიზღი მშობიარეს მიმართ ეხლა გასაგები ვახნა ჩემთვის: იგი მათთვის მატერიულია არა „შობისა მშვენიერებაში“, არამედ უსრულო შობისა, რომელშიაც მორჩი წარმავალი-სა იმთავითვეა შთასახული. „იწვოდ მხოლოდ“ — ესე იგი: იგზნე ღვთიურ-წარუყვალე ცეცხლულ ზღვარზედ. გადალახავ ზღვარს—ფუქად იქცევა გზნება. რაც დიოტიმას სიტყვაში ქარავმა და ნიშნება, მას ხევსურეთში ცოცხალი სხეულობა მიუღია.

ერთი წუთით შეწყდა ფიქრთა დენა. უეცრად ვსცნე: მუქალა ღვივოდა ჩემში, ძალაგ-სილი და მათრობელი.



გზადგაზა თითქმის ყოველ რუხე პატარა წისქვილი იყო გამართული, რომელშიც მხრეობდა ერთი კაცი თუ მოიდგამდა ფეხს. მათ მხოლოდ ერთადერთი სარკმელი ჰქონდათ და მათ ახალგაზრდას შეეძლო აეწვია ხელით, ისე პატარა იყო იგი ყველგან. ერთი ფთო ხორბლის დაფქვას მთელი ღღე მოუნდებოდა. ბუნების სილამაზის და ძლევაშისილებაში ეს წისქვილები სათამაშოებად მოგვჩვენებოდათ. ხევსურის გულსუფრო უფრო გონისა და სტისისკენა მიტეული ვიდრე მატერიალურისკენ. კიდევ ერთხელ გადაცხედე ამ ნამღვრა წისქვილებს. უზარმაზარ კლდეთა შორის თვითიული მათგანი სჩანდა როგორც უსაზღვროებიდან მარტივლად ჩამოშვებული სვედა. ხევსური ცეცხლია და კაეშანი.

გზაზე შევხვდი ჩემ თანამგზავთ, რომელნიც მეზობელ სოფლიდან ბრუნდებოდნენ. მგელიკაც მათთან იყო: ალბათ მათ წააწყდა თავს, როცა მე დამცილდა. ჩემი თანამგზავნი მგელიკას მუნჯურის ენით რაღაცას უხსნიდნენ. მგელიკას ეტყობოდა ყველაფერს ვებულობდა. მოსახვევში გამოჩნდნენ ქალები, რომელთაც მხრებით სუნწელოვანი თივა მიჰქონდათ. მზექალაც მათში იერია. ტბილიმა ტალღამ გამიარა ტანში. ქალები შეჩერდნენ ერთი ხის ძირას დასასვენებლად. ტვირთი მოიხსნეს. მზექალა იღვა დიდ ჩრდილში, ახონანი და ათქვირბული. ტურები მოკლემა მაგარად, ნესტოებით ველურ სუნწელთ ისუნთქავდა. ქუთუთოები მოკუტუბა ოდნავ, გრძელ წამწამებიდან სხივიფინებოდა მისი გვერდული მხრია. მალვით მიჭვრეტდა იგი შინაგან ახალისებული. ხანდახან ღიმილი გადაჰკარავდა მას, მხოლოდ ჩემთვის ცნობილი. კლდეთა ლანდშაფტი ერთ დიდ ღიმილად შემულბოდა.

უეტრად ერთმა ჩემმა თანამგზავრმა გადამომცა ხვალ ვაპირებთ უკან დაბრუნებასო. ელა მეთა, მჭრელი და მწველი. თითქო რაღაც გაწყდა ჩემში. მგელიკას ეუცხოვა ჩემი გაფიქრება. „რა მოგივიდის?“ მკითხა მან არეულმა. „ხვალ უნდა დაგტოვოთ ხევსურეთი“, მიუფე დაღვრემით. ვუტკერდით ერთიმეორეს: მე და იგი; ვერ გაგვეყო ეს ამბავი: ვერც მე, ვერც მას. მგელიკამ მზექალას გადახვდა, ეხლა—არა ღიმილით. მეც გავიხვდი უნებურ სიკენ. იგი იღვა უძრავად, შეკვრივული. სჩანდა მოესმა მას, რა ვუთხარ მგელიკას.

ღღვა გარინდებული: უსაზღვრო, ბინდით მოცულ უცნობი წინაშე. დაგბრუნდით შინ. ღამე ჩამოეშვა. ველოდი მზექალას. ვფიქრობდი: მოვიდოდა იგი უთუოდ, მოვიდოდა უკანასკნელად; მხოლოდ თანვე არ ვუჯერებდი ჩემ წინაგრძობას: იმ წამიდან, რაც დაბრუნების ამბავი მომესმა, ჩემი ალღო მოიშალა სრულიად. ამორგებული გვედ ლოგინზე, ხან ერთ გვერდზე ვბრუნდებოდი ხან მეორეზე, ძილი არ მეკარებოდა. არ სჩანდა მზექალა, აქამდე არ მიფიქრია გაბრუნებაზე, არ ვიცი რად. ეხლა იგი იღვა ჩემს წინაშე როგორც ბედისწერა, სასტიკი და არ დამთმობი. მიყვარდა მზექალა? უღრმესად. ხოლო ეს სიყვარული რაღაც სხვაგვარი იყო. მომავონდა არაბული თქმა: თუ ცეცხლს შეშა არ მიეცა, თავის თავს შესკამსო. ჩემი ვნება, ცეცხლელ ზღვართან შეჩერებული, ამგვარ ცეცხლს ჰპავდა უსაზღვროს. ფსევებით გვზნები მზექალას, ვგზნები წვეთადღე, ხოლო იმავე დროს უსაზღვროებაში მეკარგებოდა იგი: ახლო იყო და შორსაც. ჩემი სიყვარული თავის თავის მწველი იყო. როგორ მიმეცა საზღვრო ამ ცეცხლისათვის? ამისათვის საჭირო იყო ხევსურად ქცევა. შემეძლო ეს? ვგორავდი, თითქო ვიღაცას ვებრძოდი. ეს ვიღაც მე თვითონ ვიყავ. ძილი არ მოვიდა. არც მზექალა მოსულა.

ეს წუთნი მარადისობის ნაწყვეტებად დარჩებიან ჩემში. ვნატრობდი, ერთხელ კიდევ ვენახე მზექალას. მგელიკა სინაზე იყო მთლად, მარტო სინაზე. მეკითხებოდა ყოველწუთს: ვინახულებ თუ არა კიდევ ხევსურეთს, მოვიგონებ თუ არა ჩემს ძმადნაფიცს, ვიფიქრებ თუ არა მზექალაზე. ვაიმედებდი მას მწუხარე: კვლავ ვინახულებ ხევსურეთს, არ დავივიწყებ ძმადნაფიცს, სწორფერი გულში დამრჩება სამოდამოდ. მგელიკამ დაჰკარგა სიმშვიდე, წუხილი დაღუფდა მის მოძრაობას. ხოლო წუხილიც მისი სინაზე იყო.

გავემგზავრეთ. მზექალა არ გამოჩენილა, განახლებული ვიყავ. გამკუნდა იგი? შესაძლოა იფიქრა მან, რომ მე არ ძალმიძს სწორფერი ვიყო მისი და ვტოვებდე მას! განმძიმდა გული ჩემი. ღონემიხილი ვიყავ. აღარ მქონდა საკუთარი ნება: რაღაც მიმართედა წინ, ბნელი და ურყევი. მგელიკა გვაცილებდა დაღუფებული. უეტრად ბარდიან ლობსთან შირილი გაისმა. სმენად ვიქცე. გავიხვდი იქითკენ მალულად და დავინახე:

ერთს სქელ ბარდს ამოფარებოდა მზექალა და ჭკვერტად ფოთლებიდან. შევანელე ბიჭო, რომ სხველს არ შეემჩნიათ ეს მოულოდნელი პაემანი. თვალი მოგკარ სატროსკო, ლიბრად ცილა შეგვეგრემან თვალებს. მათში იყო ყველაფერი: სიყვარული, განშორება, წუხილი, ყველაფერი ერთად. ჩემი მზერა სვამდა ამ თვალებს წყურვილ დაუნელებელი. ერთი წუთით მარადისობაში ჩაეიძირე. მეჩვენებოდა: თითქო ორივე, მე და ის, ვცოცხლობდით ერთად, ვცოცხლობდით და ვკვდებოდით ერთიმეორის მზერაში. მივდიოდი მთვარულის ნაბიჯით, ხანდახან უკან გავხედავდი ღობეს: მზექალას მზერა მაკავებდა. კიდევ ერთი წამი და მას შევძლო ჩემი გაქვავება. უტერად მგვლივას ძახილი გაისმა. იგი მე მიძახოდა მთვარულქტეულს. ნაბიჯი მოფუჩქარე. ბარდიანი ღობე დარჩა უკან დაუეწყარი. მარადისობა გაიბზარა და გაწყდა. მუხლის სახსრებში ცახცახი იყო ახლა. „მომწყდა ველი“ — ეხლა ვიგრძნე ნამდვილად ეს ქრთული თქმა.

გავცილებით სოფელს. ეხლა ცხენზე შევსხედით. გზა იყო იგივე, მთის ვიწრო ბილიკი. მგელიკა ჩემს გვერდით მოდიოდა. ვგრძნობდი ყოველ ნაბიჯს, რომელიც ხევესურეთს მამორებდა. გადავხედავდი ხოლმე სოფელ კლდის დაფენებებზე არწივის თუ გავაზის ბუდეებისაგით გამართულთ. ვიგონებდი მშვიდ ჩრდილებს წმინდა ეწერებისა, ვიგონებდი ხრმლებს და გულბებს. ვშორდებოდი მედღარ, უტებს ხევესურებს, რომლებიც ბავშვებს შეპარვით ეფერებოდნენ. ერთი მათგანი, ძმადნაფიცი ჩემი, ჩემს გვერდით მოდიოდა. იგიც მეალერსებოდა მალულად სევიდანი მზერით. მწუხარებამ იმატა. ღწონოში ჯურჩამულეები, საცა მზის სხივი ადგვიდავდი თუ წვედებოდა, მკერდს მივიწროვებდნენ. მიზიდავდა დენა თეთრად აქაფებულ მდინარისა დაკლანელი ხევეში — ვერ ვგრძნობდი კი სად ვიყავე. უსაგნოდ მმზერს დიდი ღობე მხვედებოდა ხანდახან თვალში: ზოგი მწვენან ხაცსით მოკიდებულნი, რიგი ვეყანა სირსვილით გადაკრული, სხვა კიდევ წითელყვითური ხალებით აფორაჯებულნი. მესმოდა გაყინულ ღანქერა შუა მომწებულ მთიდან მოხეტოლ ჩქერალთა ხმური. ხმაური თითქოს უსაზღვროებიდან მოდიოდა. მწუხარებაში ვიყავ ჩაძირული.

ფართო ღრე უკან დარჩა. საძოვრებზე სჩანდა ძროხათა რემა და ცხვართა ფარა. შორს ბრწყინავდა ვიგანტი ქედი ერთი მთისა მზეში. იქ სუფევდა მარტობა, იქ იყო სიმტკიცე. გულს მომეშვა ოდნე. ვიგრძნობდი ძალას, რათა ვადამეტანა განშორება. მზექალას ველარ ვხედავდი, ძმადნაფიცის უნდა გამოვთხოვებოდი. წამი: მარადისობისაგან ამოკრილი. გადმოვხლტით ცხენიდან. მგელიკამ მოიხსნა ხრმალი მგელის ნიშნით აღბეჭდილი და გადმოშვა იგი საჩუქრად. გადავხევეთ ერთიმეორეს. ჩემი თანამგზავრნიც მგებრულად გამოვთხოვდი მას. მგელიკა დღევიდა, ბარავდა შინაგან. ვგრძნობდი: თითქო რალაც ქვეყარებული მწყდებოდა და მცილდებოდა სამუდამოდ. აღარ მქონდა ღწონე, მხოლოდ ნაჩუქარი ხრმალი მმატებდა ძალას. განველეთ მდინარე. ვაუღლებით გზას დანაღვლიანებულნი. მივდიოდი თანამგზავრებთან ერთად და მარტო ვიყავ მაინც: ძმადნაფიცი აღარ იყო ჩემს გვერდით. „ვიგარგი!“ გაისმა უტერად მაგარი ხმა. შევჩერდი. ვავიხედე უკან. მგელიკა იდგა მდინარის მეორე ნაბიჯზე. მსურდა მეც ვავხმინებოდი—ძალა აღარ მეყო. მხოლოდ უსიტყვიო მზერა ვაუღმევი მისკენ, სიყვარულით და ურვით სასვე. ვანვარკმეთ გზა. „ვიგარგი!“ გაისმა ხელმეორედ ხმა ძმადნაფიცისა. შევჩერდი კვლავ ვითარ შუაგარდებულნი. მგელიკა ისევ იმ ალაგას იდგა. ვერც ეხლა შევძლო ვავხმინებოდი. მივდიოდი დაღონებულნი. წინ მოსახვევი იყო დაფენებულ კლდის გასწვრივ. „ვიგააარგიი!“ გაისმა მესმეჯერ ძახილი, ეხლა საშინელი დაძახვით, თითქო გამსკდარი. მოვბრუნდი — მაგრამ ჩვენ უკვე მოსახვევს ვიჭვით გაცილებულნი. მგელიკა აღარ სჩანდა. ვავბრუნებულყავ და ერთხელ კიდევ გამეშვა მზერა ძმადნაფიცისაკენ? მაგრამ ეს მიწას მიმაკრავდა, ვიცოდი. ვავყვიდი თანამგზავრებს. კიდევ გაიხმა მგელიკას ძახილი, ერთხელ, ორხელ, ეხლა საშინელი და შემზარავი. შემდგომ — თითქო უკანასკნელი სუნთქვა შეერთო უტურეთს — ჩამოშვა მიძიმე, ღვრემამოცული მღუმარება.

P. S. „ღწენ“ ზმნაში. ამ ფორმის ხმარება ვიწყებო დროს, როცა ვავიგე მისი დადგენა ქართული აკადემიის მიერ. წინას ჩვეულში ჩენი ჟურნალისა მიხედვით წერეთელმა ნათელკყო, რომ ეს ფორმა არაა მართებული. შემდგომი კვლავ „ღწენ“ უნდა ვიხმარო. გ. რ.
(გადმოხედილია „ბედი ქართლისა“ №10 და 11-თგან)



ი მ ა მ შ ა მ ი ლ ი

მზე ეშვება ნელინელ: თითქო დიდი თვალი, მწიფე შინდის ფერი, მეწამულ-დამუქული, მინელეული. ყუღრო არეში გაისმის მხოლოდ ფრუტუნე ცხენთა. ბედაურები, უნაგირ-მოუსნენლი, მწვანე ზავითან მოღზე საძოვრად მიუშვით. ბორცვის განიერ ფერდობზე შამილის ნაიბებს ნაბდები გაუფენითა—ისვენებენ მეომარნი, მხარეთიძოზე ნებივრად გართ-ხმული. აქ არიან: სურახანი კოლევი, ახვერდი-მადომა ხუნძახელი, ჯევად-ხან დარგოვი, ანზორ კარახელი, ხანგარდები გვატკოელი, მიქაილ ხორაკელი, არიან ჩაჩანნიცი: შუიბი, ტალგი, ხატუ, ესაკი და მრავალი სხვანი: რიგი ავარიითგან, რიგი ტავლინითგან თუ ყაბარლითგან. აქვეა თაჩენილი ნაიბიცი: ხაჯი მურად. დაღვრემილი აყოლებენ თვალს ჩამავალ მზეს მეომარნი. არაა ხალისი მღერისათვის— მით უფრო როკვისათვის. ყველანი სღუმან. ღუმლიში ერთი ფიჭვი იხლართება მხოლოდ: ფიჭვი სახსარდამშლელი.

ჩვიდმეტი წელია, ძღვეამოსილი შამილი ივარებს მედგრად შემოსეულ ურდოებს რუსთა. მამკურ იცავენ თავისუფალნი შვილი კაცკასისა მშობელი მიწის ყოველ გოჯს. ხშირად კიდევაც ამარცხებენ რიცხვმრავალ მტერს. დარგოსთან ბრძოლაში სრული განადგურებაც აწვენის მას. ხოლო რუსნი არ დრკებიან მაინც, არ ცხრებიან: რაზმი რაზმს ემატება, მოგროვენ ვითარ ზავნი მოხეთქილი—ეტანებიან შეუვალ მალლობებს, ხანდახან კიდევაც იპყრობენ რომელიმეს, და, შემდგომ: ეშვებიან სისხლით დამთვრალი მშვილობიან აულეში, ახრებენ და არბევენ მათ. ჩვიდმეტი წელია, მარჯვედ ხდებდა კაცკასი მტერს. ხოლო როდემის? იჭვი ღრღინს ნაიბებს როგორც მხვრელი მატლი შუაგულს ნამორისა: მჟაფური. ნადელით განაბულნი თვალს ავლებენ მეომარნი ჩამავალ მზეს. ყველანი ფიჭობენ ერთსადამიანებს. ფიჭვი საზარელია: ზავი. ხოლო ვინ გაბედავს: ეს სიტყვა ჩააწვეთოს მეთაურს?

ორი დღის წინად შამილი ეახლენ სწორედ ამის გამო ჯევად-ხან და ხანგარ-დები. მორღებთი წარსდგენ რაინდის წინაშე. შორიდან იწყეს სიტყვათკულ საუბარი, რათა ამ გზით, მიკიბულმიკიბულით თანისთან, შეპარვით სიტყვა ჩამოვდოთ ზავზე. ხან ამას ეხებოდენ, ხან იმას. ხოლო მიადგებოდენ რა სახელდახელო ვნდეს საუბარში— ესა უნდა შევბულიყო სიტყვა „ზავი“ — ვნდე უეტრად უფსკრულის პირად იხსნებოდა და მყისვე იხევდენ უკან შეშინებულნი. ხანდახან გახედავდა ირიბად ხანგარ-დები ჯევად-ხანს: ეგებ მან გაბედოს სათქმელი—ჯევად-ხან გვერდულ ირიდებდა თვალში თვალგაყრას. ორივენი შიშით იყვენ აყვანილნი. მათ იცოდენ: მეთაური არ ავარდებოდა რისხვით ზავის გაგონებისა— ხოლო იმასაც გრძნობდენ: არმხელილი რისხვა, შამილის განლიგებულ უძრობაში შეკაეებული, უარესი იქნებოდა. გამოხურდენ: ზავი არ უხსენებიათ.

დაღუმებულნი ვაჭყურებენ ნაიბები ჩამავალ მზეს. ღუმლიში ერთი ფიჭვი გაბანდული: ზავი. ანაზად თავს უხსნიან ღუმელს ერთი მათგანი: ახვერდი-მადომა. „არ იქნება მიზანმხვედრი, რომ ხაჯი მურად ეახლოს შამილს მოსალაპარაკებლადო“. ერთი მკაცრი მოხედვა სახელგანთქმული მხედარისა განიერ დაყენებული თვალებით — მოხედვა უსიტყვო პასუხია: ვანა არ იციან მეგობრებმა, რომ მისსა და შამილის შუა უნდობლობის იჭვია ვაჭრო-ღლილი? უკუთავდეს არჩევანი. ახლა შუანეთს ასახელებს მეორე— ეს კოლეა სურახანი. ვინ არ იცნობს ამ ქალს, ერთერთ ცოლს შამილისა! ტომით სომეხი, მაგრად ნაკვთიერი, იგი ხშირად ახლავს თან მეომარ ქმარს, თვითონაც მეომარი, ვაჭურად ტანგადცმული. სწორედ ამის გამო, ფიჭობენ ვიეთნი, ეს ატეხილი ამორძალი, გამბედავი და ბედზე მიმდები ყოველისა, იგი ყურსაც არ ათხოვებს რაიმე აზრს დაზავებისა. ბუზა გრძელდება. ბოლოს დედა ახსენეს შამილისა. გულს მოეშვათ ყველას: არჩევანი იფუტეს მისწრებად. გადასწყვიტეს: ხვალვე წასულიყო მასთან სურახანი, ხატუსა და ესაკის თანხლებით.

გათენდა დღია. არჩეულნი გაემგზავრენ შამილის დედის სანახავად. მიუახლოვდენ სახლს. ჯერ გამოიკითხეს: მეთაური შინ იყო თუ არა. არ იყო. ამან გამბედაობა შეჰმატა მისულთ. წარსდგენ დედის წინაშე, გულზე ხელდაკრებით, თაყვანით თვდახრილნი. მოახსენეს განაზრახი ნაიბთა. მოხუცი ქალი, მოღუნებული ხოლო ჯერ კიდევ ძვალმეგარი, შვირს-სა მთელი ტანით. მან, დედა, თვითონაც კარგად იცოდა უმიდლო მღვრმარეობა კაცკასის თემთა— ხოლო კარგადვე იცოდა უტები ხასიათიც შვილისა. დედხანს იდგა გარინდისი,

მძიმე ფიქრებში გადასული. ნაიბები იღვან დაღმებულნი, ლოდინით კიდევ უფრო აღფრთხილებულნი. ბოლოს თანხმობა განაცხადა მოხუცმა: მოლაპარაკებოდა შვილს. მიგზავნილები გამოეთხოვენ მაღლობით. ათი წუთიც არ გასულა, ავარდა მოხუცი უეტერად, გავარდა ეზოში, იხმო მსახურნი, უბრძანა: დასწვოდენ წასულებს—სურდა უკან წაელო მიცემული სიტყვა? გვიანდა იყო: ნაიბები გასკოდენ შორს მიდამოს უკვე. ამასობაში შამილიც გამოჩნდა: შამილიკრა ეზოში ყარაბაღული ბედაურით, შვიდი მურიდის თანხლებით. დადენების აზრი გაუქმდა.

გადმოხტა ცხენიდან სარდალი მარდად. ეცვა ღვინისფერი ჩოხა, საყელოზე და სამაჯურებზე ბეწვეულით მორთული. არც თუ მაღალი, ხოლო ნაკვეთიერებით ტყრივი და ტანოვანებით მაგრად სმული. წელზე ხანჯალი, ფეხებზე მესტები, წვივებზე ტყვის ლეკვერთხები, თავზე თეთრი ჩაღმა, მხრებზე დაშვებული. ნელი ბიჯით მიაშრა სასახლეს. დედაც თან გაჰყვა შორიახლო, ათროლებული. მას უყვარდა შვილი რაინდი: იგი იყო მისი სისხლი და ხორცი. ხოლო შვილში რაღაც უენაურსაც გზნებდა ხოლმე: თითქოს კაცი კი არა ნადირი ეშვას. ჯერ კიდევ უშვი, სიურჩეს იჩენდა იგი დედის მუცელში. ხშირად აგონდებოდა ხოლმე დედას: თუ რა სიავით ახლტა იგი ერთხელ მის საშოში. ტკივილიც იგრძნო ორსულმა, ბასრი, თუცდა ერთი წუთით. შვეიდეს სასახლეში. მისხდნენ. შამილმა მოხდა დედას მიმართული—დედა შეირბა. შერბევაში ის ტკივილი გაახსენდა, არა: იგზნო. ფეხმოკვეთილი გრძნობს ერთი წუთით ტკივილსაც მოკვეთილი ფეხისა—ამგვარი იყო დედის მოგონება იმ ტკივილისა. შამილი სდუმდა. სახე უძრავი, თითქო უწვარი ხისაგან ნაკვეთი, უკვე საკმაოდ დაღარული. თვალზე შავი გველის ფერის, გამხვრელი ხედვით—ისინიც უძრავნი: თითქო ხამხამი არ სჩვეოდენ სრულიად. ბაგე თვინიერ გაყვანილი და თანვე სასტიკ მოკლეული. შესაძლოა, ბაგეს ოდნავი ღიმილი მოედრქვია—თვალებს კი არასოდეს. მათი მხვრეტი ცილი თვით ჯალათსაც შეაკრთობდა. შამილი სდუმდა: პირგამებელი, აღმოვლებული. ქერა წვერი, ეგებ შედებელი, აღივლივებდა თითქო მის შინაგან ალს და თან: ამით ანელებდა მას. ხოლო უენაური: გალინგების ქვე მისი ღნიოში სახისა იმალებოდა მძიმე სევდა, არამიწვირი კაეშანი.

„რა გნებავს?“ მიმართა შვილმა დედას. კითხვამ გამოხსნა მოხუცი აუტანელ დაძაბულობისაგან. ნელი, დათუთქული ხმით გადასცა შვილს ნაიბთა გულნადები. შეჩერდა ათროლებული. შამილმა მოხდა დედას—დედა ატორტმანდა. ავი ცეცხლი აკიადდა შვილის თვალებში ერთი წუთით. დედა შიშმა აიყვანა. შვილი აღარ იყო მისი შვილი. იგი უტხო იყო, სხვა, სულ სხვა. „ვიინ იყვენ მოგზავნილნი?“ გაისმა კვლავ ხმა შამილისა: ეტყობოდა, ბოლომას იკავებდა. „სურახაი, ხატო, ესაკი“, მიუგო დედამ. „ხაჯი მურად?“ „არა“. ჩამოწვდა ღუმილი. „დამტოვე მარტო!“ დედა მოცილდა.

შამილი დაფიქრდა. ხაჯი მურადს თუ მოუვიდა აზრად ეს უხამსი რამ?! ბრუ მოხეხია თავადებულ მხედარს? სახელი მურადისა შორს იყო გავარდნილი. აქა-იქ ხმაც გაისმოდა: როგორც მეომარი იგი თვით შამილსაც გაეტოლება და ცხენისრიბაში ხომ ვერცა ვინ შეედრებო. ეგებ შამილის შენაცვლებაც აქვს ექვრად როგორც იმამისა—ამას შიშნარტვი ჩურჩულით აწვეთებდენ. ხმა შამილის ყურსაც წვდებოდა. აღავმოს ეს თავგასული ნაიბი?! ხოლო რა ღაგამი გაუძლებს ხაჯი მურადს?! შამილი კვიატ ფიქრებში იბნეოდა. სხვებს რადა დემართათ, სხვებს: მკლავითა და ხრმალით ერთგულ ნაიბებს?! ისინიც უწამოდენ სასირცხო გეგმას? დამძიმდა ფიქრი მეომარისა. ეგებ მართლაც აღარ შესწევთ ძალა თემთ, აღარ ყოფნით ენის: ნაცადი სიმარჯით გაუმტოვადენ ვარსმოხვეულ მტრებს?! გაცუდა ბუნება სარდლისა. გაიფიქრა: ესღა მოხეზო უმაღლესი საბჭო—ხოლო უკუთავდო ფიქრი წამსვე. იხმო მსახურნი. უბრძანა შეეკაზმათ ალისფერი ბედაური. მოუყვანეს. მოველო უნავის ვითარ განხლებული ავახა. დაუტავა მარჯვედ ცხენს სადაგე და გაქვანა. მარტო გაეშურა: ერთი მურიდიც არ უახლია თან.

მინავარდობდა მხედარი ველოდან ველზე. სიმშვიდე სულისა თანდათან აკლდებოდა, უსვენარობა ძარღვებში უფლიდა. „ხავი“—ეს ხომ დალი იქნება სირცხვილისა! არა და არა! უძლეველნი ნაშვირნი უძლეველ ავართა, რომელთაც ერთხელ თვით შაჰ-ნადირიც უკუაქციეს ძარღვშიწინებულნი—ეს ქედმაღალი და მრევი ხალხი რუსეთის მეფეს დაემორჩილოს?! არასოდეს! სიტყვა ტვინში იწვოდა—ხოლო დაქვება არ ცხრებოდა. მიაგვლებდა



მხედარი ბედაურს. უცერად ერთი განცდა მოაგონდა. მაშინ ჯერ კიდევ ყმაწვილი იყრიდა იბრძოდა ყაზი-მულასთან ერთად შუაგულ გარსმობვეული მტრისა: ალყაშემორტყმულ კოშკიდან შემოტევას იგერებდა. გამოელია სასაროლი. დანებდეს მტერს? არა და არა! გადმობტა კოშკიდან, ეძვარა მტერს, გაარღვია რკალი, ხიშიტი მკერდში შერჩა შეტეხილი, გავარდა, ამოფარდა ძეძვინა ბუჩქნარს, ამოიძრო სისხლიანი რკინა, გადააგდო, მიიშალა, მიინაბა, და აი ასე, ორი დღელამის განმავლობაში, ებრძოდა ტკივილს, ძაბავდა ძალას, სძლია ჭრილობა. აი რა მოაგონდა, და საკვირველი: ჭრილობა, უკვე დიდი ხნის მორჩენილი, ამ წამს თითქოს ცვლავ გაეხსნა მორჩინალს. შამილმა იგრძნო „ის“ ტკივილი. ეხლა კი დაჭრილივენი გავარდა.

ერთ ფერდობზე ბავშვები თამაშობდნენ. კლდის მკერდიდან მოჩქარილებდა ხალასი ნაკალი. ბიჭებს აეწიშვლებით მომცრო სატევრები და ცდილობდნენ: ისეთი მარდი მოქნევიტ განეკვეთათ მაჯის-სიმსხო კვრივი ჩქერალი, რომ რკინაზე ერთი ცვარიც არ შერჩენილიყო. თითქო გლუვი რტოაო-ისე სნებადენ ნაკალს. შემდეგ გახვადავდნენ მშვენიერ გაწვილ სატევრის: არ სჩანდა ცვარი-სიხალსე სიმარჯეს ლესავადა. შამილმა შეაყენა ცხენი, გადმობტა. იქვე ქვებით მორჩალულ აუზში ანკარა ტბორი იყო შეგუბებული. მიუშვა ცხენი დასალევადა. თვითონ კი მოპეშვა ცინცხალი ჩქერალი ორხელ და განიგრია დასიცხული პირი. ბავშვები შეჩერდნენ, ხმაც გაკმინდეს: ეუცხოვათ ფრიალ ეს მოღუშული და აბორგილი მხედარი, თითქო მუხა უფილიყო ნამეხარი. რამოდენიმე წუთი დემილისა. შამილმა ჩაიფურჩნა თითქოს თავისთვის, ბავშვური კილოთი და თან მომგები დიმილით: „გავანადგურებთ მტერს!“ „გავანადგურებთ და მეგრე როგორ!“ იხრიაკეს ერთხმად პატარა მორკინალებმა. სიმხნე მიეცათ. „შამილი თუ გაგიგონია?“ შეეკითხა მხედარი ერთს მათგანს. „შამილი? როგორ არ გაგიგონია!“ იფილეს მალხაზებმა ახალისებით. „...ის დაანარცხებს მტერს!“ „ასე ძალოვანია იგი?“ შამილის ბავე დიმილით გაიხსნა. „შამილი? ვინ სძლევა მას? იგი უძღვევია-გაბო!“ „ჩემზე უფრო ძლიერი?“ „შენზე? მტერ ძღვეს იგი! მისი მომრევა არავინა!“ შამილს გული აუტოკადა. მარჯვენა თვალში ცრემლი იგრძნო მომდგარი, ცრემლი ნეტარებისა. დაღვაროს იგი აქ? არა: ამ ჩვილ მორკინალთ ცრემლს ვერ უჩვენებს, თუ გინდ ასეთსაც. მოახტა ბედაურს და გაეჭანა.

„შამილი შენცა ძღვეს!“-ეს სიტყვა არ ეშვებოდა მის სმენას. თავის თავი გაორებულად ეჩვენებოდა. ეს მხედარი, ეხლა ცხენს რომ მიავლევებს, იგია თვითონ: შამილი. ამავე დროს იგი სხვაცაა. შამილს სძლევის იგი „სხვაა?“ დეე, სძლიოს, ოღონდ მტერი სძლიოს! მხედარმა მოუშვა სადავე და მიუშვა ცხენი: უმხილა გავარდა. ბედაური გავარდა: ეხლა იგრძნო, ვინ იყო მხედარი. თვრებოდა ცხენი კუთებარეკილი-თვრებოდა მხედარი ძალაყრილი. რომელ უფსკრულს შეუშინდებოდა ცხენი? რა ჯებირი შეაკავებდა მხედარს? მინავარდობა შამილი და გრძნობდა თან: ის „მეორე“, ის „სხვა“, ის მრევი ყველაზე მის არსში იზრდებოდა, როგორც ენგალი ამოხაბულ წყაროს ტანში. ერთი ლეო კიდევ და: ამოშრეტელი ტანი აივსო. შამილში თითქოს ის „მეორე“ იშვა, ის „სხვა“, ის მრევი ყველასი. აღარ იყო სიღრუე, აღარ იყო გაორება. მრთელ იქმნა შამილი! გაჭჭრა ის ტკივილიც, სრულიად.

მზე უკვე ჩასვენებული იყო, როცა იმამი დაბრუნდა. ეზოში მურიდები შეეგებნენ. ჩამოართვეს ოფლი მ გაწურული ცხენი. შამილი მიზგითისაკენ გაეშურა. მურიდები გაპყვენ შორიანლო. შამილმა შელო კარი სალოცავისა. მურიდები შესდგენ, ცხენი იქვე მიაბეს. შამილი შევიდა სალოცავში. მოიხსნა ფეხსაცმელი. მოსახსამი იატაკზე გაჰფინა. პირი ჰქნა აღმოსავლის მიმართ. დაემხო ჯვარდინ მოკეცილ მუხლებზე, კურები თითებით დაიქლო. მოუხტა თვალები. ლოცვად დავარდა. შამილს რწამდა ხრმალი და მას რწამდა ალაჰ-ეს ორი მხოლოდ. ხრმალი და ალაჰ მის არსში ერთიმეორეს ეცილებოდნენ - შეცილებამო მტკიცდებოდა ისლამი. მლოცველი მიეცა შინავან სმენას: ნელინელ, თანდათან, მძაფრდაზმული ნაბვით. ელოდა ლოცვადდავარდნილი იდუმალ ხმას: თუ რას ამცნევდა იგი ნაიბების გარდაწყვეტილების გამო. ელოდა, ელოდა.

საღამო ღამედ იქცა - იმამი სალოცავში იმყოფებოდა. გათენდა დღეა - იმამი არ გამოსულა. დღე მიიწურა - იმამი არ სჩანდა. შიშმა მოიცვა ყველანი. გაეშურეს მიზგითისაკენ: დედა იმამისა, ცოლი მისნი, ვაჟები და ცირები მისნი, „ნუკერბი“ - მსახურნი. მური-

დები. უხუცესნიც უმაღლესი საბჭოსი და მათ შორის: ჯალალ-ედინი, მასწავლებელი და სიამაირი იმამისა. შამილი არ სჩანდა. შიში მოედო აულებს, თემებს. გამოეშურენ ღუნებნი-საკენ. დიდი და პატარა, ქალი და კაცი. შამილი არ სჩანდა. მოვარდენ სხვადასხვა მხრიდან ნაიბები აქაფებული ცხენებით. შამილი არ სჩანდა. რა დაემართა? შიში ურვად იქცა. ბკობდენ, თათბირობდენ, რა ექნათ. ნაიბებმა არჩიეს წილისყრა, თუ ვის უნდა ხვედროდა: შეელო კარი სალოცავისა. შეუდგენ წილისყრას. ამ დროს კარიც შეიჭრა: გამოჩნდა იმამი. იგარკაბა თავმოყრილმა ხალხმა: „იმამ! იმამ! ლა ილლაჰ ილ ალლაჰ!“ იმამი შესდგა მადლ საფეხურზე: გაფთხიერებული, ჩაფერფლილი. იდგა უძრავად. არას იტყადა. ხალხი გაინაბა სუნ-თქვაშეკული. იმამი იდგა ხალხის წინ: როგორც მოსე, ამწვარ-უმწვარი ბურდიდან მოვლენილი, ისრაელის მიმართ, ხელში „ათი მცნებით.“ იმამს „ცნება“ ტვინში ჰქონდა ამოჭრილი, ხალხი გაისულტრა დუმულში. იმამი თვალში თვალს არ უყრიდა არავის: მზერა მისი შორეთს ინთქებოდა, ვითარ ხილვა ზმანეთლისა. წუთი აუტანელი. როგორც იქნა გაეხსნა მოვლენის ათროლებით ზაგე. ხალხი სენდა იქცა და: მიეცნათ მოვროვილთ საშინელი სიტყვანი, თითქო ნაკვერჩხლებად დატეხილნი: „ასჯერ სახტრე...მას...ინც...პირგვლმა...გაუწყა...ზავის ჩამოდების...განზრახვა...იმამენო პროფეტმა...“ იმამი ეხლა ენაბრგუ-აქაც თუ ემზავისა მოსეს—დადუმდა. ხალხი ატორტმანდა რეტდასწული, ზარდაცემული. თვალი თვალს ეყროდა გამტერებით. ნაიბებმა დახარეს თავი. „ვინ იყო ის პირველი?“ გაისმა უეცრად მყვიანა ხმა ერთი ქალისა. ზარდაცემა ეხლა ხეთვად იქცა.

მყისვე გაიხსნა პირველი რკალი მოვროვილთა. აღიმართა მტკიცედ დედა შამილისა. „მე ვიყავი იგი!“ განაცხადა ნელი, მტკიცე ხმით. ხალხის გროვა მოიცვა საზარელმა. „სახტრე ასსელდერ!“ შესძახა შამილმა იქვე მდგომ მურიდს. გროვა დიკლაკანა გველნაკებნივით. მურადმა მოიტანა სახტრე. „შეუდექ ასსელდერ!“ მიმართა მოხუცმა. მურიდს ხელი გაუშეშდა. ხალხი კვლავ ატორტმანდა. წუთი დამძეხავი.

უეცრად მოეშვა სდევხურს იმამი. მოიხია ჩხმა. იწყე გაშიშვლება მხარ-ბეჭისა. გასძახა თან მაგარი ხმით: „მე შვილი ვარ ამისა. იგი მოხუცია. 95 ჯერ მე სახტრე—5 ჯერ დედას! შეუდექ ასსელდერ!“ მურიდს სუნთქვა აღარ ყოფნის, ხელი არ ემოჩილება. ამ დროს წამოიპრენ ნაიბები წინ, გამეხებულნი. „არ გვინდა ზავი!“ დაიყვირა ჯევად-ხანამ. „ბრძოლა ბოლომდე!“ მისძახა ხანგარ-დიბირმა. ამათ სხვებიც მიჰყვნენ. შამილის წინ აღიმართა მთელი გუნდი ნაიბთა. აშიშვლებულნი ხრმალნი აეღვარდენ. „არ გვინდა ზავი!“ ბრძოლა ბოლომდე! ხალხს მოეშვა სიმძიმე. „მარჯი იმამს! ლა ილლაჰ ილ ალლაჰ!“ იმამი იდგა უძრავი. ფითრი სცილდებოდა, ღვივდებოდა, სახე ეხსნებოდა. ხოლო არას იტყოდა. ხალხი ირეოდა ალტაცებით. ბნელი, ქვეფენილი ბუნებისაგან, საცა უპიროვნო ელემენტები თესლულ თვლემენ, თრობის ღმერთი იშვოდა, ზღვარგადამლახველი: დიონისო. იშვოდა: ცალკულ თვითულში და ერთობლივ ყველაში. შამილშიც იშვოდა იგი—ხოლო რაინდი ზღვარზე თავს აცავებდა დამძებული. სისხლი ხან ერთ საფეთქელში აწევებოდა ხან მეორეში. ხალხი ირეოდა ალტყენებით. სიტყვა აღარ ყოფნიდათ. ეხვეოდენ ერთიმეორეს. არ იყო მხოლოდ სასუნთქი ავარდნის საბოლოო გასასულვად. ეხლა ესეც გაჩნდა.

„საკრავები!“ გაისმა ხმა. მოიტანეს უმაღლე. იწყეს ახმიანება. წამოიშალენ ხალასნი რიტმნი კავკასიისა. თითქო ყოფის სუნთქვათ თვითონ, გაისმა: „დიიირა - დიიირა-დიიირა-და-რაა—მმ დაარა დი-რა-რაა-მმდაარა და-რა-დაა.“

„როკავა!“ გადმოეშვა კუნთებათასმული ნაიბი: ხიგნარ-დიბირ, ჯიხვური აღერებით აღიმართა მკერდი. გაშალა მკლავები. დაუარა. მოავლო რკალი. მთელი ტანით იქცა ცინცხალ რიტმად. „ასსა!“ „მმდაარა დი-რა-რაა— მმ დაარა და-რა-რაა.“ ეხლა მეორე გამოსლტა: ახოვანი, მკერდმალბი, მხრებკვრივი, აღეწილი. ეს იყო ვეი შამილისა: ყაზი მალომა. ხლტომა ირმისა იყო. დაუარა. გავლებულ კამარას მეორე შეავლო. „ასსა!“ მას მოჰყვა ჯევად-ხან. „როკავა!“ გამოდის მეოთხე, გამოდის მეხუთე, გამოდის მეექვსე, გამოდის მეშვიდე. „ასსა!“ ეხლა ჯგუფ-ჯგუფად გამოდიან. „როკავა/“ როკავენ ყველანი, მთელი კრებულნი როკავს. „დიიირა—დიიირა—დიიირა—დიიირა—და-რა-რაა— მმ დაარა და-რა-რაა.“ „ასსა!“

კავკასი როკავს, აღადგებულ, ლხენით დამთვრალი.

ერთი არ როკავს მხოლოდ. არა: მთელი ტანი რიტმით არის აყვანილი შინაგან—ხოლო გარეგან გაქვავებულია. ეს იმამია. ერთი ტალდა რიტმისა კიდევ და: ტანი-ქვა ვასკდება.



შამილი ბეწვეზია. ანთებულნი თვალნი აღს აფრქვევენ. უეცრად ცხენს მოავლო თვალი ფაჯისას, თვალში ცხენის თვალი მოხვდა. შამილი შეირბა, გადაქანდა. დასძლია ცხენის თვალის აღმა კაცის თვალის დასძლია, გადაიზიდა? ზნელი ბუნის, საცა უპიროვნო ელემენტები თესლელ თვღემენ-რომელ სხვა ცხოველშია უფრო ცენსლოვანი? დასძლია, გადაიზიდა? როკვით აყვანილი ამროკავი ტანი მოეშვა უეცრად: მოეშვა, მოსხლტა. შამილი გაეჭანა ცხენისაკენ, მოეგლო უნავირს, გავარდა. მყისვე მოახლტენ მეომარნი თავიანთ ბედაურებს. წინ: შამილი. უკან ნაიბები: ჯევაღ-ზან, სურახანი, ხაჯი-ალი, გაძიე, მაჰომედ-ეფენდი, ახვერიდი მალომა, ანზორ, ომარილ-მაჰომედი, ხაგნარ-დიბირ, მიქაილ, ტალვიც, შუაიბ, ხატუ, ესაკი და ვაჟიე შამილისა: ყახი-მალომა.

მინავარდობს იმამი-დაწინაურებული. მინავარდობენ თანამეომარნი-მიყოლებით. წინ ხრამი, ყველასათვის ცნობილი. შამილი არ უხვევს-მიმყოლთ ტანში შიშის ჟრუანტელი ურბენი. შამილი უახლოვდება ხრამს. ვინ შეაჩერებს? რა შეაკავებს? ახელგან ბედს, თუ ეზრდების ბედს? შამილი ხრამს მიაღება. დაუთქვა რაღაც ბედს, ჩაუთქვა რაღაც ბედს? იცის მხოლოდ: ბედი მისია, ვინც გამბედავია. ეხლა იგი ცხენაკაცია: კენტატი. ერთი წუთი, ბედი. გადამწყვეტი-ბედზიარი მხედარი ხრამს თავს გადაეგლო. მეომარნი ატორტმანდენ, ბედაურებით, რეტდასხმულნი. ხედავენ: ცხენაკაცი მინავარდებს ბედაურს, უენებელი. ახლა ესენიც მიენდვენ ბედს: ყუთინით, ზივლით გადაეშვენ ხრამის თავს. „ლა ილაჰ ილ ალაჰ! მარჯი. იმამს!“ მოექცენ უენებელ გაღმა. წინ: იმამ შამილ. უკან: მეომარნი. მინავარდობენ ახელბულნი. რომელ უფსკრულს შეუშინდებიან? რა ჯებირი შეაკავებთ?

„იიარაღად არარალუ -
ოდილარ იდილა!“

(გადმობეჭდილი: „ბედი ქართლისა“ №7; „იმამ შამილი“ გერმანულად შესულია წიგნში: „ქაუჯაზიშე ნოველენ“, რომელიც პირველად გამოიცა 1932 წელს, მეორედ 1979 - ში. ნოველა გადაცემული იყო ავტორის წარმოთქმით რადიოთი: ვენისა, ლაიპციგისა და კელნისა.)

გ რ ი გ ო ლ რ ო ბ ა ქ ი ძ ი ს ს ა უ ბ ა რ ი კ ა რ დ უ ს თ ა ნ

2. ქართული შაირი

დრო არის, შენი ენის კიდევ ერთს საიდუმლოს შეეგხო, რომელიც საიდუმლოა თანვე ქართული შაირისა. ქართულმა ბგერამ არ იცის „იკტუსი“: მკვეთრი მახვილი. გერმანულის თუ რუსულის გვარად რომ დავბგეროთ მაგალითად სიტყვა „მდიდარი“, პირველ „ინთან“ მივიღებთ სოლისებურ მახვილს, რომელიც ჰკვეთს სიტყვას. ეს არ იქნება ქართული გამოთქმა. ქართული ბგერა არც ანტიური „გრძელი მარცვლია“: ჩვენ არ ვამბობთ - მაგალითისათვის იგივე სიტყვა - „მდიდარი“. მაშ რა სახისაა ქართული ბგერა? სანამ ეს ბგერა არ იქნება გარკვეული, ქართული შაირის წყობას თუ ზომას ჩვენ ვერ დავადგენთ. 25 წლის განმავლობაში ვცდილობდი ამის გამოცნობას - ამაოდ. ერთხელ *Christian Lahusen* -მკვლევარი საგალობელ ჰანგებთა და თვითონ უნაზესი მუსიკოსი - მესაუბრებოდა საკარლურ ენათა შესახებ. მან თქვა: ამ ენებმა არ იცოდენ „იკტუსი“, მათი გახშიანება „მალალი“ და „დაბალი“ ტონით იმართებოდაო. გავმტერდი: უეცრად ქართულმა ენამ მიეღვა. მე მივუგე: ასეთი ენა დღესაც ცოცხალია-მეთქი, სახელდობრ ქართული. მის მიგნებას მტკიცება მიეცა სინამდვილედან - ჩემი ძებნა მისი მიგნებით „ნახვით“ დამთავრდა.

მართლაც, ავიღოთ იგივე სიტყვა „მდიდარი“. აქ სწორედ ის „მალალი“ ტონია „მა“, რომელსაც მოსდევს „დაბალი“ „და“ და მას: კიდევ უფრო „დაბალი“ „ლი“. ესაა საიდუმლო ქართული ბგერისა და აქაა საიდუმლოც ქართული შაირისა. ამის თვალნათლივ ანარეკლს „მეფხვიის ტყაოსანი“ გვამცნევს: იქ ერთი ტაეპი აგებულია „მალალად“, მეორე „დაბლად“.

„მალალი“: „ნახეს უტხო ვინმე, სჯდა მტირალი წყლისა პირსა.“

„დაბლად“: „იიყო არაბეთს როსტევან, მეფე ღვთისაგან სვიანი.“

პოემა ამ ორმაგ რიგზეა გამართული. ქართული სმენა თანდათან ჰკარგავს „მალალ“- „დაბლ“ ტონალობას თანშობილს. საბუნდოვროდ შე კიდევ მიგეშნია იგი. დავასახელებ აქ იმ პირთ, რომელთა ქართულით. დავტკბარვარ. ესენი იყვნენ: ვახტანგ და ტელემაკ გურიელი,

დავით მიქელაძე, სამწერლო სახელით „მეველე“, იონა მეუნარგია, ივანე ჯავახიშვილი (შენი დიდი მისტიკოსი, კარლუ), სემონ აბაშიძე: გაიცანინ სვირში სანდრო აბაშიძესთან, კაცხიდან ჩამოსული 1915 წელს, ზაფხულში, სტუმრად(ნათელმეფენი ივერიული პროფილი-თაც შენი ნამდვილი ნამიერი იყო, კარლუ, ეს დაუვიწყარი მოხუცი). სვირი დედულა ჩემი, საცა სწორედ მის მიჯნაზე ობჩასთან, ამ სოფლად ავიხილე თვალი. „სვირი“ ძველს ქართულში „მეველს“ ნიშნავს-ეგებ მკითხველი თვით მიხვდეს, თუ რად ვიხსენებ აქ ამას. ცოცხლებში: შალვა დადიანი და იროლიონ სონდულაშვილი. ქალთა შორის: გერონტი ქიქოძის ცოლი ტასო, დაჰ განსვენებული შალვა ამირეჯებისა, აგრეთვე განსვენებული სპირილონ კელიძის მეუღლე სონა ჩიჯავაძის ასული, რომლის ბაგეტებილი ქართულით პარიზში მყოფნი ქართველნიც ტკებებიან.

კოტე დოდაშვილს, შვილიშვილს სოლომონ დოდაშვილისა, დაკვირვებულ მწიგნობარს, ეგონა: ქართული შიარის წყობა თუ ზომა ტონურსილაბურიაო. ასე ეგონა სერგო გორგაძესაც, რომელმაც ქართულ შიარის მთელი წიგნიც უძღვნა - იყო მშვიდი, კეთილი, „ამოფრცხვანი“ პირდაპირ „ქართლის ცხოვრებიდან“, ნათელგონიერი და ღრმად ჩახედული საქართველოს ისტორიაში. ასე მეგონა მეც. ასე ჰგონიათ დღეს სხვებსაც. მაშ რა უნდა ვიგონოთ? ჩვენ შეგვიძლია ქართულ შიარის ვუწოდოთ „ტონურსილაბური“, თუ ვიგულებთ, რომ იგი „იკტუსითაა“ დაბგერული. ხოლო ეს ასე არაა. ეს რომ ასე იყოს, მაშინ „მალაი“ ტაეპი რუსთაველისა უნდა წარმოგვეთქვა ისე როგორც „დაბალი“ და პირუმიო. ამა სცადეთ წარმოსთქვათ „ნახებს უტხო მოყე ვინმე, სჯდა მტირალი წყლისა პირსა“ ისე როგორც „იყო არამესტ როს ტევან, მეფე ღვთისაგან სვიანი“, ან და უქანასკნელი ისე როგორც პირველი - წამსვე იგრძნობთ რიტმის დაღრმევას. ყველაზე უფრო ნათლად სჩანს ეს აბრუნდი აკაკის ცნობილ ხალხურ შიარში - საკვირველია, როგორ ვერ შეამჩნია მან ეს. აი ეს ადგილი: „სიმინდსა თხზნა დავუწყეთ, ერთად დედაცხოთ მუშერი“- ეგებ მაშინ დავგავიწყდეს, რომ გლეხნი ვართ უმედური.“

მკითხველს ვერ გამოეპარება, რომ აქ პირველი ნახევარი ტაეპისა გამართულია, დაბლა მერვე კი „მალადა“. იკარგება რიტმიული შეხმიანება. თუ არ ვცდები ასეთი აბრუნდი ვუას ერთ მშვენიერ შიარშიაც გვხვდება, იქ, საცა მთავარზეა ნათქვამი: „არ დაუძინავს მკლავზედა.“ შიარი ზეპირად აღარ მახსოვს და ვამბობ: ზუ არ ვცდები.*

შესაძლოა ქართულს ერთსა და იმავე შიარში „მალაი“ მუხლიც იყოს და „დაბალიც“- და სწორედ ესაა, რაიც მის ზომას ამრავალნირებს - მაგრამ მაშინ „მალაი“, და „დაბალი“ ერთმეორესთან შერატმული უნდა გამოდიოდნენ. მაგალითად: „ქალოშენი/საროტანი/კენარი“, აქ პირველი ორი მუხლი „მალაია“, ხოლო მესამე „დაბალი“. ხოლო ეს რიტმიული ხაზი მთელს შიარში უნდა იყოს პარმოიულად დატული, არ აქვს ეს დატული ილიას, მის ცნობილ შიარში „ტყემ მოისხა ფოთოლი“, თუმცა აქ შიარი სხვა ზომისაა ვიდრე ზემოთ მაგალითად მოყვანილი. ეს სხვაობა არ შველის მას მაინც: იქ არაა „მალაის“ და „დაბალის“ სასურველი შენაცვლება. სხვათა შორის, ასეთი ზომის ქართული შიარი „ქალოშენი/საროტანი/კენარი“, რასაც „თეჯლის“ უხმობენ, ჩემი სმენისათვის ყველაზე უფრო ტკბილხმეოვანია.

სამწუხაროდ დრო არ მაქვს, გამოწვლივით განვიხილო ქართული შიარი. აქ მხოლოდ რამოდენიმე შენიშვნა გავკრით. 1. ქართულ შიარში მარცვალთა რაოდენობის დაცვა აუცილებელია, მაგრამ არც ისე კატეგორიულად. ბოლო სტრიქონს რუსთაველის ყოველი ტაეპისა წინ ერთთვის „და“ მეტი მარცვალი. ეს არა თუ არღვევს რიტმს, პირიქით იგი მორგავს მას. საჭიროა მხოლოდ: ამ მარცვალზე ოდნავ შეჩერდეს წარმოთქმელი. ასეთი შეჩერება, პირდაპირ მუხლარტვული, მსმენელს ოქონია გამყრელიძისაგან ფოთში, როცა იგი მომავონებდა ხოლმე რუსთაველის რომელიმე ტაეპს, თანვე თვალების ცინცხალა აცილებით. ერთს ჩემ შიარში ასეთი სტრიქონია: „ბორგავს ბორკილებით გაცრული ურავანი.“ წარმოთქმის: „ბორგავსბორ/კილებით/გაცრული/ურავანი.“ ბოლო მუხლში ერთი მარცვალი მეტია. პირველად მქონდა ასე: „ბორგავს ბორკილებით გაცრული გრივლი.“ სილაბურ ესაა სწორი, ხოლო არა რიტმიული: მეტი მარცვალი ბოლო მუხლში იქ მეტს „მრგობას“ აძლევს გამოთქმულს. მხოლოდ ეს მარცვალი, სახელობს პირველი „უ“ სწორედ იმ „შეჩერებით“ უნდა წარმოითქვას, რომელსაც თხოულობს რუსთაველის „და“. მე ხშირად მიხმარია ეს „მეტი“.



თანვე ერთი დეტალი. „ზორგავსზორ/კილბით/გაკრული/ურაგანი“—პირველ მუხლში სიტყვა „ზორგავს“ „ზორ“ ემატება თანამომდევნო სიტყვიდან. ამ „ზორსაც“ იმგვარავე „შეჩერება“ ესაჩეროება, თორემ უამისოდ მუხლი „მექანიკური“ გამოვა. აი ასე: „ზორგავს“ შეჩერება ოდნავ — „ზორ“ — შეჩერება ცოტა უფრო მეტი. ეს დეტალი ვამბენეც, რომ ქართული შაირი მართლაც საგალობლოდანაა წარმოშობილი.

2. თავი და თავი ქართულ შაირში „დამუხლვა“ და არა „დატერფვა.“ ილიას განდევილი იწყება: „სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა.“ ტონურსილაბურ „დატერფვით“ ეს ადგილი ასე წარმოითქმის და ასეც წარმოითქვამენ: „სადაცდიდებულს/მთასამყინვარსა.“ ეს „მაღალი“ კილოა, რაც აქ სრულიად დაუშვებელია. უნდა წარმოითქვას „დაბალით“: „სადაც/დიდებულს/მთასამყინვარსა.“ ისმენთ, არა ხედავთ: როგორ იფინება ამრიგი წარმოითქმით ეპითური კამარა, იშლება თვითონ სივრცეში. „მაღალი“ მუხლი მაღლა, ჩქარი, „დაბალი“ კი ნელი, დაფენებულს. საერთოდ: „დამუხლვა“ ქართულ შაირში წინ უსრრებს მის „დატერფვას“: იგი ვანაგებს უკანასკნელის ნაირობას. „მერანს“, ნ. ბარათაშვილისა ჩვენში ასე კითხულობენ: „მირბისმიმადერენს/უგზოუკვლოდ/ჩემიმერანი.“ აქ ვარდა იმისა, რომ იმგვარვე შელახვას ვისმენთ რიტმისა, როგორც ხსენებულ წარმოითქმაში ილიას „განდევლისა“ „სადაცდიდებულ/მთასამყინვარსა“, აქ სხვაგვარ შელახვასაც აქვს ადგილი. „უგზოუკვლოდ“ ყოვლად დაუშვებელია ერთად იქმნას წარმოითქმული. მაშ ვანწყვრებით? უთუოდ. ხოლო თანვე ისე: თითქოს ერთიცა და მეორეც „სპონდერ“ იყოს ბგერითი(„სპონდის“ ეტყვიან ორმარცვლოვან „ტერფს“, საცა ორივე მარცვალა დაბგერითი). „მერანი“ ამრიგ უნდა გაიშალოს: „მირბის/მიმადერენს/უგ-ზო-უკვლოდ/ჩემი/მერანი.“ მხოლოდ მაშინ დათვრებით მისი ნამდვილი რიტმით.

3. ქართული შაირი გაურბის სიტყვის ვატეხვას „დატერფვისას“: „შინდი - შინდი/ფერად - შინდი/გადა-ფრინ-დი, /გადმო-ფრინდი.“ „შინდი - შინდი/ფერად=შინდი“ გალოჯით, სიმღერით მოდის და მას გალობითვე, სიმღერითვე მიჰყვება: „გადა-ფრინ- დი, გადმო - ფრინდი, ეს ისე ხდება, რომ სიტყვის ვატეხვას ვეღარც კი ვგრძნობთ და ასე ყველვან.

4. ქართული შაირის წყობა თუ ზომა ქართული ენის ბუნებისაგან არის წარმოშობილი, როლის ნიშნული თვისება საგალობლის „მაღალი“ და „დაბალი“ კილოა. ეს უნდა ჰქონდეს სახეში ყოველ მკვლევარს. მისი წყობა თუ ზომა შეგვიძლია „მიუახლოვით“ სხვა ხალხთა წყობებს თუ ზომებს შაირისა, ხოლო არას გზით „გავაიგივევით“ მათთან. (სერგო გორგაძე ხსენებულ კვლევაში სწორედ „გავიგივებისაყენ“ იხრება, რაიც შეცდომაა). „სპონდის“ მაგალითით უკვე ვახსენე: იგი ძალიან უხდება ქართულ შაირს, ხაზს ვაღებ: „უხდება“.

ავატყვებ ჰეგზამეტრი. ჩვენში ვაგვრცელებული აზრი, ეს ანტიური ზომა ქართულში შეუძლებელიაო, სრულებით უსაბუთოა: სწორედ ჰეგზამეტრში „უახლოვდება“ ქართული შაირი ანტიურს. მაგალითისთვის იგივე „დაბალი“ ტაეპი რუსთაველისა: იგი ნამდვილი ჰეგზამეტრია, რასაკვირველია, „ქართული“, ხოლო ერთი განსაზღვრით: სტრიქონის ბოლო უთუოდ ორმარცვლოვანი სიტყვა უნდა იყოს. ამა დაუვადეთ ყური, თუ როგორი ჰეგზამეტრით იშლებიან ეს სტრიქონები: „იყო არაბეთს როსტევეან მეფე ღვივისაგან სვიან, მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქართ მრავალი ყიან.“

ეს რომ პეტრე მირიანაშვილს სცოდნოდა, მაშინ იგი ჰომერის „ილიონს“ არ სთარგმნდა ამ ზომით, ვთქვათ: „ილიონჰომერს/დაუწერია.“ მომავალმა მთარგმნელმა ეს შეცდომა უნდა გამოასწოროს და სწორედ: ზემოაღნიშნული გზით.

ბოლოს ერთი შენიშვნა. ქართული სიტყვირიდან უნდა ამოვადებულ იქმნას სახელდება „რიტმა“. უკანასკნელი არ ჰქონია ანტიურ შაირს: იქ იყო მხოლოდ „რიტმი“. ალბათ ეს სიტყვაც რუსულიდანაა შემომძვრალი ჩვენში. რუსებს არ აქვთ სატყვისი გერმანულისა „Reim“ ან ფრანგულისა „Rime“. „Reim“ ან „Rime“ „რიტმისაგან“ რომ ენსხვაგვებით, მათ იხმარეს „რიტმა“, რაიც მორფოლოგიურ იგივე „რიტმა“. ჩვენ უთუოდ უნდა გვქონოდეს ძველად საამისო სატყვისი. მე იგი ვერ მომიხანხავს. ხოლო ვიცო, ჩვენში სიტყვების ერთმანეთთან შეხმიანებას შაირში „მაზმას“ უხმობენ. მოკლედ, შევეცდით ეს იქნება. „გართმულის“ მაგიერ შეგვიძლია ვთქვათ: „გაზმული“.

დიდხანს მომიხდა, კარდუ, შეგჩერებულოფე ქართული შაირის ირვლივ. ეს იმისთვის, რომ ცხად მეყო, რომ შენი ენა საკრალურ ენათა ჯგუფს ეკუთვნის და—შენი ენა საგალობლოა.

მზის ხანა ქართველთა
(საუბარი მესამე)

1. დიდი ბრძენის პლოტინის მსოფლიოვანაში გვხვდება: „თვალი მზიური.“ გოეტემ მზიურობა თვალისა ერთ თავის შაირში შესანიშნავ ხტილად გამოკვეთა: „თუ არ იყოს თვალი მზიურ, ვით შეეძლოს მას ხილვა მზისა?“ მტველის მწიფობის დროს ქართველი მივე-ნახე ამბობს: „თვალი ჩასულა მტევანში.“ თვალით აქ ნავულისხმევია ?მზე. პლოტინი, გოეტემ, ქართველი მივენახე =სამივე დიდ საიდუმლოს აცნაურებენ, მხოლოდ ერთი განსხვავებით: პლოტინისათვის და გოეტქესათვის თვალი „მზიურია“, ქართველი მივენახისათვის კი იგი მზა თვითონ. ხატული „სახეობის“ მხრით ქართველი მივენახის თქმას თვითონ გოეტქე არგუნებდა პირველობას, თვალი მზეა, ფიქრობს ქართველი, რადგან იცის, რომ „მზე“ და „მზე-რა“ საღდაც თანახმებიან ერთიმეორეს. გაეხსენოთ საბა სულხან ორბელიანის განმარტება სიტყვისა „ღმერთი“: „წვა და ხედვა.“ ეს განმარტება მზეზეა თითქო გამოჭრილი. მზე იწვის, არ იფერულება, იწვის და „მზერს“ ანათება. „თვალი ჩასულა მტევანში“ – ეს ნამდვილი პოემაა, პოემასთან ერთად „ირმის ნახტომი.“
2. უძველესი დროიდან სათაყვანო სიმბოლოდ მზისა „სევსტიკა“ ითვებოდა: კაცვიანი ჯვარი, ბორბალში მოქცეული. ბორბალი ანიშნებდა მნათობის კოსმიურ ბრუნვას და ეს იმ დროს: როცა ნივთიერ კულტურაში ურემი ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი. ავიღოთ ეხლა ქართული დასახელება: „ურმის თვალი“. აქ თვალით ბორბალი ივლენისხმება. აქვს ბორბალს მზგავსება თვალთან – ისე მაგალითად: როგორც წყაროს ძირად მოჩუხჩუხე ნაკადს, რომელსაც ჩვენ „წყაროს თვალს“ ვუხმობთ? გარდა სიმრგვალისა არაავითარი, საგულეგებელია მაშასადამე, რომ ქართულ ხილვას შერჩა სახულობა სევსტიკისა და რადგან ამ ხილვაში მზე თვალად იყო ცნეული, ურმის გამოგონებისას ბორბალი ჯვარისა ურმის თვალში გადმოვიდა საგნურად. ეს როგორც ჰპოტეზი მხოლოდ.
3. მზე არის სიცოცხლის თესლი. ქართული ენის მკვლევარი მიხეილ წერეთელი ვამცნევს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულში ფსკვს „ცხ“. მისი აზრით „მუცელის“ პირვანდელი ფორმა იყო „მუცელი“. მთავარი აქ „ცხ“ არის, როგორც სიტყვაში „სიცოცხლე“ – შესატყვისი რუსულში: „ჟივოტ – ჟიზნ“, გერმანულში: „Leib-L eben.“ თუ ეს ასეა, მაშინ „სიცოცხლე“ და „ცეცხელი“ სიტყვიერი ტყუბები ყოფილან. როგორ გაიხარებდა ჰერაკლიტ ფესველი, სტოდნოდა მას: რომ რომელიღაც ენაში „სიცოცხლე“ ნააზრებია ვითარ „ცეცხლი“! სწამდა ხომ მას, რომ სამყაროს ძირითადი თურქი ცეცხლია.
4. ცხოველთა შორის ყველაზე უფრო ცეცხოვანი ცხენია. იმავე მკვლევარის მიგნებით, სიტყვაში „ცხენი“ იგივე ფესვი „ცხ“ ცოცხოვს.
5. მზისაგან ითვის სხივი და ნივთიერი იღებს „სახეს“ – მდენად, რამდენად იგი სხივმდენია. მხოლოდ სხივის გამოკრობობით ეზიარების ნივთიერი ღვეთურსა: იქცევა „სახიერ“. არც ერთს ენაში არ იხმარება ზედმესრული „სახიერი“ ღვთის მიმართ ისეთი ღრმა მნიშვნელობით, როგორც სწორედ ქართულში. რაც სახიერია, ის ღვეთიური – ასე ვგონებთ ქართველნი.
6. საუბარში ჩვენ შეფიცვის თუ შეჯერებისას ვხმარობთ ასეთ თქმას: „ჩემმა მზემ“, „შენმა მზემ“: თითქო ყოველ ადამიანს თავისი საკუთარი მზე ჰქონდეს. „ვეფხის ტყაოსანში“ ეს მზეთანაზიარობა პირდაპირ კოსმიურ ყალიბს იღებს. გაეხსენოთ დაუფიწყარი წერილის ნესტანისა, რომლითაც იგი, ქაჯეთის ციხეში დატყვევებული, ტარიელს, მის მეტრფეს, ანუ-ვეფხებს: „მზე უშენოდ ვერ ქქენების, რადგან შენ ხარ მისი წილი! განაღამა მას ეახელ, მისი ეტლი, არ თუ წბილი. მუნა ვნახო, მადვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი.“
- ავადემიკოსი ნიკო მარტი ამ სიტყვებში ნეოპლატონიზმის გამოძახილს ხედავს, ხოლო არ იცის მან, რომ თვითონ ნეოპლატონიზმში ეს გზნება მზიურობისა ოქროს ხანიდანაა ვადასულა. მარადიულ განსხულებას მზიურში აქ კიდევ უფრო აძლიერებს გენიალური ხტილი ქართული ზმნისა: მარადი მყოფადი. მიითურმა დრომ მხოლოდ აბსოლუტური აწმყო იცის, რომელიც „წარსულად“ არ იქცევა და „მომავალი“ შინაგან აქვს უკვე. ნესტანი არ ამბობს: „განახავ“, „დაგსახავ“, „განმინათლებ“, არამედ: „ვნახო“, „გსახო“, „განმინათლო“.

7. მზე სათავეა სინათლის, რომელიც სიბნელეს ებრძვის. ამ „შებმაში“ წარმოიშვის „ფერი“. ფერი უბრალო „ჩენა“ კი არაა, ეთერტალღების რხევათაგან გამოწვეული. ბრმაღ შობილს შეუძლია გამოცდისას სწორი ფორმულა გადასცეს მაგალითად წითელი ფერისა, მაგრამ წითელი მისთვის მაინც უხილავია. ფერი „თვისება“ და არა „ოდნობა“. ასე ესმოდა ფერი გოეტქეს, ასე ესმოდა იგი ჰინდოელებს. ფერის ასეთი გაგება მოქცეულია ქართულ ყოველდღიურ საუბარში. ჩვენ ვხმარობთ ხშირად „ყველას“, მაგიერ სიტყვას „ყველაფერი“ და „არარას“ მაგიერ სიტყვას „არაფერი“. აქ ფერი „რაობად“ გამოდის, რაიც შემდეგ თქმაში კიდევ უფრო ნათელი ხდება: „რაფერ გააკეთე?“ დღემდე აუხსნელი სახელი „სწორფერი“, რომელსაც ხევისურეთში მეტრფეს



უწოდებენ, ეხლა ნათელი ხდება: სწორფერი, ესე იგი შესაფერი, სიყვარულში მეორის საღარბზედრი. კიდევ ერთი რამ მეტად მნიშვნელოვანია. ბაგრატიონთა საომარი ალამი მეწამული იყო, რომელსაც შუაგულში თეთრი ალი ჰქონდა გაწვილი. ეს არ იყო შემთხვევით არჩევა ფერისა. ჰინდოელთა „*Vedant a*“ სამფერად ისახავს ყოფას. ძირა ფენი ბნელია და ქაოტიური: „*Tamas*“ — მას უღრის შავი ფერი; შუანა ფენი ქიდილია, ბრძილა, შებმა სინათლისა სიბნელესთან, წყობისა და რიგის ქაოტიურთან: „*Rajas*“ — მას უღრის წითელი; ზედა ფენი სისრულეა და ყუღრობეა ღვთიური: „*Sattva*“ — მას უღრის თეთრი. ბაგრატიონთა ალამი გვამცნევს: მეწამული ფერით ალამის ამმართველი ჯერ კიდევ შუანა ანუ ადამიანურ ფენშია მოქცეული, ხოლო თანვე თეთრი ზოლით მას თითქო წინასწარ აქვს მოზმული ზედა ანუ ღვთიური ფენი. **René Guénon**-ის მოწმობით, ფრანგ მეფეთა საომარი ალამი მეწამული იყო; თეთრი ზოლი მას არ ჰქონია. თავის წიგნში — „*Autorité spirituelle et pouvoir temporel*“-ში იგი შენიშნავს: „*La substitution ultérieure du blanc au rouge comme couleur royal marquée en quelque sorte l'usurpation d'un des attributs de l'autorité spirituelle.*“ უდავოა: ბაგრატიონთა ალამი თავის სიმბოლიკით უფრო მაღლა სდგას ვიდრე ალამი ფრანგ მეფეთა. აქედან ნათლად სჩანს ისიც, თუ რად უწოდა ქართველმა ხალხმა თავის მცველს წმინდა გიორგის, „თეთრი“. უკანასკნელი—როგორც გმირი და წმინდანი—მოქცეულია ყოფის ზედა ფენში, ჰინდოელთა თქმით: „*sattva*“-ში. ქართველთა ხილვა აქ ჯეროვნად უთანხმება „*vedant a*“-ს სიბრძნეს.

საკრალური წყობა

ოქროს ხანაში იყო წმინდა იერარქია დადგენილი. ქართული ყოფაც ამ იერარქიით იყო იმთავითვე დამყარებული. უთვალავი მაგალითებიდან აქ მხოლოდ რამოდენიმე. ჩვენ, ქართველებს, შეგვიძლია მანდილოსანს ხელზე „ვაკოცოთ“, ღვთისმშობელ მარიაშის ხატს კი უნდა „ვეამბოროთო“; იქ „კოცნა“, აქ „ამბორო“, ვინაიდან მანდილოსანი ერთია და ღვთისმშობელი კიდევ სხვა, თუმცა ორივე ქალია. ჩვენ შეგვიძლია სადმე დარბაზში „ვიმღეროთ“; სალოცავში კი უნდა „ვიგალობოთ“; იქ „სიმღერა“, აქ „გალობა“, რადგან დარბაზი ერთია და სალოცავი კიდევ სხვა, თუმცა ორივე შენობაა. ჩვენ ვხმარობთ საერო წიგნისათვის „მხედრულს“, საღვთო წერილისათვის კი „ხუტურს“, რათა ზღვარი იყოს გავლებული საეროსა და საღვთოს შორის. მე შემიძლია მივმართო ვინმეს: „ბატონო გიორგი!“ შემიძლია ასე მივმართო ღმერთს: „ბატონო ღმერთო?“ ეს ხომ საშინელება იქნებოდა ქართველისათვის. და აი, ღვთის მიმართ ჩვენ ვხმარობთ: „უფლო!“ და საოცარი: „უფლება“ ქართულში „ბატონისაგან“ კი არ მოდის, არამედ „უფლისაგან“. ქართული გაგებით, მაშასადამე, უფლება საკრა-

ლური ბუნების ყოფილა, სწორედ ისე, როგორც ეს ესმოდათ ოქროს ხანაში. ამას ქართული მითური თქმულებანიც ადასტურებენ. უძველეს დროში, მოგვიტხრობს ერთი თქმულება, დღეს-ღამე მთაზე მეფენი ისხდნენ დროდადრო; ისინი ცდილობდნენ ერთი ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი დაეჭირათო. რა ნიშნით? თავიანთ ხალხთ ბედი მართებულად რომ წარმართათ. აზრი ამ თქმულებისა ნათელია: მეფემ თავისი მიწიერი ძალა კუთრი მადლი უნდა ანოკიეროს და ამტკიცოს. ეს მადლი აქ ვარსკვლავის სახით ვლინდება. თვითონ ვარსკვლავი „ხატია“ გრალისა; პირინეის გრალის ვარიანტით გრალი ქვაა, გვირგვინიდან ამოვარდნილი ციდან მოსხლეტილი ლუციფერისა. და აი ამ ვარსკვლავ-ქვას იპყრენ თქმულების მეფენი. თამარ დედოფალს, მეორე თქმულებით, ჰქონდა იმავე დვალის მთაზე კოშკი, საცა ერთ სკიერში ასეთი ვარსკვლავი ესვენა, ციდან მიღებული. ერთხელ, როცა დედოფალი შინ არ იყო, მსახური გოგო მიეპარა სკივრს, ახადა მას სახურავი, ვარსკვლავი ამოვარდა და გაფრინდა ცისკენაო. ამ თქმულებაში სხვა აზრით: ვიგინდარას არ შეუძლია მიეკაროს საკრალურს; თანვე ისიცაა ნაგულისხმევი, რომ „მეფულე“ საკრალურისა „მუდამ ფხიზელი“ უნდა იყოს („Egredo roi“), რათა ხელიდან, ასე თქვათ, არ „გაუშვას“ იგი.

არც ერთს ტრადიციამ ეს წყობა საკრალურისა არ ჩამოსხმულა ისე ღრმად და მძლავრად, როგორც ეს არის გამოკვეთილი უგენიალეს ქართულ სახელდებაში „ხელმწიფე“. აი კიდევ ერთი პოემა ქართული ხილვისა, ერთი სიტყვით თუ ერთ სიტყვაში გამოთქმული. რატომ მაინც და მაინც „მწიფე“? ხელი, რადგან ხელი სდებს ზღვარს კულტურის მხრით ადამიანსა და ცხოველს შორის; ვინ უნდა გზნებდეს ამ ზღვარს უკიდურეს, თუ არ მმართველი, მეთაური ტომისა თუ ხალხის? რად უნდა იყოს მისი ხელი მწიფე? ოქროს ხანაში მმართველი ეგულებოდათ მდიდრად და უხვად – რას ნიშნავს „მწიფე ხელი“, თუ არ სიმდიდრესა და სიუხვეს? ოქროს ხანაში მმართველი იყო ძლიერი და მარჯვე – რას ნიშნავს „მწიფე ხელი“, თუ არ სიმდიდრესა და მარჯვს? მიხელი წერეთლის აზრით, „მწიფე“ ნიშნავს „მწიფდომასაც“. მაშასადამე „მწიფე ხელი“ ნაგულისხმევია „მწლომელიც“: ესე იგი ის, ვინც წვდება მას, რაიც სხვისათვის მიუწვდომელია. ხოლო ამით არ თავდება ხელმწიფის სახელდებით ნა-აზრი: იგი კიდევ უფრო მეტს, უფრო გულისხმიერს მოასწავებს. ოქროს ხანაში მმართველი მეფეც იყო და მღვდელიც. ქართული გაგებით ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან, როგორც ითქვა, „ფლობა“ გამოვლინებულია „უფლისაგან“. მფლობელი, მაშასადამე, მღვდელიცაა. იმავე მკვლევარის მიგნებით, სიტყვა „მღვდელი“ წარმოსდგება სიტყვისაგან „ლუღვა“, რაიც „წვას“ ნიშნავს. მღვდელი: ანუ მწველი. იგულისხმება წვა არა მარტო გარკვევანი: წვა შესაწირავი ცხოველისა, არამედ შინაგანიც: წვა წადილით ღვთისურის მისაღებად. მფლობელი – როგორც მეფე და მღვდელი ერთს პიროვნებაში – კურთხეულად ითვლებოდა: იგი ჰყვანდა ირგვლივ გარდამქმნელ ძალას სხვისიანს: ბარჯს, გერმანულად შესატყვისით „ჰაილ“-ს (Heil), რაიცა ხელდასმით გადადიოდა სხვაზე. რენე გენონის მოწმობით, ამ ძალ-გადაცემას არაბულ-ებრაულად „ბარაქაჰ“ ეწოდებოდა. ეს სიტყვა ქართულ სიტყვებშიც გვხვდება და სწორედ ხელთან დაკავშირებით უმთავრესად: „ბარაქიანი ხელი“, ნაგულისხმევია კურთხეული ხელი, მადლის გამოვლინებელი. რა არის ეს ხელი კურთხეული, თუ არ იგივე „მწიფე ხელი“? დიახ, ქართული სახელდებით, „ხელმწიფე“, მოცემულია პლასტიურად მთელი კონცეპტია „Priester - Konig“-ისა, მღვდელ-მეფის.

ასე გვირგვინდება საკრალური წყობა შენს პირველ ხილვაში, კარლუ, რაიცა აქ ყველაზე უფრო გარკვეულად ქმედლებაში გამოსჩანს.

დავით აღმაშენებელი

ეს მეფური მართვა – კიდევ უნდა დავლოცოთ გენია ქართული სიტყვისა: „მართვა“, ანუ ღვინვა „მართლისა“ – ეს მეფური მართვა, საკრალურად მიჩნეული, გვხვდება არა მარტო ქართულ „მითოსში“, არამედ ქართულ „ისტორიაშიც“. „რამეთუ თქვენ ხელმწიფენი უფალგყვნა ღმერთმა ქვეყანასა განგებასა“ – ვკითხულობთ გიორგი მერჩულის უკვდავ ნაწარმოებში: „ცხოვრებაი წმინდა გრიგოლ ხანძთელისა“, „სამეფო ტახტი მერწმუნა პირველ ღვთისაგან და მერე მშობელთა ჩემთაგან“ – ამბობს დიდი დედოფალი თამარ. კიდევ უფრო საოცარი: საქართველოში ჩვენ გვხვდება თვით „მეფე-ღვდელიც“. სახელი მისი: აღმაშენებელი დავით, დიდი მხედარი და ნათელმოსილი პიროვნება. ომში ის „საღმერთო წერილიც“ მიჰქონდა ხო-



ლმე თან. „ერთხელ“, სამოციქულოს“ კითხვამ ისე გაიტაცა იგი, რომ კინაღამ წააგო ბრძოლა მან. თავის სახელს იგი სჭირდა ფულზე ხან როგორც „ხრმალი ქრისტესი“ ხან კი როგორც „ყმა ქრისტესი“: ხრმალი აქ მეფეა, მისი კი მღვდელი. გავიხსენოთ *Sain Bernard* და მისი „*Regle de l'Ordre du Temple*“, მისი მიერ როგორც „*Milice de Dieu*“ წოდებული. ჯვაროსანთა მიერ დავითი უმღერს პიროვნებად იყო მიჩნეული. მოვიყვანოთ ის ცნობანი, რომელნიც შესანიშნავად „მონივთა“ ზე: ავალიშვილმა თავის ცნობილ ნარკვევებში. 1109 წელს პარიზში მიიღეს ჯვარი, რომელზედაც ქრისტე ატევს ვადმოცემით. გამომგზავნი იყო ანსელმუსი, წმინდა საფლავის კანტორი იერუსალიმში. ჯვარი დაასვენეს დიდი მოწიწებით ერთ პატარა ბაზილიკაში, რომლის ალაგს შემდგომ აღიმართა ცნობილი ტაძარი „*Notre Dame*“. 1193 წელს, რეგულაციის დროს, ეს ტაძარიც დააბრუნეს და ააბრუნეს: ჯვარი დაიკარგა უცვლოდ. კანტორი სწერს თავის ეპისტოლეში: მე ეს ჯვარი საქართველოს მეფის დავითის ქვრივისაგან მივიღეთ. ნუ გამოუდგებთ აქ ისტორიულ შეცდომას: დავითი იმ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ჩვენთვის საგულისხმოა ეპისტოლეში ერთი თქმა: დავითმა „გოგსა და მაგოგს“ კასპიის ბჰენი გადაურაზა და გზები მოუჭრა. ვინ არიან ეს გოგა და მაგოგო? მინდობილ ტრადიციებში ხშირად იხსენიება „საკრავატრის“: მეუფე ქვეყნისა, რომლის სამეფო ადგილად იგულებებენ ჩრდილო პოლიუსის არეს, საიდანაც იგი ებრძვის ბნელსა და ქაოტურს. „მზე-მეფენი“ – ვადმოცემათა მიხედვით – ამ „საკრავატრის“-ის მსახიერებელი არიან, რომელნიც ავსა და უტელმართთან ბრძოლაში წარდგნას გადაურჩებიან ხოლმე და მალა მთებს აფარებენ თავს – გავიხსენოთ ნოე და მისი კილობანი. ისინი მეფეებად თვლებიან თორმეტისა: როგორც ზოგადი, კაროსი დიდი და მეფე არტუსი, ხალხთა თქმულებებში ამნაირადვე იხსება ალექსანდრე დიდი, აგრეთვე ცეზარიც. ახლოვდება თუ არა ბნელი ხანა, ანუ „ღმერთთა დაბნელება“, ეს მზე-მეფენი ევლინებიან კვლავ ქვეყანას სხვადასხვა განპიროვნებით, აღვივებენ თავიანთ ტრადიციულ ღმერთთა ძალას ღვთაებისა მოწილი ბნელისა და ქაოტურის წინააღმდეგ. გოგა და მაგოგა, ქრელიცათა ცნობით, ხალხია: ბოროტისა და უტელმართის მატარებელი. საკრავატრის არაა, თუ ეს არქმენა ვაცხოველდა ჯვაროსანთა რიგებში, რომელნიც იბრძოდნენ წმინდა საფლავის განთავისუფლებისათვის. და აი ერთი ჯვაროსანი აღნიშნავს სიხარულით – დავითმა, საქართველოს მეფემ, გოგსა და მაგოგს კასპიის საზღვარზე ბჰენი გადაურაზაო. და ვის შეეძლო ეს, თუ არ „მზე-მეფეს“, ანუ „მღვდელ-მეფეს“? ხედავ კარლუ, სად ასულა სახელი აღმაშენებელისა? გავყვით ქვევით. სირიაში და პალესტინაში საქრისტიანო სამთავროების დაარსებით საგრძნობლად შელახეს მუსლიმის სამფლობლო. ხოლო უკანასკნელი არ თვისთ თავის თავს დამარცხებულად: იგი იკრებს ძალას და უცდის ხელსაყრელ ეამს, რომ შეუტოს ჯვაროსნებს და უკუაგლოს იგინი. 1119 წელს ნადიმ ედლინ ელაზმა, ალექსის სულთანმა, დამარცხა ანტიოქიის მმართველი როგერ, ანტიოქიელად წოდებული. მუსლიმთა სამფლობლოს იმედი მიეტა. ხოლო ამ იმედს ჩრდილო მოადგა: სწორედ ამ დროს მძლავრდებოდა ჩრდილოეთში ერთი საქრისტიანო მხარე: საქართველო. მუსლიმთა წინაშე გევმა წამოიჭრა: ჯერ საქართველოს მოსობა და შემდეგ ჯვაროსანთა ვარეგვა, გევმა სწორი და კარგად ნანაგარი-შევი. 1121 წლის აგვისტოში, საქართველოს მოადგა ნადიმ ედლინ ელაზის მეთაურობით დიდი ლაშქარი: 600.000 მხედარი – არაბები, სულჯუკები, თურქენები. აგვისტოს 14-ს დიდგორის ველზე დავით აღმაშენებელმა დიდი სამარაი ოსტატობით დაამარცხა ეს ურდობი. ნადიმ ედლინ ელაზ თავში დაიჭრა და განადგურებული ჯარი უტოქდა. დავითმა განთავისუფლა ტფილისი სამეფოსაგან და ძველი ქალაქი სომხეთისა ანი საქართველოს შემოუერთა. ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა დიდ შთაბეჭდილებას გამოიწვევდა ჯვაროსანთა რიგებში დიდგორის გამარჯვება. დავითმა ამ გამარჯვებით არა თუ იხსნა მხოლოდ საქართველო განსაცდელისაგან, არამედ ამით მან ფასდაუღებელი დახმარებაც დაუწვია ჯვაროსნებსა. და აი ირტყება მისი სახელი ლეგენდად კიდითი კიდემდე. ერთი ინგლისური ქრონიკა – როგორც ის აქვს მოყვანილი ტიტე მარგველაშვილს ერთს ისტორიულ ნარკვევში, ავრთვევთ. სანდერსს წიგნში „კაუკაზიან“ – მოგვითხრობს: დავითმა, საქართველოს მეფემ, დაიარქვა სახელი „*Presbyter Johannes*“, გადავიდა აღმოსავლეთში და იქიდან მოდის ესლა საქრისტიანოს მოსაშველებლადი. შეგჩერდეთ ამ ცნობაზედ. საშუალო საუკუნოებში წამოიჭრა მძაფრად ევროპაში იდეა „მღვდელ-მეფისა.“ „*Das Heilige Römische Reich*“ გერმანულ მეფეთა მიერ ქმნილი, მსოფლმნიშვნელოვანი ცდა იყო ამ იდეის განხორციელებისა, ცდა



გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა მ ე ს ა მ ე

გრიგოლ რომაქიძის მიმართვა სამშობლოსადმი

(1954 წლის აგვისტო-სექტემბერში გრიგოლ რომაქიძე სტუმრად იმყოფებოდა რადიო „თავისუფლების“ ქართულ რედაქციაში, მიუხედავად იმისა, რომლის დროსაც მან რიგი სიტყვებისა გადასცა რადიოთი სამშობლოში. ქვემოთ ვებეჭდათ ამ რადიოგადაცემითა სრულ ტექსტს, რომელიც მოგვაწოდა ბატონმა კარლო ინასარაძემ, რომელსაც ამ საშინაურისთვის დიდ მადლობას მოვახსენებთ.)

1. მიმართვა ქართველ ახალგაზრდობისადმი

მამული გულით გიხმობთ შორეთიდან ახალგაზრდებო! თუ ჩემი მწერლური ნაქმი უცნობია თქვენთვის, სახელი მაინც გაგეგონებათ ჩემი. შეშეკითხებით: რატომ დავტოვე საქართველო, ჩვენი მამული და დედული ეგზომ მშვენიერი და ტკბილი? მოგიხსრობი. ბოლშევიკები გაჰყვირიან: „ხალხურ დემოკრატიას“ ვამყარებთ. სიყალბე მათი ამ სახელ-დებამში ჩანს: „დემო“ ნიშნავს ბერძნულად ხალხს; მამასადამე, „ხალხური დემოკრატია“ ასე უნდა იკითხებოდეს: „ხალხური, ხალხო-კრატია.“ ვამყარებთ დემოკრატიაში, უფრო მართალი იქნებოდა ეთქვათ: „ვამყარებთ დემონოკრატიაში.“ ეს არაა ხუმრობა. ადამიანისათვის უკანასკნელი საყრდენი უზენაესია—**ღმერთი**. საბჭოეთში ყოველი რწმენა ზებუნებრივისა დადავულია ლენინის ქეძადის სიტყვებით: „ტრუბოლოჟიცვა.“ ყურები გვაქვს გამოკედილი, ხალხთა კეთილდღეობისათვის ვიბრძვით, ამავე დროს, ხალხს როგორც ცოცხალ კრებულს ბასრი დანთ სახსრებს უხსნიან. ხალხის ალაც მასაა გამეფებული, რომელშიაც პიროვნება, ეს უხვთიერესი მოვლენა, სრულიად ითქვიფება. არავითარი სახე აქ არაა და მამასადამე არავითარი სახიერი. დღითგან შუალამემდე გაისმის: „დავეწიით, გავუსწროთ!“ ხალხი წელზე ფეხს იღამს და ჭაბან-წყვეტაშია. ყოველი ცალკეული ნუშერია მხოლოდ და ნუშერი-ნაკელი, ეგრედ წოდებულ: „სოციალისტური მშენებლობისათვის.“ ვამეტებ? დღევანდელი მოდგმა ნაკელად ეფინება ხვალინდელს, ხვალინდელი ასევე უნდა ეფინებოდეს მომავალს და ასე დაუსრულებლად. რაც ნოყიერდება ნაკელით, არის მხოლოდ კოლექტივი—ბნელი და უსახელო. ხალხისთვის რჩეული თავისთავს სწირავდა და როგორც გმირი, სახელი მისი ნათელი იფინებოდა მთელი ისტორიის კიდევანით. საბჭოეთში ქანცმორეული „სტახანოვეცი“, კოლექტივისათვის განწირული, ამოტივტივდება ხოლმე გაზუთების ფურცლებზე და ამ ფურცლებთან ერთად, რომელთაც სხვა მიზნისათვის ხმარობენ, იფიწყება ისე, რომ მისი სახსენებელიც აღარ რჩება.

მცენარე იზრდება; ქართველთა გენია იტყვის: მცენარე ხარობს. არის სიხარული საბჭოეთის მშენებლობაში? ძველად გლეხი, თითქოს მზის თესვებით სასვე, სიყვარულთ უახლოვდებოდა მიწას, ვითარ ქმარი, რათა გაენაყოფიერებია მისი საშუ. მიწა ნაყოფს გამოიღებდა მაღალი, გლეხი სიხარულით თვრებოდა. თუ მონახავთ ასეთ გლეხს რომელიმე კოლმეურნი-ობაში, თუ გინდ ერთადერთს, სიტყვა უკან წამილია. ვერ მონახავთ. ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ მაშინაა ადამიანი, როცა იგი თავის—უფალია; თავისუფლებაა სხივური ელემენტი ადამიანში. ვინაა თავისუფალი საბჭოეთში? არავინ. იქ ყველაფერი აკრძალულია, რაიც არაა ბრძანებული. დღეს რომ ერთი ბრძანებლოს, ხვალ იგი დღისაზრებლად მიჰყავთ. ბერიას ხვედრი საბჭოეთში გამონაკლისი არაა. იქ იგი ყოველდღის მოვლენაა. დამხრებეთ გუშინდელი მბრძანებლისა შიშის ქარი ურბენთ სახსრებში; ფიქრობენ: მათაც არ ხვედთ ეს ბედი. არის ეს დემოკრატია? შესაძლოა შემდგომთ ამ დებულების გამო, გარნა ვიცი სადღაც მიმალულ კუნძულში თქვენი არსისა დამეთანხმებით. თანხმობას მესვე მიჩქმალავთ, რადგან შიში აგივევთ, მაღული აზრი თქვენი, რომ არ იქნას ყურადღებულნი. საბჭოეთში კაცს შიშის გამო მოსვენებით ვერც კი დაუძინია. ეშინია სიზმარში ბოდვით არ წამოსცდეს გულნადები აზრი რაიმე. ასეთია საბჭოეთის სამოთხე. ეს სამოთხე მივატოვე და არა ნამდვილი სამოთხე, შეუდარებელი სამშობლო ჩვენი. მოწყვეტილი ვარ ჩვენს დედამიწას, ხოლო შორეული ფესვებით მანც მასთან ვარ. ეს ფესვებია უტყობი რომ მაიცოცხლებენ. ქალწო და ვაწო, ახალ-



გაზრდებო! დღე არაა თქვენზე და თქვენთვის არ ვფიქრობდ გულაჩუყებული და თვალსაზრისი. ვფიქრობ, თქვენში შეკრულია ბოლშევიზმის გამაგრებელი ძალა. თანვე ვივარაუდებ რომ ეს შეკრა ძირა ფენებს თქვენი არსისა ჯერ კიდევ არ წვედენია. თუ რაა ეს ფენები ამას ერთი მაგალითი ნათლევ დაგისახავთ. იყო ერთი ქართველი, თავადი, ანარქისტი და თავდადებული მამულიშვილი ვარლამ ჩერქეზოშვილი. ქართული მას არ ემარჯვებოდა. საქართველოს ბავშვობიდან იყო მოწყვეტილი. იცოდა რუსული, ფრანგული და ინგლისური. სიკვდილის წუთებში, როცა აღამიანის მთელი არსი შეიგრხება საუკუნეთაგან მოშველებული ფსევებით, მას უეცრად რუსული დაავიწყდა, ფრანგული და ინგლისურიც. მომავლადემა ქართულად იწყო ლულული. აი რა ძალისა არიან ძირა ფენები აღამიანისა, განსაკუთრებით ქართველისა. ეს რომ არ ვიციოდ ამ სიტყვითაც არ მოგმართავდით.

გულწრფელ იღეთ ყურად სიტყვა ესე, სიტყვა, რომელიც წრფელი გულიდგანა წარმოშეგებული და მამური გრძნობებით თქვენკენ მოშველებული. დაედნეთ მხოლოდ და მხოლოდ ღრმა სიტყვას ამ ძირა ფენებდგან; იქაა გულის ძეგრი და მაჯის ცემა საქართველოსი; იქაა განმეტყველება მისი. ისმენთ ამ ხმას, თქვენში წამოიჭრებიან წმინდა ნინო, რომელმაც ვაზის ჯვარით გვაზიარა ქრისტეს მცნებას, დავით აღმაშენებელი-ფუძემდებელი საქართველოს ხელმწიფებისა, მეფე თამარ, მზიური შარავანი იმ ხელმწიფებისა, ქეთევან დედოფალი-წმინდა ნინოს დობილი, წამებული ვაზის ჯვარისათვის, მესიტყვენი დიდი კარდუსი, ჩვენი მითიური თაურმდგენისა: იაკობ ხუცესი, გიორგი მერჩული, შოთა, საბა სულხან ორბელიანი, ილია, აკაკი, ვაჟა; წამოიჭრებიან თქვენში ძლევამოსილებით და მხრებში ამართლეთ თქვენ ვერა გძლევთ რა, იყვეთ იგი თუგინდ დემონური ძალა ბოლშევიზმისა. დაიმყენეთ სიტყვა ესე თქვენ ყმაწვილონ გულებში, ახალგაზრდებო! ხალას ნერგებო საქართველოს მომავლისა! გეხმადო? გინმობთ ქართველი მწყერალი, რომელსაც მწყერული გეზით ჯერ კიდევ მარდისათ აქვს ამართული მარჯვენათი მზიურ მეწამული აღამი საქართველოსი. ისმინეთ ხმა ჩემი და ჩემთან ერთად გადასძახეთ მშობლიურ მთა-ველებს: მზეგრძელი იყავ საქართველო!

2

მ ი მ ა რ თ ვ ა ქ ა რ თ ვ ე ლ ხ ა ლ ხ ს

ქართველო! გეხსომებათ ბაბილონური აღრევა ყნათა ირგვლივ 1950 წელს მოსკოვში. დისკუსანტებს მოჰყავდათ ფორმულა ენისათვის, ენგელის მიერ მონახული: „საშუალება ურთიერთშორის გაგებისა.“ თითქო პირტყვეთ არ შეეძლოთ გაგება ერთიმეორისა! ამ ფორმულას ურთავდეთ მინამატს სტალინისა: „და ბძოლისა.“ თითქო იმავე პირტყვეთ არ შეეძლოთ უსიტყვოდ წარმოება ბძოლისა! ენა აქვს მხოლოდ იმ არსს, რომელიც აზროვნებს. პირტყვეთ არ აქვთ აზრი, არც სჭირდებათ: ცოდნა ყოფისა და ცოდნა თვითონ მათთვის ერთი და იგივეა. ეალერსება, მაგალითად, ფაშატი დედა თავის კვიცს, მან იცის ალერსი აქტში ალერსისა. ჩვენ კვ მეტყველოთ, შესაძლოა გეკონდეს აზრი ალერსზე, თვითონ ალერსი კი არა. აქაა ზღვარი მეტყველთა და პირტყვეთა შორის. ასეთი გაგება ენისა ბოლშევიცების მიერ მოწმობს იმას, რომ უკანასკნელთ არ ხემათ, თუ რა არის ხალხი, ანუ უკეთ: არა სწამთ იგი. ენა აზროვნებს: აზროვნობს გეკრად უფრო ღრმად ვიდრე ცალკეული პიროვნება, თუგინდ გენიალური. ათას მაგალითებიდან აქ მხოლოდ ერთი, იტყვის რომელიმე მემატინანე: „დავით აღმაშენებელმა განამტკიცა ხელმწიფება საქართველოსი“- ამავე დროს მიმართავს რომელიმე დიასახლისი თავის გოგონას: „შვილო, ფქვილი გამტკიცე“, აქ პირველ შემთხვევაში „მტკიცება“ იგულისხმებს „გამაგრებას“, მეორე შემთხვევაში „გაწმენდას“. გამოიხევა: რაე მტკიცე არის, ის წმინდაა, და რაც წმინდა-მტკიცე. ვინ გაიაზრა ეს? ყველა ჩვენგანს ენა უკვე ქმნილი ხედება წინ. მოაზრე აქ ხალხია თვითონ: კრებული პიროვნება, თავისებური არსი; არც ერთს ხტლიში თავის ისტორიული ვითარებისა ხალხი არაა მოცემული „მთლად“, ხლო ყოველში იგივე ყრთეულია“. სხვა იყო საქართველო მეთხუთმეტე საუკუნეში, სხვა იგი მეოცეში. გარნა იგი იქაც და აქაც საქართველოა, როგორც ერთი და იგივე არსი კრებული ხუნებისა. ბოლშევიციებისთვის კი ხალხი მხოლოდ ამა თუ იმ დროს სტატისტიკურად აღრიცხული „გროვა“ ცალკეულთა. ამავე დროს, ცალკეულს ამ გროვაში მხოლოდ „ნუშერული“ ფასი აქვს. ბერია ერთხანად ძლევამოსილი, ქრება უეცრად. მეტი: სახსენებელიც ითხრება მისი. დღეს თუ ეს ემართებათ ბერებს, რას უნდა ელოდნენ უბრა-



ლო მოქალაქენი? — ჩაუვკირდით თანამემამულენო ამ მოვლენას საარაკოს. ყოველი ხალხი რომელიმე განსაკუთრებული სახით აცნაურებს მსოფლიოს; სხვა კომპროსის სამყარო, სხვა რუსთაველისა, სხვა გილგამეშისა, სხვა ათარვაბედისა, ჰინდუსთა. ამიტომ ყოველი ნამდვილი კულტურა ინდივიდუალურია. რამდენად ინდივიდუალურია კულტურა, იმდენადვე უნივერსალურია იგი. შეევიკობიან, მაგალითად: შემოხსენებული სამყარონი ერთიმეორეს, იხილავენ ერთიმეორეს მთელს სამყაროს. იხილავენ, ვინაიდან თითოეული მათგანი მათგანი, თუმცა ერთი სახით, აცნაურებს მსოფლიოს, იმავე დროს ასარკულად ამენებს უკანასკნელს, როგორც მიავს. საბჭოეთში კულტურას სტალინის ფორმული მართებენ: „ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური.“ არ ესმით ჭკუათმყოფელი, რომ ყოველი შინაარსი თავისგანვე ქმნის თავის გარსს, ვარც არსს, სახეობას, ფორმას. კულტურა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური, არც ინდივიდუალურია და არც უნივერსალური: მას არ აქვს შინაგანი პლასტიური სხეობა და ამრიგად სახე, სახიერება. იგი კულტურა ანონიმისა. შეადარეთ, მაგალითად, რომელიმე ნაქმი რუსული ჩვენს დროისა რომელიმე ქართულ ნაქმს: გვეგონება თითქოს თარგმნილი იყვნენ ერთიმეორეთგან; დედანი, ორიგინალი? ვერ მოწახავთ: მის ალაგას მიძალა ანონიმი. ესა კულტურა?! თანამემამულენო, ბოლშევიზმი ხრწნის შინაგან ხალხს და ამყარებს ფსევდოკულტურას. ქართველთა კულტურა, ასე ინდივიდუალური და ეგზომ უნივერსალური, ქართველი ერის წილიდან უნდა აგრძელებდეს თავის ვითარებას. წვდით ცოცხალ ფესვებს საქართველოსა: მის გენიალურ ენას, მის უნივერსალურ მითოსს, მის ჰეროულ თავგადასავალს, მის ხალას სტილს სიცოცხლისა, წვდით ამ ფესვებს და ფესვები არწივის ფრთებით აგვსნით, და ამ გზით მოიპოვებთ თავისუფლებას. თავის—უფალი, გესმით რა გული-სხიერი სიტყვა! მარჯი საქართველოს თავისი თავის უფალს!

ს უ ლ ი ს დ ა შ ლ ა

მოსკოვის გაზეთ „პრავდა“-ში გამოქვეყნებულია სიმონ ჩიქოვანის წერილი ქართული მწერლობის შესახებ, რომელსაც მსურს მოკლედ შეეცხო. სიმონ ჩიქოვანს თუ დავუჯერებთ, მწერლები: გიორგი ლენინძე, ილო მოსაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, გერონტი ქიქოძე, შალვა დადიანი, კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიაჩელი, დემნა შენგელია, ვასო გორგაძე, გალაქტიონ ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ალექსანდრე აბაშვილი, რაუდენ გვეტაძე, ალექსანდრე ქუთათელი, შალვა აფხაიძე, ხარიტონ ვარდოშვილი, ვიქტორ გაბესკირია, მარიჯანი, ყველა ესენი თავგამოდებით ემსახურებიან საბჭოეთს. თვითონ აქ ჩამოთვლილ მწერლებს რომ შეევეკითხოთ, ისინიც ამასვე იტყვიან. ყოველი მათგანი ამ თქმისას გულწრფელი, ხოლო არც ერთი მათგანი: „ნამდვილი.“ ეხმარებ ამ სიტყვას როგორც შესატყვისის გერმანულისა „ეხტ“. როგორ? გულწრფელი და არანამდვილი ერთსა და იმავეს დროს?

ბოლშევიზმის გავლენა სულიერ არეში მეტად რთული მოვლენაა. იგი უფრო ატმოსფერულია, ვიდრე ფიზიურ-ხელსახეები. ჩემი „ჩაკლული სული“ უმთავრესად ამ ატმოსფეროს მხატვრული გადმოცემაა. ერთ მაგალითზე შეგვიძლია ნათელგაყოთ ამ ატმოსფეროს გავლენა. წარმოვიდგინოთ: ვინმე მხეცადტყეულმა ვაჟმა ძალა იხმარა ქალწულზე, რომელსაც თავისი სიქალწულე საკარალურად მაჩანია. წმინდათაწმინდა უკანასკნელისა სამოღვაწის შელახულია, ხოლო სიცოცხლე მისი თავის გზით მიდის მიანიც, პატივცემილი ქალწულის ქვეშეცნულ ვენებში თავს იჩენს დროდადრო ერთი მეტად საიდუმლო და თან საგულისხმო პროცესი, ქალწულს უელვებს ხანდახან ფიჭრი: შესაძლოა სასწაული მოხდეს და მან კიდევ შეიკვაროს პატივამყრელი. მაშინ? მაშინ მომხდარი თითქოს არ მომხდარა და ქალწული აღარ იტანჯვის. იგი უახლოვდება თავის პატივამყრელს. დღითიდღე თანდათან, თითქმის უნებლიედ უახლოვდება, რადგან მოწადინებულია მასში რაიმე დადებითი ნახოს. ნახავს ასეთს რამეს, თუ გინდ სულ მცირეს, იგი აზვიადებს მას უზომოდ. პატივამყრელი რასაკვირველია უცვლელი რჩება. ქალწულს ხანდახან ექვიც ეპარება დაახლოვებაში, ხოლო უკან დახევა მისთვის უკვე ძნელია. იგი განაგრძობს ერთხელ აღებულ გზას და ვერ ხედავს,

რომ ყოველი მის მიერ გადადგმული ნაბიჯი დასაბუთებულად მხოლოდ უფსკრულსა და მიაქანებს მას. მისი არსი ორდება, მისი თვისების შილიანობა ირღვევა. იგი, ვისთვისაც ვათ, გულწრფელია თავის ქცევამო ყოველ წამს, ხოლო არც ერთ წამს ნამდვილი, ვინაიდან მისა მისი გაზზარულია შინაგან.

საბჭოეთის მოქალაქე ასეთ ქალწულს გვაგონებს. იგიც გაზზარულია და გაორებული და როგორც ასეთი გულწრფელი და არანამდვილი ერთ და იმავე დროს. „საჩვენებელი პროცესები“, „მანებელთა“ თუ „განხრითა“, ასე გავრცელებულნი საბჭოეთში, ადისტურებენ მხოლოდ ამას. საოცარი და საცნაური ამ პროცესებისა აქ მარხია. მწერლობაშიც იგივე ხდება, ანუ შინაგანი ნამდვილობის დარღვევა. ავიღოთ მაგალითისთვის კონსტანტინე გამსახურდია. შემთხვევა მქონდა წამეკითხა მისი რომანი „დიდოსტატ კონსტანტინეს მარჯვენა“, რომელსაც, ქართველ ტყვეთა გადმოცემით, თვალსაჩინო გამარჯვება რგუნებია საქართველოში, რომლის დერძი კონსტანტინე არშაქიძის ცხოვრებაა, რომელმაც ააშენა „სეკტიცხოველი“, მცხეთის ტაძარი, კათალიკოს მელქისედეკის დროს, დაახლოებით 1020 წელს. სეკტიცხოველი ვით უფრო ძველია; არშაქიძემ უცეა მას მხოლოდ ის ფორმა, რომლითაც ეხლა ჩვენ გვევლინება. მხატვრულ ნაწარმოებებს მსჯავრი რომ დასდო საბოლოო, ამისთვის საჭიროა მისი ორჯერ მაინც წაკითხვა. აქ მხოლოდ ჩემს პირველ შთაბეჭდილებას გავაცნობ მეითხველს: 1. ეპიურ ნაწარმოებში „მოთქი“ ისე უნდა სჩანდეს, როგორც კამარა მოვლებული განფენილი ლანდშაფტის; ამ რომანში კი დეტალები ნთქვენ მოელს. 2. ისტორიული რომანი მეცნიერული კვლევა არაა, ცხადია, იქ არყოფილსა აქვს ადგილი. ხშირად სწორედ ამას, ხოლო არყოფილი ისე უნდა იყოს იქ გადმოცემული, თითქო იგი მართლაც ყოფილიყოს; ეს მოითხოვს დიდს ვიზიონერულ ნიქს, აუცილებელს გზნებისათვის წარსულის „სულიერი ჰავისა“; წარმოსახული, ამ შემთხვევაში არყოფილი, უნდა იყოს სახიერებელი ვითარ ნამდვილი: ესე იგი როგორც ყოფილი. გამსახურდიას რომანში კი მრავალი სცენები „ზღაპრობის“ შთაბეჭდილებას სტოვებენ.

3. რომანში ყოველი ამბავი ცოცხლად უნდა იყოს თხრობილი, ეს თავისთავად ცხადია, ხოლო იქ, სადაც მოთხრობილია საუკუნოებში გადასული ამბავი, ეს „ცოცხალი თხრობა“, ასე ვთქვათ, შორეითდან უნდა ჰქროდეს. ესე იგი, ამბის აღქმევისას ერთგვარი „მანძილი“ უნდა იყოს დატული. აქ კი ხშირად ისეა ამბავი თხრობილი, თითქო იგი გუშინ მომხდარიყოს. ეს სხვათა შორის ზემო მუხლში ნათქვამითაც აიხსნება: თუ ვერ წვდები წარსულს ვიზიონერულად, მაშინ ძალაუფლებურად უგვაქვს იქ „ჰავა“ აწმყოსი.

4. მეორე ნახევარი რომანისა იმპრესიონისტულ-ფელეტონისტურად არის გაშლილი, რის გამო თხრობა ჰკარგავს ეპიურ ნელ განფენილობას, ეგზომ აუცილებელს წარსულის გადმოხსენებად. მიუხედავად ამისა, ეს რომანი გაცილებით უფრო უყუთესია, ვიდრე „დიონისოს დიმილი“. ყოველ მხრით. შევებოთ ეხლა „დათობას“.

რომანში გამოყვანილია ერთი ფეოდალი, მეფის მოწინააღმდეგე, რომელიც აგრეთვე ეკლესიასაც ებრძვის, რადგან განხრითა წარმართობისაკენ (და ეს მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს). მეფეს უნდა თავიდან „მოიცილოს“ იგი, ეკლესიას სურს მოიგოს მისი გული. იმართება შეხლა-შემოხლა. ფეოდალი იძულებული ხდება ერთხელ სეკტიცხოველის სასწაულმოქმედ ხატს ეამბოროს, შინაგან „უგულოდ“, რასაკვირველია. რამდენიმე წუთის შემდეგ იგი კვდება. ხალხს ჰგონია ხატმა „უწია“, სჯულის უარისმყოფელსო. ხოლო აქ სხვა რაღაცაა! ფეოდალის უეცარი სიკვდილი იწვევს ათასგვარი მიუქმა-მოთქმას. საქმე იქამდეც მიდის, რომ ხატსა სინჯავენ. მოჰყავთ ერთი ჯიშისანი ძაღლი, რომელმაც ხატი ენით უნდა ალოკოს. ალოკვის შემდეგ ძაღლი კვდება წამსვე. ირკვევა, თურმე ერთს ავუნტს მეფისა მოუწამლავს ხატი რაღაც სითხით. შინაგანი მიმართება ამ ადგილისა აშკარაა: 1. მეფე „გაბითურებელია“ – რა ის მეფე, რომელიც მოწინააღმდეგის მოსაცილებლად ასეთ საშუალებას მიმართავს? 2. „გაბითურებული“ ხატი – რა ის სათაყვანო ხატი, რომელსაც ასე ექცევიან და ასე იყენებენ? ბოლშევიკები, რასაკვირველია, გაიხარებდნენ, როცა რომანის ამ ადგილს წაიკითხავდნენ, ხოლო ქართველნი? ყოველ ქართველს ეს სცენა ისარგებოდა და მოხვდება გულში.

შესაძლოა რომელიმე ქართველი მეფე ვერ იდგა თავის მეფურ სიმალეზე; ამის მაგალითებსაც ვხედავთ საქართველოს ისტორიაში, ხოლო აქ მაღულად, თითქოს სუნთქ-



ვით, თითქოს „ხელმწიფების“ იდეაც არის „გაკაწრული“, ის იდეა, რომლითაც გამარჯობის „ცხოვრება ქართლისა“, მაგრამ ეს კიდეც არაფერი; თავიდათავი აქ ხატის შელახვაა.

„სვეტიცხოველი“ საკარალური შუაგულია საქართველოს ისტორიისა და მისი ხატი სიმბოლური სახე ამ შუაგულის. მცხეთის ახლოს, ერთს გორაკზე, რომელსაც მოგვასს უხმობდენ, ძველად მოგვნი მზესა და ცეცხლს თაყვანსა სცემდენ. მცხეთის გვერდით ეგულუბოდით კარლუს სალვაი; მცხეთაში მივიღეთ ჩვენ. ქრისტეს სჯული, მეოთხე საუკუნის დამდევს. აქ გამოსკრა წმინდა ნინომ ჯვარი, რომელსაც თავისი თამბი მოახვია: უნივერსალური სიმბოლო მთელს საქრისტიანოში; მცხეთა უძველესი დედაქალაქი იყო საქართველოსი; მის წიაღში განისვენებენ მეფენი და მთავრები. არ არის შემთხვევითი ამბავი, თუ აქ აგებულ ტაძარს „სვეტიცხოველ“ დეერქვა: გასაგებია ისიც, რომ ქართველთა განცდაში და შეგნებაში ამ სვეტის“ გარდამქმნელი ძალა „გასაგნდა“ როგორც სასწაულომომქმედი ხატი. და აი გამსახურდას რომანში ეს ხატია შევიღებულნი. რელიგიური კულტი რომ განთავი დავტოვოთ, ეს შევიგნება ფსიქოლოგიურად მიინც ქედაფივით მწველია. ეს არის ერთი მოკლე ეპიზოდი რომანში, გარნა ვიცით: ხშირად ერთს წვეთს საწამლაგისა შეუძლია მოწამლოს მთელი წყარო. აი სადამდე მისულა გამსახურდას „დათმობა“, იმ გამსახურდაისი, რომელიც ერთ ზროს მისტიკოსად და მორწმუნედ თვლიდა თავის თავს! ამ დათმობით „მოწამლა“ მან არა მხოლოდ თავისი წიგნი, არამედ თავისი თავიც. საბჭოეთის ატმოსფეროში რომ არ ეცხოვრა, ამ „დათმობას“ იგი არ დაუშვებდა და ვერც დაუშვებდა. თავიდათავი აქ ესაა.

ს უ ლ ი ს და შ ლ ა . . ნაწილი მეორე.

წავიკითხე პირველი წიგნი გამსახურდას ტრილოგიისა სტალინზე, ორი დანარჩენი დაამთავრა თუ არა არ ვიცი. ეს წიგნი ლიტერატურულად უნიშვნელოა, მასზე ლაპარაკიც არ ღირს, როგორც გადმომცეს იგი მმართველ წრეებში ცივად მიუღიათ. აქ მხოლოდ ერთი ფრიად საგულისხმო საკითხი იხადება: როგორ მოხდა, რომ ავტორმა შესძლო მეთერთმეტე საუკუნის დამდევს მომქმედ არშაიკის ცხოვრების ასე თუ ისე მხატვრულად გადმოცემა და ვერ უშეძლო იმ კაცის პიროვნების ხელოვნური განსახიერება, რომელიც აი ეხლა, ჩვენი დროში ცხოვრობს. ეგებ „თვალთმაქცობდა“ იგი, როცა ამ წიგნს სწერდა? არა. მე დარწმუნებული ვარ: იგი გულით იყო მოწადინებული სწევდომდა მხატვრულად აღებულ საგანს. ვერ მოახერხა? ეს მხოლოდ იმის გამო, რომ აქ მას თუმცა „გულწრფელს“ აკლდა „ნამდვილობა“.

მკითხველი შეშეკითხება: თქვენ მოიყვანეთ გამსახურდა როგორც მაგალითი; მასასადამე თქვენ გულისხმობთ, რომ სხვა მწერალთაც ასეთივე მარცხი მოუვიდოდათ; ხოლო მართალია ეს? აიღეთ გიორგი ლეონიძის პოემა სტალინზე! ეს პოემა მოწინააღმდეგეა ხომ არა მარტო ბოლშევიკთა მიერ; შეკითხვა მართებულია. ეს პოემა, რომელიც დაუჯილდოვებით კიდევ, წავიკითხე. „შინაგანი დათმობა“ ამ პოემაშიც ჩანს, ხოლო იგი ოსტატურად არი დაფარული. დაკვირდით: ნამდვილი პოეტური ადგილები ამ პოემისა გვხვდებიან არა იქ, სადაც პოეტი სტალინს სახავს, არამედ იმ „გარემოს“ აღწერაში, სადაც უკანასკნელი დიბადა და გაიზარდა. იგი პოეტურად სახულ „გარემოში“ არ არის „სახიობით“ შეზრდილი. მოახდინეთ შემდეგი ცდა: აიღეთ სხვა რომელიმე ისტორიული პიროვნება, თუ გინდ გიორგი სააკაძე. ჩასვით იგი ამ „გარემოში“, დაინახავთ: პოემა ოდნავადაც არ შეიცვლება. რაც თვითონ სტალინზეა აქ ნათქვამი, პოეტურობის მხრივ, უბრალო რიტორიული ხობტა და სხვა არაფერი. ნუთუ ეს ვერ შეამჩნიეს? საკვირველია. ამასთან დაკავშირებით მსურს მეორე მაგალითი მოვიყვანო, უფრო საოცარი. საქართველოს გასაბჭოების თხუთმეტი წლისთავის აღსანიშნავად გამოქვეყნდა ერთი დიდი შაირი, შედგენილი, რიცხვში თუ არ ვცდები, ოთხი პოეტის მიერ. ამასში ერთი იყო პროეტარული პოეტი, „თანამგზავრთა“ რიგებიდან თვალსაჩინო; დანარჩენები—სახელოვანი პოეტები „თანამგზავრთა“ რიგებიდან, მათ შორის: პაოლო იაშვილი, უკვე ტრალიკულად დალუპული, რომელსაც შაირის პოეტურ გამართვაში ძვირად თუ ვინმე გაეტყუებოდა. რა გამოვიდა მერე? მთელს შაირში ერთი წვეთიც არაა პოეტური: არც ერთს სახსარში, არც ერთს სახეში, არც ერთს ხტილში. ესაა რიტორიული პროზა, მხოლოდ შაირად დასტამ-

ბული. „თვალთმაქცობდენ“ ავტორნი? არა. ისინიც გულით იყენენ მოწადინებულად, თუ ვერ შექმნათ, ეს მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი შინაგან არ იყენენ „ნამდვილნი“; ერთი პროლეტარული პოეტი, თავის თვითნებაში არაგაბზარული, რას შეძლებდა ამ საერთო საქმეში! ეს შიირი დასდაუღლებელი ღოკუმენტია საბჭოეთის გეზით გამართული შემოქმედების უძღურებისა და უნაყოფობისა. მივიკირს ნუთუ ბოლშევიკებმა ვერ შეამჩნიეს ეს?

ვფიქრობ ნათელყოფილია ამ წერილის გამოსავალ მუხლში ნათქვამი. თვითონ ჩამოთვლილ მწერლებს რომ შევეკითხოთ, ისინიც იმასვე იტყვიან, რასაც ამბობს სიმონ ჩიქოვანი. ყოველი მათგანი ამ თქმისას იქნება გულწრფელი, ხოლო არც ერთი მათგანი „ნამდვილი“. სიმონ ჩიქოვანს ნახსენები ჰყავს ჩემი ნაცნობი ცხრაშეტი მწერალი (სხვებს, ბოლშევიკებს, ან ჩემთვის სრულიად უცნობი, აქ არ ვგებები). თითოეული მათგანი თავისებური ტალანტია. მათ შეეძლოთ უთუოდ მწიფობის ხანაში მნიშვნელოვანი რამ მიეცათ ქართული ლიტერატურისათვის. საბჭოთა ატმოსფეროში მათ არ ძალუძთ მისცენ უკანასკნელის მეთაღეცი იმისა, რისი მიცემაც მათ შეეძლოთ—სწორედ იმ „სინამდვილობის“ გამო. ბოლშევიკებად რომ იქცენ? შემეკითხება მკითხველი. ჯერ ერთი, მათი ქცევა ბოლშევიკებად ძალიან ძნელი ამბავია, გარდა ორი სამისა. მე კარგად ვიცნობ მათ: ისინი შინაგან დამთფრებულნი იყენენ, როცა მე საბჭოეთი მივატოვებ. მეორე, ასეთი ქცევა შინაგან გარდატეხას მოითხოვს, რაიც შესაძლოა მხოლოდ თავისუფალ არეში; ბოლშევიზმის არეში კი, სადაც მხოლოდ გარეგანი ძალაა გამეფებული, ასეთი გარდატეხა საუკვოა. მესამე, კიდევაც რომ იქცენ ბოლშევიკებად შინაგან და ამრიგად ვახდენ „ნამდვილნი“, მაშინაც ვერ გამოიღებს მათი ნიკი ნაყოფს, რადგან ბოლშევიზმი და ხელოვნება ერთიმეორეს ეწინააღმდეგებიან. აქ არაა ადგილი ამ საკითხს შევგებო. ვიტყვებ მხოლოდ: მთელს საბჭოეთში მე არ მეგულება არც ერთი ნაწარმოები, რომელიც არსებითად ბოლშევიკური იყოს და იმავე დროს ხელოვნური. თუ რამ თვალსაჩინო შეიქმნა საბჭოეთში ამ მხრით, ეს მხოლოდ და მხოლოდ ოსტატური „გვერდის ავლით“ ბოლშევიზმისა. მაგალითების მოყვანა ზედმეტია.

დასასრულს ერთი შენიშვნა: ომის დროს, სიმონ ჩიქოვანის მოწმობით, დავით აღმაშენებლის სახელიც მიუჩნევიათ ბოლშევიკებს საღებულად. ჩიქოვანი და ძმანი მისნი უნდა ჩაუტვირდენ ამ „მიჩნევას“, მათ კარგად იციან, რომ ორი სამი წლის წინად დავით აღმაშენებლის დიდებულ ხსენება საკმარისი იყო, რომ მაღიღებელი წამსვე მიეხვებოდა. ბოლშევიზმის თვალსაზრისით ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან დავით აღმაშენებლის პიროვნება ძირიან-ფესვიანად ამომგდებია ბოლშევიზმისა. დავით აღმაშენებელი არის დიდი კარდუს მიერ დგინებული გეზით მზმელი(მომქმელი); დავით აღმაშენებელი არის გამფენელი და მტკიცებელი ლაშარის თუ თეთრი გიორგის სხივოსნობისა; დავით აღმაშენებელი არის რაინდი და მცველი ვაზის ჯვარისა; დავით აღმაშენებელი არის მატარებელი საქართველოს „ხელმწიფობისა“, ამ სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობით; დავით აღმაშენებელი რეალური სიმბოლო არის საქართველოს „თავის-უფლებისა“, მისი „თავის-თავადობისა“. საკმაოა დავით აღმაშენებლის ფენომენი შეიჭრას თავისი ქმედითი ძალით გასაბჭოებულ საქართველოში, რომ იქ ნიშანწყალიც არ დარჩეს საბჭოეთისა.

გმეორებ: ჩიქოვანი და ძმანი მისნი უნდა ჩაუტვირდენ, რად დასტირდათ ბოლშევიკებს ომის დროს დავით აღმაშენებლის სახელის საღიღებულად მიჩნევა? საკმარისია ეს შეკითხვა საჯაროდ გამოთქვან მათ, რომ შემეკითხველი: ჩიქოვანი და ძმანი მათნი, მარტოდ მარტო ამ შეკითხვისთვის, იმ სოფელს გაისტუმრონ. ჩაუტვირდენ ამას და შინაგან მისცენ თავის თავს „გულწრფელი“; პასუხი; თანავე „ნამდვილი“ პასუხი: მხოლოდ მაშინ ექნება მათს სიტყვას ფასი.

4. ქართველ მწერლებს

საქართველოს მწერლებო! გეხსმებათ გრიშაშვილი ერთ შაირში ლავრენტი ბერიას ხოტბა შეასხა. ხოტბაში იქამდის მივიდა, რომ ესეც წასცდა, ვაუგონარი რამ: „უბრძანე მტკვარს, უკან იწყებს დენასო“ – მტკვარი თავის დენას განავრძობს, მბრძანებელი კი იმ სოფლისავენ გაისტუმრეს ისე, რომ ამ სოფლად ხსენებაც იქნა მისი აღმოფხვრილი. გრიშაშვილი ალბათ თითებს იკვნეტს ახლა ამბობს: რამ დამაწერინა ეს უხამსი რამო! ვეტყვით: დააწერია იმ სისტემით გაშლილმა ატმოსფერომ, სადაც ყველაფერი აკრძალულია, რაც არაა ნაბრძანები. ეს მაგალითი მცირე დეტალია, ხოლო ისეთი, რომელიც სწორუბორად ასახავს მთელს „სამოთხეს“ საბჭოეთისა. მწერლობა არა თუ „ბრძანებით“ იგი „რეცეპტივით“ ვერ გაიშლება. რეცეპტით წამალს ამზადებენ – აბა სცადეთ რეცეპტით მზადება რომანისა თუ შაირისა, მიიღებთ ნაქნარს ფინაჩისა, ესეც უკეთეს შემთხვევაში. ავტორმა აქ ხელითგან უნდა გაავდოს კალამი, ანდა გახდეს ფინაჩად, იყვეს იგი თუ ვინდ შექსპირი. ვერც „სოციალური დაკვეთა“ იხსნის მწერლობას საბჭოურ პირობებში, რადგან დაკვეთა საბჭოეთის ხელისუფალთ მწერლის საქმეში „ჩარევად“ ესმით. ისტორია ამ იცის დაკვეთა, გარნა არა საბჭოური. მიქელ ანჯელომ მოხატა „სიქსტინის კაპელა“ პაპის დაკვეთით, ხოლო პაპი არ ჩარეულა ხელოვანის შემოქმედებაში. ჩარეულყო ნათიხანი გამოვიდოდა ნახატი. არაგინ იქნება წინააღმდეგი იმისა, მწერალმა გაშალოს შეკვეთილი, თუ, თუ რასაკვირველია, შემკვეთელი არ ჩაერევა ავტორის მწერლურ პროცესში. ჩარევა გამოვა „ხალტურა“. მაგალითების ძებნაში შორს არ წაივყვანთ. ვაგყავთ არხი, ვაყვანა ტექნიკის მიხედვით უნდა მიდიოდეს. რაღაც საარაკო რამ იქნება ვეტყვით: ეს არხი ვაპყავთ „ლენინისტურად“ თუ „სტალინისტურად“, ასეთი რამ ქვეყანაზედ არა გვეგულება რამ. ლიტერატურა გამოწავლის არ წარმოადგენს. „ლენინისტური“ ლიტერატურა თუ „სტალინისტური“, ეს რუსთა თქმა რომ ვიხმართ, იქნება „კურამ ნა სიმე“!

გაისმის დღე-ღამე მოწოდება: ასახეთ საბჭოელი ადამიანიო. ავიწყლებათ, ან იგივეყებენ, რომ საბჭოელი ან რუსია ან უკრაინელი ან ქართველი ან სომეხი ან რომელიმე სხვა. საბჭოთა სისტემა ისტორიული მოვლენაა – ხალხთა ყოფა კი ზეისტორიული. რუსს ვერავითარი სისტემა აქცევს ქართველად და ქართველს რუსად. კულტურის წილი ხალხია და არა ესა თუ ის სოციალური წყობა. ერთი და იგივე ხალხი განივლის ხოლმე სხვადასხვა წყობას სოციალურს. წყობა წყობას ცვლის, ხალხი იგივე რჩება. აქაა სათავე ყოველი კულტურისა. ხალხი განუმეორებელი ცალკეულია, ინდივიდუალური – ასეთივეა კულტურაც, რა მხრით? ყოველი ხალხი ერთერთი ასპექტია მთელის: კაცობრიობის. ასპექტი, რომელშიაც „მთელი“ სხივონსობს. ამ ხაზით, ერთი ხალხი ეხმინანება მეორეს. ეხმინანება „მთელში“ ესიტყვება მას. ამრიგ იშლება უნივერსალობის მომენტი ყოველი ხალხისა. ასევე ყოველი კულტურისა. „გაღვამეშის“ ადამიანი სუმერთა სხვაა, ვიდრე „ათარვავედას“ ადამიანი ჰინდუსთა. სხვაა ჰომეროსის ადამიანი ბერძენთა. წაუყვანეთ ეს სამი ადამიანი ერთიმეორეს – ერთიმეორეში იხილავენ „მთელს“: ადამიანს. აი რა უნდა გახსოვდეთ, თუ გწადთ. აცნაუროთ მწერლური განფენით კულტურა საქართველოსა.



გრიგოლ რობაქიძის უკანასკნელი
ბარათი სანდრო ფანჩულიძისადმი.

ძვირფასო სანდრო! მივიღე *Bl ancho t*-ის წიგნი. ეს წიგნი სხვაა—თუმცა ძალიან საინტერესო. მე რომ მიწოდდა, ის წიგნი ფრანგულად არ უნდა იყოს ცალკე წიგნად გამოსული. ასე გავს. წერილები თუ ამოიღეს ჟურნალითგან „*Nouvel le Revue Francaise*“ და გამოსცეს ცალკე წიგნად გერმანულად! ასე გავს რეცენზიის მიხედვით. — ნონე გაფრინდაშვილი. საოცარი გამარჯვება: 9 : 2 ! „რუსსკაია მისლ“—ში მოხსენებულა ვითარ: „ნაშა სოოტჩეჩტვენცია.“ დღეს ვუგზავნი რედაქტორს (გოდოვს) „მაგარ“ პასუხს — არა გამოსაქვეყნებლად.*

მოკითხვა ყველას.
იყავი კარგად!

შენი
გრიგოლ



გრიგოლის უკანასკნელი სურათი
ნოვემბერი 1962 შენევა

* მან თვითონ უნდა გამოასწოროს ეს, თუ...

ჩ ე მ ი ნ ა ტ ვ რ ა

ჩემმა მკითხველმა იცის, თუ როგორ მესახვის მე მცხეთა. იგი წმინდა საშოა ჩვენი მიწისა. იქ ეგულებოდათ ჩვენს ძველებს საფლავი კარდუსი. მცხეთის მიდამოში აირჩიეს ძველად მოგვებმა ერთი ადგილი: იქ აღიდებდნ და თაყვანს სცემდნ ისინი მზესა და ცეცხლს. მცხეთის უბეში მივიღეთ ჩვენ ქრისტეს სჯული. აქ გამოჭრა ნინომ ჯვარი ვაზის ნახსლეგებისათნ და მოახვია მას თავისი თმები. აქვე მტკიცდებოდა ხელმწიფება საქართველოსი. აი მცხეთა როგორც კამარამოვლებული „მთელი“. ერთი დაუწერელი პოემა ღვთიურისა და ადამიანურის ურთიერთ ზიარებისა. „სვეტიცხოველი“ ამ ზიარების ქვით ნაშენი ტანია. შედინხარ ტაძარში და ამჩნევ კუთხეში მარჯვნივ პაწა სალოცავს, ძველის ძველად აშენებულს. ტაძრის მშენებლებს იგი არ დაუნგრევიათ.

თუ ზემოხსენებული ამბები ქართული გენიის მადლის ნაპერწკლებია, ეს სალოცავი ამ მადლის განხატებაა თვითონ. იგი თითქო აკვანია იმ პირველ ლოცვისა, რომელიც აქ აღმოხდათ ღვთის ძის მიმართ მღვიგან გულებს. ჩვენს ძველებს ხელი არ უხლიათ მისთვის, რათა არ წაშლილიყო პირველ ლოცვის ნეტარ მაცხოველებული კვლი. რა სინაზუა აქ, რა სისათუთე ნივთიერებისადმი, რომელშიაც ადამიანში შობილ ღვთიურ ნაკადს გაუვლია...

ჩემი ნატვრაა: როცა მე ამ სოფლად უკვე აღარ ვიქნები. მოდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყრველ წელს მცხეთას. მწიფობის, ჩემი დაბადების თვეში, სანთელს აანთებდეს ამ პაწა სალოცავის წინ და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს.

მეტს არას ვთხოვ საქართველოს.

გრიგოლ რობაქიძე

„კავკასიური ნოველების“ წინათქმა

(1979 წელში გერმანულ ენაზე, დასავლეთ გერმანიაში, მეორედ გამოიცა გრ. რობაქიძის „კავკასიური ნოველები“, რომელსაც წამძღვარებული აქვს თვით ავტორის წინასიტყვა, რომელიც თარგმნა ბატონმა კარლო ინასარიძემ (იგივე დავით თაბორიძე). თუმცა ეს წინათქმა უკვე დაიბეჭდა კრებულ „კავკასიონის“ უკანასკნელ ნომერში, ჩვენ კიდევ საჭიროდ დავინახეთ მისი დაბეჭდვა ჩვენი მკითხველებისათვის. თ.ტ.)



„ამბობენ, ერთმა ევროპელმა, როცა ამიერკავკასიის ქვეყანა გაიარა, მის სამოგზაო ჟურნალში ჟურნალში ქართველი ხალხის შესახებ სამი სიტყვა ჩაწერა: ღვინო, დღეუკი, ქალები. საქართველოში ილიმებიან ამ გამოთქმის შესახებ; თუმცა, შინაგანკერძოთი, უმნიშვნელოდ არ მოჩანან ეს ალგორითული სურათები ქართველთა არსებითი სახისათვის.

მეთხე საუკუნის დასაწყისში, მცირე აზიიდან მოდის სასწაულებრივ ლამაზი ქალწული, სახელათ ნინო, რომელმაც ყველაფერი მიატოვა, გარდა ქრისტეს უღრმეს რწმენისა. შინაგანი შთაგონებით მოძრავი, მოხვდება საქართველოში. ის ნათლავ ხალხს და აძლევს მას ჯვარს. მაგრამ როგორ აკეთებს ის ამას? ის ქრის ჯვარს ვენახის ღერწებისაგან და შეკრავს მას მისი თმით, ისე თითქოს უხვევს ატრემლებულ ღერწთ კრილობებს... ჯვარი, ვენახის ღერწისაგან გამოჭრილი, ქალწულის თმით შეკრული – არ არის ეს რაღაც მიწით-ღონისით, რომელიც მის გონებრივ-სურათს ღვინო ატრეკინებაში პოულობს?

ეს ჯვარი დასვენებულია დიდ სიონის ტაძარში, თბილისში. ატრეკინების ღმერთი არის რასობრივ ფსიქიკაში ქართველებისა მართლაც მთავარი ელემენტი. მთელ საქართველოში დღესასწაულებზე 23 აპრილს ძველი სტილით წმინდა გიორგის დღესასწაულს, ანუ „თეთრი გიორგისა“, როგორც მას ხშირად უწოდებენ და, რომელიც ქრისტიანულად გარდაქმნილი ღონისია, ქართული.

ეგრებიდან მეტად სახე გამარადილებულია. ის იყო კოლხელი, ქალიშვილი მზისშვილის აეტისა, და კოლხეთი იყო ნაწილი ანტიკური საქართველოსი. ცნობილი ქართველი ქალების სამყაროს ამაზონური ბუნების გაგებისათვის მედეა იძლევა მასშტაბს. ქალი საქართველოში თამაშობს დიდ როლს. ერთი მაგალითი: საქართველოს ოქროს ხანა იწყება მეთერთმეტე საუკუნის ნახევარში და გრძელდება მეცამეტე საუკუნის ნახევარამდე. მეფე დავითმა (1089 - 1125) გააფართოვა ქვეყანა და განამტკიცა ის, მაგრამ აყვავებას აღწევს ის პირველად თამარ მეფის დროს (1184 - 1213). მისი საზღვრები აღწევს შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე, კავკასიის ქედიდან მდინარე არაქსამდე. პოლიტიკურად მისი გავლენა ვრცელდება სულთანატ აზერბაიჯანზე და ტრაპიზონის იმპერიაზე. ქვეყნის კულტურაც იზრდება. ჩნდება სასახლის პოეტები. იბადება საწყისები სივარულითა და ჰეროიკული ეპოსისა, ნაწილობრივ თარგმანები, ნაწილობრივ საკუთარი ქმნილებები. ითარგმნება ფირდუსის ცნობილი

„მეფეთა წიგნი“ და „ვისრამინიანი“, ნაწარმოებები, რომელიც „ტრისტანისა და იზოლდას“ ლიტერატურულ „ეპიფენომენად“ შეიძლება განხილულ იქნას ირანულ აღმოსავლეთში. დაბოლოს, ქვეყნდება ცნობილი ეპოსი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ქართული ლიტერატურის ამ ეპოქას „კლასიკურის“ ხასიათს ანიჭებს. იფურჩქნებიან მონასტრები სინაიზე, იერუსალიმში და წმინდა მთაზე ათონზე, სადაც ბიზიის ქართულად თარგმანა და მთავრდა. პლატონური ფილოსოფია, და განსაკუთრებით ნეოპლატონიანების, გავებით, პოულობს შემოქმედებით გამოძახილს. ყველა ამ მოვლენას, გადმოცემით, აწერენ გენიას ზღაპრული თამარისა. ის გახდა საუკუნოების განმავლობაში მითოსი – და მითური რეალობა არის უფთოდ მეტი და უფრო აზროვანი, ვიდრე ისტორიული. გოეთე მისი „დივანის“ შენიშვნებში მშვენიერი სიტყვები უძღვნა ქართველ ქალებს.

მთელი საქართველო მღერის. მისი დამატევეებელი, შეუდარებელი სიმღერები არის უმთავრესად გუნდური სიმღერები, და სახელდო ბრ სამხმიანი, მაგრამ ეს სამი ხმა კი არ არიან თანაბარფლებიანი, როგორც დასავლეთურ პოლიფონიაში: ყოველი ხმა იმღერება განსაკუთრებული სახით. ამ სიმღერების ჰარმონიაც მეტად თავისებურია: ჩვენ აქ არ გვაქვს არც მავრო-მინორ ჰარმონია დასავლეთისა, არც ძველი საეკლესიო ტონალური სახეები. როგორც „სიმღერა“; ფართე გავებით, შეიძლება იწოდოს პოეზიაც, განსაკუთრებით საქართველოსი. ქართველები ქმნიან ლექსებს ყოველთვის, უმძიმეს პირობებშიც კი. მეხუთე საუკუნედან დღემდე გამოქვეყნდა უამრავი ნაწარმოები, რომლებიც არა მარტო საქართველოსათვისა მნიშვნელოვანია. მის მრავალ პოეტიდან მსურს აქ მხოლოდ ორი მსოფლიო მნიშვნელობის დავასახელო: შოთა რუსთაველი (თამარ მეფის დროის) და ვეა ფშაველი (1862 - 1915). რუსთაველი არის ავტორი აღნიშნული ნაწარმოების „ვეფხისტყაოსანისა“, რომელიც ევროპაში, გადაქარბების გარეშე, შეიძლება შედარებული იქნას დანტეს „ღვთიურ კომედიასთან.“ ვეა ფშაველს პოეზიაში ცხოვრობს რაღაც ნა-



თესაური გილგამეშისა და ილიადისა.

საქართველო—დღეს ერთი რესპუბლიკა საბჭოთა კავშირისა—შეიცავს რამდენიმე ნათესავ ტომებს: კახელებს, ქართლებს, იმერლებს, გურულებს, მეგრელებს, აჭარლებს, აგრეთვე მთიულ ტომებს სვანებს, ხევსურებს, ფშავებს, თუშებს. ესენი არიან ყველა ქართველები და ლაპარაკობენ ერთნაირ ქართულ ენაზე, სვანებისა და მეგრელების გამოკლებით, რომელთაც გააჩნიათ თავიანთი დიალექტები, სახეობანი ქართულისა. ისტორიკოსები ამბობენ უძველესი სამშობლო ქართველებისა იყო ქალღმერთი. ამიტომ ზევსს ერევენება ქართული ენა ძველი ასურულის ცოცხალი ნარჩენი. საქართველოს ენა დღეს დგას მარტოდმარტო და არის წარმოუდგენლად ლაკონიური და სუბსტანციური. მსოფლიო სიბრძნეც ირეკლება ამ ენის აგებულებაში...

პლატონი და ჰეგელი განცვიფრდებოდნენ რომ ცოდნოდათ, ქართულად „ყოფნას“ და „არყოფნას“ ერთიდაიგივე ფესვები აქვთ. ჰეფეზოელი ჰერაკლიტოსი გახარებული იქნებოდა, რომ მას გაეგო — ქართულად „ცხოვრება“ და „ცეცხლი“ ერთია. საქართველო არის გასადები წინააზიის უგზოუკვლოდ დაქარაღული ხალხების გამოსაცნობად. მისი ტომები, განსაკუთრებით სვანები და ხევსურები, არიან ნაგეჯეები ძველი ათასწლოვანი კულტურებისა. მათ ზნე-ჩვეულებებში არის რაღაც ისრავლთა ხალხისა, ჰეტიტებისა, როგორც აგრეთვე სუმერულებისა და ბაბილონელებისა. მხოლოდ ერთი მაგალითი: 2700 - 3000 წლების წინ ტბა ვანის სანაპიროებზე წარმოიშვა ძლიერი იმპერია ქალდეელებისა. ერთი მისი მპყრობელის, აგრიშტის მიერ, ტბის კლდოვან საპირზე ლურსმულის მსგავსი წარწყურა დატოვებული, რომელიც დღემდე ახსნილი არ არის. ამბობენ, რომ მისი ახსნა შესაძლებელია სვანურის მეშვეობით. სვანთა ტომობრივ შეგნებაში დღესაც ცოცხლობს უძველესი სიტყვა „ქალდე“; მდინარე ენგურის ხევის ერთს გვერდზე მდებარე ფერდობზეა კლდოვანი უბე, პატარა სოფელი, რომელიც ამ სახელს ატარებს.

საუკუნეების განმავლობაში უცხოელს ეჩვენება საქართველო როგორც ზღაპრული ქვეყანა. შემთხვევით არ მოგვიხსრობს თქმულება არგონავტებისა, რომლებიც ეწვიენ ძველ კოლხეთს, მეომარ იასონის მეთაურობით, რომ „ოქროს საწმისი“ ეპოვნათ.

ეს ქვეყანა მოქმედების ადგილი თანმოყოლებული მოთხრობებისა: „ჯადოსნური წყაროები“ და „წმინდა ხარის მოკვლა“. ნოველა „იამბ შამილი“ ხდება ჩრდილოეთ კავკასიაში: ჰეროიკული — რაც ახასიათებს მთელ კავკასიას, რომლის კლდეებზე, თქმულებით, პრომეთე იყო მიჯაჭვული — ცდილია ასახულიყო სახელგანთქმული მთიელი მეთაურის ფიგურაში“.

გერმანულიდან თარგმნა დოქტორი
კარლო ინასარიძემ

გრიგოლ რობაქიძის თხზულებათა არასრული სია

I. საქართველოში გამოცემული წიგნები:

„ლონდა“ — დრამატული სიმფონია.
„კარდუ“ — ტრავედია სამ მოქმედებად.
„მალშტრემ“ — ფანტასმაგორია 6 სურათად.
„ლამარა“ — პასტორალი 5 კამარად.
„ხალიბის რკინები“ — ლირიკა
„მზის ნარჩენი“ . ლირიკა
„ხორალები“ — ლირიკა
„პატმოსის რიტმები“ — ლირიკა.

„გველის პერანგი“ — რომანი.
„ქართული ავტორები“ — კრიტიკა.
„უცხოელი ავტორები“ — კრიტიკა.
„პორტრეტები“ — რუსულად.
„ლიტერატურული პრობლემები“
„ესთეტიური ნატეხები.“
„ქართლის ცხოვრების“ ეთოსი“

2. გერმანიაში გამოცემული წიგნები:

„გველის პერანგი.“ რომანი ქართველი ერისა, სტეფან ცვაიგის წინასიტყვაობით. იენა, 1928.
(„Das Schlagenhend.“ Ein Roman des georgischen Volkes. Mit einem Geleitwort von Stefan Zweig. Verlegt bei Eugen Diederichs in Iena 1928.)



„მეგე - ქართველი ქალიშვილი.“ რომანი. ტიუბინგენი 1932 წელი. („*Megi. - Ein georgisches Mädchen.*“ Roman. Rainer Wunderlich Verlag. Tübingen. 1932.)

— „კავკასიური ნოველები.“ ლიფციგი 1932. („*Kaukasische Novellen.*“ Insel-Verlag 1932)

— „ჩაკლული სული.“ რომანი. იენა 1933. („*Die gemordete Seele.*“ Roman. Eugen Diederichs Verlag. Iena 1933.)

— „ქალმერთის ძახილი.“ რომანი. იენა. 1934. („*Der Ruf der Göttin.*“ Roman. Eugen Diederichs Verlag. Iena. 1934.)

— „დემონი და მითოსი.“ ჯადოსნურ სურათთა რიგი. იენა 1935. („*Dämon und Mythos.*“ Eine magische Bildfolge. Eugen Diederichs Verlag. Iena 1935.)

— „წმინდა გრალის მცველნი.“ რომანი. იენა 1937. („*Die Hüter des Grals.*“ Roman. Eugen Diederichs Verlag. Iena 1937.)

გერმანულად დაწერილი, მაგრამ გამოუქვეყნებელი თხზულებები:

„ატლანტიური ზმანება ანუ ქართული მითოსი.“ „იზისის წყაროსთან.“ „ფრიდრიხ ნიცი-შე.“ „ტენენ და მითოსი.“

ლირიკა: „მოკვდავი არწივი.“ „ჰიმნი ორფეოსისადმი.“ „უენდარკი.“ „მზილავი.“ „ელვანაკრავი.“

კრებულ „ბედი ქართლისა“-ში, 1948 წლიდან სიკვდილამდე, გრიგოლ რობაქიძეს გამოუქვეყნებული აქვს 32 წერილი, სტატია თუ მოთხრობა. მათი სრული სია იხილეთ: „ბედი ქართლისა“ №47. პარიზი. 1964.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა მ ე ო თ ხ ე

გ რ ი გ ო ლ რ ო ბ ა ქ ი ძ ი ს და ბ ა დ ე ბ ი დ ა ნ 100 წ ლ ი ს თ ა ვ ი ს
ზ ე ი მ ი პ ა რ ი ზ შ ი

როგორც „თავისუფლების ტრიბუნა“-ს ამის წინა ნომერში ვიუწყებოდით, მიმდინარე წლის ოქტომბერში დაბადებიდან ასი წლის შესრულებასთან დაკავშირებით, პარიზში ჩატარდა გრიგოლ რობაქიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ორი დღე: კვირას, 29 ნოემბერს, განსვენებულის პანაშვილები იქნა გადახდილი წმიდა ნინოს ეკლესიაში და შემდეგ მის საფლავზე სოფ. ლევილის სსსაფლავზე; კვირას, 6 დეკემბერს კი, პარიზში, წმიდა ნინოს ეკლესიის დარბაზში, 16 საათიდან 19 საათამდე გაიმართა ლიტერატურული დღე მიძღვნილი სახელოვანი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი. ამ დროს წარმოთქმული თუ წაკითხული სიტყვები და მოხსენებები ქვემოთ ქვეყნდება, გარდა ბატონ შალვა კალანდოძის შეტად საინტერესო მოხსენებისა: „გრიგოლ რობაქიძე - დიდი მოაზროვნე“, რისი მიზეზიცაა ტექსტის უქონლობა.

საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა გულნარა ურატაძემ მიიღო შემდეგი მისასალმებელი დეპეშები და წერილები:

მზია და ალექსანდრე ჭიჭიკიძისა და გიორგი ნაყაშიძისაგან - არგენტინიდან; რაფელ ჯაშისა, დავით ვაშაძისა, კარლო ინასარიძისა, იაკობ კრიხელისა, ნოდარ გაგულაშვილისა, კობა მელიქიშვილისა, დავით ბეკურბიძისა, იოსებ ჟორჯოლიანისა, და ნუგზარ შარიასაგან - გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკიდან; პრინც აშოლ მიურასა, სომოს ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე გრიგოლ კვარცხავასა, ბაგრატ ჭაქიაშვილისა, ალექსანდრე ჯიღარისა, კლოდ კემულარიასა და შალვა ანთაძისაგან - საფრანგეთიდან.

კარლო ინასარიძემ ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო გერმანიიდან ჩამოსვლა და ზეიმში მონაწილეობა. მისი მოხსენება კრებას წაუკითხა ლევან ფაღავამ. ასევე ვერ დაესწრო ოჯახური მდგომარეობის გამო ნუგზარ შარია, რომელსაც იუბილარის შიარბი უნდა წაკითხა. დავით ვაშაძის ჩამოსვლა პარიზში არ შეუძლებოდა. მისი მოხსენება წაიკითხა გულნარა ურატაძემ. ეთერი წერეთელმა ფრანგულად წაკითხა გრიგოლ რობაქიძის „ლა ყეორკი ან სონ იმაჟ დუ მონდ“-ის ეპილოგი.



ხობტა გრიგოლ რობაქიძეს

(ეს ლექსი ავტორის საიუბილეო საღამოზე უნდოდა წაეკითხა. დაბრკოლების გამო ვერ შეძლო დასწრება მასზე.)

ქართული სიტყვის მოურავო—მოურველო!
ფილოსოფოსო, მოაზროვნე, დიდი პოეტო!
შენ პირველმა თქვი, რომ ვიწამოთ ჩვენ
ფიროსმანი—
ქართული ფრეკის გენიოსი და ხელოვანი.

პირველი იყავ უცხოეთში, ივერიელმა
აამეტყველე ძირმაგარი ქართული ენა.
„ლამარას“ შემდეგ დაგვიხატე წარმტაც
ფერებით,
მოგვაჯადოვე „ჩაკლულ სულით“, ლამაზი
„მეგით.“

შენ შეგვაყვარე მთის არწივი ვაჟა ფშაველა,
ფშაურ შაირით სხვა სამყარო რომ აამდერა.
დიდო ოსტატო! ჯადოქარო ქართული სიტყვის,
გახდები ღირსი, უეჭველად, უქნობ გვირგვინს!

უმცროსი ძმები შეგხვდებიან საიქიოში:
შენი პაოლო, ტიციანი, გალაქტიონი,
პოეზიისთვის, სამზოზლოსთვის ჯვარს რომ ეწამენ,
ცისფერ ყანწებით სადღეგრძელოს შენსას შესვამენ.


გიორგი ნოზაძე

დეკანოზ ილიას სიტყვა

პირადი აღძრვით და ჩვენი მრევლის
სახელით ემონაწილეობ დღევანდელ
ზეიმში გრიგოლ რობაქიძის პატივ-
საცემად.

დიდი ხანია, ორმოცდაათიან წლე-
ბში, ვიყავი შემთხვევით ენგევაში,
სადაც განსვენებული ცხოვრობდა უკ-
ანასკნელ დიდი ომის შემდეგ, და
მივედი მასთან სახლში. სიამოვნებით
ვისმინე იმისგან დადასტურება მისი
ქრისტიანული რწმენისა. მით უფრო
დამწუხრებული ვიყავი, რომ არ მივი-
დე მონაწილეობა მის დაკრძალვაში,
იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ გვი-
ან გავიგე მისი გარდაცვალება.

მთელ ქართველობასთან ერთად ვა-
ფასებ გრიგოლ რობაქიძეს როგორც თა-
ვისებურ მოაზროვნეს, და განსაკუთრე-
ბით როგორც ქართული მწერლობის არა-



გულნარა ურატაძე ვარდების კონას
აღებს პოეტის საფლავის ქვაზე



მოდვარი ილია წირავს პოეტის საფლა-
ვთან



ჩვეულებრივ წარმომადგენელს. რაც შეეხება მის აზროვნებას საზოგადოდ, ჩვენ იძულებული არა ვართ ვეზიაროთ ყველა მის არჩევანს. თავის, ნიცმესაგან ამოღებულ, პრობლემატულ კონცეპციაში ისტორიისა, რომაქიძე ადვილად და სწრაფად აძლევდა თავის ადრეთიანებულ გულს ამა თუ იმ თანამედროვე პოლიტიკურ პიროვნებებს, და შეუძლებელია მივყვეთ ჩვენ მას ამაში. მაგრამ უფრო საინტერესოა მისი კვლევა ქართველ ხალხის აზროვნების განხილვისაკენ.

რასაკვირველია, არავის არ შეუძლია ჰქონდეს პრეტენზია შეუცდომლობისა. მაგრამ ჩვენთვის ერთია საკმარისი: ესაა სიმართლის განცხადება საქართველოზე, მის დამოუკიდებლობაზე, მის წმინდა უფლებაზე იყოს მთლიანად თავისუფალი, რაც ჩაწერილია ქართული ერის გულში და თვით მის ბუნებაშიც. ჩვენთვის, ყველა ვინც ამაზე მოწმობს და ამ საბაროზე მოქმედობს ჩვენი თანამგზავრია, და ჩვენ მათ გვერდზე ვართ. ეს კი იყო მთავარი მიზანი გრ. რომაქიძის ინტელექტუალური ბრძოლისა. ხოლო გრ. რომაქიძის ძირითადი მოწმობა მდგომარეობს მის შეგნებულ, დაინებულ სამსახურში ქართული ენისა. ის იყო არა მარტო ნიჭიერი მწერალი, პოეტი, რომანისტი, დრამატურგი, ესეისტი, ის იყო აგრეთვე ენის ხელოვანი, მისი ტექნიკოსი. გრ. რომაქიძე იყო ქართული ენის სისულეთების მცველი. ის არა მარტო ხმაირობდა ჩვენს ენას ფორმალური სილამაზით, არამედ კიდევაც ჰქონდა მაღალი პატივისცემა მის სპეციფიკურ არსებაზე. ნამდვილად, გრ. რომაქიძე იყო ქართული ენის მომთხოვნი მკვლევარი, აღმოჩენი მის დამალულ შესაძლებლობათა. ნათლად მახსოვს, რომ ამ მიმართებით ლაპარაკობდა, განსვენებული, თავის მოხსენებაში პარიზის ქართულ საზოგადოების წინაშე, როდესაც ის დაბატიებული იყო ჩვენი სათვისტომოს გამგეობის მიერ.

გრიგოლ რომაქიძის ამ მნიშვნელოვან მოღვაწეობის გამო, მისი ასეთი დამსახურების გამო ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოსადმი, მინდა მეც მივუმატო ჩემი უღრისი ხმა დღევანდელ საერთო ზეიმს გრიგოლ რომაქიძის პატივისცემად. ქეშმარიტად გრ. რომაქიძე იყო და სამუდამოდ რჩება, ჩვენსა, და მთელი ქართველი ერის ხსოვნაში, ცოცხალი მოწმე ქართული წერილით.

ილია მელია

გრიგოლ რომაქიძის ბიოგრაფიული ცნობები

გრიგოლ ტიტეს-ძე რომაქიძე დაიბადა 1881 წლის ოქტომბერში, სოფ. ობჩაში—დედოლეთში. მამამისი—ტიტე—ცხოვრობდა სოფ. ჩხარო-ეწერში, ზემო იმერეთში(შორაპნის მაზრა). ჰქონდათ მუხის ძეგური სახლი. იქვე 15 მეტრის დაშორებით იყო ეკლესია „გუდელისი“, სადაც ტიტე რომაქიძე დაიკვნის როლს ასრულებდა. ამავე დროს ის იყო: წიგნების ამკინცველი, ბზის ხისაგან სეფისკვერების ფორმის გამომთლელი და საფლავების ქვებზე „ეპიტაფიების“ მკვეთელი.

გრ. რომაქიძემ წერა-კითხვა ისწავლა დაბა ჩხარის სკოლაში, შემდგომ შეიყვანეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. ჰქონდა არაჩვეულებრივი ნიჭი და დიდი მეხსიერება. ქუთაისის სემინარიის დამთავრების შემდეგ, გრიგოლი გაემგზავრა რუსეთში. შევიდა იურიდიკის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. ორი წლის კურსის მოსმენის შემდეგ, დატოვა იურიევი, გაემგზავრა გერმანიაში, ქ. ლაიფციგში დაამთავრა ფილოსოფიური ფაკულტეტი, გაბრუნდა რუსეთში—იურიევი და დაამთავრა იურიდიული დარგი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბრუნდება საქართველოში, ცხოვრობს თბილისში, 10 დავით გურამიშვილის ქუჩაზე. დაიწყო ლიტერატურული შემოქმედება. იყო: პოეტი, რომანისტი, დრამატურგი, კრიტიკოსი და სხვა. დაწერა ქართულად რომანი „გველის პერანგი“, „ამორძალთა დედოფალი“, „ფალესტრა“(დამთავრებული რომანი). დრამები: „ლონდა“, „მალსტრემი“, „ლამბარა“. მრავალი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები: ნიკო ბარათაშვილზე, ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელზე, ვაჟა ფშაველაზე, ალექსანდრე ყაზბეგზე და სხვაზე.

გრ. რომაქიძემ თარგმნა თავისი რომანი „გველის პერანგი“ გერმანულად, წავიდა გერმანიაში, დარჩა იქ რვა თვე, დასტამბა, რომელსაც წინასიტყვიობა წაუშემდგარა ავს-



„ცეცხლი“ მის ნაქმში? ...ღვივის.“(„ბ.ქ.“). ე. ი. შემომქმედმა რომ არ „დაწვას“ თავისი თავი, ესაჭიროება მას „საწვავი მასალა“; და რა უნდა იყოს ამგვარი „საწვავი მასალა“? ხელოვანისათვის, თუ არა იმ ეპოქის მოვლენებიც, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მის პიროვნება-გვარ-ტომ-ერზეც, რომლის აწმყო-წარსული ერთი მთლიანობაა, თვით ერის მი-თლოგიური წარსულის ჩათვლით, რის შედეგად გრივოდ რომაქიძე სამართლიანად ამბობს: „...მთითური რეალობა არის უთუთო მერტი და უფრო აზროვანი, ვიდრე ისტორიული.“ დაუ-მატო: „წარსული აწმყო.“ ე. ი. წარსული თავის თავის გამოსახულებას პოულობს ერის აწმყოში, რის შედეგად აწმყო-წარსული-წარსული - აწმყო ერთი მთლიანობაა. ერთი მაგა-ლით: ცნობილმა სუმეროლოგმა, პრიფესორმა მიხეილ(მიხაკო) წერეთელმა, რომელიც, სხვათაშორის, გრ. რომაქიძის გვერდზეა დაკრძალული პარიზის ახლო მდებარე სოფელ ლე-ვილის სასაფლაოზე, ჩემს შეითხვავზე, თუ როგორ მივიდა ის სუმეროლოგიამდე, მიაპსუხა: დაეიწყო რა პოლიტიკური მდებარეობა სასულიერო ახალგაზრდამ, მეცხრამეტე-მეოცე საუკუ-ნეთა მიჯნაზე, საქართველოს, ქართველი ხალხის მაშინდელი აქტუალური პოლიტიკური მოვ-ლენების განსჯის აუცილებლობამ ჩემს წინაშე წამოაყენა საქართველოს, ქართველი ერის ვინაობის საკითხი: რა ვიყავით, საიდან მოვდივართ, სადაა ჩვენი ეროვნული მეობის ძირ-გები? ამ საკითხების შესწავლას გავყვევ, რომ განესაზღვრა ჩემი აქტუალური პოლიტიკის თვალქმედრი ხაზიო. აქ თავისება წრე: თუ მიხაკო წერეთელი ცდილობდა, საქართველოს, ქარ-თველი ერის ვინაობას ჩაწვდენოდა კვლევის მეცნიერული ხერხით, რომ განესაზღვრა ჩვენი ერის მოქმედების ღრეგანდელი ხაზი, გრ. რომაქიძე ამავე გზას დაადგა როგორც შემოქმე-დი ხელოვანი, და მისი შემოქმედების ცენტრში იდგა, წერდა ის ქართულად თუ გერმანუ-ლად, საქართველო, ქართველი ერი, მისი წარსული და აწმყო, ვინაიდან მას სამართლიანად სწამდა, რომ: „...ყოველი ნამდვილი კულტურა ინდივიდუალურია. რამდენად ინდივიდუალურია კულტურა, იმდენადვე უნივერსალურია იგი.“

2.

გრივოდ რომაქიძის ამგვარი რწმენა - (ა. შემოქმედება „შინაგანი წვავა“ შემოქმედისა, რომელსაც ესაჭიროება „საწვავი მასალა“, რომ იგი თვითონ არ დაიწვას; ბ. ერის ვინაობა როგორც ერის საყრდენი: და აქედან გამომდინარე, გ. „რამდენად ინდივიდუალურია კულ-ტურა, იმდენად უნივერსალურია იგი“) - განსაზღვრა მისმა ცხოვრებამ და გამოცდილებამ: გრივოდ რომაქიძე დაიბადა 1881 წლის ოქტომბერში და გარდაიცვალა 1962 წლის 19 ნო-ემბერს, უენევაში, სადაც ის დაკრძალული იქნა, და შემდეგ გადასვენებული ლევილის ძმათა სასაფლაოზე. ამგვარად, გრ. რომაქიძე იყო მოწმე ისეთი დიდი ისტორიული მოვლენებისა, როგორებიცაა, სხვათა შორის, 1905 წლის რევოლუცია რუსეთის იმპერიაში, პირველი მსო-ფლიო ომი, 1914-18 წლებში, 1917 წლის თებერვლის რევოლუცია, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვეერენობის აღდგენას - 1918 წლის 26 მაისს, ბო-ლშევიკური გადატრიალება რუსეთში, დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობა ლენინის რუსეთის მიერ 1921 წლის თებერვალ-მარტში, რაც ფაქტურად იყო არა მარტო საქართ-ველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვეერენობის გაუქმება, არამედ უგულე-ბელყფაც ქართველი ერის, მისი ვინაობა-მეობისა, რაც იყო გრ. რომაქიძის მსოფლხედის საფუძველი. და ამ ფაქტმა, უდავოა, ზეგავლენა მოახდინა გრივოდ რომაქიძეზეც, როგორც შემოქმედზე.

3.

სამწერლო მოღვაწეობა გრ. რომაქიძემ მიმდინარე საუკუნის პირველ ათეულ წლებში დაიწყო. მისი შემოქმედება განსაკუთრებით გაიშალა 1915 წლიდან, როცა, სხვათა შორის, საფუძველი ჩაეყარა ქართულ სიმბოლიზმს, „ციისფერ ყანწულებს“ დასს, რომელიც დაარსდა ქუთაისში, 1916 წლის პალო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, ვალერიან ვაფრინდაშვილის, კოლაუ ნედირაძისა და სხვების მიერ. „მე ვიყავი „ყანწულებთან“, წერს გრ. რომაქიძე, მხოლოდ როგორც მეგობარი უფროსი, დამხმარე და წამახალისებელი.“(„ბ.ქ.“ 1964). და ათიან - ოციან წლებში გაიფურჩქნა გრ. რომაქიძის შემოქმედება: რომანი „გველის პერა-ნეა“, დრამატული ნაწარმოებები: „მალმტრები“, „ლონდა“, „ლამარა“, კრიტიკული ნარკვე-ვები: ვიუაზე, აკაკიზე, ფიროსმანზე, ნიკოლოზ ბარათაშვილზე, თანამედროვე და კლასიკურ მწერლობაზე. ყველა თავის ნაწერში გრ. რომაქიძე ამვლენებს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალ-

ხის წარსულის, მითოლოგიური საწყისების, ქართული ენის დიდ ცოდნას და სიყვარულს. 1930 წლის მიწურულში, გრ. რობაქიძე, საზღვარგარეთ მოგზაურობისას, უცხოეთში, ვინაიდან, როგორც მან თქვა: „საბჭოეთში ხალხის ალაგას მასაა გაბატონებული, რომელშიც პიროვნება, ეს უღვთიერესი მოვლენა, ითქვიფება.“ და ამის შემდეგ დაიწყო მისი შემოქმედების მეორე პერიოდი, რომლის დროს მან შესანიშნავი ნაწარმოებები შექმნა გერმანულ ენაზედაც.

4.

რა ხასიათისაა გრ. რობაქიძის ნაწარმოებები? — გველის პერანგში“, მაგალითად, შვილი რომელსაც საქართველო ოდნავ ახსოვს დაეძებს დაკარგულ მამას, რომლის დროს მასში თანდათანობით იღვიძებს შორეული ფესვი: მამული. „ლამარა“ — ჯვარი და ხრმალი, ორი ნაჯადი საქართველოს თავგადასავლის: ჯვარი, სიწმინდე მისნული, ხრმალი შემართება რაინდული. დრამა ორმავე ვითარდება. ჯვარი და ხრმალი ერთიმეორეს ეუღლებიან და შეუღლებულთ გააქვთ ლეო“, განმარტავს გრ. რობაქიძე. „წმინდა გარლის მცველში“ გატარებულია აზრი, რომ ეამსა უბედურებისა: ვაზის ნახსლავისგან გამოპრილ ჯვარს, რომელიც წმინდა ნინოზე თავისი თითო შეკრა, გამოუღია მტევნები, რომელთა წვენი რაინდებს შეუნახავთ თასით. ეს თასი „გარალია“, გული საქართველოსი. „ჩაკალულ სულში“ გაწუქებულია წინააღმდეგობებით სავსე სული ე. წ. საბჭოთა ადამიანისა. და ანალოგიური ღრმა მრავალფეროვანებით გამოირჩევიან მისი სხვა ნაწარმოებებიც, როგორც, მაგალითად, „ქალღმერთის ძახილი“, რომელშიც ასახულია სენანეთი და ტყის დედოფალი დალი, რომელიც ერთსადაიმაცე დროს მითითური ქალღმერთიცაა და რეალური ქალი; ან „მეგი — ქართველი ქალიშვილი“, რომელშიც ასახულია კოლხეთი და მდედა-მეგი, სისხსხორცმსხსნული გრიგოლ რობაქიძის მიერ.

5.

გრ. რობაქიძის შემოქმედებამ დიდი გამოძახილი ჰპოვა დასავლეთ ევროპაში: დაწერა რა ვრცელი შესავალი გრ. რობაქიძის რომანისა „მეგი—ქართველი ქალიშვილი“, საფრანგეთის აკადემიის წევრი მარსელ ბრიონი, სხვათა შორის, წერდა: „ეს წიგნი არის არა ლიტერატურა, არამედ ბუნება, კლდე და ველი, ცეცხლი და თესლი. ეს არის იმ იშვიათი წიგნთაგანი, რომელიც ყოველთა არსს იღმუშალებამდე, და მეტრც, მისნობამდე მიიკვლევს, ფსიქოლოგიზირების გარეშე. რობაქიძე პყრობს ხელოვნებას, სულიერი განწყობანი ნაკვეთობრივი შემთხვევებით გამოხატოს: არაოდეს იგი არ განმარტავს, არამედ ყოველთვის დასანახად ქმნის, ყოველთვის გამოხატულებას ანიჭებს. სხეულისა და სულის ერთიანობა არ არის აქ მხოლოდ ოცნება, არამედ სინამდვილე... რობაქიძის შემოქმედება იქნება მარა აღმყო და უკვდავი.“ გაეცნო რა გრ. რობაქიძის მისტერიას „ლონდა“-ს, ფრანგი მწერალი რომენ როლანი, სხვათა შორის, წერდა: „მე მიმანია ეს ნაწარმოები, განსაკუთრებით მისი პირველი და უკანასკნელი ნაწილი, უფრო ახლოს ჩვენს დიდ მუსიკოსებთან, ვიდრე პოეტებთან. მისმა მუსიკალურმა არქიტექტურამ გამაოცა.“ („ლონდა“ ფრანგულად თარგმნა ელისაბეთ ორბელიანმა).

ასტრიული მწერალი სტეფან ცვაიგი, რომელმაც დაწერა შესავალი გრ. რობაქიძის „ეპიკური ნოველების“, სხვათა შორის, წერს: „...ძველი და ახალი მსოფლიო, ჯადოსნური და რეალური სფეროები ერთდებიან ერთ სრულიად მიუჩვეველში, ჩვენთვის ახალ გამსჭვალვაში, რომლის გამართლება მხოლოდ მწერლურ, ამ ეპიკური ხელოვნების ხშირად არაჩვეულებრივ პოეზიურობას შეუძლია. მაგარა როგორი ცეცხლოვანება მოედინება ამ აღწერისაგან: ზოგიერთი გვერდების ამოჭრა გსურს და სტეფანზედალ დაყოფა როგორც ლექსებისა, რაც ისინი მართლაც არიან.“

სხვა მრავალთა აზრებიდან, დაბოლოს, მოვიყვან კიდევ გერმანელი პოეტის, ჰომეროსის მთარგმნელისა და ანტიკური მსოფლიოს მკვლევარის ტასილო ფონ შეფერის აზრს. წაიკითხა რა, სხვათა შორის, გრ. რობაქიძის მიერ გერმანულ ენაზე დაწერილი შაირი „მოკვდავი არწივი“, ფონ შეფერი წერს: „...რა შესანიშნავია თქვენი შაირი „მოკვდავი არწივი“. როგორ შესძელით თქვენ, უცხოელმა, ამნაირად ჩვენი ძნელი გერმანული ენის გაშლა და ამალღება, როგორც ამას ვერ შესძლებდა თვით გერმანელი... მე შემწურდებოდა თქვენი გენია, რომ რაიმე მიდრეკილება მქონდეს შურიანიობისა...“



6.

და გრიგოლ რობაქიძე, რომ ქართული მხატვრული ენის „დიდოსტატია“, ამაში ეკვის შეტანა შეუძლებელია, ვინაიდან ის ცდილობდა გზა გაეკადა „ნათქვამი“, „მეტყველებით“ ენისაყენ. ყველა ხანის უდიდესი პოეზია: ჰომეროსისა, დანტესი, ტაძრებისა და აკლამენის წარწერები ყველა „ნათქვამი“ სიტყვაა; უცნაურია: მოდერნული ხანის ნაწარმოებები ხშირად გვგვდება „დაწერილი“ სიტყვით; როგორი ოსტატურად არ არიან ნათქვამი, ისინი თავიანთი ძალით ღარიბანია „პირველად სიტყვასთან“ — *Urwort* — შედარებით, ამბობს გრ. რობაქიძე. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ერთი სტროფი მისი შაირიდან „მშობელი მიწის მიმართ“:

„მიდამო მკვდარი, გარუჯული ლანდების კუთხე.

ძველი საჯვარე. სურნელება დამქნარი დაფნის.

სამარის სევდა. მოდუნება მლაშე და წუთხე.

ობოლ ხატის წინ აცრემლილი სანთელი თაფლის.“

აქ ყოველი სიტყვა, ყოველი წინადადება გარკვეულ-შინაგანი რიტმითა და ჰარმონიულობითაა გაღლებილი, ლაკონურად და ძუნწად ჩამოსხმული, რაც, თითქოს, მითითურ-რეალისტური სურათითა რიგია, რომელიც ფორმის ფორმალური შინაარსი და შინაარსის შინაარსობრივი გარმა ისე ორგანიზებულია შესისხლხორცილებული, რომ შეიძლება თითქოს „დამქნარი დაფნის“ სურნელებასაც კი ყნოსავს. აქ სიტყვა უკვე სურათია, მისი პირველადი ფორმა; სხვა სიტყვებით: აქ საქმე გვაქვს არა „დაწერილი“, არამედ „ნათქვამი“, „მეტყველებით“, „სურათადქცეულ“ სიტყვასთან. ამ მხრივ, — მიუხედავად მათი მსოფმხედველობათა სხვადასხვაობისა, — ბერტოლ ბრეხტიც შეიძლება ჩაითვალოს გრ. რობაქიძის „მოწაფედ“: გრ. რობაქიძე უფრო ინდუქციურად აზროვნობდა, როცა კერძო ფაქტებიდან: პიროვნება, ტომი, ერი, ჯიში — ზოგად დასკვნებისაკენ, „უნივერსალისაკენ“ მიისწრაფვოდა. ბერტოლ ბრეხტი კი უფრო დედუქციურად აზროვნობდა, როცა ზოგადი დებულებებიდან — კლასი, საზოგადოება, პიროვნება — კერძო დებულებებისა, დასკვნებისაკენ მიისწრაფვოდა. რობაქიძისათვის ადამიანი დღითიური, ბრეხტისათვის კლასობრივი არსებობს. მაგრამ მიუხედავად ამისა ორივეს გერმანული ენა გამოსახვითი ძალით „ძუნწია“, და ამით ორივე ცდილობს „ნათქვამის“, „მეტყველებითს“, „მიმუჯურს“ ენასთან, ე.ი. „პირველად სიტყვასთან“ დაახლოებას. ვითომ აქ საქმე გვაქვს „მიმღების“ = მკითხველის „გაორებასთან“, როცა ის აღტაცებულია როგორც გრ. რობაქიძის, ისე ბ. ბრეხტის შემოქმედებით, მიუხედავად მათი მსოფმხედველობის განსხვავებისა?!...

7.

გრიგოლ რობაქიძე, მაგალითად, დღეს არ იბეჭდება საქართველოში, ვინაიდან მას თვლიან „ნაცისტად“, იმ ორი ბროშურის გამო, რომელიც მან დაწერა მუსოლინისა და ჰიტლერის შესახებ, პირველი 1941 წელს, ხოლო მეორე 1939 წელს. მაგრამ კომუნისტად არავინ არ თვლის მას, მიუხედავად იმისა, რომ 1924 წელს, თბილისში, ყურნალ „კავკასიონში“, ლენინის შესახებ, სხვათა შორის წერდა: „...ვისაც განუტლია თუ რა არის: თავისუფლება, მონობის მოსოზება, ადამიანის ღირსების აღდგენა, ქვეყნის გადახალისება, ერთა თვითდამყარება, — მას არ შეუძლია არ ახსენოს სახელი ლენინისა, განურჩევლად პარტიული დაყოფისა და პროგრამებისა...“ ამგვარად, რობაქიძე ლენინს უფრო ამკობდა ქება-დიდებათ, ვიდრე მუსოლინ-ჰიტლერს, თუმცა ის არასოდეს არ ყოფილა არც ბოლშევიკი, არც ფაშისტი და არც ნაციტი. როგორ ახსენათ ეს ფაქტი? ვინაიდან პოლიტიკური ოპორტუნიზმი ისეთი დიდი პიროვნების შემთხვევაში როგორც გრ. რობაქიძეა გამოირჩეულია, საქმეს სჭირდება განსჯა იმ თვალთახედვიდან, რომელიც დასაწყისში აღვნიშნეთ: უშუალოდ შემოქმედი ადამიანის ნაქმში ღვივის ცეცხლი, ხოლო ცეცხლს თუ არ დააყრი საწვავ მასალას, იგი თავის თავს დაწვავს, ე.ი. თვით შემოქმედი „დაიწვება“. ამდენად, სრულიად სამართლიანად უნდა ჩაითვალოს ახალგაზრდა ამერიკელი მკვლევარის — ლეონარდო ფოქსის აზრი გრ. რობაქიძის შემოქმედების შესახებ, როცა იგი, სხვათა შორის წერს: „გრ. რობაქიძეს ბტყვევებდა „გმირის“ ცნება, როგორც ეს ასახულია მითოლოგიასა და თანამედროვე ხანაში. მისმა ამგვარმა ინტერესმა იგი მიიყვანა ჰიტლერ-

რისა და მუსოლინის შესწავლამდე, რომლებსაც იგი ხედავდა არა პოლიტიკური, მითოლოგიური თვალთახედვით. (ლ.ფ.: გრ. რობაქიძე. 1981 წ.); სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გრ. რობაქიძისათვის იყო შემოქმედებითი „საწვავი“, ვთქვათ, ლენინი, რომელშიც ის რუსი ერის მითოლოგიურ საწყისებსაც ხედავდა, პიტლერი, რომელშიც ის გერმანელი ერის მითოლოგიურ საწყისებსაც ხედავდა, თუ მუსოლინი, რომელშიც ის იტალიელი ერის მითოლოგიურ საწყისებსაც ხედავდა.

8.

ამას ემატება აგრეთვე ის ფაქტი, რომ მარტო პოლიტიკური ოპორტუნიზმით გრ. რობაქიძის შემოქმედების განსჯა, დღეს საბჭოთა საქართველოში, უზადრუკია, თუ გნებავთ იმიტომაც, რომ არც რუსი ხალხის ერთ-ერთი დიდი მწერალი-ივანე ბუნინი- არ იზიარებდა ბოლშევიკურ იდეოლოგიას და დატოვა საბჭოთა რუსეთი, ცხოვრობდა პარიზში, სადაც ის გარდაიცვალა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი ნაწარმოებები იბეჭდება საბჭოთა კავშირში, და თვით ქართული საბჭოთა ენციკლოპედიაც კი ერთ სვეტზე მერტ სტატიას უძღვნის მას. და ვანა ივანე ბუნინი გამონაკლისია? - დიდი ამერიკელი პოეტი ეზრა პაუნდი, მაგალითად, იზიარებდა რა მუსოლინის ფაშისტულ იდეოლოგიას, მეორე მსოფლიო ომის დროს რადიოთი კი ლაპარაკობდა რუზველტისა და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ, მაგრამ ამის გამო არასოდეს არ ყოფილა აკრძალული მისი ნაწარმოებების გამოქვეყნება, არც შერეულ თეზურ შტატებსა და არც სხვაგან. ანალოგიურია აგრეთვე დიდი ნორვეგიელი მწერლის კნუტ ჰამსუნის ბედიც, რომელიც დიდი იზიარებად ნაცისტურ იდეოლოგიას, მაგრამ მისი ნაწარმოებები არასოდეს არ ყოფილა აკრძალული არც ნორვეგიაში და არც სხვაგან. და რატომ უნდა იყოს გრ. რობაქიძის ნაწარმოებები დღეს, საბჭოთა საქართველოში აკრძალული, როცა ის არასოდეს არ ყოფილა არც ფაშისტი და არც ნაცისტი? „...საეზროა, წერს გრ. რობაქიძე, ცნებას აჯიში, რასა, პირვანდელი აზრი დავეუბრუნოთ. ესე იგი: ნამდვილი, არ-წარყენილი...ჯიში აზრიგად რჩეულობაა. რჩეულობა კი ყველგან და ყოველთვის თავისებურია: ნაირ-ნაირი. ხოლო თანაბარ ღირსეული, ფასეული. ვინც საკითხს ასე აყენებს: რომელია არასებში უმჯობესი-მას რასისი არა გაეგება რა“ („ბ.ქ.“ პარიზი)

9.

ქართველი ადამიანის, ქართველი ერის ნიშანდობლივ, მთავარ ელემენტად გრ. რობაქიძე კი თვლის: „...რადაც მიწიერ-დიონისურს“, „რომელიც მის გონებრივ სურათს დვინით აღტყინებაში პოულობს“, და განაგრძობს: „აღტყინების ღმერთი არის რასობრივ ფსიქიკაში ქართველების მართლაც მთავარი ელემენტი. მთელ საქართველოში დღესასწაულობენ 23 აპრილს, ძველი სტილით, წმინდა გიორგის დღესასწაულს, თეთრი გიორგის, როგორც ის ხშირად იწოდება და, რომელიც ქრისტიანულად გადათარგმნილი ქართველი დიონისეა“ (გრ. „წინასიტყვა „კავკასიური ნოველებისა,“ ფრანკფურტი მაიზზე, 1979 წ.)

წმინდა ნინოს მიერ ვაზის ღერწამისაგან გამოჭრილ, ქალწულის თმით შეკრულ ჯვარშიც, გრ. რობაქიძე ხედავს: „...რადაც მიწიერ-დიონისურს.“ ანალოგიურია ასევე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორეს აზრიც, რომელიც მან გამოთქვა ქადაგებაში ათ თებერვალს, 1980 წელს, წმინდა ნინოს ტაძარში, პარიზში: ~„ქართველ ერს მუდამ ახასიათებდა ორი რამ: პირველი მისი ეროვნული გრძნობა და მეორე მისი რწმენა, მისი ქრისტიანობა. ეს ორი გრძნობა ჩაქსოვილი იყო ქართველ ადამიანის სულში, ქართველი ადამიანის ბუნებაში.“ მაგრამ, იმავე ქადაგებაში, შეგვირა კი ქართველ მამადიანებს, რომლებთანაც მის უწმინდესობას ჰქონდა შეხვედრები თურქეთში, ბრძანა, რომ ისინი „...მაინც ჩვენი სისხლია და ჩვენი ხორცი...“ აქ კი, ჩემის აზრით შედგენდება ქართველი ადამიანის და ამით ქართველი ერის „მიწიერ-დიონისურ“ სულში ის დიდი ჰუმანიტარული „ფსიქიკური წყობის ერთობა“, რომელიც ქართველმა ერმა, თავისი საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არა ერთხელ გამოამყვანა, განსაკუთრებით დიდი დავით აღმაშენებლის ხანაში. სხვათაშორის, ქართველმა დიონისტობას ხუზს უსვამს აგრეთვე ბერძენი მწერალი ნიკოს კანანაცაკის, მის რომანში: „თოდა-რაბა“ (მადლობა დიდი (პარიზი, 1962 წელი). რომელშიც, სხვათა შორის, აღწერს რა ქართულ წიგნებსაც, რომ-



ელსაც ის დასწრება თბილისში, ტიციან ტაბიძის თამალობით, —ამბობს, რომ ამ „დიონისურ გარემოში“, „...სტუმრები, ღვინით გამოწვეულ ძალთა გადაჭარბების შედეგად, ცხველის ნამდვილ ალტყინებაში ჩაგარდნენ.“ „...ისინი, დასძენს ნ. კახანცაის, ველარ პოველობენ შვების დასასრულს და ღვინის სმით ველარ ძღვებთან. მხოლოდ წყარო ამ ღრეობისა რჩება ფხიზელი.“

10.

გრივოლ რომაქიძის მსოფხედეის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ კიდეე ამონაწერი მისი „წინასიტყვიდან“ („ღემონი და მითოსი“, იენა, 1935 წ.), რომელშიც, სხვათა შორის, ვკითხულობ: „შეიძლება დედამიწა განვიხილოთ უბრალოდ როგორც გეოლოგიური სინამდვილე, მაგრამ როგორც კოსმოსური არსი. ათას წლების მანძილზე მრავალი განსწავლული მასში ხედავდენ „კოსმოსის სულს“... ორი მიმართულება შეინიშნება მის შესახებ. პირველი: ეს არის ძალები, რომლებიც დედამიწას როგორც წმინდა „მატერიას“ ეპყრობიან. რაციო და ტექნიკა არიან ამ დროს საშუალებანი. დედამიწისაგან ჩამოშორებულია ჯადოსნურობა და ღვთიურობა. ყველაფერი, რაც დედამიწაზე ხდება, ყალიბდება მხოლოდ როგორც „ფაქტი“ საგნობრივი სამყაროსი. მარადიული უგულებელყოფილია და ინდივიდუალური გაუბატოტრებული: ყველაფერი მოქცეულია ანონიმურ და უსახიერო ინტერნაციონალში... მეორე მიმართულება: ესაა ძალები, რომელთათვის დედამიწა არის არა მატერიალურ-საგნობრივი, არამედ „მავნა მატერა“ = „ღიდი დედა.“ რაციოს სამაგიეროდ, აქ მანიფესტაცია ინტუიციის, და ტექნიკა ყველაზე უფრო ღიდათ ფასდება როგორც ჯადოსნურობის შიშტყველი. ყოველი მოველია განიხილება კოსმოსური კავშირით სამყაროსთან და ამით მითოლოგიურად. ხდება თავისთავში შეკრული ცხოვრების ერთობათა(რასა, მიწა, ტომი და ა. შ.) გააქტიურება და ამით მსოფლიოს მრავალფეროვანებათა შენარჩუნება. ცდილობენ მიწიერი ძალები გაიფურჩქნონ ერის სახეობაში... აქ დედამიწას შეაქვს მისგან გამომდინარე წვლილი გონის სახიერებათა ქცევაში... ეს ორი მიმართულება არიან მაგისტრალები აწმყოსი. ყველა დანარჩენი, რაც ხდება დღეს, არის შუალედი რამ“, დასძენს გრ. რომაქიძე.

11.

ამგვარად, —მსოფლიო მრავალფეროვანებათა შენარჩუნება, თავისთავში შეკრულ ცხოვრების ერთობათა(რასა, მიწა, ტომი...) გააქტიურება, მიწიერი ძალების გაფურჩქნა ერის სახეობაში და ამ საწყისებზე ერთაშორისო ურთიერთგაგების მიღწევა—აი გრ. რომაქიძის მრწამსი, მსოფლ-ხედვა, რომლის საფუძვლებს ერების—საერთოდ—და ქართველი ერის—კერძოდ—ჯადოსნურ საწყისებში, ისტორიულ-მითოლოგიურ რომაში, მეობაში ეძებდა; და ამგვარი გზით მივიდა „ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური“ კულტურის ფორმულის უარყოფამდე. „არ ესმით კეკუთა მყოფელთ, ამბობდა რომაქიძე, რომ ყოველი შინაარსი თავისსაგანვე ქმნის თავის გარსს, გარე არსს, სახეობას, ფორმას. კულტურა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური, არც ინდივიდუალური და არც უნივერსალური. მას არ აქვს შინაგანი პლასტიური სახეობა და ამრიგად სახე, სახიერება. აიგი კულტურაა ანონიმისა... ქართველთა კულტურა, ასე ინდივიდუალური და ეგზომ უნივერსალური, ქართველი ერის წიაღიდან უნდა აგრძელებდეს თავის განვითარებას. წვდით ცოცხალ ფესვებს საქართველოსა: მის გენიალურ ენას, მის უნივერსალურ მითოსს, მის ჰეროიკულ თავგადასავალს...წვდით ამ ფესვებს და ფესვები არწივის ფრთებდა აგახსნით! და ამ გზით მოიპოვებთ თავისუფლებას. „თავის-უფალი“ —გესმით რა გულისხმობენ სიტყვათ? მარჯი საქართველოს თავის-თავის-უფალს!“

12

ამ ამონაწერით გრ. რომაქიძის მიმართვიდან ქართველი ხალხისადმი მსურს დავამთავროთ ეს ჩემი სიტყვა გრ. რომაქიძის ასი წლისთავზე, და დავუმატო, რომ სამწუხაროა ქართველ ხალხს საქართველოში აკრძალული აქვს აღნიშნოს მისი ღიდი შვილის—გრ. რომაქიძის—დაბადების ასი წლის იუბლეი. ვისურვებთ, რომ ახლო მომავალში მიიწი ასრულდეს გრ. რომაქიძის ნატვრა-ანდრძი: „...ჩემდა მკითხველმა იცის, თუ როგორ მესახვის მე



მცხეთა... შედიხარ ტაძარში და ამჩნევ კუთხეში მარჯვნივ პაწა სალოცავს ძველქვეყნულ აშენებულს. ტაძრის მშენებლებს იგი არ დაუნგრევიათ... ჩემი ნატვრაა: როცა შექაფიანსა ფლად აღარ ვიქნები, მოდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველწელს მცხეთას, მწიფობის, ჩემი დაბადების თვეში. სანთელს ანთებდეს ამ პაწა სალოცავის წინ და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს. მეტეს არას ვთხოვ საქართველოს."

ქარლ ინსარაძე

ც ო ტ ა რ ა მ დ ი დ ქ ა რ თ ვ ე ლ ზ ე

დაბადების ასი წელი შეუსრულდა და მომავალ წელს გარდაცვალების ოცი წელი უსრულდება საქართველოს მირონცხებულ მგოსანს, ევროპის მასშტაბის დიდ რომანისტს გრიგოლ რობაქიძეს.

აკაკისა და ილიას მიერ საქართველოს მეორე სარწმუნოებად გამოცხადებულ პატრიოტიზმს, თავიდანვე ვაჟყვა რობაქიძე და მთელ თავის შეგნებულ ცხოვრებას ქართველი ხალხის სამსახურში ატარებს.

მისი ლექციებით ქართული პოეზიის და ესთეტიკის კითხვებზე, ილიაზე, ვაჟაზე, აკაკიზე და ბარათაშვილზე, რომლითაც იგი ლიტერატურულ ასპარეზზე გამოდის, თბილისისა და ქუთაისის დიდ დარბაზებში, საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსულები მთლად განაბული რომ უსმენენ, გრიგოლს მათზე თავისი სულის მღელვარება გადაეჭვს, იპყრობს აუდიტორიას ქართული ენის დიდი ოსტატობით, ქართული სიტყვის წარმოუდგენელი ჯადოქრობით. ვის არ იტაცებს მისი აზრების წარმტაცი და მომხიბლავი ფერებად გამშვენიერებული შეფასება, მგალითად, ბარათაშვილის პოეზიაზე ლაკონურად თქმული: „წარსული აღვიძებს რომანტიკულ გრძნობას მარადისობისას, აწმყო კი შემზარავ ფიქრს ცხოვრების ამოებისას.“ რითაც მან გენიალურად მოხაზა ბარათაშვილის სულის რაობა. სიტყუთკემი ნათქვამი ეს პოეტური ფრაზა, ხშირ ნამდვილი სიმფონია და რა ვასაკვირია თუ დღემდე დავა არ ვათავებულა ხელოვნების მცოდნეთა შორის, პოეზიის მუსიკაზე თუ მუსიკის პოეზიაზე უპირატესობის გამო.

გრიგოლის ლექსების აზრის ემოციის სიღრმე ზღარო და მეტყველია. მისი შემოქმედება, თავისი ორიგინალობით მკითხველის აზრებსა და გრძნობებს ასე ძლიერად რომ ეხმიანება, ვგახარებს შთამაგონებელი ძლიერებით და მხატვრული მეტყველებით. ფართოა მისი მოღვაწეობის სფერო და ღრმაა მისი გააზრების ძალა. მას ჩვენ ვერ ჩავთვლით ლიტერატურის ამა თუ იმ მიმართულების და სკოლის მიმდევრად, იმდენად უნივერსალურია მისი სულის რაობა. თვით გრიგოლი ამაყობს, როცა ამბობს: „თუ რამ კარგი ნაყოფი გამოდის ჩემგან, ეს მაღლი არის მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს დამოცილი მიწისაო.“ და მან თავისი სამშობლო მიწის მიმართ გადაქარბებით შეასრულა ვალი, სიცოცხლეშივე დიდგაძეგლი და ვიდრე ქართველ ერს სიცოცხლე უწერია, მისი სახელიც უკვდავი დარჩება.

თუ ინდივიდუალიზმი თავის თავად ორიგინალობას ნიშნავს, და ეს უკანასკნელი კი საკითხის სიღრმისა და მის განხილვის ხარისხში გამოიხატება, გრიგოლი უდიდესი ინდივიდუალისტია, რომლის სიმაღლეს მყოფ საუკუნეში მისი ქართველი კოლეგებისგან მიუღწეველი იმიტომაც რჩება, რომ მათ ამ გზით სიარული აკრძალული აქვთ და კოლექტივის არტახებში მოქცეულთ მხოლოდ ზევინდ მიღებული დირექტივების საზღვრებში მოღვაწეობა უწერიათ.

„ხელოსანი უტალანტო და ტალანტი უხელოსნო ვერ შექმნის ხელოვნების დიდ ნაწარმოებს“-ო, ხშირად უთქვამს გრიგოლს და ეს ორივე თვისება მისთვის განგებას მიუტია. აზრთა და გრძნობათა უზარმაზარი მარაგი მის, შემეხულია რითმის ტქნეკით, თხრობის ჯადონსური ენით, გასაოცარი სტრუქტურით, გაუმორბეული კომპოზიციით. ენისა და სტილის დამქრწვავში, გრიგოლს დიდი დამსახურება მიუძღვის, მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის წინაშე. გენიალური რენტგენოლოგი, ის ანთავისუფლებს ქართულ ენას გარედან შემოსული გავლენისაგან, ირკვევს ქართული სიტყვების ფრევებს და წარმოშობას, წმენდს და მზიური სხივებით ამკობს მის. თუნდაც, მხოლოდ ოცი მაგალითი: „ხელ-მწიფე“ გრიგოლისთვის ნიშნავს „მწიფე“ „ხელს“, და სიტყვა „ხელმწიფე“-თი



მეფის ხელის სიმწიფე და გობიერება ნაგულისხმები, ისე როგორც შოთა მეფეებს ახალი ათებს: „მალაი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი, მოსამართლე და მოწყობილი მორკმული, განგებიაინა.“ ანდა, „მართვა“ გრიგოლის მტკიცებით „სამართლიდან“ მოდის და სხვა. „ქართლის ცხოვრება“ არის არა მარტო ისტორია, არამედ ნამდვილი „უპოსი“, დიდი ეპოსი დიდი ხალხის— ეს სიტყვები გრიგოლისა და ის ითქვა 1921 საბედისწერო წელს, ქართველ მწერლებში უიმედობისა და ღრმა პესიმიზმის სულმა რომ დაისადგურა.

გრიგოლის აზრით, საქართველოში ვერც.ის გაეცქეოდა „გადახრას“, და რომელმა სხვა მწერალმა აიცილნა ეს—თვით კონსტანტინე გამსახურდიაც ხომ გატეხნა—და რუსეთის ინტელიგენციის მაჩანჩაღად რომ არ გამხდარიყო და თავისუფალი შემოქმედების მდგომარეობა რომ შეენარჩუნებინა, სამოგზაუროდ ჩამოსულმა, ევროპაში დარჩენა არჩია.

გრ. რობაქიძეს მარტო ლეგენდატკეული „ღამარა,—რომლის დადგამ, მაცურებელთა მიერ ტუმის გრიალმა თბილისის დიდი თეატრის კედლები შექრა,— და მისი პირველი რომანი „გველის პრანგი“—ს ვარდა სხვა არაფერი დაწერა, საკმარისი იქნებოდა ის ქართულ ლიტერატურის ისტორიაში შესულიყო როგორც დიდი მწერალი, მაგრამ ის მოწოდებული იყო უფრო დიდსათვის: „საქართველოს არ იცნობენ არც იქ და არც აქ, იგი უნივერსალური მოვლენაა“, ამბობდა ის, და ამ უნივერსალური მოვლენის მსოფლიოსთვის გასაცნობად იყო ის მოწოდებული, რაშიდაც ღრმა ფლობა ევროპული და განსაკუთრებით გერმანული ენისა მას ხელს უწყობდა.

„გოლგამეში“ პირველი ცდაა ლიტერატურის ისტორიაში, ხალხში გაბნეული თქმულებების მითოლოგიურ-ეპიური გადმოცემის, რომელმაც შემდეგ ჰომეროსის ყურადღებაც მძაფრად მიიპყრო. დიდი ქართველი მწერლების დაუმრეტელი წყაროა ქართული მდიდარი მითოლოგია და ვინ არ დასესხებია მას. მითოლოგია წარმართული ხანისა და ქრისტიანული დროის, ლეგენდები და მისტერიები ქართველ ხალხში უხვადაა გაბნეული, მთგან წარმომდგარი ზნე ჩვეულება, ერის ხასიათი და მისი სულის აღწერა ვიხილავ გრიგოლმა — მზგავსად კონსტანტინე გამსახურდიამ—დგმნა შენგელაია—ლიე ქიაჩელისა— თავისი რომანების მიზნად. უცხოეთშიც, საქართველოს უძველეს კულტურით დაწყებული, თავისი ქვეყნის გმირული წარსულით გატაცებული, გრიგოლისათვის სამშობლო ხატია, ის მასზედ ლოცულობს; ადამიანი, გრიგოლისათვის, ღვთაური არსებაა, რომელშიდაც ყველაზე უფრო მეტად სამშობლოსადმი ერთგულებას აფასებს იგი. ის დარწმუნებულია, რომ მხოლოდ ნაციონალურ კულტურას შეუძლია შეუნარჩუნოს ერის მისი ეროვნული სახე. ფუტკარის მუყაითობით შეიჭრა, გრ. რობაქიძე, ქართული მითოლოგიის, ფილოსოფიის სამყაროში, მტაფიზიკურ-რელიგიურ მსოფლიოში და დასავლეთის მსოფლიოს გადაუშალა ქართული კულტურის განძეულობა.

მისი „გველის პრანგი“ გერმანიაში, გადათარგმნილი, გამოცემასაც ვერ ასწრებს(1928 წელი), რომ გრიგოლი ევროპული მასშტაბით დიდ მწერლად იქნა აღიარებული. ამ რომანში, ავტორი, სამშობლოსადმი ქართველი კაცის ორგანიულ კავშირის აღწერს და ეს ისე ძლიერად, რომ სტეფან ცვაიხის მისი მზგავსი სხვა ნაწარმოები ვერ მოუძებნია და ფერადოვანი გამპრიახობით აღფრთოვანებულია საქართველოს მითოსური სიმდიდრით.

„გველის პრანგის“ შემდეგ, ოთხი წლის განმავლობაში(1932—35) ზედიზედ ოთხი რომანი მოყვება: „მევი—ქართველი ქალწული“, „ჩაკლული სული“, „ქაღალტურის ძახილი“ და „დემონი და მითოსი“, ხოლო 1937 წელს კი „წმინდა გრალის მცველი“.

ერის მარადიულობა, პიროვნების როლი, ოჯახის მნიშვნელობა—გრიგოლის ამ რომანებში—გენიალური სიმძაფრითაა აღწერილი. მათ დღესაც არ დაუტარავთ აქტუალობა და მარადიულად ასეთად რჩებიან.

გამოჩენილი მოაზროვნე და მწერალი ჰერმან კიაზერლინგი „ჩაკლული სულის“ შესახებ რეცენზიაში აღიარებს: „ეს პირველი წიგნია, რომელიც უზარმაზარი სიბრძნით და სინათლით აღწერს ბუნებას ახალი, ბოლშევიკური ადამიანისა.“ ყოველკვირეული რვეული „დივობე“, 1934 წლის ოთხი ივნისის, ათავებს რა წერის ბუნების წიგნზე „უიზნ არსენიევა“, რომლისთვისაც ავტორს ნობელის ჯილოდ არჯულობა,—სამართლიანად აღნიშნავს: „რობაქიძე ისე ღრმად, ისე ძირამდე წვდება თავისი გმირების სულში, რომ მხოლოდ ის შეძლებდა რუსეთის მთლიან ფსიქოლოგიურ აღწერას“—ო. მსოფლიოში არ მოიძებნება რომანი, რომელსაც რობაქიძისეულად სინათლეურ გამოპქონდეს კომუნიზმის ფატალიზმის უმწვერვა-



ჩემი მოგონებები გრიგოლ რობაქიძეზე

გრ. რობაქიძის საჯარო გამოსვლების თემა იყო, იმდროინდელი რუსეთის გამოჩენილი მწერლების გაცნობა ქართული საზოგადოებისათვის. პირველ რიგში იყვნენ ცოლქმარი ზინაიდა ვიპაუსი და დიმიტრი მერვეკოვსკი, შემდეგ ანდრეი ბელი და ალექსანდრე ბლოკი. გრიგოლზე დიდი გავლენა ჰქონდათ რუს ფილოსოფოსებს: ვასილი როზანოვს, ესეველოდ ივანოვს და განსაკუთრებით ბერდიაევს. ეს უკანასკნელი შემდეგ ბერად ეკურთხა და არც ისე დიდი ხანია აქ, პარიზში, გარდაიცვალა. ნიკოლა ბერდიაევს დიდი გავლენა ჰქონდა ფრანგ ფილოსოფოსებში. აქ, უცხოეთში, ჩემს შეკითხვაზე თუ რატომ მან ამდენი დრო მოანდომა რუს მწერლებს და ფილოსოფოსებს, გრ. რობაქიძემ მიპასუხა: ესენი იყვნენ რუსეთისა და ევროპისათვისაც წინასწარმეტყველები, რომლებიც მსოფლიოს აცნობებდნენ „გრიადუჩი ხამის“, აბოკალიძის, წარღვნის გარდაუვალ მოსვლასო, კაცობრიობამ, საუბედურთ, მათ ყურადღება არ ათხოვაო. ჩემი მოვალეობა კი იყო, ეს წარმოდგენილი სამიშროება ქართულ საზოგადოებასათვის გამეცნოო. თავისთავად ცხადია აქ იგულისხმება რუსული ბოლშევიზმი.

—ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლის თანავე, გრ. რობაქიძემ მიიღებო საყოველთაო ყურადღება, როგორც თემების არჩევით, ისე ფორმით, რომელიც სრულიად განსხვავებული იყო სხვებისაგან. ხოლო, როდესაც მან ვეა ფშაველას „უნიკალბოა“ დაასაბუთა, ის გახდა უდავო ავტორიტეტი.

—არ შემიძლია გავკვირება არ გამოვქევა იმის გამო, რომ რადიო „თავისუფლების“ გადაცემებში, გრ. რობაქიძის ევროპაში საბოლოოდ დარჩენის თარიღი ფანტაზიური და ერთიმეორის საწინააღმდეგოა, მაშინ როცა ამ რადიოს ერთ-ერთ კრებულში, რომელშიც მოთხრობილია გრიგოლის ვიზიტი რადიო „თავისუფლებაში“, გრ. რობაქიძეს განუცხადებია გარკვევით, რომ 1931 წელში დავრჩიო. ამას საჭიროა ყურადღება მივაქციონ როგორც რადიოში, ისე პრესაში, რათა შეტყობინონ არ შევიყვანოთ სამშობლოში მომავალი მკვლევარები.

— განსვენებული რადენ არსენიძე გილოლიის პირადი მეგობარი იყო და ამავე დროს, თუმცა სოციალიტ-მარქსისტი, მის ნიჭს დიდად აფასებდა და სურდა მისი ავტორიტეტი გამოეყენებია იმ ბრძოლაში, რომელსაც, ამერიკული საზოგადოების დახმარებით, უცხოეთში მყოფი ეროვნული დაჯგუფებანი ვაერთიანებულნი ფრანკთ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აწარმოებდნენ. მაგრამ მისმა პარტიულმა მეთვალყურეებმა ამის ნება მას არ დართეს და გრიგოლის ნაცვლად, საბჭოთა კავშირის ერებს შეემსწავლეს ინსტრუქტიული ქართულეების წარმომადგენლად წარადგინეს ამ საქმისთვის უფარგისი მათი პარტიული ამხანაგი. სამართლიანობა მოითხოვს ისიც აღვნიშნო, რომ ამ სამარცხვინო ამბავს წინ უძღოდა ერთი, რომელიც, საბედნიეროთ, მომავალი თაობის თვალში არ აშავებს ჩვენი ემიგრაციის სახელს. 1950-ან წლებში ემიგრაციას გააჩნდა „ეროვნული საბჭო“, რომელიც მიქრო კავშირში იყო ჩვენს ეროვნულ მოაზრობასთან და, რომლის წარმომადგენელი განსვენებული ევგენი გეგეჭკორი უღმრთე მონაწილეობას იღებდა საბჭოს მუშაობაში. ცნობილია, ევ. გეგეჭკორი ახალგაზრდობიდანვე საქართველოს ეროვნულ ინტერესებს მისი პარტიის ინტერესებზე მაღლა აყენებდა. მისი აზრით, გრ. რობაქიძის ლიტერატურულ-ფილოსოფიური ნაწარმოებების ევროპა-ამერიკის წინაშე წარდგენა მერ სარგებლობას მოუტანდა საქართველოს, ვიდრე ჩვენს მიერ წარმოებული პოლიტიკური პროპაგანდა. მიზნოვა წარმედგინა საბჭოში ოთხი გამოჩენილი ქართველი მწერლის დახასიათება: კონსტანტინე ვაჩხაშურია, გერონტი ქიქოძე, მიხეილ ჯავახიშვილი და გრიგოლ რობაქიძე. საბჭოში უმრავლესობა იყვნენ სოციალ-მარქსისტები, მათთვის გრ. რობაქიძე, იდეოლოგიური თვალსაზრისით, მიუღებელი იყო. მე დახასიათება წარვადგინე ერთი კვირის თავზე. მხარი დამიჭირეს განსვენებულმა გიორგი კერესელიძემ და ბ. კალისტრატე სალაიამ, რომელიც იმ დროს ეროვნულ ბანაკში იყო. მაგრამ, ჩვენ ჩვენს წინადადებას გერ კონსტანტინე, რომ ევ. გეგეჭკორის ავტორიტეტს არ ვაგებთ და საკითხს დადებითად არ გადავჭრა. ამ საქმის გარშემო გრ. რობაქიძემ და მე ვაწარმოეთ მიწერ-მოწერა. უდავოა: გრიგოლის მონაწერი წერილები საინტერესოა მრავალმხრივ, გრიგოლზე წერა მე მეტად მაგიჭრებდა, ვიცოდი რა მისი დიდი სიამაყე. მე მას გადავუზავენე ჩემი მოხსენება ოთხივე მწერლის შესახებ და შიშით ველოდი მის პასუხს და, როცა მისგან პასუხი მივიღე, რომელიც ის მთლიანად იწონებდა ჩემს მიერ საბჭოსადმი გადაცემულ დახასიათებას, მხო-



მნიშვნელობა. პირადობის მოწმობებში ასაკის გადაკეთების შემთხვევები იშვიათი არაა, განსაკუთრებით ემიგრაციაში. არამც თუ პირადობის მოწმობებში, არამედ თვითმეტრიკის წიგნებშიაც, ჩვენში, ხშირი ყოფილა დაბადების თარიღის გადაკეთება. მაგალითად, მეტრიკის წიგნში დაბადების წელი გადაკეთებული ჰქონებია, გრ. რობაქიძის თაობის მეორე დიდ მწერალს, მიხეილ ჯავახიშვილს. მოწმობების მიხედვით, მის დაბადების წლად მიჩნეული იყო 1880. მხოლოდ ახლახან, მისი ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით, გამოირკვა, რომ მ. ჯავახიშვილის მამას მეტრიკის წიგნში გადაუსწორებინებია. სინამდვილეში ის 1879 წელში ყოფილა დაბადებული. ასევე გახლავთ გადაკეთებული ჩემი ახმაღლის თარიღი, ჩემი სამშობლო სოფლის დაბადების წიგნში. ამ ჩემი ახმაღის მოყოლით აქ თავს არ შეგაწყენთ, მაგრამ ჩემი შემთხვევაც ამოწმებს ზემოდ თქმულს: მეტრიკის წიგნებშიაც კი ხშირი ყოფილა ჩვენში ასაკის მომატება ან დაკლება.

გრიგოლ რობაქიძე რომ ოქტომბერშია დაბადებული და არა ნოემბერში, როგორც ეს მის საფლავის ქვაზეა აღნიშნული, უდავოა; არაერთგან აქვს „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე, განსვენებულს, აღნიშნული, რომ ის დაბადებულია მწიფობისთვეში. უკანასკნელად ეს მის ე.წ. „ანდერძშიც“ კია გარკვევით და საბოლოოდ ნათქვამი. რაც შეეხება დაბადების დღეს, ამის შესახებ მე მის ნაწერებში ვერაფერი აღმოვაჩინე. აწ განსვენებული რუდოლფ კარმანი 28 ოქტომბერს ასახელეს. ამასვე იმიერებს სანდრო ფანჩულიძე. ხოლო კარლო ინასარიძის მიხედვით პირველი ოქტომბერია ძველი სტილით, ე.ი. 14 ოქტომბერი ახალი სტილით. ამრიგად, ჩემთვის, გრ. რობაქიძის დაბადების დღე ზუსტად დაუდგევილია. სამაგიეროდ, ის დაბადებულია 1881 წლის ოქტომბერში; ამაზე დედა კამათი აღარ უნდა არსებობდეს.

2. ამ ზემის მზადების დროს გვესმოდა სხვაგვარი კრიტიკებიც. კრიტიკა კი არა, პირდაპირ უტბილო ბოროტი ბრალდებები: თითქოს ჩვენ უფლება არ გვქონდეს ამ იუბილეს დღესასწაულობის, თითქოს ეს ვნებდეს გრ. რობაქიძის რეაბილიტაციის საქმეს საქართველოში და მისი თხზულების გამოცემის საქმეს უტხბეთში. გრიგოლ რობაქიძე არავის კერძო საკუთრება არ არის. ის ეკუთვნის ჯერ მის მშობელ ერს, მერე მთელს კაცობრიობას, მთ შორის ჩვენც. ეს ისეთი ანბანური ქეშმარიტებაა, რომ ამაზე პასუხის გაცემა იქნება არც ღირდა. რაც შეეხება „ვენებას“ — ყოვლად შეუძლებელია, ამ ჩვენმა სუსტმა, მაგამ გულწრფელმა საპატრიკეო მანიფესტაციამ, მას რამე აენოს. პირიქით და ათასჯერ პირიქით! როცა ამ იუბილეს საჯაროდ მოწყობა განვიზრახე, ჩვენი მიზანი იყო: ჩვენი სუსტი ხმით განგაში აგვეტეხა, რათა ბოლო მოეღოს გრ. რობაქიძის ნაწარმოებების გამოცემისა და წაკითხვის აკრძალვას. მე განგებ არ ვხმარობ სიტყვას „რეაბილიტაციის“, გრ. რობაქიძის ეს ექსპორტაბა რეაბილიტაცია. ჩვენი მოთხოვნა ემყარება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაზე, ელემენტარულ უფლებებს: რწმენის, აზრის, სიტყვის თავისუფლებისა. ამ უფლებებზე დაყრდნობით ქართულმა ხალხმა, ქართული კულტურის გულშემოტიკერებმა უნდა მოითხოვონ იქ, სამშობლოში, გრ. რობაქიძის ნაწერების გამოცემის უფლება. ეს მოთხოვნები იქ დიდი ხანია მიმდინარეობს, მაგრამ დღემდე უშედეგოდ. კრემლი არ რთავს ნებას. ჩვენი ერთსულოვანი მანიფესტაციით აქ, ვფიქრობთ და ვფიქრობთ დღესაც, ვაგვემხნევეთ იქ ამ მხრით მომქმედი თანამემამულეები. რა სავალალოა, რომ ასეთ თითქოს მარტივ და ეროვნული კულტურის დაცვის წამოწყებაშიც, ზოგიერთს პირადი ინტიგებისა თუ სხვა ქვენა მოსაზრებებით, გათიშულობა შემოაქვს.

თავდაპირველად, განვსაზღვროთ ჩვენი დამოკიდებულება ჩვენი იუბილარისადმი. დარწმუნებული ვართ, რომ გრ. რობაქიძემ დიდი და სასარგებლო სამსახური გაუწია: ქართულ ენას, ქართულ ლიტერატურას, საერთოდ ქართულ ცივილიზაციას. არც ერთ ქართველს არ რგებია ბედნიერება, ისეთი დადებითი გამოცხადი და მაღალი შეფასება რგებოდეს სამშობლოს გარეთ, როგორც ეს წილად ხვდა გრ. რობაქიძეს, მის მიერ გოეთეს ენაზე გამოქვეყნებულ რომანების გამო. ამის დავიწყება, ან ჯეროვნად არ დაფასება, იქნებოდა დიდი უმადულრება და უგუნურებაც, მისი თანამემამულეების მხრივ საერთოდ. ჩვენ კი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა გვმართებს მისი ხსოვნისადმი აგრეთვე იმიტომაც, რომ ის ჩვენი, სამშობლოდან გადმოხვეწილი, საზოგადოების აქტიური და უთვალსაზიროსი წევრი გახლავთ, ჩვენთან ერთად, ბოლომდე, სიკვდილამდე მუხლჩაუკეც-

ლად ატარა მძიმე ჯვარი სთავყენებელ სამშობლოს გარეშე უხეში ძალით მოწყვეტილი წამებულისა და დღეს მისი ფიზიური ნაშთიც, სხვა ჩვენ თანამემამულეებთან ერთად, სხვა ლევიის საკრძალოვან განსივსებებს და მოუთმენლად ელის ამჟღადის განთავისუფლებას და ხელახალ აღორძინებას. აი მთავარი მიზეზი მისი სახელის აკრძალებისა და არა ის წიგნაკება, რომლებიც მან დასწერა მუსოლინისა და ჰიტლერის შესახებ. რამდენი ყოფილი პირ-წავარდნილი ნაციისტი და კრიმინელი ჰყავს საბჭოთა ხელისუფლებას თავის სამსახურში. გრიგოლ რობაქიძეს, ომის დამთავრების შემდეგ, რომ „მისი შეცდომები მოენანიებია“ და საბჭოთა პრობაგანდის კარნახი შეესრულებოდა, მისი სახელი, დღეს, საბჭოებში დიდებით იქნება მოხსენებული. მან ამჟღადისთვის სიცოცხლე და სიკვდილი არჩია. ამის გამო, ორმაგად ვმავებთ გრ. რობაქიძეთ, და ორმაგია მისი სახელისადმი ჩვენი პატივისცემა და დიდება.

— როგორ გვიხარებს, ცხონებული, ჩვენი დღევანდელი აქ თავმჯდომარე. მე ასე მგონია: მისი სიხარული მით უფრო დიდი იქნება, რომ ეს მისი სადიდებელი დღესასწაული აქ ტარდება, ამ წმინდა ნინოს ეკლესიის კედლებში და, რომ ამის ერთ-ერთი მოთავითავანია ჩვენი სულიერი მოძღვარი, დეკანოზი ილია მელია. მე ვფიქრობ, ყველაფერი ეს სიმბოლურიცაა. სიცოცხლეში სიმბოლოებზე შეყვარებული გრ. რობაქიძე, სიამით შეიჩხვებდა მის საუკუნო განსასვენებელს და თავისებური რიხით გადმოგვცახებს: **მარჯი საქართველოს!**

ბავშვობა—ყრმობა—ქაბუკობა

გრ. რობაქიძემ მზის ნათელი პირველად იხილა დაბა სვირის მახლობლად, სოფელ ოზრასში, დედულეთში. დედა, ქეთევანი, მცირე კლასიკური განათლების, მაგრამ ოჯახში საფუძვლიანად ქართულად განსწავლილი, როგორც ეს ჩვენში წინადა წესი იყო, მანდლოლსანი ყოფილა. ალბათ მან პირველმა შთაუწერა გულისხმიერ პატარას ქართული ენის სიტყბო და ქართული ზღაპრების მომჯადოებლობა და სიბრძნე. დედაშვილს შორის დიდი სიყვარული და პატივისცემა არსებულა სიკვდილამდე. გრ. რობაქიძეს—შემოქმედს—ჩვეულებად ჰქონებია: ყოველ ახალ ნაწარმოების გამოქვეყნებისას, დედას წერილით ახარებდა. მამამისი—ტიტე—დაბა ჩხარის მახლობელ სოფელ ეწერის მკვიდრი და ამ სოფლის ეკლესიის დიაკონი ბრძანებული. მასაც მცირე კლასიკური განათლება მიუღია, მაგრამ დიდი ნიჭით ყოფილა დაჯილდოებული. არზების წერასთან ერთად, ის სეფისეკერის მოძღვების და საფლაგების ქვეშეუდ მბრძანების მკვეთელი ოსტატიც ყოფილა. ერთ იუმორისტულ მოთხრობაში, „უამსა ხეშრობისას“, გრიგოლი მამამისს მიქელ ანჯელოს აღარებს. პატარა გრიგოლი მიუბარებიათ ქუთაისის სასულიერო სკოლაში. შემდეგ კი იქვე, ქუთაისში. გააგრძელა და წარმატებით დაამთავრა სემინარია. შემდეგ რუსეთში დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი და გერმანიაში ლაიპციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტი. ამათ გარდა, გრ. რობაქიძის სწავლის ინტერესს შეადგენდა: მსოფლიოს და საქართველოს ისტორია, ლიტერატურა, მითოლოგია. ის სასწავლებლებში მიღებულ ცოდნით არ კმაყოფილდებოდა. ბეგრს კითხულობს და სწავლობს დამოუკიდებლად. ის განსაკუთრებული მონღომებით ეწაფება ქართულ ენასა და ლიტერატურას... რაც უფრო ღრმად სწავდება ქართული ენის ფესვებს, მით უფრო იხიბლება იგი, მისი სილამაზით და მსოფლბრტით. ქართული მითოლოგიისა და ენის საიდუმლოთ გახსნა ხდება ახალგაზრდა მოაზროვნის ძირითად მიზნად.

საზოგადო სარბიელზე

სწავლადამთავრებული გრ. რობაქიძე, 1908 წელში, ბრუნდება სამშობლოში. მის მაშინდელ პორტრეტს კარგად გვიხატავს აწ განსვენებული იოსებ გოგოლაშვილი: „გრიგოლ რობაქიძეს პირველად შევხვდი პეტერბურგში, ჩემი სტუდენტობის დროს, სამშობლოში ბრუნდებოდა საზღვარგარეთიდან. მეტად კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე ამ შეხვედრამ. მოგჩიო, სუფთად გაპარსული სახე, ჩამწვდომი მოეღვარე თვალები, შვეარდნის გამოძივებული; იგი უხევერისთანავე იპყრობდა ყურადღებას. დინჯა, ჩამოსმული მოკლე ფრანზები, შერეული საფუძვლიანი, ლამაზი ნეოლოგიზმებით, ამეღვანებდნენ მისი აზროვნების ფართო ერუდიციას...“ (ს.ბ.პ. №47). მაშ, ქაბუკ გრ. რობაქიძის პიროვნებაში მოცემული იყო სულიერი და ფიზიკური სრულყოფა, რაც ასე ხიბლავს ქართველ კაცს და გა-



ნა მარტო ქართველს??? თავის ლიტერატურულ მოღვაწეობას გრ. რობაქიძე იწყებს საჯარო ლექცია-მოხსენებებით: აკაკი, ილია, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვაჟა, ნიკო ფროსინდელის შვილი, ფრიდრიხ ნიცშე, ოსკარდ შპენგელი და სხვებზე, რომლებიც დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ მსმენელებზე და ამ ლექციების ატორი სწრაფად ექცევა იმდროინდელ ქართულ მოწინავე საზოგადოების ყურადღების ცენტრში. სხვა მრავალთა შორის, გრ. რობაქიძის მოხსენებებით აღფრთოვანებული იყვნენ და დიდი ქების წერილები მიუძღვნეს პრესაში ილია ზურაბიშვილმა(ელფთერაძე), არჩილ ჯორჯაძემ და სულმანთმა აკაკიმ, რომლის წერილი იწყებოდა: „აწ განუტევე მეუფეო მონა შენი“-ო. ცნობილია თუ რა ძუნწი იყო აკაკი ვინმეს შექებაში. აწ განსვენებული სევერიან ჭირაქაძე იგივე „ბედი ქართლისა“-ში წერს: „მე ვიცი(პირადად მომსმენია ან საჯაროდ თქმულა), რომ გრ. რობაქიძეს ფრიალ აფასებდნენ ქართული ლიტერატურული და მეცნიერული წრეები, საქართველოს ყველა გამოჩენილი პირები: ივანე ჯავახიშვილი, შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, სერგო დანელია, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, ალექსანდრე ჯანელიძე, ანდრია რაზმაძე, პავლე ინგოროყვა, გერონტი ქიქოძე, კონსტანტინე გამსახურდია, კოტე მაყაშვილი და მრავალი სხვა. ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელმა, ივანე ჯავახიშვილმა მას მსოფლიო ლიტერატურის კათედრაც კი შესთავაზა...“ რაც შეეება პოეტებს, მათი განწყობილება გრ. რობაქიძისადმი ყველაზე მხედრად მოცემულია ტიციან ტაბიძის ლექსში:

„გრიგოლ რობაქიძეს“

„ზაღდათის, ტირის, გააცოცხლე ძველი ოსტატი,
მორჩილი ხელი ჰკლავს ზურმუხტს, აღმასსა და ლალს.
ტიტველ სირენას და მოთენთილ მადონას დალალს,
ყველაფერს იტევს შენი ლექსი მოანდამანტე.“

ქიხვინთ მორბის და მორეკავს თეთრ ცხენის რახტი,
მორჩილი სიციხეში გაალებულს გისმენთ მზით დამთვრალს.
მაგი, უონგლერი თვალს აყოლებ ვარსკვლავთ კარნავალს,
საქართველოს ბედს დააფარე შეგნების სალტე.“

ხარ მეორეჯერ მონათლული დანტეს ემბაზში,
იყავი მეფე – ზეცას გიწერს ბედის მწერალი,
დაცემის ორმო და აღდგომის თეთრი მწვერვალი.“

Djobadze's
Library


დიდების ცეცხლი მარად გინთებს სამეფო კარავს,
გამარჯვების მზეს უბეღობა ველარ დაფარავს.
პოეტს, მეგობარს მიამაყებ მელექსეთ ბაში.“ (1916. წლის მაისი)

ცისფერთვალემა ტიციან ტაბიძე „ცისფერყანწულთა“ ორდენის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელთაგანია. ბევრი ცისფერყანწულად თვლიდა თვით გრიგოლ რობაქიძესაც, მაგრამ ეს აზრი გრ. რობაქიძემ მისთვის ჩვეული ატორიტეტულით შეასწორა: „ქართველ სიმბოლისტთა ჯგუფი „ცისფერ ყანწულებად“ ცნობილი. თაოსანნი: ბაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი. ჯგუფი აგებული ვითარ „ორდენი“-ძმობა: პოეზიით წარმოშობილი. უმაგალითო ამბავი მსოფლიო ლიტერატურაში. მე ვიყავე ყანწულებთან მხოლოდ როგორც მეგობარი უფროსი, დამხმარე და წამახალისებელი. ხაზს ვუსვამ: მხოლოდ. რისთვის? რათა აღვნიშნო, რომ ჩემ შემოქმედებაში იყო გულგებულ „სიმბოლოსთან“ ერთად „მითოსიც.“ გარდა ამისა, მე იმთავითვე ვიცილი, რომ „ხაზგასმა“ ხელოვნებაში, რბილად რომ ვთქვათ, სახიფათო რამაა.“

ამრიგადმ პირველი ომის დაწყების წინ, გრ. რობაქიძე ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია როგორც პოეტი და ლიტერატურული კრიტიკოსი. ამის გარდა, ის მოღვაწეობდა პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ დაარსებულ „ქართველ მხატვართა წრე“-ში, როლის თავმჯდომარე იყო აწ განსვენებული გიორგი ყურული, ხოლო თანამეწვენი: გრ. რო-



ბაქიძე და გერონტი ქიქოძე. ამ წრეს უნდა ვუმაღლოდეთ ნიკო ფიროსმანიშვილის აღმოჩენას და მისი სურათების გადარჩენას შთამომავლობისათვის. გარდა ბაქიძე აგრეთვე იყო ქალაქთა კავშირის მთავარი გამგეობის წევრი, რომელსაც თავმჯდომარეობდა ახატისოვი. ომის დაწყებისას რობაქიძე აირჩიეს ამიერკავკასიის რწმუნებულად და გაემგზავრა სპარსეთის ფრონტზე სამუშაოდ. სპარსეთმა წარუშლელი კვალი დატოვა შემოქმედ ხელოვანზე. აქ, კერძოთ ჰამადანში, ჩაცხაბა მას იდეა დრამა „ლონდა“-ზე და რომან „გველის პერანგზე“, 1917 წელს ი. გველის პერანგის თხრობა ჰამადანში იწყება. აქვე გაიცნო მან მისი ცხოვრების მუდმივი უახლოესი თანამგზავრი, ქალბატონი ელენე ფიალიკინა, რომელიც თვით გახლდათ ნიჟიერი მწერალი ქალი, ავტორი რუსულად და გერმანულად ნოველებისა და რომანების...



ვეტერანი მედროშე, ქრისტეფორე იმნაიშვილი, ქართული აღამით, დიდი მწერლის საფლავთან.

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს მკვდრებით აღდგომას, რობაქიძე აღფრთოვანებით შეეგება, რაც მას თავისებური ხატოვანებით აქვს გადმოცემული მის „ისტორიულ წამებში“, რომლის არსებობა, სწორედ კარგ დროს, შეგვახსენა ყურნალმა „ჩვენი დროა“-მ, მის უკანასკნელ ნომერში. დამოუკიდებლობის დროს, რობაქიძე წვერი ყოფილა საქართველოს დღევანდელისა დასავლეთ ვერობაში, რომელსაც კარლო ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი მეთაურობდნენ. გრ. რობაქიძე სტამბოლში დაუტოვებიათ ზოგ სხვებთან ერთად საქართველოს ლეგაციის დასაარსებლად. „გრივოლი დიდებული მდივანი გამოდგა დღევანდელისათვის. მისი შედგენილი ოქმები პირდაპირ მხატვრული ნაწარმოებები იყვნენო“, იგონებს განსვენებული იოსებ გოგოლაშვილი.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ვასაბუთების პირველ წლებში, გრ. რობაქიძე განაგებდა ხელოვნების განყოფილებას, განათლების კომისარიატში. სევერიან ჭირაქაძის მოწოდებით, გრ. რობაქიძეს იმ დროს ბევრი კარგი მამულიშვილური საქმე გაუკეთებია, სხვათა შორის, მისი წყალობით რეგვენ ბოლშევიკებისაგან დანგრევას გადარჩენია ქაშუეთის დიდებული ისტორიული ტაძარი.

შემოქმედების დიდ შარაზე

იქნება პარადოქსი იყოს, მაგრამ ფაქტს ვერ გავიქცევით, სწორედ ამ, საბჭოურ, პერიოდში იწყება გრივოლ რობაქიძის როგორც ლიტერატურული შემოქმედის ფართო შარაზე გამოსვლა, მისი დიდი ტილოების საჯაროდ გამოფენა. 1924 წელს კრებულ „კავკასიონში“ პირველად იბეჭდება „ლონდა“-დრამა, მისტერია. ამავე წლის შემოდგომაზე ამთავრებს მეორე დრამას, „ლამარა“-ს, რომელიც იდგმება რუსთაველის თეატრში პირველად 1926 წლის 29 იანვარს და, რომელმაც მაყურებელთა ჯერ უნახავი მოწონება დაიმსახურა. 1926 წელს ივე პირველად იბეჭდება „გველის პერანგი“, რომანი, ფორმით და შინაარსით სრულიად ორიგინალური. ამ ორი ნაწარმოების მეტი რომ არაფერი დაეწერა გრივოლ რობაქიძეს, მაშინაც მისი სახელი საამაყოდ დარჩებოდა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

„ლამარა“ სრულიად ახალი, ორიგინალური და წმინდა ქართული შენაძენია ქართული ეროვნული თეატრისათვის. მან არა მარტო ქართველი მაყურებელი მოხიბლა და აღაფრთოვანა, არამედ აგრეთვე რუსებიცა და სხვა ერთა თეატრების წარმომადგენლებიც მოსკოვის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, 1930 წელს. დღეს, როცა იგივე რუსთაველის თეატრი მსოფლიოს სხვადასხვა თეატრების სცენებიდან უტყობო მაყურებლებს უჩვენებს უცხო ავტორების მიესებს: ბერტოლდ ბრეხტის „კავკასიური წრე“ და ელიამ შექსპირის „რიჩარდ მესეის“, არ შეიძლება ქართველ კაცს გული არ გეტკინოს. თეატრის მესვეურებს, რომ რობაქიძის „ლამარას“ დადგმის უფლება ჰქონებოდათ, მაშინ, როგორც



თეატრის დამდგმელ-მსახიობთა კოლექტივი, თავისი მაღალი პროფესიულობით და ნიჭით, ისე ორიგინალური ქართული პიესის ჩვენება, გაცილებით მეტ მოწონებას დაიმსახურებდა და გაცილებით მეტი გამოხმაურება ექნებოდა რუსთაველის თეატრს მსოფლიო თეატრალურ სამყაროში. მაშინ ეს იქნებოდა ჭეშმარიტად ქართული ეროვნული თეატრის ზეიმი. დღეს კი ის უსახოა. მასზე ლაპარაკობენ და წერენ მხოლოდ, როგორც ერთ-ერთ საბჭოთა თეატრზე, როგორც ნიჭიერ დამდგმელსა და მსახიობებზე.

„ლამარა“ ტკბილი ხალხური მელოდიებით იწყება: აი მთაზედა... თოვლიანზედა... და თანდათან ხანძარივით ედება გარემოს. გარემო აქ კავკასიის აღმოსავლეთის მთიანეთია. როკვა, სიმღერა, სიტყვა, ერთთავად ხელს უწყობენ მაყურებელთა გრძნობების გამძაფრებას. განსაკუთრებით კი, აქ ენაა აღსანიშნავი. „ლამარას“ ენა ხევესურულია. ეს იშვიათი კილო ქართულისა, რომელიც ლიტერატურაში პირველად მთის მგოსანმა, ბუმბერაზმა ვაჟა ფშაველამ შემოიტანა, გრ. რობაქიძეს მიაჩნია უძველეს ქართულ ენად, რომელიც მთის შემოუნახავს. უსმენ „ლამარას“ და გაოცებული ხარ: იმერელმა ავტორმა, რიონ-ყვირილას პირად დაბადებულმა და დაგაყვაცებულმა, როგორ დაიმორჩილა ასე სრულყოფილად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეს ცეცხლოვანი მეტყველება. ნიმუშად, მოვიყვანოთ მხოლოდ ორი მცირე მონოლოგი:

გიგი: „თუ რო ტყუილ ვთქო, ვირისხო: რაიბულ: „ჯერ არ მიხილავ ცდუნება ბარმა მიმიღოს, მთამ არა. ჩემი დაშნა და ფარისა— ალი ვნახოდი წითლაზე, სახელ მიქვიან რაიბულ მარტო პერანგის ამარა. მინდოდაურის გვარისა!“ ვაკებ თორღვას მკლავებსა, მათუაცია ლამარა!“

და კიდევ ერთი, ვაჟას სცენაზე გამოჩენის დროს საერთო შეძახილი: „ფშავ-ხევესურ-თუშ, კახ-ქართ-იმერ, გურ-მეგრ-სვან, -შვილნია საქართველოს! მარჯი საქართველოს! შვილნია საქართველოს! მარჯი საქართველოს! ეს თითქოს უბრალო ფრაზა, რომელსაც, მაშინა გურიელიდან მოყოლებული არაერთი პოეტი, სხვადასხვა ფორმით, იმეორებს ქართულ პოეზიაში, აქ განსაკუთრებულ ფედერალობას აღწევს. ის მაგურად მოქმედებს ქართველ მაყურებელზე, აღაგზნებს მას და უნერგავს გამარჯვების რწმენასა და შესაძლებლობას. ერთი სიტყვით, საღესივით ღვსავს ქართველის პატრიოტულ მგრძნობიერებას.

ამავე დროს, „ლამარა“ იშვიათი ხოტბაა კავკასიის ხალხთა და ტომთა ერთობა-ძმობა-მეგობრობისა. ლამაზ ჭისტ ქალწულ ლამარას მოტაცებით გამოწვეულ მტრობის მოსაშლელად, მშვიდობისა და მეგობრობის ჩამოსაგდება ხევესურთა და ქისტთა შორის, დრამის გმირი, მისანი შინდიდა თავს სწირავს და მიზანს კიდევაც აღწევს. „ლამარა“-ში ერთი და იგივე სიმპათიითაა ნაჩვენები ორივე თემი. არსად ნატამალი არაა ნაციისტური ეროვნული უპირატესობის: სილამაზე, სიმევირცხლე, ჯანი და შემართება-ვაჟაკობა ერთთავად დამახასიათებელია დრამის, როგორც ქისტ, ისე ხევესურ გმირებისათვის. მათ არ იციან რა არის ბატონი, მბრძანებელი. მათთვის უცხოა, უცხოელ მპყრობელი ხალხის, „უფროსი ძმის“, სატირალი რომ არ იყოს, სასაცილო კულტი, რომელიც, დღეს, ასე დაყენებით ნერგავს კრემლი და მისი წარმომადგენელი საქართველოში—ედუარდ შევარდნაძე.

„გველის პერანგი“

ამ რომანზე თვითონ გრ. რობაქიძე ბრძანებს: „მოვლინდა ვითარ *Fundgrube* (მადანი) ნამდვილი“-ო. რაც არ უნდა გადაჭარბებული მოგვეჩვენოს ავტორის ეს გამოხატულება, მაინც შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ მას გამოქვეყნებისთანავე დიდი გამოძახილი ხვდა წილად და, რომ ის ახალი სიტყვაა ქართულ რომანისტიკაში. ის განსაკუთრებული და შესანიშნავია, როგორც სტილით, თხრობის ფორმით, ისე შინაარსით. ცნობილია: „გველის პერანგი“ ძნელად საკითხავი რომანია. არ შეიძლება მისი ზღაპარივით სულმოუთქმელი კითხვა. პატარა, სხარტ, ოსტატის ნაჯახით გამოკოპიტებულ ფრაზეში, ვრცელი ამბებია მოთხრობილი: მშობლიურ და მსოფლიო ისტორიიდან, მითოსიდან, რელიგიებიდან, თანადროულ მნიშვნელოვან მოვლენებიდან. სიტყვათა სიძუნწით ეს რომანი „ქართლის ცხოვრებას“ შეიძლება

შევადაროთ. რაც შეეხება მის შინაარსს, იგი ქვეშაირად „ვიზონურია“ (წინასწარმეტყველ ტელური). მთელი ერთი თაობით ადრე, სანამ სამშობლოდან გადმოხვეწილ ქართველებს მემკვიდრეები გაუჩნდებოდა და წამოეზრდებოდა, „გველის პერანგში“ შესანიშნავად დასურათხატებულია მათი სულიერი განცდები და დაუთკებელი ლტოლვა მამაპაპათა სამშობლოსაკენ.

რომანის მთავარი გმირი, არჩიხლდ მეექვსი, ქართველია, არჩილ მაყაშვილია. მაყაშვილები და ჩოლოყაშვილები ძველი დიდებული ქართული გვარის, ირუბაქიძის შთამომავლები არიან. კახეთის მეკიდრნი. მაყაშვილებს გვარს სენი მოღებია და გადაშენების გზაზე ყოფილა. ერთ ოჯახს მაყაშვილებსა, არჩიხლდ მეექვსის ბაბუსა, კახეთი მიუტოვებია, იმერეთში, საირმეზე, გადასახლებულა, მაგრამ ღვთის რისხვისაგან თავი ვერც იქ შეუფარებია: არჩილს უფროსი ძმები და დები მცირე ასაკში დახოცვია, მისი დედა, მის მოლოგინებას თან გადაჰყოლია, გადაშენებით შეშინებულ მამას, თამაზ მაყაშვილს, ადგილ-მამულები გაუყვია, გარდა სახლისა და მცირე საჯვარისა, საქართველო მიუტოვებია, დასახლებულა ინგლისში, შვილისთვის სახელი და გვარი გადაუკეთებია; ვერც ინგლისში გაუძლია დიდხანს თამაზ მაყაშვილს, შვილი ერთ ინგლისელ მეგობრისათვის დაუტოვებია აღსაზრდელად, საკმაო ფული დაუტოვებია, თვით კი ბასკების ქვეყანაში გამგზავრებულა. ამრიგად, არჩიხლდ მეექვსი სრულიად უცხო გარემოცვაში აღიზარდა, ქართული აღარ იცის, საქართველო ოდნავ, სიზმარებით ახსოვს, არაფერი არ იცის თავის წარმომავლობაზე.

არჩიხლდ მეექვსი დავაჟყავდა. უკვე სახელგანთქმული მხატვარია. მსოფლიო პირველი ომიც იწყება. მას აღარ ასვენებს მამის ნახვის სურველი. მამის ძებნაში, თავს ამოყოფს მესოპოტამიაში, აქედან გადადის ირანში. ჰამადანში იწყება რომანი. აქ, არჩიხლდ მეექვსი ერთ და იმავე დროს ხვდება: რუს ლამაზ ქალიშვილს, ვოლგა ბალაშოვის, რომელსაც რამდენიმე წლით ადრე (1914 წელს), ქ. ლოზანში, სიყვარული შესთავაზა; მაშინ, ქალმა უტოლველი ტყუილით ვაჟის თავაზი აირიდა, მაგრამ შემდეგ ინანა. აქ, ჰამადანის მზით გახურებულ გზაზე, თვლი მოჰკრა თუ არა მიმჭროლავ ავტომობილიდან ვაჟს, ქალი შეხედეს-ლის სურველმა აიტანა და თვით გამოუღვა ვაჟს საძებნელად, და ქართველ მხედრებს, რომლებსაც არჩიხლდ მეექვსი უახლოვდება და ხშირად მათთან ერთად დროს ატარებს. ქართველ მხედრებთან ქეიფი, ცეკვები, სიმღერები თანდათან ახდენენ სასწაულს: არჩიხლდ მეექვსი იფეთქება ქართული სისხლი. ქართველ მხედრებიდან ჯვლაზე უფრო არჩიხლდ მეექვსი ვამეზ ლაშხის უმეგობრება, რომელშიც გვიან მის უკანონო ძმას აღმოაჩენს. ვამეზი, თავის ახალშექმნილ უცხო მეგობარს, თავის სოფელში, რომელიც არჩიხლდლის სამშობლოცაა, რაც მან ჯერ არ იცის, რთველში ეპატრება. აქ, მის წინაპართა სამკვიდრო მიწასთან ზიარებით, თანდათან თვალები ეხილება, არჩიხლდ მეექვსი კვლავ ქართველად იქცევა—არჩილ მაყაშვილად. ეს გარდასახვა ოსტატურად შედარებულია გველის მიერ ზაფხულში კანის გამოცვლისათან. აქედან სახელწოდება: გველის პერანგში. არჩილ მაყაშვილი ცოლად ირთავს ვამეზის ლამაზ დას, მატასის და ჰყავთ ბევრი შვილები...

გრიგოლ რომაქიძემ სულ მალე თარგმნა გერმანულად ეს რომანი და კიდევაც გამოსცა 1928 წლის ოქტომბერში. როგორც ვიცი, ამ რომანს და ყველა სხვებსაც, რომლებიც ამის შემდეგ გრ. რომაქიძემ გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა, დიდი წარმატება ხვდით წილად. ამაზე დაწვრილებით შეჩერება, ჩემს დღევანდელ საუბარში არ შეიძლება. ვიტყვი მხოლოდ, რომ გრ. რომაქიძის წარმატება და დიდება დასავლეთ ევროპის ოტერაბატურაში, ამავე დროს იყო ქართული ეროვნული ლიტერატურისა და ცივილიზაციის წარმატება და დიდება მსოფლიო მასშტაბით. ამ მხრით, ეს ჩვენი სახელოვანი თანამემამულე ზღაპრულ ინდოეთის მსოფლიოში სახელგანთქმულ პოეტს, რაბინდრანათ თაგორეს შეგვიძლია თამამად გვერდში ამოვუყნოთ. ამ ორ ბუმბერაზს შორის სხვა რამეც ბევრია საერთო. ორივეს შემოქმედებას ასახელოვებს მხურვალე პატრიოტიზმი და მისტიციზმი. თაგორეს მისტიციზმის წყარო თუ ბუდიზმია, გრიგოლ რომაქიძე მითოსის თავანჯარა დინებას ეწაფება.

გაუფებრობა და უსამართლობა

ჩემს საუბარს დავამთავრებ იმ გაუფებრობისა და უსამართლობის აღნიშვნით, რომელსაც ადგილი აქვს გრ. რომაქიძის მიმართ. დიდ შემოქმედებით აღმავლობის და პოპული-



არობის მომენტში, 1930 წლის ბოლოს, გრ. რობაქიძე ტოვებს სამშობლოს და საბჭოთა კავშირს, გერმანიას აფარებს თავს, როგორც პოლიტიკური დევნილი. აქ საჭიროა კარგად გაითვალისწინოთ ის ატმოსფერო საბჭოთა, რომელსაც მწერალი გამოექცა. ეს ხანა გახლავთ გაუგონარ მასიურ რეპრესიების მათწყებელი, ხანა სოფლის სრული კოლექტივიზაციის, ე.წ. კულაკების ფიზიკური ლიკვიდაციის, ბოლშევიკურ პარტიის კულტიდან სტალინის პიროვნულ კულტზე გადასვლის, რომლის დროსაც უხეშად ანადგურებენ და შიშის ხარის სცემენ, როგორც პარტიის შიგნით, ისე მის გარეთ, მთელ საბჭოთა საზოგადოებას, ყველას, რაც ამ პიროვნულ კულტს წინ უდგება, ან მომავალში შეიძლება წინ აღუდგეს.

გრიგოლ რობაქიძე, როგორც დიდი ინდივიდუალური შემოქმედი, მარქსისა და მატერიალიზმის განცხადებული უარყოფელი, მხოლოდ უცხო კი არა, პოტენციალური მტერია საბჭოთა წესწყობილების. ან წამებით სიკვდილი, ან სულთ და ხორციელ დამონება, ასეთია მკაცრი დღეები, არა მხოლოდ გრ. რობაქიძის, არამედ ყველა გამოჩენილი ხოლოვანის. ბევრმა მოწამებრივი სიკვდილი არჩია, ბევრმა ქაშაღვინობისა და მლიქვნელობის პირსაბურველი. გრიგოლ რობაქიძემ გაცლა და თავისი სათქმელის თქმა არჩია. მე მგონია, ეს მან გენიალური ინტუიციით გააკეთა და არა რაციონალური დასკვნის შედეგად. ყოველ შემთხვევაში, ის მიხვდა, რომ ან თავის მისიისათვის უნდა ელაბტატ(გრ. რობაქიძე, რომ დიდი მისიისათვის იყო ამ ქვეყნად მოვლენილი, ჩემი რწმენით, ამაში მას არასოდეს ეჭვი არ მიპარია), ან სამშობლოდან დევნის ეკვივან გზას უნდა დადგომოდა. ირჩია მეორე გზა. ამ არჩევანის წყალობით, ევროპის ლიტერატურას შეეძინა შეიდი დიდი და მრავალი მცირე ზომის პირველხარისხოვანი ნაწარმოებები, ქართული სამყაროს სიუჟეტებით.

ამ არჩევანს არ შეიძლება არ ჰქონებოდა პოლიტიკური მხარეც. ჩვენს დროში პოლიტიკური და ლიტერატურული მოვლენები ჯაჭვის რეგულაციით არიან ერთმანეთზე გადაჯაჭვულნი. ამის გამო, ჩვენი სახელგანთქმული მწერალი, უმართებულოდ, დამარცხებულ გერმანულ ნაიცისტა ბანაკში დარჩა, მათ ხვედრს იზიარებს. უმართებულოდ რადიანაც, გრ. რობაქიძე ნაიცისტი და ანტიემიტი არამც და არამც არ ყოფილა. ლენინის, მუსოლინის, პიტლერის ლიტერატურული პორტრეტების შექმნა არ მოასწავებს, არ ნიშნავს, რომ ის იზიარებდეს ან ერთის, ან მეორის, ან მესამის პოლიტიკურ მრწამსს, მით უფრო მათ კრიმინელურ აქტებს.

გრ. რობაქიძისათვის უცხოა ხალხთა შესახებ რასისტული და ნაიცისტური თეორიები. ბ. კალისტრატე სალიასთან ინტერვიუში, მან მკაფიოდ განაცხადა: „ჩემთვის ყოველი ხალხი სხეობაა ღვთიური მრავალსახიერებისა, ასეთია რუსი ხალხიც. რუსთა გენიის ძლიერება ცხადდება: რწმენაში, ლიტერატურაში, მუსიკაში, სიმღერაში, გალობაში, თეატრში, ბალეტში...“ ხედავთ რა სულგრძელობაა ამ სიტყვებში? დაპყრობილი ერისშვილის შურისძიების ნატამალიც არა აქ, რუსებიც კი, რომლებიც პრეტენზიებს აცხადებენ „უფროსობისას“ და „ველიკობისას“ და სხვა ერებზე განსაკუთრებულ უფლებებისას, პარტიციპაციით და დაფასებით ჰყავს მოხსენებული. „...საჭიროა—წერს გრ. რობაქიძე— ცნებას „ჯიში“, „რასა“, პირველადი აზრი დაუბრუნოთ. ე.ი. ნამდვილი, არწარყვნილი... ჯიში ამრავალ რჩეულობაა. რჩეულობა კი ყველგან და ყოველთვის თავისებურია: ნაირნაირი. ხოლო თანაბარდრისეული, ტოლფასეული ვინც საკითხს ასე აყენებს: რომელია რასებში უმჯობესი—მას რასის არა გავება რა.“

რაც შეეხება გრ. რობაქიძის ანტიემიტობას, ეს ხომ სრულიად უსაფუძვლოა. ვერსად მის ნაწარმოებში ასეთ რამეს ვერ შეხვდებოდა მკითხველი, ხოლო ებრაელ ხალხის განდიდებას კი ხშირად. ერთი მაგალითი, „გველის პრანგი“ ებრაელები დახასიათებულია, როგორც უძველესი და უუცლტურესი ხალხი. ირუბაქ ირუბაქიძე, ირუბაქიძეთა დიდებული გვარის წინაპარი, რომელიც მეექვსე საუკუნეში ცხოვრობს, სრულყოფილად ფლობს ბერძნულ-ლათინურ-ებრაულ ენებს, მაგრამ ებრაული ეკვლას ურჩევნია, რადგანაცო, ათქმევენებს ავტორი გრ. რობაქიძე, უფალთან მხოლოდ ამ ენაზე შეიძლება დაპარაკიო.“

მიუხედავად ამისა, ნაიცისტური და ანტიემიტური ბრალდებებით, გრ. რობაქიძე მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ჩიხუმის აჯიჯახებითა ჩაგდებული. კრემლს, რომ ის არ მოსწონს ეს გასაგებია. გრ. რობაქიძე ამიდრობებს ქართულ კულტურისა და მით აკავებს დაუმორჩილებელ ქართულ სულს, რაც ხელს არ აძლევს რუსულ კონკინიზმს. მაგრამ, თავისუფალ დასავლეთის ეკვები, უნდობლობა გამომდინარეობს უცოდინარობისა და გაუგებრობისაგან. პირველ რიგში ამათი გაფანტვაა საჭირო და გრ. რობაქიძის ნაწარმოე-



ბების ხელახლად გამოცემა გერმანულად და მათი თარგმნა ფრანგულად და ინგლისურულად, განა საკმარისი არ იყო აღნიშნულთა სიავე, უმადურება, მატერიალური გასაჭირისა და მსგავსი ბედობა, რაც მას მოხუცებაში გადახდა თავს, რომ სიკვდილის შემდეგაც აკრძალვისა და მღუმარების ჯოჯოხეთს არ განიცდიდეს მისი სახელი და მისი აძლენი შრომით და ნიჭით შექმნილი თხზულებები?! დროა გრ. რობაქიძის სახელს შვის ნათელი მოეფინოს. დაე, ვისაც სურს სანთელი უნთოს მის სახელს, მას ამის უფლება და ნება უნდა ჰქონდეს. ვისაც ის და მისი შემოქმედება პატივისცემად არ მიაჩნია, ისიც თავისუფალი უნდა იყოს. აკი, თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტეც არ იწამა ყველამ.

გიორგი წერეთელი

ვ ი ქ ტ ო რ ხ ო მ ე რ ი კ ი ს გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

პატივცემულო თანამემამულენო! ნება მიბოძეთ, როგორც ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარემ, გამოვიცხადოთ უღრმესი მადლობა, რომ კეთილი ინებეთ და დაეწარით ჩვენი დიდი მწერლის, მოაზროვნის და კრიტიკოსის, გრიგოლ რობაქიძის საპატივცემულოდ გამართულ საიუბილეო დღეზე. აგრეთვე დიდ მადლობას ვუცხადებ, საზოგადოების სახელით, მომხსენებლებს და ამ დღის მომწყობ კომისიის წევრებს და განსაკუთრებით დღევანდელ კრების თავმჯდომარეს ქალბატონ გულნარა ურატაძეს, რომელმაც ასე უანგაროდ და დაუღალავად ემსახურა ამ დღის აღნიშვნას.

მიუხედავად შემომქმედ ძალების დანაკლისისა, რომელსაც ჩვენი საზოგადოება ასე მწარედ განიცდის, დღევანდელი გამოსვლა ღირსშესანიშნავია, გამამხსენებელი და დასაფასებელი. იმედს გამოვთქვამ, რომ მომავალშიც ქართულ სათვისტომოს არ მოაკლდება ასეთი უანგარო საქმიანობა.

რედაქციის განმარტება: 1. მოხსენებები წინასწარ შეთანხმებულნი არ ყოფილან. ამის გამო, მკითხველი ხშირად შეხვედება განმეორებებს. თავს იმით ვინუტეშებთ, რომ განმეორება დედაც ცოდნისა.

2. ქვემოთ, დამატების სახით, ვებუდავთ ბ. ვალიკო ჩუბინიძის მოგონებებს გრ. რობაქიძის შესახებ. ჩვენ არავითარი ცნობა არ გვაქვს და არც გვგონია, საფრანგეთში მყოფ ჩვენს ეროვნულ მთავრობას ვავლენა მოეხდინოს გრ. რობაქიძის სამშობლოდან გადმოხვეწის გადაწყვეტილებაში. მაგრამ, შესაძლებელია, განსვენებული ნოე რამიშვილი ფიქრობდა მის ეგროპაში ჩამოყვანას.

ჩ ე მ ი დ ლ ი უ რ ი დ ა ნ

1927 წელს, როცა მოვათავე ყველაფერი ჩვენი ქვეყნის ინფორმაცია ნოე რამიშვილთან, მან შემეკითხა ქართველ მწერლების შესახებ, ვინ უფრო აქტიურობს, ან თუ ვისი ჩამოყვანაა სასურველი აქ სამუშაოდ. ჩემი პასუხი იყო გალაქტიონ ტაბიძე. რაში გამოიხატება გალაქტიონის აქტივობა? მკითხა ნოემ. მე მივუთხე: გალაქტინ ტაბიძემ შესანიშნავი ლექსი დაბეჭდა „მნათობ №5“-ში, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შესახებ. მაშინ „მნათობის“ რედაქტორად იყო ცნობილი ძველი ბოლშევიკი მიშა კახიანი. „მნათობის“ ამ ნომერს მთლიანად რეკეზიციის უყვეს, კახიანი მოხსნეს და მის მაგივრად დანიშნეს სილვა თორღია. გალაქტიონისკველ ბოლშევიკებს შორის ჰყავდა მეგობრები, რომლებმაც დაქერას გადაარჩინეს. მნათობის ეს ნომერი, სხვა ფოსტასთან ერთად, მე გადმოგზავნილი მქონდა სტამბოლში.

გ. ტაბიძე კარგია, მითხრა ნ. რამიშვილმა, მაგრამ ის რომ არ დათანხმდეს ჩამოსვლაზე, მაშინ? მაშინ, მივუთხე მე, არიან: კოწია გამსახურდია, დათიკო თურღოს-პირლი(ჩხვიძე), დამფუძნებელი კრების ჩვენი პარტიის დებუტატი, და გრიგოლ რობაქიძე მეთქი. ნოე რამიშვილმა ეს საკითხი დააყენა ცენტრალურ ბიუროში, 1927 წლის დეკემბერში. ბიურომ აირჩია კომისია: ნოე რამიშვილი, დათიკო შარაშიძე და ვასო წულაძის შემადგენლობით. ამის შემდეგ დიდი დრო არ გასულა, პარიზში, მსოფლიო მწერალთა



ჭილობაზე დასასრულებლად ჩამოვიდა ვალაქ. ტაბიძე. მის სანახავად, სხვათა შორის, მარტინოვი
 ვიდნენ: სიმონიკა ბერეიანი, ილია ზდანევიჩი და ჩვენი გოგი ნოზაძე. არ ვიცი ესენი მართლაც
 მიიღო თუ არა ვ. ტაბიძემ, მაგრამ, ნოე რამიშვილის დავლებით, ის ინახულა დათიკო
 შარაშიძემდე, ერთად ივანეშვიტს, ბევრი იმუხაიფეს. ვ. ტაბიძემ უარი უთხრა აქ ჩამოსვლაზე
 სამუშაოდ. მე იქ დავტყუებო. მხოლოდ, დ. შარაშიძემ ბევრი საინტერესო ცნობები
 მიიღო მისგან, რომლებიც გამოიყენა მის წიგნში ანრი ბარბუსის შესახებ. შემდეგ მიმა-
 რთეს კოწია გამსახურდიას თბილისში. კოწიამაც უარი თქვა: მე ვიცი ემიგრაცია და მე
 აქ მეტს ვაგაქეთებო. ყველამ იცის რაც ვაგაქეთა: გამსახურდია დაიჭირეს, იყო გადასახლე-
 ბული სუზდალში. იქ დაწერა რომანი: ნოე ჟორდანიას და ირაკლი წერეთელი მუხიკას
 უკრავდნო. მას ამისთვის მიცეს დიდი სასახლე ბაღით „კოლხიდათ“ წოდებული. მოაშენა
 ირმები და გარეული თხები და იქვე დასაფლავებული.

დათიკო თურდოსპირელი დათანხმდა. წამოვიდა თავისი გზით—ყარის მიმართულებით.
 საზღვარზე დაიჭირეს. ისიც კოწიასთან ერთად იყო გადასახლებული სუზდალში და იქ გა-
 რდაიცვალა სამონასტრო ციხეში.

ნოე რამიშვილის აზრით, მართალია ყველაზე მეტს ჩვენ ქვეყანაში ვაგაქეთებს გრიგოლ
 რომაქიძეო, მაგრამ რაღაი სხვა ვერავინ ვიშოვნეთ, მივაკითხვით მასო. გრიგოლმა სურვილი
 გამოთქვა, მაგრამ ახლად ვარ მე დაბრუნებული გერმანიიდან, ვიზას აღარ მომცემნო. ვინც
 გრიგოლი ინახულა, მან ვაახსენა: სერგო ორჯონიკიძე ერთობ კმაყოფილია შენი უკანასკნელი
 ნამუშევრით, ის ხელს თუ მოგიწყობს, თუ არა, ხელს არ შეგიშლისო. მეორე კაცს ჩვენ გი-
 მოვით მოსკოვში, აბელ ენუქიძესო. მაშინ გრიგოლი დათანხმდა. გრიგოლ რომაქიძე, 1930
 წლის მიწურულში, თუ 31-ს დასაწყისში, ჩამოვიდა გერმანიაში და ორი თვის შემდეგ გა-
 აუქმა საბჭოთა ვიზა. შემდეგ ყველამ იცის. ნოე რამიშვილი ამ დროს უკვე მოკლული იყო.
 დაბოლოს, მინდა აღვნიშნო ჩემი კმაყოფილება, რომ ქვეს დეკემბერს საფრანგეთში მცხოვ-
 რებმა ქართველობამ, ერთად დარაზმულმა, იზეიმა გრ. რომაქიძის დაბადების ასი წლისთა-
 ვი, რომელიც ამავე დროს დიდი საპროტესტო მანიფესტაცია იყო, ჩვენი ქვეყნის დამპყრო-
 ხლების წინააღმდეგ.

ვალიკო ჩუბინიკი

ვ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა მ ე - 5 - ე - ს ა დ ლ ე ი ს ო ს ა კ ი თ ე ბ ე ბ ი

ა ხ ა ლ ი ს ა და ძ ვ ე ლ ი ს მი ჯ ნ ა ზ ე

ჯანმრთელი, და ბედნიერ ახალ წელს გილოცავთ ჩვენი ძვირფასო მკითხველებო, თანა-
 მშრომლებო, კეთილსმყოფელნი და თანამებრძოლნი!
 თუმცა მის მობრძანებას არ ვგაუწყებენ სასიხარულო ამბები, მაგრამ დიდი და ურ-
 ყვეი იმედი ჩავისახვით ველში, რომ მისი წაბრძანება უფრო ბედნიერი იქნება, როგორც
 ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოსათვის, ისე თავისუფლების მოტრფიალე კაცობრიობისა-
 თვის.
 - მართალია, ამ ჩვენი საუკუნის საკაცობრიო საფრთხობელა-საბჭოთა რუსეთი-კვლავ ბო-
 ზოქრობს და ახალ-ახალ ხუნდებს ამზადებს, თავისუფლების მოტრფიალეთა დასაბოროტავად,
 როგორც შიგნით, ისე გარეთ.
 - მართალია, საბჭოთა ტანკები და ავიაცია კვლავ მიწასთან ასწორებს ავღანეთის ქალა-
 ქებსა და სოფლებს, შეუწყვლელად ჟღერს ავღანელ უმწეო ქალებსა და უმანკო ბავშვებს.
 - ისიც მართალია, რომ ახალი წელი კრემლმა იზეიმა პოლონეთის თავისუფლების აღავებით.
 მაგრამ, გული მაინც არ უნდა გაიტივებო. თუ კარგად დავუყვირდებით, შევნიშნავთ, რომ
 მისი მძლავრობის აღსასრული მოახლოებულია. ჯერ თვით მის შიგნით: საბჭოთა ეკონომია
 გაკოტრებულია. წელი წელს მისდევს, საბჭოების სოფლის მეურნეობა(ხორბალი, ხორცი,
 რძე თუ სხვა სოფლის ნაწარმი) სულ იკლებს და იკლებს. წელსაც მის ბელლებში ორი მე-
 სამედი იმ მარცვლებულია არ ჩაუყრიათ, რაც საჭიროა მისი მოსახლეობის გამოსაკვებად.
 რა ეშველებოდათ მათ, რომ ამერიკის და დასავლეთ ევროპის ბელლები პირამდე არ იყ-
 წენ გაესილი?! და განა მხოლოდ სოფლის მეურნეობა? იმავე დღეებში ქალაქის მსუბუქი და

თვით მძიმე ინტელისტიკაც; ის მძიმე ინტელსტრია, რომლისთვისაც საბჭოთა ხელისუფლება, მთელი მისი არსებობის განმავლობაში, მოსახლეობის არავითარ მსხვერპლს არ ჰყავს და, რომლის განვითარებისათვის უდიდეს კაპიტალდაზღვევებს დებს ყოველწლიურად. ერთადერთი, რომლითაც საბჭოთა მთავრობის მესვეურებს „თავის მოწონება“ შეუძლიათ, ესაა ადამიანების და ქალაქ-სოფლების მომსახობი-სამხედრო შეიარაღება. მაგრამ, რა ფასად უხდება ეს მის განკარგულებაში მყოფ ხალხებს?

- ახლა გარეთ ვადავებელით: მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სტალინის ბატონობის დროს, ბერლინიდან დაწყებული ჩინეთ იაპონიის ზღვამდე, თითის გაქნევაც არ იყო საჭირო, რომ კრემლის ბრძანება უყოყმანოდ შესრულებულიყო. ასევე ემორჩილებოდა მას არაკომუნისტური მსოფლიოს კომუნისტური პარტიები; მის მიმართ სიმპატიებით იყვნენ გამსჭვალული მემარცხენე და პროგრესიული პარტიები თუ წრეები. გულბრყვილი და საქმეში ჩახუნდავი ადამიანები მთელ მსოფლიოში ფიქრობდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება მართლაც იყო მშრომელთა ხელისუფლება, როგორც ამას მისი პროპაგანდა ვაპყვიროდა. მეოთხედი საუკუნის შემდეგ, ეს მონოლითური პოლიტიკური ერთიანობა წარსულს ჩაბარდა. დღეს კომუნისტური ერთი მილიარდიანი მოსახლის ჩინეთი მოსკოვის მოსისხლე მტერია; ჩრდილოეთი კორეა, ალბანეთი, იუგოსლავია, სრულიად დამოუკიდებელი არიან კრემლისგან; ჩალშენის კომუნისტური რუმინეთი დამოუკიდებელ სამიწაო და საგარეო პოლიტიკას აწარმოებს; ცამეტი წლის შემდეგ, ჩეხოსლოვაკია ისევ საბჭოთა დივიზიების ოკუპაციის ქვეშ იმყოფება; ხოლო, პოლონეთი, საბჭოების ეს აქილევსის ქუსლი, თუმცა მზაკრული შეთქმულებით დროებით დადუმებულია, აქ კიდევ უფრო ცხადათ ჩანს საბჭოთა მოღობის სისუსტე. 16. თვის განმავლობაში მან ვერ გაბედა აშკარა ინტერვენცია და მხოლოდ მის სამსახურში მყოფი, მშობელი ხალხის მოღალატე, ზოგიერთი პოლონელის ხელით შეძლო პოლონელი ხალხის მასიური რევოლუციის შეფერხება. შეფერხება, რადგანაც, პოლონეთის რევოლუცია დამარცხებული ჯერ არ არის. მისი რევოლუციური პოტენციალი ხელუხლებულია, ტრფიალი თავისუფლებისადმი პოლონელი ხალხისა დაუთრუვენელია; როგორც კი იშროვის დროს, პოლონეთის რევოლუცია ხელახლად იფეთქებს და უფრო ძლიერად, ვიდრე წარსულში. არც ერთ აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტურ ქვეყანაში, კრემლს არ ჰყავს მოყვარე, გულწრფელი მეგობარი, რომლის იმედით მას შეიძლება ჰქონდეს. ის მათზე ბრძანებლობს მხოლოდ და მხოლოდ შიშველი და უხეში ძალით, მაგრამ როდემდის?

რაც ყველაზე უფრო საინტერესო და ბეერის მთქმელია, ამ უკანასკნელ წლებში, საბჭოთა მთავრობამ სრულიად დაჰკარგა ნდობა და პატივისცემა მთელს არაკომუნისტურ სამყაროში. მას ვადაუდენდ და ბრძოლა გამოუცხადეს, არა მხოლოდ მემარცხენე-პროგრესულმა წრეებმა, არამედ თვით ზოგმა კომუნისტურმა პარტიებმაც. ისეთი მასიური და გავლენიანი კოპარტიები, როგორებიცაა იტალიისა და ესპანეთის, საბჭოების წინააღმდეგ საჯაროდ გამოდიან არა მხოლოდ ავღანეთისა და პოლონეთის გამო, არამედ მთლიანად გამოხენ საბჭოთა წესწყობილებას, როგორც მიუღებელს კომუნისზმის იდეალებისათვის.

ამრიგად, კრემლის განკარგულებაშია მხოლოდ საერთაშორისო დაქირაებული ტერორისტები.

საბჭოთა წესწყობილების სენთა ჩამოთვლა ამით არ ამოიწურება, მაგრამ ესეც საკმარისია დავასკვნათ, რომ იგი დაღმართშია დაქანებული, უფსკრულისაკენ. კაცობრიობაზე ვასაბატონებლად არ კმარა მხოლოდ ტანკების, ავიაციის და ატომური ბომბების სირბილე, ამასთან ერთად საჭირო და აუცილებელია იდეურ-მორალურ-ეკონომიური უპირატესობაც, რაც საბჭოებს არ გააჩნიათ. თავიდათავი კი ისაა, რომ ეს მათი სიკატრე დღეს საყოველთაოთაა ცნობილი.

თუ რუსები დროზე არ მიხვდნენ და მათი უსახო მახლაჯუნა, სანამ გვიან არაა, თვითვე არ მოიშორეს, მაშინ ვაი რუსეთს! მას არ აცდება კაცობრიობის სამართლიანი რისხვა.

ჩვენ, ჩვენი სამშობლოსა და მშობელი ერის მომავლის კეთილდღეობისათვის მებრძოლ ჯარისკაცებს, გულის გატეხვა არ გემართებას. მომავალს იმედით უნდა ველოდოთ. ველოდოთ, მაგრამ არა გულხელდაკარგული; მხოლოდ დიდი გარჯითა და სისხლთა ნთხევით შეიძლება თავისუფლების როგორც მოპოვება, ისე შენარჩუნება.



გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა პ ო ლ ო ნ ე თ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ

ამა წლის 13 დეკემბერს, ეროვნული ხსნის საბჭოდ წოდებულმა პოლონელ მხედრების ჯგუფმა, რომელსაც, ყოფილი მთავრობის თავმჯდომარე, გენერალი იარუზელსკი მეთაურობს, საომარი მდგომარეობა გამოაცხადა პოლონეთში, აკრძალა მუშათა გაფიცვის უფლება, აკრძალა, პოლონეთის მუშათა რევოლუციის მთავარი დასაყრდენი, მუშათა დამოუკიდებელი პროფკავშირი „სოლიდარობა“ და მისი ხელმძღვანელები დააპატიმრა. დაპატიმრებულითა რიცხვს რამოდენიმე ათეულ ათასს ანგარიშობენ. ოფიციალური ცნობით, პოლიციასთან შეტაკებების დროს დაიღუპა ცხრა მუშა. პოლონეთი მოწყვეტილია გარე სამყაროს და თვით ქვეყნის შიგნითაც ტელეფონი არ მოქმედებს და ავტომათიკურად მოგზაურობაც მხოლოდ განსაკუთრებული ნებართვებით შეიძლება. 13 დეკემბრიდან პოლონეთში ჩამოწვა ტირანიისა და უუფლებობის უკუნი დამე. აღარ გაისმის წინანდებურად პოლონელი ხალხის თავისუფალი მხიარული ყვირი.

საბჭოთა ხელისუფლება ვითომც არაფერ შუაშია, მაგრამ ვინც ბრმა, ყრუ, ან კრემლის პატენტიანი აგენტი არ არის, ყველა ხვდება, რომ პოლონელ მხედრობაში შეთქმულება მომზადებული და დაგეგმილია საბჭოთა პოლიტიკურ და სამხედრო უწყებებში. მართლის ფაქტი, რომ საბჭოთა მთავრობა მთელი თავისი ავტორიტეტით ფარავს და იცავს პოლონელ მხედართა პუტჩს მისი გამომდევნების პირველ წუთებიდანვე, საკმარისად მოწმობს კრემლის მონაწილეობას მასში.

მსოფლიო საზოგადოება სამართლიანად აღაშფოთა თავისუფლების მტერთა ამ მორიგეა ცინიკურმა ძალმომრეობამ. ჩვენც ჩვენს სუსტ ხმას ვუერთებთ ამ საყოველთაო გმობის ხმას. პირველ რიგში სოლიდარობას ვუცხადებთ დღეს დაგამამოდებულ, საპატრიოტო გამოიმწყვდეულ, ეროვნული და მოქალაქეობრივი თავისუფლებისათვის მებრძოლ პოლონელ ხალხს. შემდეგ მოვუწოდებთ მსოფლიოს ყველა დემოკრატიულ ძალეს, მთავრობებს, პარტიებს, პროფესიულ თუ ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს არ დაუშვან პოლონელი ხალხის თავისუფლების მკვლელობა. არა მხოლოდ ლიტონი სიტყვებით, არამედ საქმით, პოლიტიკური აქტებით ვავლენა მოახდინონ საბჭოთა და მის მარონეტ პოლონეთის მთავრობებზე, რათა პოლონელ ხალხს მიეცეს უფლება თვით აირჩიოს თავისი წინამძღოლ-ხელმძღვანელები და თვით განსაზღვროს თავისი ეროვნული საშინაო და საგარეო პოლიტიკა. გვახსოვდეს, რომ თავისუფლების გამარჯვება პოლონეთში, ამავე დროს ნიშნავს თავისუფლებისა და მშვიდობის გამარჯვებას მსოფლიოში.

„თავისუფლების ტრიბუნა“
პარიზი. დეკემბერი 1981.

ა მ ბ ე ბ ი ს ა მ შ ო ბ ლ ო დ ა ნ

1. პოლიციის თარეში „სვეტიცხოველში“

წინა ნომერში(გვერდი 23) ვიუწყებოდით, რომ ოქტომბერში, „სვეტიცხოველში“ ადგილი ჰქონდა, ხელისუფლების მიერ წარმოებულ გარუსების პოლიტიკის საწინააღმდეგო, მანიფესტაციის და, რომ პოლიციამ მანიფესტაციის მომწყობნი, მათ შორის ზვიად გამსახურდია, მაშინვე, იქვე დააპატიმრა. მას შემდეგ მივიღეთ უფრო დაწვრილებითი ცნობები.

14 ოქტომბერს, მცხეთის საპატრიარქო ტაძარ „სვეტიცხოველში“ სატრაპეზო ზეიმი ყოფილა. მრავალრიცხოვან მორწმუნეთა შორის ყოფილა მნიშვნელოვანი ჯგუფი ახალგაზრდების, სტუდენტების, რომლის მიზანი ყოფილა საჯარო პრეტესტი გამოეთქვა ქვეყანაში წარმოებულ გარუსების პოლიტიკის წინააღმდეგ. სტუდენტების მხრივ არავითარ უწყესრიგობას ადგილი არ ჰქონებია. წირვის დროს ტაძარში შეკრიბან პოლიციელები, დარევიან სტუდენტებს, უხემუ შეხლა-შემოხლის დროს, უცემიათ და დაუპატიმრებიათ ორმოცამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის და უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტი. დაპატიმრებულითა შორის არიან: ჩხეიძე, კოშკაძე, ბლადაძე, კაკაბაძე, წერეთელი, გამსახურდია. დაპატიმრებულებს ასა-



მართლებენ სისხლის სამართლის ბრალდებით. მათ აბრალებენ ხელიგნობას(??): 120, იქვე, ელის ცემას, ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამინისტროს უფროსის ავტომანქანის მძღველს ბას. თვალთ მხილველ პირთა მოწმობით, ყველაფერი ეს სიტუტეა და პოლიციის მიერ ჩაწყოზილი პროვოკაცია. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების რექტორები მკაცრ დაშინებებს აწარმოებენ სტუდენტების მიმართ, რაც შედეგია, მიუღ საქართველოში უფლებათა დაცვის მოძრაობის სულ უფრო და უფრო გაძლიერებისა. „სკვეტიცხოველში“ დაპატიმრებულებმა საპროტესტო წერილით მიმართეს ედ. შვეარდნაძეს და საქართველოს „ე.გ.ბ.“-ს თავმჯდომარეს, გენერალ ინაურს. ქართული საზოგადოება აღშფოთებულია და მიმდინარეობს ხელის მოწერა მიმართვაზე, რათა შეწყდეს პოლიციის მიერ ინტელიგენციისა და სტუდენტობის დევნა.

„სკვეტიცხოველში“ მომხდარ ამ უმსგავსო ინციდენტზე, ერთმა ნეიტრალურმა დამსწრემ გამანდო: ეკლესიის იერარქია გამწვრალი იყო მანიფესტანტ სტუდენტებზე, — რად აქ მოაწვევს ასეთი საპროტესტო მანიფესტაციაო. სხვა წყაროებიდან ჯერ ეს ფაქტი ვერ შევამოწმეთ, მაგრამ თუ ის სიმართლეს შეეფერება, მაშინ ის მეტად სავალალო და სამარცხვინო რეაქციაა ქართული ეკლესიისათვის. სწორედ „სკვეტიცხოველში“ — ქართველი ერის ქრისტიანობისა და თვითხელწიფების სიმბოლურ ტაძარში, — უნდა ჩატარებულიყო დედაენისა და ქართული კულტურის დაცვის მშვიდობიანი დემონსტრაცია. ეს კარგად გაუთვალისწინებით მის მოთავეებს. მცხეთის კათედრალის პასუხისმგებელ სულიერ მამას, აღშფოთებით უნდა დადგომ, პროტესტი უნდა გაეცხადებია სადაც ჯერ არს, პოლიციის მიერ ამ წმინდა ადგილის შელახვისა და იქ თავშეფარებულთა დაპატიმრებისათვის, თუნდაც ისინი ზოროტომქედნი ყოფილიყვნენ.

ჩვენ კარგად ვუწყით, რომ ჩვენი ეროვნული ეკლესია დამცირებული, დაბეჩავებული და დაბრიყვებული ჰყავს საბჭოთა ხელისუფლებას. ის მის არსებობას ითმენს მხოლოდ იმისთვის, რომ ის გამოიყენოს მისი საგარეო პოლიტიკისათვის. მაგრამ, ჩვენი ქვეყნის ეკლესიის სულიერი მამებს მაინც მართებთ, როცა საკითხი ეკლესიის ღირსებას და ერის ყოფნა არყოფნას ეხება, მდგომარეობა და, უტიღურეს შემთხვევაში, სიცოცხლევ გასწირონ. ამის გარეშე ეკლესია ვერ იარსებებს ხანგრძლივად. ის მის ღვთიურ და ადამიანურ მისიას ვერ შეასრულებს.

„თ. ტ.“

მერაბ კოსტავა ხელახლად დააპატიმრეს და გაასამართლეს

პარიზის რუსული ყოველკვირეული გაზეთი „რუსსკაია მისლ“-ი, ათ დეკემბერს იტყობინებოდა, ნოემბრის თვეში, ირკუტსკში, გადასახლებაში მყოფ მერაბ კოსტავას დაპატიმრებას. მას ბრალს აღებენ მილიციონერისადმი წინააღმდეგობის გაწევავით.

29 - 30 დეკემბერს ფანჯულში გაზეთებმა დაბეჭდეს საფარავთის სააგენტოს ცნობა მოსკოვიდან. აკად. ანდრეი სახაროვის ოჯახობამ, ქალბატონმა ელენე ბონერმა, სხვათა შორის, დასავლეთის ეურნალისტებს ისიც განუცხადა, რომ მის მეუღლეს დეკემბით მიუმართავს ელუარდ შვეარდნაძისათვის, მერაბ კოსტავას გასათავისუფლებლად და, რომ მერაბ კოსტავასათვის 15 დეკემბერს მიუსჯიათ ხუთი წლის ბანაკი და სამი წლის გადასახლება.

მოგაგონებთ: მერაბ კოსტავა ერთ-ერთი აქტიური და თვალსაჩინო წევრია ადამიანის უფლებათა დაცვის თბილისის კომიტეტის. ზვიად გამსახურდიასთან ერთად ისიც დააპატიმრეს და გაასამართლეს 1978 წელში. სასამართლოზე თავი ღირსეულად ეკავა, თავი დამნაშავედ არ იცნო და, „შეცდომები არ მოინანია“, რის გამოც მას პოლიცია აღარ გაახარებს. მაშინ მას მიუსაჯეს სამი წლის ბანაკი და ორი წლის გადასახლება. როცა ის ხელახლად დააპატიმრეს, პატიმრობის სასჯელი მოხდოი ჰქონდა და ირკუტსკში იმყოფებოდა გადასახლებაში. ჩანს, რომ მას პოლიციამ პროვოკაცია მოუწყო, რომ ბანაკში სული ამოხადოს, ამრიგად, როგორც მათ წესი აქვთ საერთოდ, იტყვიან, რომ მერაბ კოსტავა პოლიტიკური პატიმარი კი არ არის, არამედ სისხლის სამართლის დამნაშავეო.



ს ა ბ ჯ ო თ ა ს ა მ ყ ა რ ო შ ი

ამბოხება და დარბევა ჩრდილოეთ ოსეთში

ა. წ. ნომბრის თვის პირველ ნახევარში გამოძლეა, რომ ჩრდილოეთ ოსეთში ადგილი ჰქონდა სერიოზულ ამბოხებას და დარბევას ოსებსა და ინგუშებს შორის. მღელვარებამ და ხოცვა-ჟლეტამ განსაკუთრებით მასიური ხასიათი მიიღო ქალაქ ორჯონიკიძეში და მის შემოგარენში. საბჭოთა სამხედრო დივიზიებმა ალყა შემოარტყეს ქ. ორჯონიკიძეს და სრულიად მოსწყვიტეს გარე სამყაროს, მანამ სანამ რუსული „მშვიდობა“ არ დაამყარეს შიგნით.

მოსკოვიდან მიღებული სარწმუნო წყაროებით ირკვევა, რომ ამბოხებისა და დარბევის მიზეზი გამხდარა ერთი ოსი ტაქსის მძღოლის მეკვლეობა. აღლევებული ოსები ქუჩებში გამოსულან. მანიფესტანტებს დლეგაცია გაუგზავნია ჩრდილო ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკის კომპარტიის პირველ მდივანთან, მაგრამ მას უარი უთქვამს დლეგაციის მიღებაზე.

მაშინ, გაღიზიანებულ და აღშფოთებულ ოს მანიფესტანტებს მიუშურებიათ ინგუშებით დასახლებულ უბნებისათვის და გამართულა საშინელი ხოცვა-ჟლეტა ორ თემს შორის. ჯერ-ჯერობით შეუძლებელია ზუსტი ცნობების მიღება, როგორც ამ ორ კავკასიულ ხალხთა ურთიერთ შორის რბევისა და სისხლისღვრის, ისე საბჭოთა ჯარების მიერ წარმოებულ უხეშ სამხედრო ოპერაციების შედეგად გამოწვეულ, მსხვერპლთა რაოდენობაზე. ის უშეკვლად დიდია.

რამ გამოიწვია კავკასიის ორ მეზობელ ერთა შორის ასეთი უპატიებელი მუღლი და მტრობა? საბჭოთა მთავრობის უხეშმა და ამავე დროს მზაკვრულმა პოლიტიკამ. კავკასიის ხალხთა ურთიერთ გადაკიდება, მათ შორის სისხლისმღვრელი შუღლის ჩამოგდება, მუდამ იყო და დარჩა მოსკოვის სახელმწიფოს მმართველთა გამორჩეული პოლიტიკა, კავკასიის დასაპყრობად და გასარუსებლად. მთავრობები და რეჟიმები იცვლებიან რუსეთში, — მათი მიზნები და საშუალებები რჩებიან უცვლელი. დევანდელ შუღლს ოსებსა და ინგუშებს შორის კი საფუძვლად უდევს შემდეგი: ცნობილია, რომ 1944 წელს, გერმანიასთან წარმოებულ ომის დროს, საბჭოთა მთავრობამ აპყარა და გადაასახლა ჩრდილო კავკასიის რიგი ხალხები: ჩეჩენები, ინგუშები, ყარაჩაები, ბალკარელები და მათი ავტონომიური რესპუბლიკები გააუქმა. ეს მიწა-წყალი კი შეუერთეს მეზობელ რესპუბლიკებს და რუსეთის ფედერაციას.

ისიც ცნობილია, რომ სტალინის სიკვდილის, განგვირგვინების და ხრუშჩოვის აღზევების დროს, საბჭოთა მთავრობამ ბრძანა ამ გაუბედურებული ხალხების „რეაბილიტაცია“ და მათ უწყალბაო მათ მამაპაპათა მიწა-წყალზე დაბრუნების უფლება. მეზობელმა რესპუბლიკებმა უკან დაუბრუნეს კანონიერ პატრონებს, მათ გამგებლობაში გადაცემული ადგილები და კვლავ მკვდრებით აღსდგა ჩრდილო კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკები, გარდა ჩეჩენო-ინგუშეთისა, რომელიც მიკუთვნებული ჰქონდა და დარჩა ჩრდილოეთ ოსეთს. არაგითარამ თხოვნა მუდარამ არ გასკრა, კრემლმა ნება არ დართო ინგუშებს, თავიანთი ავტონომიური კერა შექმნათ იმ მიწა-წყალზე, სადაც მათ წინაპრებს უხსოვარ დროიდან უცხოვრებიათ, უშრომიათ, უბრძოლიათ. გადაჩენილი ინგუშები დასახლდნ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ისინი ალბათ ოსებს სდებენ ბრალს იმათი სამშობლოს მიტაცებაში და, ალბათ, ცინიკურად რუსებიც ამასვე შეაგონებენ, რათა უფრო თავისუფლად იპატიპონ ორივე, ოსებისა და ინგუშების, მიწა-წყალზე. ეს ერთი მაგალითია საბჭოთა ხელისუფლების „ხალხთა მეგობრობის“ ჭადაღებული ლოზუნგის სიკოტრისა.

„თ. ტ.“

ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ა მ ბ ე ბ ი დ ა ნ : „გ.ე.ა.“-ს რეზოლუცია

18 ნოემბრის გავრთიანებულ ერთა გენერალურმა კრებამ, თავის რეზოლუციაში, ხელახლად დაგმო ავღანეთის ოკუპაცია საბჭოთა ჯარების მიერ და მოითხოვა ამ ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა. რეზოლუციის ხმა მიცა 116-მა სახელმწიფომ, წინააღმდეგი მიცა 23-მა და თავი შეიკავა 12-მა. წინააღმდეგ ხმა მიცეს ყველა კომუნისტურმა ქვეყნებმა, გარდა რუმინეთ-ჩინეთ-იუგოსლავია-ალბანეთისა, და: სამხრეთ იემენმა, ეთიოპიამ, გრენადამ, ლიბიამ, მადაგასკარამ, მოზამბიკმა, სეიშელმა და სირიამ.

რეზოლუციაში აგრეთვე ნათქვამია: დანტერესებულმა მხარეებმა უნდა ეცადონ, საჩუქროდ მიადნონ უთანხმოებათა პოლიტიკურ მოგვარებას, რომლის მიზანი უნდა იყოს მხარეების ნარჩუნება ავღანისტანის სუვერენობის, ტერიტორიული მთლიანობის და, რომ უფლება ჰქონდეს ავღანელ ხალხს, თვით გადაწყვიტოს მისი მთავრობის ფორმა და თვით აირჩიოს თავისი პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური სისტემა, გარეშე სხვა სახელმწიფოთა ჩარევისა, ძირგამომხრელებისა და ძალდატანებისა, რა ფორმაც არ უნდა იყოს ის.

ამავე ხასიათის რეზოლუციას გასულ წელში ხმა მიცა 112-მა სახელმწიფომ, 22 წინააღმდეგი იყო და 12-მა თავი შეიკავა.

ქ ა რ თ უ ლ ი ს ა ბ კ ო თ ა ი ს ტ ო რ ი ო გ რ ა ფ ი ა

წინასიტყვაობის მაგიერ. საქართველოს ისტორიის ნარკვევების მეხუთე ტომის გვ. 837 წერენ: „...რუსეთი იყო არა მარტო მფარველი საქართველოსი, არამედ განათლების წყარო.“ მეექვსე ტომის მე-11-ე გვერდზე კი წერენ: „...ცარიზმი ანხორციელებდა კოლონიზაციის ინტენსიურ პროცესს, მიმართავდა ადგილობრივ მოსახლეობის ყოველგვარ შევიწროებას, ახშობდა კულტურის ყლორტებს, ამეფებდა სიბნელეს და უფიცობას, ებრძოდა ეროვნულ კონსოლიდაციას (მეხუთე ტომით კი, ის ხელს უწყობდა მის ჩამოყალიბებას! გვ.459) და ვერავლად ამზადებდა ეროვნულ თავისუფლების მოსპობის ველიკორუსული პროგრამის განხორციელებას...“

1.

როგორც ჩვენ პირველ წიგნში აღვნიშნეთ (მეხუთე ტომი), ისტორიის საბჭოთა ინტერპრეტაცია უადრესად ტენდენციურია. ტენდენცია და ხშირად სრული გაყალბება ისტორიულ მოვლენათა იზრდება მით უფრო, რაც მეტად ვუახლოვდებით ახალ ხანას. ამის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ნარკვევების მეექვსე ტომი.

არაფერი გვეთქმის საქ-ს სრულყოფილობისა და სოფ. მეურნეობის განვითარების ფაქტების აღსახელებაზე. არც იმაზე ღირს დავა, თუ რიცხობრივად რას წარმოადგენდა ამ დროს მუშათა კლასი, რომელსაც შეიძლება პროლეტარი ეწოდოს. ასეთი ისტორიკოსების ანგარიშით, მთელ საქართველოში თურმე სულ ორმოცი ათასი კაცი ყოფილა, მათი მთავარი ხელმძღვანელი კი ყოფილა კომუნისტური პარტია. აი მთელი ყვავილი ქარ-ლი ერის დიდებისა! არც იმაზე ღირს დავა, თითქოს ამ დროს საქ-ში კაპიტალიზმი ისე განვითარდა, რომ ის უყვე „ძირმობალი“ შეიქმნა! სინამდვილეში საქ-ში მხოლოდ ერთი კაპიტალისტი გვეყავდა-ღ. სარაჯიშვილი-ისიცი დიდი ქველმოქმედი და პირველ რიგში სწორედ რევოლუციონერებს ეხმარებოდა, რომელთაც რ. გაბაშვილი სარაჯიშვილის სტიპენდიანტებს უწოდებდა. დანარჩენი „კაპიტალისტები“ კი უმთავრესად სომხობა იყო და მათ ქარხნებში 5-6. მუშა მუშაობდა.

2.

მკითხველის ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ისტორიკოსები გადაპარბეზულ მნიშვნელობას ანიჭებენ ბოლშევიკურ მოძრაობას საქართველოში. განსაკუთრებით კი მათივე განაყოფ მენშევიკურ პარტიასთან დაპირისპირებაში. რომელიც, თავის მხრივ, აცხადებდა მის დიდ გავლენას არა მარტო მუშათა კლასზე, არამედ მთელ ერზედაც; რადგან ეს ორი პარტია ერთ იდეოლოგიურ მოვლენას წარმოადგენს, უხალისო იქნებოდა ცდა რომელიმე მათგანის გამართლებისა. ჩვენ მხოლოდ ქვემარტება გვიანტერესებს, სიმარლის მხილება. წიგნის ავტორები დაეინებით ცდილობენ რომ დაამტკიცონ ბოლშევიკების გაცილებით მეტი გავლენა საქართველოში ვიდრე მენშევიკებისა, მაგრამ იმავე წიგნში მოყვანილი ფაქტები სულ საწინააღმდეგოს ღალადებენ. ბოლშევიკები ყოველთვის სუსტნი იყვნენ საქართველოში. ისინი მხოლოდ თავზე ხელაღებულ ხალხს, ან უხელოვებს ემყარებოდნენ. პირველი ომის წინ და ომის ხანაში, მათივე სიტყვებით, ბოლშევიკური ჯგუფი სულ განადგურებული ყოფილა. „იმპერიალისტური ომის წლებში მთავრობამ მოახერხა ბოლშევიკური ორგანიზაციების დარბევა-განადგურება. ხელმძღვანელი ბოლშევიკები ან საპატრიოში იხსნენ ან ვადასახლებაში იმყოფებოდნენ.“ (გვ.413); მიუხედავად მათი სისუსტისა ყოველ პერიოდში, მაინც უნდათ დაამტკიცონ, რომ საქ-ში მომხდარი ყოველგვარი



აჯანყება, გაფიცვები იყო შედეგი ბოლშევიკების მოქმედებისა. გვ. 193. „ბოლშევიკების რევოლუციური მოთხოვნები 1905 - 7 წლების რევოლუციური მოძრაობის მსგელობაში, გადაიქცა დემოკრატიული გლეხობის ფართო მასების მოთხოვნილებად. ეს კი იმის დამადასტურებელია, რომ საქართველოს მშრომელ მასებში პარბობდა ბოლშევიკების იდეურ პოლიტიკური გავლენა(ხ.ჩ.ა.მ.), ვიდრე რომელიმე სხვა პოლიტიკური პარტიისა და ჯგუფისა.“ ხომ ხედავთ რა ყოფილა მათი გავლენის დამამტკიცებელი საბუთი?!

როგორი იყო სინამდვილე, მხოლოდ იმავე წიგნის მიხედვით: 1. პირველ სახელმწიფო სათათბიროში საქართველოდან არჩეული იყო რვა წევრი, აქედან: ხუთი მენშევიკი და არც ერთი ბოლშევიკი. მართალია, ამ დროს მათ ბიუკოტი გამოაცხადეს და მონაწილეობა არ მიიღეს. 2. 1907 წელს მთორე სათათბიროში მონაწილეობა მიიღეს, აქაც უმთავრესად მენშევიკები იქმნენ არჩეულნი. ამას ბოლშევიკები იმას მიაწერენ, რომ მათ ბურჟუაზია უქერდა მხარსო. ფაქტი მაინც ფაქტად რჩება.

3. ჩვენი ისტორიკოსების გადმოცემით რევოლუციის პერიოდში ბოლშევიკური ორგანიზაციები და მათი გავლენა ფრიად გაძლიერებულა და იქვე გვ.447-ზე დასძენენ(ივლისში 1917): „გრანდიოზული მიტინგები ჩატარდა ბათუმში, ქუთაისში, ფთოში, სიდაც გამარჯვება ყველგან ბოლშევიკების მხარეზე იყო. მენშევიკი და ესერ ორატორებს ხალხი ტრიბუნიდან აძევებდა; მათ მოღალატეებს უწოდებდა. მიტინგებზე მიღებული რეზოლუციები ბოლშევიკური იყო.“ 4. მიუხედავად ამისა გვ.433, წერენ: „საქართველოში მენშევიკურ პარტიას გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო მასებში საკმაო გავლენა ჰქონდა.“ და კიდევ მეტი, ყოველ რევოლუციონურ ორგანიზაციას საბჭოს არჩევნებში მენშევიკები იყვნენ უმრავლესობაში, მაგ: 5. გვ. 408. „თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭო, რომელიც ოთხ მარტს (1917) შეუდგა მუშაობას, უმთავრესად მენშევიკი ხელმძღვანელი მუშებისაგან შედგებოდა... აღმასრულბელ კომიტეტშიაც „აბსოლიტური უმრავლესობა მენშევიკებს ხვდათ.“

6. გვ. 409. „ჯარიმაცათა დეპუტატების საბჭოშიც უმრავლესობა მენშევიკ-ესერებმა მოიპოვეს. თბილისის ჯარიმაცათა საბჭოს დროებით აღმასრულებელ კომიტეტში წყაყყანი მდგომარეობა შემთანხმებლებმა დაიკავეს.“ 7. გვ. 472. 1917 წ. მაისის მუშათა და გლეხთა დეპუტატთა ყრილობაზე თბილისში, ყრილობის დეპუტატების უმრავლესობა დიდი, მენშევიკები იყვნენ. ბოლშევიკებთან აქ იყო მხოლოდ რამდენიმე დეპუტატი.. 8. 1917 წ. მარტის პირველ რიცხვებში ჩატარდა კავკასიის არმიის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების არჩევნები. არჩეულთა შორისა „საბჭოს თითქმის მთელი შემადგენლობა მენშევიკურ ესერული აღმორჩნდა...“ 9. გვ.492. „1917 წ. 18 ივნისის თბილისში გაიხსნა გლეხთა სამხარეო ყრილობა, რომლის ხელმძღვანელობა ხელთ იგდეს მენშევიკებმა...ყრილობამ აირჩია გლეხთა სამხარეო საბჭო, რომელიც თითქმის მთლიანად მენშევიკური აღმორჩნდა...“

ეს და კიდევ მრავალი მაგალითის დასახელება შეიძლება, საიდანაც ჩანს მენშევიკების ძალების უპირატესობა ბოლშევიკებზე და ჩვენს სურვილს არ შეადგენს ეს მოვიგონოთ.

3

გიორგი მაჩაბელი. ამ სახელთან არის დაკავშირებული ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა, რომლის ამოშლა ჩვენი ისტორიიდან არ შეიძლება და, რაც წიგნის ავტორებს სწორად არა აქვთ გადმოცემული. ისინი წერენ: „ქართველ სეპარატისტთა ერთი ლიდერი გ. მაჩაბელი 1914 წელს იღვწოდა თბილისში, ე.წ. „ეროვნული კომიტეტის“ შესაქმნელად, რომელსაც აჯანყება უნდა მოეწყო რუსეთის წინააღმდეგ და თურქეთის შემტევი ჯარებისათვის დახმარების გაწევა. მაჩაბლის ეს იდეები ჩაიშალა.“ მერე იქვე: „გ. მაჩაბელმა ვერ ჰპოვა რა მხარდაცა თბილისისა და ქუთაისში, 1915 წელს რუსეთს მიაშურა“; თითქოს იქ მას ქართველი სტუდენტობა უნდა მოემზადებინა აჯანყებისათვის და სხვა. ეს კვლავფერი თავიდან ბოლომდე ყალბია. საკვირველია, ამ ამბავზე უცხოეთში ბევრია დაწერილი და ნუთუ ჩვენი ისტორიკოსები არ ცდილობენ ნამდვილი წყაროები გაიციონ!

აი ნამდვილი ისტორია. აქ მას ვრცლად ვერ აღვწერთ. ვიტყვი მხოლოდ რომ თბილისში აღნიშნული კომიტეტი მართლაც შესდგა. ეს მოხდა 1910 წელს. მასში მაჩაბელს მონაწილეობა არ მიუღია. ამ წრეს შეადგენდნენ: პეტრე სურგულაძე, მიხეილ წერეთელი, გიორგი გვაშავა, ფილბერტ გოგირაშვილი და სხვები. კომიტეტმა რამდენიმე პირი გამოჰყო და გაგზავნა ევროპაში საშუალოდ. მათ იქ გამოცეს გაზეთი, რომლის მთავარი იდეა იყო ებრძო-

ლათ საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის. ომი რომ დაიწყო, ევროპაში დაიწყო „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ პეტრე სურგულაძის თავმჯდომარეობით. მისი ელსაც შეუერთდა ამ დროს ევროპაში მყოფი სხვა ქართველები: ძმები კერესელიძეები, მიხეილ წერეთელი და სხვები. სტამბოლში კიდევ რამდენიმე წევრი და უკვე გერმანიაში მყოფი გიორგი მაჩაბელი. და სწორედ გ. მაჩაბელმა ითამაშა დიდი როლი გერმანიის მთავრობასთან დაახლოების საქმეში. გ. მაჩაბელი ადრე სწავლობდა გერმანიის სამთო აკადემიაში და ის მაშინ დაუახლოვდა გერმანიის გავლენიან წრეებს და ომის დროს ის გამოიყენა. დამოუკიდებლობის კომიტეტმა იმას მიაღწია, რომ გერმანიის მთავრობამ მას ხელშეკრულება დაუდო, რომ მომავალში ის იცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას. მუშაობისათვის კომიტეტის განკარგულებაში იყო დიდი თანხა, რომლის დახარჯვა კომიტეტმა ვერც შესძლო და როგორც მიხ. წერეთელმა მიაპბო, ომის დამთავრების შემდეგ, დარჩენილი ფული გერმანიის მთავრობისთვის დაუბრუნებიათ.

ომის დროს წყალქვეშა ნავით რამდენიმეჯერ ჩამოვიდნენ საქართველოში მიხ. წერეთელი და გ. მაჩაბელი და, წინააღმდეგ ავტორებისა, ნარკვევების, რომელთაც მაჩაბლის მისია არეული აქვთ, უკანასკნელს დიდი მიღწევა ჰქონდა როგორც თბილისში ისე ქუთაისში. მიხ. წერეთლის და მაჩაბლის მისია საქართველოში ის იყო, რომ ადგილობრივ პოლიტიკურ ძალებთან დაკავშირებულიყვნენ. წერეთელ-მაჩაბელთან შეხვედრების ყველა წევრები ცხოვრობდნენ ემიგრაციაში და თითქმის ყველას აქვს ამ საკითხებზე დაწერილი და ვისაც დაწვრილებით უნდა ყველაფრის გაცნობა, არ გაუჭირდება. მაჩაბლის მოწოდებას ყველა ერთხმად შეუერთდა. ისეთი უკიდურესი წრეც, როგორც სოციალ-დემოკრატები იყვნენ, უორდანიასა და გეგენკორის პირით სრული თანაგრძნობა გამოუტყდადეს მ. წერეთელს და გ. მაჩაბელს. ნოე უორდანიას (რ. გაბაშვილის გადმოცემით) პირდაპირ უთქვამს: თქვენ იქ იმუშავეთ, ჩვენ აქ და ერთერთი ნავი გაგვიყვანს ნაპირზე! და სწორედ მაჩაბლის ნავის მიღწევა იყო რომ შემდეგში ნ. უორდანიამ გამოიყენა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში. გერმანიამ კი თავისი პირობა ნათლად შეასრულა.

რაც შეეხება საქ-ში აჯანყების მოწყობას, ეს ზღაპარია. მაშინ ამაზე არავინ ფიქრობდა და ეს არც შეიძლებოდა, რადგან მთელი ახალგაზრდობა ჯარში იყო გაწვეული. ხოლო გ. მაჩაბელი რომ პეტერბურგში წავიდა, ჩვენ ავტორებს ეს ისე აქვთ აწერილი თითქოს ის ამ დროს თბილისში ცხოვრობდა. არა! ის წყალქვეშა ნავით იყო ჩამოსული გერმანიიდან და ნორმალურად იმავი გზით უნდა გაბრუნებულიყო, და როდესაც მან განაცხადა სურვილი პეტერბურგში მოგზაურობისა, მეგობრები ხელს უშლიდნენ, რადგან ამდროს მას მთელ იმპერიაში დაექმდნენ, როგორც გერმანიის აგენტს. მან მაინც ვაუკაცურად გაბედა, პეტერბურგში ჩავიდა, თავისი მისიაც შეასრულა (რასაც არაფერი აქვს საერთო ისტორიკოსების აზრებთან) და გაბრუნდა.

საერთოდ, აღნიშნული „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მუშაობა პირველი ომის დროს იყო ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი ჩვენი განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში. ამ კომიტეტის წევრთა უმრავლესობას პირადათ ვიცნობდი და ცდა არ დამიკლია მათ მუშაობაზე ყველაფერი გამომეკითხა; ეს დავიწყე სტამბოლიდან. 1930 წელს იქ გამოვიკითხე პეტრე სურგულაძეს, ნესტორ მაღალაშვილს და შავაგ ვარდიძეს და შემდეგ ევროპაში სხგებსაც. კერძოდ გ. მაჩაბელი მხოლოდ ერთხელ მინახავს, 1930 წელს ამერიკიდან ჩამოსული გვესტუმრა ლუბის დეპარტამენტში (საფრანგეთი), სადაც ამ დროს აქ სამოცამდე კაცი გვყავდა თავმოყრილი, მათ შორის გიორგი მაჩაბლის ძველი მეგობრები მიხ. წერეთელი და ლეო კერესელიძე, რომელთა სანახავადაც ის იყო ჩამოსული და დიდი დაპირებებით გაბრუნდა და რის შემდეგ აღარც ერთს აღარ უნდა გვენახა!...

(გაგრძელება მომავალ ნომერში)



ნ თ უ ე ს ა რ ი ს ს ი მ ა რ თ ლ ე ?

ნოდარ ღუმბაძემ, უკვე დიდი ხანია, რაც საკმაო სახელი და აღიარება მოიხვეჭა თანამედროვე საქართველოს მკვიდრთა გულგებში. მის საკმაოდ გახშიანებულ რომანებს: „მე, ბეზია, ილიკო და ილიაონი“, „მე ვხედავ მზეს“, „მზიანი დამე“ და სხვებს, დიდი ინტერესით კითხულობენ უცხო ენებზე მოლაპარაკე ხალხებიც. მკითხველს მის ნაწარმოებებში ხიბლავს მსუბუქი იუმორი, გმირების გულწრფელი, დამაჯერებელი საუბარი და ის მართალი, უტყუარი შტრიხები, თანამედროვე საბჭოურ ვითარებას რომ ახასიათებს.

ხომ ცნობილია: მწერლის მოწოდებაა იყოს მიუტკრიველი, მოუსყიდველი ისტორიკოსი თავისი პროფესიის, თავისი სინდისისა და თავისი ხალხის მიმართ; ამიტომაც ის ვალდებულია საამკარაოზე გამოიტანოს საზოგადოების გარკვეული ნაწილის კარგი თუ ცუდი და სწორი და მართებული შეგონებებით, დააკმაყოფილოს სულიერი მოთხოვნილება მისდამი კეთილად განწყობილ მკითხველთა არმიის; რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს მხატვრულ ასპექტში. ამის მოვლევა ყველა ერისა და ჯურის მწერალი; არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ საზოგადოების რომელ ფორმაციაში ცხოვრობს იგი. მართალია, ეს არც თუ ისე იოლი საქმეა, მაგრამ ისეთი მწერლისაგან, რომლისკენაც არის მიმართული მისი დამფასებელი მკითხველების სიმბაძეები, ცხოვრებისეული ფაქტების გამჩრდილა ძლიერ საველადო და სამწუხაროა. ჩვენდა სამწუხაროდ, ხელოვნებაში ამგვარი გეზის ააღების შემთხვევები ნოდარ ღუმბაძესაც ახასიათებს.

ამა წლის ექვს იანვარს, მან „ლიტერატურულ საქართველო“-ში დაბეჭდა ერთი მოთხრობა სათაურით: „*Hel I ados*“. ერთი შეხედვით, იგი უწყნარი თხრობაა ორი სხვადასხვა ერის ბავშვთა მეგობრობაზე. მოთხრობაში მოცემულია ბერძენი ბიკის-იანგულის კავშირი თბილისიდან ამავე ქალაქში დასახლებულ უღედმამო ჯემალთან, რომელსაც დედა ზრდის. მართალია, პირველ ხანებში ეს ორი ყმაწვილი სამტროდ არიან გადაკიდებული ერთმანეთთან, მაგრამ დროთა განმავლობაში მათ დამეგობრებულებს ვხედავთ; არ დაგვაფიქვდეს: ეს ამბავი გდება 1938 წელს. და ეს კარგი ურთიერთგანწყობილება თანდათან ღრმავდება და ძლიერდება. მკითხველი კი სულწასული ჩისდევს სტროფებსა და აბზაცებს, სურს გაიგოს, თუ როგორ დასრულდება სვირინგებიანი იანგულის (რომელსაც მკერძ აწერია *Hel I ados*) და აწ იანგულის მიერ დამსხვრეულ ვიოლინის პატრონის-ჯემალის თავგადასავალი. და ხდება სამწუხარო ამბავი: იანგული სევდიანად ეუბნება ჯემალს, რომ სოხუმში მცხოვრებ ბერძნებს თავიანთ სამშობლოში დაბრუნება გადაუწყვეტიათ, ხოლო იანგულის კი არ სურს დაბრუნება. ის ხომ სოხუმელი ბიკია! მაგრამ, უფროების გადაწყვეტილება კანონია- ისინი უბრუნდებიან საყვარელ ელადას. და სწორედ ამ დროს, საღამოვამს, მთელი სოხუმის მოქალაქენი პურმაროლით ატოლებენ სატვირთო კედ „პოსეიდონ“-ზე მყოფ ბერძნებს, და, რა თქმა უნდა, ჯემალიც იანგულის ეთხოვება...

და ხდება სამწუხარო ამბავი: მესამე დღეს, კელასურის შესართავთან, ახალგაზრდა ბიკის გამორიყული სხელი იპოვეს; მისი სახე დაუმახინჯებია ზღვის ტალღებს; მხოლოდ სვირინგებით „*Hel I ados*“ იცნეს იგი. იანგულის თავი დაუხრჩვია. და მოთხრობის სევდიანი დასასრულიც აქაა.

მაგრამ, მკითხველი მოთხრობის დამთავრებისთანავე დასევამს კითხვას: ნთუ ეს ასე იყო?—ეს ხომ მტკნარი სიტუაცია! მკითხველი იძულებულია 40 წლით უკან დაიხიოს. მან კარგად იცის, რავგარი მანქანებით მოატყუა სტალინურმა პროპაგანდამ საქართველოს ბერძნები, ეს უწყნარი, შრომისმოყვარე, კეთილშეშლის ხალხი. შუაღამისის მოსულმა არამკითხვე ჩაფრებმა, სასწრაფოდ გამოუკეტეს ბერძნებს სახლები, თითქმის ტიტვლები გაირეკეს წინ, მხოლოდ ერთი ჩემოდნით; ასხეს გემზე და გაუყენეს შორეულ გზებზე. მოატყუეს: საბერძნეთს, თქვენს სამშობლოს სვირინგებით დღეიდან. და საბერძნეთის მაგივრად, ზოგი შორეულ აღმოსავლეთში მიიტანეს სამსხვერპლოდ, ზოგი დახვრიტეს, ზოგი რუსულმა გაუძლისმა ყინვამ მოთოშა, ზოგი კიდევ ვინ იცის... ასეთივე ბედი ეწიათ სპარსული წარმოშობის მცირერიცხოვან ნებეცასაც.

თუ ნოდარ ღუმბაძეს დავუჯერებთ, ამ საცოდავებმა თავიანთი ნებით ისურვეს საბჭოთა კავშირის დატოვება. ვერა, სიმართლეს ვერც ერთი ჩვენგანი ვერ გაეძეცვა, რაც არ უნდა დიდი სახელის და შობის პატრონი იყოს იგი. ხოლო, რაც შეეხება მწერალ ნოდარ

დღეობაქს, მას ხალხისათვის კვლავ არ უნდა შეეხსენებია ეს ავადმოსავონარი დრო... ამბავი, ხოლო თუ მოგვაგონებდა,—არა ისე როგორც მან ეს დაწერა, ან დააწერინეს, არა მდ ისე, როგორც ეკადრება მისი სახელისა და სინდისის მწერალს. რადგანაც, ნოდარ დუმბაძემ მშვენივრად იცის ეს შავ-ბნელი ისტორია.

დათო აჯიაშვილი
იანვარი 1978.

რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს თ ე ა ტ რ ი ა ვ ი ნ ი ო ნ შ ი

წელს ქალაქ ავინიონის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყო თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური დრამატული თეატრი. ამ თეატრმა უკვე დიდი წარმატებით შემოიარა დასავლეთი გერმანია, ინგლისი, მექსიკა, იტალია, შვეიცარია და ყველგან ერთიდაიგივე წარმოდგენები უჩვენა: ბერტოლდ ბრეხტის „კავკასიური ცარცი წრე“ და ულიამს შექსპირის „რიჩარდ მესამე“. ყველგან ხაზგასმული იყო, როგორც დღემის ორიგინალობა, ისე შემსრულებელ მსახიობთა, განსაკუთრებით წამყვანი მსახიობის—რამაზ ჩხიკვაძის, შესანიშნავი თამაში.

სადრანგეთში მცხოვრებ ქართველებისათვის ეს იყო იშვიათი და განსაკუთრებული შემთხვევა, საკუთარი თვალით გვენახა და ყურით მოგვესმინა, ჩვენი სამშობლოს პირველი თეატრის ხელოვნება, დავემტკბარიყავით მათი თამაშის სრულყოფის ხილვით, ჩვენც წილი დავგედვა მათი გამარჯვების ზეიმში.

რუსთაველის თეატრის წარმოდგენები დანიშნული იყვნენ 24 და 26 ივლისს. ამ დღეებში, სადრანგეთის ყველა კუთხეებიდან და ბელგიიდანაც, ჯგუფ-ჯგუფად გავეშურეთ პაპების ქალაქისაკენ. პირველ დღეს ქართველებმა წარმოადგინეს „კავკასიური ცარცი წრე“. პაპების სასახლის საბატიო ეზო, სადაც წარმოდგენები იმართება, დია ცის ქვეშ, იტებს სამი ათას მაყურებელს და ორივეჯერ სავსე იყო დამსწრეებით. სამწუხაროთ მსახიობებისა და სექტატორებისა, ამ დღეებში, თუმცა დღით მზიანი და თბილი ღარი იდგა, ღამით ქროდა ცივი ქარი, მისტრალი. უძრავად მჯდარ მაყურებელთათვის განსაკუთრებით მძიმე იყო ბოლომდე ამ სიცივის გაძლევა. მათ სასახლოდ უნდა ითქვას, ძალიან ცოტა გაექცა გამთონავთ სიცივსთან ბოლომდე ბრძოლას. გაზეთ „სამშობლოს“ კვითხეულგამა იცინა: მიუხედავად უჩვეულო სიცივისა და ქარისა, სამიათასიანმა მაყურებელმა უდრტინველად გაუძლო ბოლომდე, მისთვის სრულებით უცხო ენაზე გათამაშებულ წარმოდგენას, და დამთავრებისას მხურვალე და ხანგრძლივი ოვაცია გაუმართა ქართველ მსახიობებსა და დამდგმელს. და ჩვენც შეგვიძლია დავადასტუროთ რომ ეს სრული სიმართლეა. ტაშის მხურვალეობა და ხანგრძლივობა ყველაზე უკეთესი ჯილდოა თეატრის დამდგმელ-მსახიობებისათვის და იგი ყველაზე უკეთ უჩვენებს მათი ხელოვნებისა და ნიჭის გამარჯვებას, მაგამ ჩვენი თეატრის კოლექტივმა, რომ შეუმდარი დასკვნა გააკეთოს, მან უნდა იცოდეს, რომ ის მხურვალე ოვაცია, წარმოდგენის შედეგად მიღებული ესთეტიური სიამოვნების გარდა, ნაკარნახები იყო მოტივებით, რომლებიც სრულებითაც ერთი და იგივე არ იყვნენ ჩვენთვის, ქართველებისათვის, საქართველოს მეგობარ ფრანგებისათვის და საბჭოების მორტფილე კომუნისტებისათვის.

დამთავრდა „კავკასიური ცარცი წრის“ წარმოდგენა. ტაშის ცემით გახურებულ და დაღლილი მაყურებელი მდორედ მიედინება გასასვლისაკენ, ჩვენ კი უფრო დიდი ემოციები შემდეგ გველოდა, რომლის სრულყოფილად გადმოცემა დიდ მწერალსაც გაუჭირდება, არამც თუ ჩემისთანას. ნელ-ნელა მივიწყეთ კულისებაქცეულ მალაღლოლებთან დარბაზისაკენ, შევიღვართ შიგ, გზადაგზა გვეგებებიან მსახიობები, ვესალმებით და ვეცნობით ერთმანეთს, ვულოცავთ წარმატებას, ვკოცნით, ვებხევით როგორც მამაშვილები, ძმები, დამძმები... დარბაზის სიღრმეში გრძელი და ვიწრო მაგიდა გაუშლიათ. მასპინძლობენ დამხდურები. მაგიდა ღარიბია, მაგრამ რომელი უხვი მაგიდა შეედრება მას. მდგომიან იქიდან და აქედან ფეხზე მდგარი, შესიციენებენ თვალებში და შესხარბიან ერთმანეთს აუწერელი სიყვარულით, როგორც დიდი ხნით დამორბეულნი ტრფიანნი. და-



მხვედრთა შორის, მხოლოდ აქა-იქ მოჩანს თეთრი, მსცით მოსილი თავები. დიდი უმრავ-
 ლესობა უცხოეთში დაბადებული პირველი, მეორე და მესამე თაობის ახალგაზრდობაა; ზოგიერთი მათგანი ქართულად ვერ ლაპარაკობს, მაგრამ მათ სიხარულით აცრემლებულ
 თვალეში, კიდევ უფრო მეტი სიყვარული კიაფოვს. როცა მაგიდას ვუახლოვდები, სწორედ
 იმ დროს ქართველ ხელოვანთა სადღეგრძელოს ამბობს ექიმის რევაზ ნიკოლაძე. მსცით მო-
 სილ წარმოსადგე ახალგაზრდის პათეტიკურ სიტყვაში თითქოს შერწყმულად გაოცებულა
 ნიკოლაძე-ღამბაშიძეთა დიდებული გვარები. მაღალ თაღებში ღვთაებრივად ქდერს და გუ-
 გუნებს რუსთაველელების ძლიერი და ხავერდოვანი ხმები. მათ თითქოს შემხვედრებიც არ
 უდებენ ტოლს. „მრავალყამიერს“ ცვლის „შენ ხარ ვენახი... ნადიმი აპოთეოზს აღწევს,
 როცა გაისმის საცეკვაო სიმღერა, მკლავებს შლის ბრგე ვაჟეაცი გურამ წულაძე წრეში
 საცეკვაოდ იწვევს შავტუხა და სანდომიან მანდილოსანს, ნუცა გორდელაძისას. არა, სამო-
 ცი წლის შემდეგ, ქართველები ჯერ კიდევ არ არიან გადაგვარებული უცხოეთში, სიამოვნე-
 ბით ვფიქრობ მათი ცეკვის შემხედვარე, თითქოს მასპინძლებს დასცინისო, წრეში გამოიქ-
 რება სტუმართა წყვილი, რომელიც სამაგალითო სიმსუბუქით და გამომსახველობით ასრულებს
 სახასიათო, გაშარებულ „ლექურ“ თუ „ქართულ“ ცეკვას... დრომ შეწყვიტა თავისი დაუოკე-
 ბელი ლტოლვა. აღარავის ახსოვს არც ძილი, არც მოსვენება...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გულბათ გულბათიშვილი

მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას :

7 ოქტომბერს, ქალ. უნიონში (ა.შ.შ. ნიუ-იერსეს შტატი) გოლის სიგანიერით უეტრად გარ-
 დაიცვალა ვანო ახმეტელი და დასაფლავეს ადგილობრივად.

30 დეკემბერს, ქ. მონპელიეში (საფრანგეთი), მოხუცებაში გარდაიცვალა კობა რამი-
 შვილი, ისიდორე რამიშვილის ვაჟი.

31 დეკემბერს, გულის სიგანიერით უეტრად გარდაიცვალა დიმიტრი (მიტო) ბეგიაშვილი
 და დაიკრძალა ლევილის სასაფლაოზე.

და ღრმად დამწუხრებულ სამძიმარს ვუცხადებთ მათ დამწუხრებულ ქირსიუფლებს.

	ჩ ვ ე ნ ი	ფ ო ნ დ ი (ფრანგულ ფრანკებში)	
ლევან ფადავა	100.-	ანე-მარი და დავით ვაშაძე	500-
ნიკო ურუშაძე	400-	გიორგი ჯაყელი	141-
შალვა ცინცაძე	228-	დავით ბებიაშვილი	238-
ქრისტეფორე იმნაიშვილი	100-	დიმიტრი მახარაშვილი	630-
თავისუფალ პრესის დამხმარე	50-	აკაკი ბარკალაია	200-
თამარ ლალიძე	50-	გრიგოლ წერეთელი	200-
ირინე და ნესტორ პაპუაშვილი	200-	მართა სტურუა	50-
ირაკლი ოთხმეჭური	150-	ანონიმი გ.ფ.რ -დან	200-
გერასიმე ბოლქვაძე	200-	აკაკი გამსახურდია	50-
მიშა გაფრინდაშვილი	100-	არჩილ მქედლიშვილი	200-
ნიკო ბედელაძე	100-	ქ-ნი მიტო ბეგიაშვილისა	250-
გრიგოლ ლომაძე	100-	მარი შენგელია	200-
რადიო„თავისუფლება„	2.366-	ეთერი წერეთელი	500-
მარგალიტა შენგელია	100-		

ჯამი

7.603 -

გრიგოლ რობაქიძის იუბილეს დღეზე მიღებულმა შემოწირულებებმა სულ შეადგინეს 1240 ფრ.
 როგორც შემომწირველთა სია, ისე გასაღლის სრული ანგარიში გამოქვეყნდება მომავალ
 ნომერში. ჩვენი უმორჩილესი მადლობა ყველას, ვინც ამ კენი ქართ. საქმეს ეხმარება.